

1975/4



საბჭოთავ ბელოკონტინენტი და საქართველო

1975 5

1024
13115

უიწაარსი

1975 წლის 9 მაისი — დიადი გაბარჯვების 30 წლისთავი 2

ლადო დონაძე —
ქართული მუსიკა დიდი სამამულო ომის წლებში 11

მოსკოვი — ჩვენი საფოტოლო დედაქალაქი 24

ვასილ კიკნაძე —
ოქში იბრძოდა ქართული თეატრიც 27

ნანა ყიფიანი —
საბოტა კავშირის გმირი გიორგი გოცირიძე 36

ლეილა თაბუკაშვილი —
დიადი თარიღი და მხატვრები 38

გენადი პროკოპინსკი, ნიკოლოზ ბელიაევი —
მეგობრის მოგონება 43

ვივი ბარამიძე —
ანვლილის შესახებ მოგაგვლის სახელით 50

დიმიტრი მკედლიძე —
ომის დღეების განხილვა 57

ანტონ წულუკიძე —
ომისა და მშვიდობის თემა დიმიტრი უოსტაკოვიჩის სიმ-
ფონიებში 58

მარინე კერესელიძე —
ოცდაათი წლის შემდეგ 65

ვახტანგ გურგენიძე —
ქართული კინემატოგრაფიის წვლილი 67

ნუცა მიქელაძე —
საფოტოლო დამცველთა მხარდამხარ 70

ოთარ სეფიაშვილი —
ორი ფილმი 73

მიხეილ თუმანიშვილი —
ფრანგული დღიურიდან 79

სამხედრო ფოტოგრაფიის არქივიდან 86

შუქურა ინასარიძე —
ცოცხალი მატინის ფურცლებიდან 91

ბორის ვასილიევი —
ბანთილი კი აპ წყნარი იცის (პიესა) 93

ქრონიკა 113

საქართველო საბჭოთა სოციალისტური ქურნალი

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
ქოველთვიური ქურნალი

**თეატრი
მუსიკა
მხატვრობა
კინო
არქიტექტურა
ჟორნალიზმი**

მთავარი რედაქტორი —
თამაზ ზილასი

სამრედაქციო კოლეგია:
აკაკი ბაქრაძე,
ვანტანა ბერიძე,
გივი ბოჭუაძე
(პასუხისმგებელი მდივანი),
ნოდარ გაბუნია,
ვასილ კიკნაძე,
ნოდარ მგალობლიშვილი,
ზურაბ ნიშარაძე,
გივი ორგონიანიძე,
ნათელა ურუხაძე,
რევაზ ჩხეიძე,
ანტონ წულუკიძე,
ნიკო ზავთავაძე,
ნოდარ ჯანაბერიძე.

კ. მარქსის ს.ს. ს.ს.სსრ
სახელმწიფო სკოლა

დიდ სამამულო ომში საბჭოთა კავშირის გამარჯვებამ ცხადყო მსოფლიოს პირველი სოციალისტური სახელმწიფოს სიცოცხლისუნარიანობა და უძლევლობა. ეს იყო ოქტომბრით შობილი ახალი საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობილების, სოციალისტური ეკონომიკის, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეოლოგიის, საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის, სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობის გამარჯვების მთავარი შემოქმედი იყო საბჭოთა ხალხი, რომლის გმირობა სწორუპოვარია ისტორიაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან.



1975 წლის 9 მაისი — ღიაღი გამარჯვების 30 წლისთავი

გამარჯვების აღლუმი წითელ მოედანზე 1945 წლის 24 ივნისს.



„სტალინგრადის ნიკე“.



„აიგლურულ“ გერმანიაზე გამარჯვების დღესასწაული ყოველთვის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ნათელი და დაუვიწყარი დღე იქნება ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ისტორიაში, კომუნიზმის გამარჯვებისათვის ჩვენი ბრძოლის ისტორიაში — თქვა ლ. ი. ბრეჟნევი დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 20 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმზე. მას შემდეგ კიდევ ათი წელი გავიდა, თითქმის მიიწურა ორი გმირული ხუთწლედ, მაგრამ 1941-1945 წლების გმირობა უბადლო მაგალითად ჩაიწერა მაგიაზე. მისი ფურცლები ახლაც ცოცხლად მოგვითხრობენ მილიონთა სისხლით მოპოვებულ უძნელეს გამარჯვებაზე, გმირი საბჭოთა ხალხის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაზე, რომელსაც უნარიანად წარმართავდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია. დიდ სამამულო ომის ლეგენდარული ოთხი წელიწადი არასოდეს ამოიშლება ხალხის ხსოვნიდან, რადგან ამ წლებთან არის დაკავშირებული მსოფლიო მნიშვნელობის უდიდესი მოვლენები. 9 მაისის ზეიმი ნხოლოდ საბჭოთა ხალხის კუთვნილება როდია, ამ თარიღს ერთობლივად ზეიმობენ მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხები. და ეს გასაგებია, რადგან დიდ სამამულო ომში გამარჯვებამ იხსნა კაცობრიობა გერმანული ფაშიზმის უღლისაგან.

1933 წლიდან მოყოლებული — 13 წლის მანძილზე ჩვენს პლანეტაზე არ არსებობდა ფაშისტურ გერმანიაზე უფრო ვერაგი მილიტარისტული სახელმწიფო, რომელმაც საბჭოთა



საბჭოთა მეომრის ძეგლი ბერლინში.

კავშირზე უეცრად და ომის გამოუცხადებლად თავდასხმამდე თითქმის მთელი ევროპა და-
იპყრო. აშკარა გეროროსული დიქტატორის რეჟიმის შედეგად წარმოქმნილ სახელმწიფოს,
რომლის ფაშისგური მმართველობა ე. წ. ნაცონალ-სოციალისტების მუშათა პარტიას უწო-
დებდა თავის თავს, უძლევლობის იარაღი მიაკრეს. ჰიტლერულმა ურდოებმა იოლად გა-
დაჯიგეს დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები, დაიმონეს ან თავიანთი გავლენის ქვეშ მო-
აქციეს მათი ხალხები. ვერავინ შესძლო ამ ბოროტი ძალის არათუ წამოჩქება, ცაფუძვლი-
ანი წინააღმდეგობის გაწევაც კი.

გმირის პოზაში გაჯგიმულ ადოლფ ჰიტლერსა და მის სროვას უფრო შორს ეჭირა
მგლური თვალი — განზრახული ჰქონდა მსოფლიო ბატონობის მტაცებლური იდეის განხორ-
ციელება. „ელვისებური ომის“ გეგმის საფუძველზე ჰიტლერი სულ ორიოდ თვეში აპირებ-
და ხელთ ეგდო პირველი სოციალისტური სახელმწიფოს — სსრ კავშირის ვრცელი ტერიტო-
რია, მისი აღურიცხველი ბუნებრივი სიმდიდრე, მოესპო სოციალიზმის სამშობლო, უწყა-
ლოდ გაეულიგა მილიონობით საბჭოთა მოქალაქე, ხოლო უსასტიკეს ომს გადარჩენილი წა-
მებული ხალხი „არიული“ მოდგმის მონებად ექცია. შემდეგ იგი, აგრესორი ქვეყნებისაგან
შეკოწიწებული ბლოკის მეშვეობით, რომელსაც მილიტარისტული იაპონიაც შეუერთდებო-
და, შეუგვედა ძლიერ კაპიტალისტურ სახელმწიფოებს — ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ
შტატებს, გადათელავდა აზიასაც და თანდათან ფაშისმს მთავრობებად მთელს მსოფლიოში.

როგორც ვხედავთ, ფაშისმი არ ინდობდა თვით იმ ქვეყნებსაც (ამერიკა, ინგლისი),
რომლებმაც ძუძუ აწოვეს და ფეხზე წამოაყენეს პირველ მსოფლიო ომში დამარცხებული
გერმანიის ეკონომიური ძლიერება. ცნობილია, რომ სწორედ ამერიკის შეერთებული შტატე-
ბისა და დიდი ბრიტანეთის კრედიტებმა მოაღონიერეს უძლები და უმადური შვილობილი.
თუმცა... ამ სახელმწიფოთაგან თითოეულს თავისი მიზანი ჰქონდა. ინგლის-ამერიკა ფაშის-
გური გერმანიის გამოყენებას ცდილობდა სსრ კავშირის წინააღმდეგ ომის გასაჩაღებლად,
მსოფლიოს ხელახალი განაწილებისა და მუშათა მოძრაობის ჩასახშობად. თვით გერმანი-
ას კი პირველი მსოფლიო ომის დროს დაკარგული ტერიტორიის შემოერთება აინტერესებდა,
შემდეგ კი — ამ საზღვრებს მსოფლიო მასშტაბით გაფარცოვება. ასე იქმნებოდა წინამძღვრე-
ბი მეორე მსოფლიო ომისათვის, რომელსაც ორი მძლავრი კერა ასაზრდოებდა; აღმოსავ-
ლეთში — იაპონია და ევროპის ცენტრში — გერმანია, ძმადნაფიცვით გვერდში რომ იყე-
ნებდა ფაშისგურ იგალიას.

მალე დატრიალდა ომის ავბედითი ბორბალი: იგალია შეესია ეთიოპიას, გერმანიამ და
იგალიამ სამოქალაქო ომი გააჩაღეს ესპანეთში, იაპონიამ ჩინეთს შეუტია; 1938 წელს გერ-
მანიამ აესტრია დაიპყრო, მომდევნო წელს კი — ჩეხოსლოვაკია და თავს დაესხა პოლო-
ნეთს; კიდევ ერთი წლის შემდეგ გერმანიის ხელში აღმოჩნდნენ დანია, ნორვეგია, პოლან-
დია, ბელგია; 1940 წელს ფაშისგური არმია შეესია რუმინეთსა და ბულგარეთს, 1941
წელს კი გერმანიამ მძიმე უღელი დაადო იუგოსლავიასა და საბერძნეთს. მართალია, ინგ-
ლისმა და საფრანგეთმა ომი გამოუცხადეს გერმანიას (გაჩაღდა მეორე მსოფლიო ომი), მაგ-
რამა მალე დამარცხდნენ. ფაშისმი ბოზოქრობდა. ამიგომ იყო, რომ საკავშირო კ(პ) XVIII
ყრილობაში, რომელიც 1939 წლის მარტში გაიმართა, მკაფიოდ მიუთითა: ფაშისგური სახელ-
მწიფოების მიერ თავისუფლებისმოყვარე ხალხების წინააღმდეგ ომის გაჩაღება საფრთხეს
წარმოადგენს მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმისათვის.

ამასობაში დაირღვა სსრ კავშირის მშვიდობიანი ცხოვრება. ჯერ იაპონია თავს დაესხა
საბჭოთა ტერიტორიას ხასანის გბასთან, ხოლო შემდეგ დაიწყო ფინეთის ომი, რომელიც
ზავით დამთავრდა 1940 წელს. 1939-40 წლებში გაფართოვდა საბჭოთა ტერიტორია — წი-
თელმა არმიამ შემოიერთა დასავლეთი უკრაინა და დასავლეთი ბელორუსია, მალე სსრ
კავშირის შემადგენლობაში შემოვიდნენ ბალტიისპირეთის რესპუბლიკები — ლიგვა, ლატვია,
ესტონეთი, აგრეთვე ბესარაბია და ჩრდილოეთი ბუკოვინა.

სამამულო ომის საფრთხე კი თანდათან მაგულობდა. სსრ კავშირს თავდასხმა ემუქრე-
ბოდა როგორც აღმოსავლეთიდან — მილიტარისტული იაპონიის, ისე დასავლეთიდან — ფა-
შისგურა გერმანიის სახით. მათ ემაგებოდა იგალიის, როგორც გერმანიის მოკავშირის, აგ-
რესია. ამრიგად, სამი აგრესორი ემზადებოდა „ჯვაროსნული ლაშქრობისათვის“ კომუნიზ-
მის წინააღმდეგ.

საჭირო იყო ქმედითი ზომების მიღება, სამშობლოს თავდაცვითი უნარიანობის გაძლი-
ერება, ენერგიული მზადება მოახლოებული ომისათვის, მისი დროებითი აცდენა მანც.
პარტია და საბჭოთა მთავრობა სახავდნენ მომავლის გეგმებს. პარტიის XVIII ყრილობის
დადგენილებით „გათვალისწინებულ იქნა თავდაცვითი მრეწველობის დაჩქარებული განვი-
თარება, სათბობის, ელექტროენერჯისა და წარმოების სხვა დარგებში დიდი სახელმწიფო
რეზერვების შექმნა. დასახული იყო ქვეყნის ძირითადი ეკონომიური რაიონების კომპლექ-
სურა განვითარება, დუბლიორ საწარმოთა მშენებლობა ურალზე, ვოლგისპირეთში, ციმ-
ბირსა და შუა აზიაში, ქვანახშირისა და მეგალურგიის ბაზის გაფარცოვება ქვეყნის აღმო-
სავლეთ ნაწილში, ნავთობის ბაზის შექმნა ვოლგასა და ურალს შუა რაიონში, მარცვლათე-
ლის ახალი ბაზის შექმნა სსრ კავშირის აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ რაი-
ონებში“.

ასევე წინდახედული ნაბიჯი იყო საბჭოთა კავშირ-გერმანიას შორის თავდაუსხმელო-
ბის პაქტის დადება 1939 წელს; თუმცა, ეს პაქტი არ იძლეოდა მშვიდობის შენარჩუნების
უცილობელ გარანტიას, და იგი მუხანათურად დაარღვიეს კიდევ ფაშისგებმა. კვირას, 1941
წლის 22 ივნისს, დილის 4 საათისთვის, როცა საბჭოთა მოქალაქეებს მშვიდად ეძინათ,

ვოლგოგრადი. მაიის ყორ-
ლანი. კედლის ფრაგმენტი





ლენინგრადის დამკველთა დიდების ძეგლი.

ფაშისტური გერმანია ომის გამოუცხადებლად თავს დაესხა სსრ კავშირს. ასე შევიდა ახალ, ვადაზწყვევ ფაშაში მეორე მსოფლიო ომი.

სოციალისტური სამშობლო სერიოზული საფრთხის წინაშე აღმოჩნდა და მიიღო უთანასწორო ბრძოლა არნახული სიძლიერის არმიასთან — მგერის 190 დივიზიასთან გასამკლავებლად. ათასობით თვითმფრინავის, ქვემეხის, სატანკო და მოგორიზებული შენაერთების, ფაშისგთა ველური ურდოების შეგვეათა წოგერიება თითქმის შეუძლებელი იყო ომის დასაწყისის სტადიაში. ამიგომ პარტიაა წამოაყენა ლოზუნგი: „ყველაფერი ფრონგისათვის, ყველაფერი გამარჯვებისათვის!“ საკავშირო კ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1941 წლის 29 ივნისის დირექტივაში ხაზგასმულია ძირითადი მომენტი: „...ფაშისგურ გერმანიასთან ომში, რომელიც ჩვენ თავს მოგვანგვის, წყდება საბჭოთა სახელმწიფოს სიკვდილ-სიცოცხლის საკითხში, ის საკითხი, თავისუფალი უნდა იყენენ საბჭოთა კავშირის ხალხები, თუ მონობაში ჩავარდნენ“.

მგერი გააფრებით მოიწვედა წინ ლენინგრადის, მოსკოვის, კიევის მიმართულებით. ომის დაწყებიდან ორი კვირაც არ იყო გასული, რომ ფაშისგებმა ხელთ იგდეს ლიგვა, მოლდავეთისა და ლავიის მნიშვნელოვანი ნაწილი, დასავლეთი ბელორუსია და დასავლეთი უკრაინა. მგერის ბოძებები ანგრევდნენ შურმანსკს, ორშას, შოგილიოვს, სპოლენსკს, კიევს, ოდეასს, სევასტოპოლს. ბრძოლა მიმდინარეობდა უზარმაზარ გერიგორიაზე — ბარენცის ზღვიდან შავ ზღვამდე.

მგერი ხელაყრელ პირობებში იბრძოდა. მისი ძლიერი სამხედრო ეკონომიკა, თითქმის მთელი დასავლეთი ევროპის რესურსების გამოყენება მრისხანე ძალად დააგყდა თავს ფაშისგურ გერმანიასთან და მის მოკავშირეებთან (ფინეთი, უნგრეთი, რუმინეთი, იტალია) ბრძოლაში მარგოდმარგო ჩაბმულ სსრ კავშირს, რომელიც მხოლოდ საკუთარ რესურსებს ეყრდნობოდა და ახლახან ჰქონდა ათვისებული ახალი საბრძოლო გეჟნიკის წარმოება.

ნიუნდავად ამისა, პარტია, საბჭოთა მთავრობამ, თავდაცივის სახელმწიფო კომიტეტმა განახორციელეს ლენინური ლოზუნგი და ერთიან სამხედრო ბანაკად აქციეს საბჭოთა ქვეყანა, ერთ მძლავრ მუშგად შეკრეს ფრონგი და ზურგი. საბჭოთა ადამიანების მასობრივმა გმირობამ, წითელი არმიის, მუშების, კოლმეურნე გლეხობის, ინგელიგენციის თავდადებაში უტკნობი ფურცლები ჩაწერეს ომის მაგიაწში.

ფაშისგთა ჭარბი ძალები მაინც მოიწვედნენ წინ — მოსკოვისკენ. ჰიგლერს მგკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი მოსკოვისა და ლენინგრადის მიწასთან გასწორება, მისი მოსახლეობი მთლიანად ამოყლევა, რათა სარჩენი არ ჰყოლოდა ზამთარში. ამ ამოცანის შესრულება იგი ავიაციას აკისრებდა, განკების გამოყენება საჭირო არ არისო. მეგიც, სსრ კავშირზე თავდასხმის გეგმის დამგკიცების შემდეგ ჰიგლერმა ერთ-ერთ თათბირზე განაცხადა: „ჩვენთვის საკმარისი როდია მხოლოდ რუსეთის არმიის განადგურება და ლენინგრადის, მოსკოვის, კავკასიის დაპყრობა. ჩვენ უნდა აღგავოთ ეს ქვეყანა პირისაგან მიწისა და მოგსპოთ მისი ხალხი“.

„შეგანგროთ მგერი!“ „მოსკოვი არ დავანებოთ!“ „მოსკოვთან უნდა დიწყოს მგერის განადგურება!“ — ეს ლოზუნგები დროშასავით აიგაცეს სამშობლოს დამცველებმა და 1941 წლის დეკემბრის დასაწყისში საბჭოთა ჯარები კონგრშეგვეაზე გადავიდნენ მოსკოვთან.

გ. ი. ლენინი მიუთითებდა: „ყოველ ომში გამარჯვება საბოლოო ანგარიშით განპირობებულია იმ მასების სულისკვეთების მდგომარეობით, რომელნიც ბრძოლის ველზე ღვრიან თავიანთ სისხლს. ომის სამართლიანობაში დარწმუნება, თავის თანამოქმეთა საკეთილდღეოდ საკუთარი სიცოცხლის განწირვის აუცილებლობის შეგნება ამხნევეს ჯარისკაცებს და აიძულებს მათ გადაიგანონ გაუგონარი სიმძიმეები“. ბელადი იმასაც აღნიშნავდა, რომ „მასებია მიერ ომის მიწნებისა და მიზეზების... შეგნებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს და ეს უზრუნველყოფს გამარჯვებას“.

პარტია განუხრელად ხელმძღვანელობდა დიდი ლენინის ამ მითითებებით. იგი ცდილობდა განეშკიცებინა მასების მორალურ-საბრძოლო სულისკვეთება, გაემხნევებინა წითელი არმია და ზურგში მშრომელი ხალხი, განემარგა, რომ უძლებელი არმიები არ არიან და არც ყოფილან, რომ ჩვენი საქმე სამართლიანია და გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება. ამასთან ხაზგასმული იყო ის გარემოებაც, რომ საბჭოთა ხალხი მარგო არ იქნებოდა ამ ომში, მას მხარდამჭერი და მოკავშირე ეყოლებოდა ევროპისა და ამერიკის ხალხების, თვით გერმანელი ხალხის სახით.

საბჭოთა ადამიანებს სწამდათ პარტიის მოწოდებათა ჭეშმარიტებისა. ამიგომ იყო, რომ ფრონგისა და ზურგის მებრძოლები უჩვენებდნენ მასობრივი გმირობის სწორუპოვარ მაგალიტებს. ისინი საბოლოო გამარჯვების, ფაშისმის მოსპობის, სამშობლოს მომავალი კეთილდღეობის რწმენით უგარდებოდნენ განკს და აფეთქებდნენ სვასტიკიან ურჩხულს, მგერის აბრაზურაა მკერდთ ეფარებოდნენ, რათა გზა გაეხსნათ თანამებრძოლებისათვის, ამიგომ უძლებდნენ წაშებას გყვედ ჩავარდნილი მებრძოლები და სამხედრო საიდუმლოებას არ უშეღანებდნენ მგერს. ამაო იყო ფაშისგთა წადილი საკონცენტრაციო ბანაკებში წამებით, დახვრეგით, საწრწობელის ყულფით დაეშინებინათ პაგრიოტები. ვერავითარმა ძალამ ვერ გაანგრია საბჭოთა ხალხის რწმენის კედელი. მაშაცი წითელი არმია მგერს ურგყამდა მოწინავე ხაზზე, პარტიანთა რაზმები ზურგიდან უგევდნენ დროებით ოკუპირებულ გერიგორიაზე ნოკალათებულ ფაშისგთა ურდოებს. გმინავდა ბრესგის ციხე-სიმაგრე, 250 დღის განმავლობაში იბრძოდა სევასტოპოლი, 900 დღის მანძილზე გრძელდებოდა ლენინგრადის ბლოკადა, ხელიდან ხელში გადადიოდა ყირიმი, ბორგავდა გყვიებით დაცხრილული „მცირე



ფაშისმის მსხვერპლთა ძეგლი სო.კ. პირჩუპისში (ლიტვა).

მიწა“... ვინ მოთვლის გმირობისა და თავდადების ყველა მაგალითს. და აი, პირველი გამანადგურებელი დარტყმა მგერმა მოსკოვის მისადგომებთან იგემა. ეს იყო 1941 წლის დეკემბერიში.

„მოსკოვთან უნდა დაიწყოს მგერის განადგურება!“ — იყო პარტიის ლოზუნგი და სწორედ მოსკოვისათვის ბრძოლებში შეაჭკანა ფოთლები ლეგენდას ფაშისგური არმიის უძლეველობის შესახებ. ჩაიფუშა ე. წ. „ელვისებური ომის“ მანიაკური გეგმა. მაგრამ ფაშისგური არ ცხრებოდნენ. მალე მათ სტალინგრადას შეუვიეს. „მგერს არ დაეანებოთ სტალინგრადი!“ „არც ერთი ნაბიჯი უკან!“ „კოვლის იქით ჩვენთვის მიწა არ არის!“ — კვლავ გაისმა მოწოდება და საბჭოთა არმიის ძლიერებამ ერთხელაც იჩინა თავი. მგერმა სასტიკი დამარცხება იწვნია გმირ ქალაქთან. ეს იყო 1942 წლის ბოლოსა და 1943 წლის დასაწყისში. ახლა მძლავრი გოგები შეეკვეცა ფაშისგური არმიის უძლეველობის ლეგენდას. საყოველთაო გლოვამ წოიცვა ნაცისგური გერმანია.

მგერი მაინც იბრძოდა. იგი ჯერ კიდევ ძლიერი იყო, მაგრამ ორიოლ-კურსკის რკალზე ახალი დარტყმა ელოდა. ძლევამოსილმა საბჭოთა არმიამ ხერხემალი გადაუმგერია მგერს. უზომოდ გაფოფრილი ლეგენდის ხე ხმობას შეუდგა. ეს იყო 1943 წელს. მომდევნო წლიდან კი ჩვენი ჯარები უკვე საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთ იბრძოდნენ, ფეხდაფეხ მისდევდნენ მგერს, რათა საკუთარ ბუნაგში წოესპოთ.

ოთხწლიანი მძიმე ომი ბერლინის გრანდიოზული ბრძოლით დამთავრდა. 1941 წლის 1 მაისისთვის რაინსტაგის თავზე აფრიალდა საბჭოთა დროშა. ფაშისგურმა გერმანიამ ხელი მოაწერა უსიგვყო კაპიტულაციას.

მალე მოელო ბოლო იმპერიალისტურ იაპონიასაც. დამთავრდა მეორე მსოფლიო ომი. ომგადანდილი საბჭოთა ხალხი ზეიმობდა, მღეროდა, ცეკვავდა... ვიროდა, გლოვობდა... „ვერაფერი აანაზღაურებს მსხვერპლსა და ნგრევას, რომელიც ომმა მოგვიტანა. მან ხალხს არგუნა მწუხარება, რომლის გამო დღესაც არ შეშრობია ცრემლი მილიონობით დედას, ქვრივსა და ობოლს. რა უნდა იყოს კაცისთვის უფრო დიდი საგვიარო, ვიდრე ახლობლების, ამხანაგებისა და მეგობრების დაღუპვა. რა უნდა იყოს უფრო საზარელი სანახავი, ვიდრე შენა შრომის განადგურებული ნაყოფი, რომელშიც მთელი ძალ-ღონე, ნიჭი, მშობლიური მხარის სიყვარული ჩააქსოვე. რა უნდა იყოს იმაზე უფრო მწარე, ვიდრე გადაბუგული ნასახლარებიდან ავარდნილი კვამლი. ცეცხლითა და მახვილით ნაწამები, ნანგრევებად ქცეული დახვდათ შინდაბრუნებულ საბჭოთა ჯარისკაცებს ფაშისგ ბარბაროსთაგან განთავისუფლებული ძვირფასი მიწა-წყალი.

მაგრამ რა გაგნავდა საბჭოთა ადამიანების ნებისყოფას, რა შეაჩერებდა სოციალიზმის ძლევამოსილ წინსვლას. მსხვერპლმა გული დაგვწყვიტა. მაგრამ ამასთან ერთად თითოეულ საბჭოთა ადამიანს გამარჯვების სინარულით უცემდა გული. დაღუპულთა გმირობა ძალას მაგებდა ცოცხალთ“ (ლ. ი. ბრეჟნევი).

ვისაც საკუთარი თვალებით უნახავს ეს ზეიმ-გლოვა, ვერასოდეს დაივიწყებს საბრძოლო ორდენებითა და მედლებით მკერდამშვენებული ვაჟკაცების უსაზღვრო სინარულს, ძაძით მოსილი ქალების გაცისკროვნებულ სახეზე დადენილ ცრემლს, ნადრევად დადინებულ ბავშვების ადგაცებას, გამარჯვების საღუგის განუმეორებელ ფერადოვნებას, გრანდიოზულ სახალხო დღესასწაულს, ფართო მასშტაბის სახალხო მწუხარებას. მწუხარებას, რადგან იშვიათი იყო ოჯახი, რომელსაც მსხვერპლი არ გაეღო.

შემზარავია დიდი სამამულო ომის სტატისტიკა. ქვემოთ მოყვანილი მონაცემები ახლაც, ოცდაათი წლის შემდეგ, ყრუანგულს გვრის, ალაშფოთებს ადამიანს. აი, ეს მეტყველი ციფრები: საბჭოთა კავშირის გერიგორიაზე ჰიგლერელებმა მიწასთან გაასწორეს 70 ათასზე მეტი ქალაქი, დაბა თუ სოფელი. მარგო ოკუპირებულ გერიგორიასა და ფრონგისპირა ზოლში უსახლკაროდ დარჩა 25 მილიონი ადამიანი. ფაშისგებმა გაძარცვეს და განადგურეს ათეულ ათასობით სამრეწველო საწარმო, კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა. ფაქტიურად მოისპო სამხრეთის მთელი ინდუსტრია და, რაც ყველაზე დიდი დანაკლისია, სამამულო ომში ჩაქრა 20 მილიონზე მეტი საბჭოთა ადამიანის სიცოცხლე; დაგვრჩა ათეულ მილიონობით ობოლი, ქვრივი და ინვალიდი. მაგრამ საბჭოთა კავშირმა, მისმა გმირულმა არმიამ, შრომისმოყვარე ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელძღვანელობით გაუძლო მრისხანე ომის საშინელებას. სოციალისტურმა ქვეყანამ კიდევ ერთი დამარცხება აგემა კაპიტალისტურ სამყაროს და მოიპოვა როგორც სამხედრო, ასევე პოლიტიკური და ეკონომიური გამარჯვება. გამართლდა დიდი ლენინის სიგყვები: „ჩვენი საბჭოების სოციალისტური რესპუბლიკა მგკიცედ იდგომება, როგორც საერთაშორისო სოციალიზმის ჩირადდანი და როგორც მაგალითი მშრომელი მასების წინაშე“.

ასევე გამართლდა პარტიის იმედები, რომ საბჭოთა კავშირს დახმარებას გაუწევდნენ ევროპისა და ამერიკის ხალხები. ანტიფაშისტური კოალიციის შექმნა, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის დახმარება, ევროპის მშრომელთა ერთსულოვანი ადდგომა ფაშისმის წინააღმდეგ, მეორე ფრონგის გახსნა და სხვა ის ფაქტორებია, რომლებმაც ხელი შეუწყვა ჰიგლერული გერმანიის განადგურებას. მაგრამ ცხადზე უცხადესია, რომ ომის ძირითადი სიმძიმე საბჭოთა ქვეყანასა და მის ხალხს დააწვა; გამარჯვების შემოქმედნი იყვნენ საბჭოთა ჯარისკაცები და მხედართმთავრები, რომლებმაც აღკვეთეს ფაშისტური ძალმომრეობა, გადაარჩინეს კაცობრიობა და გზა გაუხსნეს მსოფლიო სოციალისტური სიგემის დასაფუძნებლად.



ბუდაპეშტი. განთავისუფლების ძეგლი.

ვარშავა. თანამებრძოლთა მეგობრობის ძეგლი.



„ომის გამოცდილება, — ამბობდა ვ. ი. ლენინი, — ისევე როგორც გამოცდილება ყოველი კრიზისისა, ყოველი დიდი უბედურებისა და ყოველი გარდაცემისა ადამიანის ცხოვრებაში, აჩვენებს და გასცხს ზოგიერთებს, მაგრამ **სამაგნიროდ ათვითსწრაფიარავს და აკაჟებს** სხვებს“... სწორედ ომით გაკაჟებულთა მოდგმა იყო საბჭოთა ხალხი, რომელიც მაშინვე შეუდგა მოყენებული ჭრილობების მოშუშებას, დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენას. ბრძოლის ფრონტი შრომის ფრონტით შეიცვალა. და კვლავ ჩაიწერა ბაგინაში ახალი უმაგალითო გმირობის მაგალითები: სულ რაღაც ორ-ნახევარ წელიწადში ახათუ აღდგა სამრეწველო წარმოების ომამდელი დონე, არამედ გადააჭარბა კიდევ მას. მეოთხე ხუთწლედის ბოლოსთვის ძირითადად მძღვეულ იქნა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ომამდელი დონეც. ფერფლიდან აღსდგა ნაქალაქარი თუ ნასოფლარი, აშენდა ახალი საწარმოები, ფაბრიკები, ქარხნები, მომძლავრდნენ და გამსხვილდნენ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, ქვეყანა დაადგა კულტურული განვითარების აღმაველ გზას. დაიწყო ახალი ეტაპი — კომუნისტური საზოგადოების მშენებლობისა. სულ უფრო გაიზარდა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო ავტორიტეტი; საბჭოთა ქვეყანა სათავეში ჩაუდგა მძლავრ სოციალისტურ ბანაკს, გახდა მშვიდობის ურყევი ბაირახტარი. და ახლა სკკპ XXIV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით დარაზშული საბჭოთა ადამიანები მძლავრი ნაბიჯებით მიიწვევენ წინ — ახალი მიჯნების ასაღებად მეცხრე ხუთწლედის დამავირგვინებელ წელს.

* * *


„თუ ვილაპარაკებთ დიდი სამამულო ომის მთავარ გმირზე, ეს უკვდავი გმირი იყო მეგობრული ოჯახი ხალხებისა, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში ცხოვრობენ და რომლებსაც ურღვევი ძმობა აკავშირებთ. რუსები, უკრაინელები, ბელორუსები, უზბეკები, ყაზახები, ქართველები, აზერბაიჯანელები, ლიგველები, მოლდაველები, ლაგვილები, ყირგიზები, გაჯიკები, სომხები, თურქმენები, ესტონელები — ერთი სიგყით, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის შვილები მკერდით იცავდნენ სამშობლოს“ (ლ. ი. ბრეჟნევი). პარტიის ნებამ, სოციალისტური იდეოლოგიის სიმკაცრემ ერთ უძლეველ, მაგრამ არა ზღაპრულ, არამედ სავსებით რეალურ გოლიათად შეადუღა საბჭოთა ხალხები. ეს იყო ლენინური ეროვნული პოლიტიკის ჭეშმარიტი გრიუნი, უმაღლესი პატრიოტიზმის გამოვლენა და კოლექტიური თავდადება. ფაშისგები არ მოელოდნენ საბჭოთა ერების ასეთ ერთსულოვნებას. პირიქით, ისინი ვარაუდობდნენ, რომ ქვეყნის შრავალეროვანი ხალხი დაიბნეოდა, ერთმანეთს დაერეოდა, დაძინებდა, დაცალკევდებოდა, სისხლისგან დაიწრიგებოდა და დამარცხებასაც ვერ აიცილებდა. მოხდა კი პირიქით — ხალხთა მეგობრობა იმ სამჭედლოდ იქცა, რომელიც საერთო ძალებით კვერავდა შტრის გამანადგურებელ მახვილს. რასაც შემოსევა და მტრობა ანგრევდა, — ძმობა და სიყვარული აშენებდა. და ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში, სხვებთან ერთად, საქართველოს შვილებსაც შეიგანეს თავიანთი წვლილი. თითქმის ყოველ ქართველ მებრძოლს შეეძლო სიამაყით გაემეორებინა სიგყები გიორგი ლეონიძის ცნობილი ლექსიდან: სამშობლოს დროშა შეჭირა, მგერს ვეცემოდი მეხადა! ან: სამშობლოსათვის დავთხიე სისხლ-ცვარი სიჭაბუკურიო.

სამწუხაროდ, დაზუსტებული არ არის საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა 1941 წლის 22 ივნისისათვის, მაგრამ ვიცით, რომ 1939 წლის აღწერით რესპუბლიკაში იყო 3.540.023 მცხოვრები, 1940 წლის პირველი იანვრისათვის კი ეს ციფრი 3.612.000-მდე გაიზარდა. თუ გავითვალისწინებთ მოსახლეობის ზრდას 1,5 წელიწადში და 1940 წლის მარტის დაგამრგვალბებთ, დაახლოებით 3.700.000-ს მივიღებთ. აქედან სამამულო ომში მონაწილეობდა ჩვენი რესპუბლიკის 600.000-ზე მეტი მცხოვრები, ანუ მთელი მოსახლეობის მეხუთედი. თუ „მეორე მსოფლიო ომის პერიოდში... 15-49 წლის ასაკის მოსახლეობაში ვაჟთა რაოდენობა (621 ათასი) თითქმის აბსოლუტურად შეეფარდებოდა ქალთა რაოდენობა (620 ათასი)“, და დავუშვებთ, რომ მოსახლეობის თითქმის ნახევარი ქალები იყვნენ (დიდ სამამულო ომში 16.000 ქალი მონაწილეობდა საქართველოდან), აგრეთვე ამას დავამავებთ ბავშვთა და მოხუცთა რაოდენობას, ცხადი გახდება, რომ გერმანელ ფაშისგებთან საბრძოლველად ქუღზე კაცი გააოსულა, ე. ი. ყველა, ვისაც იარაღის ხმარება შეეძლო.


სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში სიმონ ჩიქოვანს, როდესაც წერდა:

დღეს ორკეცად დვივის რწმენა,
ქუღზე კაცი ფეხზე დგება.
ჩვენს მახვილს და ჩვენს მარჯვენას
სამტკიცე და გამარჯვება!

ომის დასაწყისშივე ფრონტს მიაშურა კომუნისტური პარტიის 52.000-მა წევრმა — საქართველოს კომუნისტთა ნახევარზე მეტმა. მათ გვერდით იბრძოდა 150.000-ზე მეტი კომკავშირელი ჭაბუკი და ქალიშვილი. არც მეთაურთა რაოდენობა იყო მცირერიცხოვანი: სამამულო ომში საქართველოდან მონაწილეობდა 23 ათასზე მეტი ოფიცერი, 46 გენერალი და აღმირალი, მათ შორის გენერალ-პოლკოვნიკები — კ. ლესელიძე და პ. ჩანჩიბაძე; გენერალ-ლეიტენანტები — ვ. ჯანჯღავა, მ. მიქელაძე, ნ. კალაძე, ე. კობერიძე, მ. დლონგი, გ. ყუფარაძე, გ. ყურაშვილი; ავიაციის გენერლები — ვ. ნანეიშვილი, ე. ჯაგანაშვილი, მ. ჭანკოვაძე და სხვები. საქართველოს შვილები ვაჟკაცურად იბრძოდნენ ფრონტის სხვადასხვა უბანზე, სხვადასხვა ნაწილსა და შენაერთში, ქართულ დივიზიებში, პარტიზანულ



დიდების ძეგლი ფოთში.



სეესტობოლი. 414-ე ქართული დივიზიის გმირულად დაღუპულ მებრძოლთა ძეგლი.

რაზმებში. მათგან 244.700-მა დაიმსახურა სსრ კავშირის ორდენები და მედლები, 137-ს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება, მაგრამ მსხვერპლი აუნაზღაურებელი იყო: ომში წასულებიდან თითქმის ნახევარი დაეცა ბრძოლის ველზე, ხოლო 50 ათასამდე ჯარისკაცი და ოფიცერი დაინვალიდა.

მსგავსად მოძმე საბჭოთა ერებისა, ქართველი ხალხიც თავგანწირვით იღვწოდა ბრძოლისა და შრომის ფრონტებზე, არაფერს იშურებდა მგრიის დასამარცხებლად. მაგალითი ბევრია. აი, ერთ-ერთი მათგანი: „17 ძმა იყო ქართველი კოლმეურნი აბესაძის ოჯახში. 14 მათგანი იბრძვის სამამულო ომის ფრონტებზე. შინ დარჩნენ მხოლოდ არასრულწლოვანნი. ქვეითი ვლადიმერ აბესაძე და კავალერისტი ლადო ლენინგრადს იცავენ, მესაზღვრე ვანო დასავლეთის ფრონტზე იბრძვის, მეზენიგე ვასილი შავი ზღვის ფლოტში მსახურობს, არჩილი, თედო, შაქრო და კიდევ შვიდი ძმა მთებში იბრძვიან და იცავენ თავის მშობლიურ კავკასიას, თავის საყვარელ საქართველოს, თავის საბჭოთა სამშობლოს“ — წერდა გაზეთი „პრავდა“ 1942 წლის 15 ოქტომბრის მოწინავეში.

დიდების შარავანდედითაა მოხილი საბჭოთა კავშირის გმირების: კონსტანტინე ლესელიძის, შოთა გამცემლიძის, ჭიკოცო ბენდელიანის, გრიგოლ სხულუხიას, ზოია რუხაძის, ალექსანდრე წურჭუმიას, რაჟდენ ბარციცის, დავით ბაქრაძის, ვლადიმერ ლურსმანაშვილის, მელიგონ ქანთარიას, ვასილ ჩოჩიევის, ისრაფელ ჯინჭარაძის, გიორგი მაისურაძის, ივანე ცხოვრებოვის, ალექსი პირმისაშვილის, შალვა კოზაევის, იაროსლავ იოსელიანის, ვარლამ გაბლიასა და ყველა დანარჩენთა თავდადება; დაუვიწყარია ათასობით ქართველი ვაჟკაცის საბრძოლო გმირობა, მაგრამ ასევე დაუვიწყარია და უკომპრომისო ზურგის მშრომელთა, უპირავესად ქალების, შრომითი მამაცობა. მათ შორის იყვნენ: გრაქკორისტი ქალები — ს. უსენაშვილი და ე. ნაგროშვილი, მეჭარხლე ს. მარიდაშვილი, მეაბრეშუმე ო. აივაზაშვილი, მეჩაიები — ვ. და თ. ყუფუნები, ქ. სარსანი, დ. ვაბიძე, ხ. კაკაბაძე და სხვები, ათასობით მუშა ქალი და კაცი. გმირობის უმესანიშნავესი მაგალითია მეჩაი ნოვაგორის ქიონია სარსანიას არნახული გარჯა: 1941 წლის 7 სექტემბერს მან 91 შრომადღე გამოიმუშავა, დღიური გეგმა 9.100 პროცენტით შეასრულა და მოკრიფა 1407 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.


რესპუბლიკაში ფართოდ გაიშალა სჯანჯაროვური მოძრაობა. „ვიმუშაოთ ფრონტზე წასული ამხანაგების მაგივრად!“ — აცხადებდნენ მუშები და ორ, სამ, მეც ნორმას ასრულებდნენ. თბილისის საორთქლმავლო დეპოს მემანქანეების: ნ. მგელაძის, შ. კობრიძის, ა. წიკლაურის თავდადებული შრომა ჯერ კიდევ 1943 წლის 5 ნოემბერს აღინიშნა სოციალისტური შრომის გმირის საპაავო წოდების მინიჭებით. მომრავლდა მასობრივი შრომითი გმირობის მაგალითები. ქართველი მუშები, კოლმეურნეები და ინტელიგენცია მომქანცველი დღეების, თეთრად გათენებული დამეების ფასად ყველაფერს აკეთებდა იმ რწმენით, რომ მათი სამშობლოს შვილები არათუ გაუმკლავდებოდნენ შეშოსულ მგერს, არამედ გარეკდნენ კიდევ საბჭოთა მიწა-წყლიდან და უთუოდ დაამარცხებდნენ თავისსავე ბუნაგში.

„ყველაფერი ფრონტისათვის!“ „ყველაფერი მგერზე გამარჯვებისათვის!“ — ამ დევიზით მოქმედებდნენ საქართველოშიც. მშვიდობიან შრომას მიჩვეული ხელები დღედაღამ ამზადებდნენ საბრძოლო იარაღის მრავალ სახეობას; ხალხს მოჰყავდა ჭირნახული, თვითონ იკლებდა და ფრონტზე გზავნიდა სურსათ-სანოვავებს, განსაცმელს, ფეხსაცმელს, სარქურებს, წერდა გამამხნეველებელ წერილებს, რომელსაც იარაღის ძალა ჰქონდა... მილიონობით თანხა აგროვებდნენ სხვადასხვა სამხედრო გექნიკის, ტანკების, თვითმფრინავების, გემების ასაგებად, თავის ჭერქვეშ უთმობდნენ ბინას მშობლიური მიწა-წყლიდან აყრილ ევაკუირებულ მოსახლეობას, რომელთა აბსოლუტურ უმეტესობას ბავშვები, ქალები და მოხუცები შეადგენდნენ, მზრუნველობით უვლიდნენ და კურნავდნენ დაჭრილ მეომრებს. თავიანთი უანგარო საქმიანობით ადულაბებდნენ ხალხთა მეგობრობას, მოუღლელად, თავგანწირვით შრომობდნენ ქარხნებში, საკოლმეურნეო მინდვრებში, ლაბორატორიებში და თავიანთ თანაშემწეებთან ერთად ჭედდნენ და აახლოებდნენ გამარჯვებას. და რარიც საამაყო, რომ რაიხსგაგზე აფრიალებული გამარჯვების დროშა, რუს მეგობრებთან ერთად, ქართველმა ვაჟკაცმა გამოაგარა გყვიების წვიმასა და ბრძოლის ქარცეცხლში!

იმ დღეებს ძეგლი უნდა ავუგოთ — წერდა დიდი გალაკიონი და ფიცს დებდა ქართველი ხალხის სახელით:

მშობლიური ჩემო მიწავ, შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,
გიცავდი და გიცავ მარად, გიცავდი და კვლავ დაგიცავ!

მარუხის კომპლექსი. მონუმენტის ზედა ნაწილი.



სამამულო ომის თემატიკამ ახალ, მაღალ ხარისხში აიყვანა ქართული საბჭოთა ლიგურაგურა და ხელოვნება. ქართველმა მწერლებმა, კომპოზიტორებმა, თეატრის, კინოს, სახვითი ხელოვნების ოსტატებმა თავიანთი ცხოვრება და შემოქმედება ომის პირობებს დაუმორჩილეს. მათმა ერთმა ნაწილმა მეომრის მახარა ჩაიცვა და ბრძოლის ველზე შეება მგერს, მეორე ნაწილი კი ზურგში არანაკლები თავდადებით ქმნიდა ახალ ნაწარმოებებს, ამხნევებდა, მედგარი ბრძოლისა და შრომისათვის რაზმავდა ხალხს, იღურად აწრთობდა, განუმტკიცებდა მგერზე გამარჯვების რწმენას.

ომის თემა მკაფიოდ აისახა ქართულ სახვით ხელოვნებასა და მუსიკაში, დამკვიდრდა ოპერისა და დრამატული თეატრების სცენებზე, კინოეკრანებზე. ი. ნიკოლაძე, დ. კაკაბაძე, დ. გუდიაშვილი, ელ. ახვლედიანი, მ. თოიძე, თ. აბაკელია, ი. თოიძე, უ. ჯაფარიძე, ა. ქუ-

ზათელაძე, ს. მაისაშვილი, ვ. თოფურჩიძე და მრავალი სხვა მხატვარი თუ მოქანდაკე აქტიურად მოღვაწეობდა ომის დროს.

იწერებოდა და სრულდებოდა დ. არაყიშვილის, ა. ბალანჩივაძის, შ. მშველიძის, შ. აზმაიფარაშვილის, ი. გუსკიას, ი. გოკიელის, გ. კილაძის, ა. ანდრიაშვილის, ა. კერესელიძის, ა. მაჭავარიანის, ნ. ნარშიანიძისა და სხვათა პავროტული მუსიკალური ნაწარმოებები.

დრამატული თეატრები დგამდნენ დ. ერისთავის „სამშობლოს“, ალ. ყაზბეგის „ხვედის-ბერ გოშას“, მ. ჯაფარიძის „ჟამთაბერის ასულს“, ლევან გოთუას „მეფე ერეკლეს“, ს. კლდიაშვილის „ირმის ხევს“, ვანიონ დარასელი „კიკვიძეს“, ა. სამსონიას „პაგრაგინონს“, ს. შანშიაშვილის „კრწანისის გმირებს“, გ. მდივანის პიესებს — „ბატალიონი მიდის დასავლეთისკენ“, „მოსკოვის ბჭესთან“, „პარტიზანები“, მოძმე რესპუბლიკების დრამატურგთა ნაწარმოებებს, რომლებშიც ყურადღებას იქცევდა სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულის გრძნობა.

დაძაბულად მუშაობდნენ კინემატოგრაფისტები. სამამულო ომის დროს შეიქმნა 15 სრულმეტრაჟიანი და დოკუმენტური ფილმი, ასობით მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი და კინოჟურნიკა. მათ შორის ორმა მხატვრულმა ფილმმა — „გიორგი საკაძემ“ (რეჟისორი მ. ჭიაურელი) და „ჯურღალის ფარმა“ (რეჟისორები ს. დოლიძე და დ. რონდელი) სახელმწიფო პრემიები დაიმსახურა.

ქართული მწერლები, კომპოზიტორები, მხატვრები, მსახიობები, კინემატოგრაფისტები ომის დროს ხშირად მართავდნენ დილა-საღამოებს, შეხვედრებს, კონცერტებს, უჩვენებდნენ კინოფილმებს სამხედრო ნაწილებში, თვით ფრონტის ხაზზეც კი; მათ დახმარების ფონდში შექმნდათ მილიონობით მანეთი, პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ მოსახლეობისა და ჯარისკაცთა კულტურულ მომსახურებას. 1941 წლის 23 ივნისიდან 1945 წლის პირველ იანვრამდე სახელმწიფო ოპერის, დრამატული და მუსიკალური კომედიის, მოზარდ მსახურებელთა თეატრების, ფილარმონიის, ცირკის, მხატვრული ანსამბლების, კონსერვატორიის, მუსიკალური სკოლების, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახელოვნო ორგანიზაციების ძალებით სამხედრო ნაწილებში, პოსტიგლებში, პალატებში, ავიგაპუნქტებში, ფრონტზე, სტაციონარებში, დახმარების ფონდისთვის გაიმართა 23.538 სპექტაკლი და კონცერტი, დახმარების ფონდში შევიდა 4.495.927 მანეთი. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოიჩინა თავი საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიამ, რომელმაც 4.797 კონცერტი ჩააგარა, ხოლო დახმარების ფონდს შემაგა 1.263.660 მანეთი.

რესპუბლიკის მრავალმა ხელოვანმა ისახელა თავი სამამულო ომის ფრონტებზე, რომელთა შორის საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო წოდება მოიპოვეს ირაკლი ციციშვილმა და ახალციხის თეატრის მსახიობმა, მფრინავმა კარლო მეზაღიშვილმა. ბევრმა მათგანმა თავი დასდო ბრძოლის ველზე: თბილისის საოპერო თეატრიდან დაიღუპა დიმიტრი გაგიშვილი, მარჯანიშვილის სახელობის თეატრიდან — გიორგი ჩანავა, ქუთაისის თეატრიდან — აკაკი (ჯაჯა) მაშრიკაშვილი, ფოთის თეატრიდან — ქეთევან ასათიანი და ა. შ. სამამულო ომის ფრონტებზე დავალების შესრულების დროს მგრიც გყვიამ იმსხვერპლა რამდენიმე კინოდოკუმენტალისტი და კინომსახიობი.

მიმდინარე წლის 25 თებერვალს საქართველოს სახელმწიფო სურათების გალერეაში გაიხსნა დიდი გამარჯვების 30 წლისთავისადმი მიძღვნილი დიდი გამოფენა, რომელიც ამავე დროს გერმანულ ფაშისგებთან ბრძოლაში დაღუპულ მხატვართა: გ. აბუხანდაძის, გ. არსენიშვილის, ბ. ბაკურაძის, შ. ბახვაძის, კ. ბერუჯიანის, კ. ბუქიაის, დ. გაბაშვილის, დ. გიორგელაშვილის, ო. დოლგოვის, გ. ვარაზიშვილის, რ. თავაძის, ა. თენგიშვილის,


ა. თომაშვილის, გ. კოჭოვეის, გ. კონეცკის, ა. კუკულაძის, ა. მადაგოვის, ვ. მამაცაშვილის, ა. მეგლაძის, ო. მეგრეველის, გ. მშველიძის, ვ. ნაროუშვილის, მ. ჟღენცის, უ. სულიაშვილის, გ. სტეპანოვის, გ. ტუავეის, ლ. ფილიპოვიჩის, შ. ქარსაულიძის, ა. ქიქოძის, მ. ყირკისალიშვილის, ს. ყუბანიშვილის, ა. შოთაძის, გ. ცვეკოვის, გ. ცომაიას, ვ. ხოფერიას, გ. ჯაფარიძის ხსოვნის მოსაგონარი იყო.

ლიგერატურისა და ხელოვნების ქართველ მუშაკებს დღესაც არ განელებათ ინტერესი სამამულო ომის თემატიკისადმი. გამარჯვების 30 წლისთავთან დაკავშირებით კი უკვე შეიქმნა მრავალი საინტერესო ლიგერატურული ნაწარმოები, სპექტაკლი, ფილმი, გილო, ქანდაკება.

* * *

სამი ათეული წელი გვაშორებს 1945 წლის 9 მაისს — გამარჯვების პირველი დღესასწაულის დღეს. მას შემდეგ მრავალი პოლიტიკური, ეკონომიური და სამეურნეო გამარჯვება მოიპოვა საბჭოთა ხალხმა, რომელსაც მხარდამხარ მიყვებიან ოთხგზის ორდენოსანი საბჭოთა საქართველოს მშრომლები. ოცდაათი წელი გავიდა, მაგრამ ხალხს ახსოვს ომის საშინელებანი და სათუთად ინახავს ომში დაღუპულთა ხსოვნას. თბილისში, სოხუმში, ბათუმში, ცხინვალში, რესპუბლიკის რაიონულ ცენტრებში, ქალაქებში, დაბებსა თუ სოფლებში სულ უფრო მრავლდება შინმოუსვლელთა ხსოვნის უკვდავსაყოფად აღმართული ძეგლები, ობელისკები, მემორიალები; მოწყობილია სვენდები, შექმნილია დიდების მუზეუმები; ომში დაღუპულთა სახელზე აშენებენ ზღვებსა და ტყე-პარკებს... დიან, არავინ და არაფერი არ არის დავიწყებული, მაგრამ გასაკეთებელი კიდევ ბევრია.

თებერვლის ბოლოს თბილისში გაიმართა საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა მონაწილეობით. კრებაზე რესპუბლი-



სევესტოპოლი. 89-ე სომხური დივიზიის გმირულად დაღუპულ მებრძოლთა ძეგლი.



ვოლგოგრადი. მუდმივი ცეცხლი ძმათა სასაფლაოზე.

კის მშრომლებს გადაეცა სამშობლოს დიდი ჯილდო — სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკპ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა, რომელიც მათ მოიპოვეს 1974 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში უმაღლესი შედეგების მიღწევისათვის. ამ ჯილდოთი აღფრთოვანებულმა პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების მონაწილეებმა მთელი რესპუბლიკის მშრომელთა სახელით იკისრეს მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს სამშობლოს მისცენ 200 მილიონადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნულია: „აღვუთქვამთ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, მის პოლიტბიუროს, პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს, რომ ვიმუშავებთ მეტი ენერგიით, ახალი ძალით გავაჩაღებთ სოციალისტურ შეჯიბრებას, გამოვუშვებთ მეგ, უკეთესი ხარისხის პროდუქციას ნაკლები დანახარჯებით, გამოვიჩინეთ მაღალორგანიზებულობას და შევასრულებთ ნაკისრ ვალდებულებებსა და შემსხვედრ გეგმებს“.

ამავე აქტივის კრებამ მოიწონა რესპუბლიკის მშრომელთა პატრიოტული თაოსნობა, რომელიც მიზნად ისახავს, — შრომით კოლექტივებში შეიყვანონ 1941 წელს ომში დაღუპული ქალიშვილები და ჭაბუკები, შეასრულონ მათი გამოუშავების ნორმები, ე. ი. იმუშაონ შინმოუსვლელთა მაგივრადაც. კრებამ დასახა შემდეგი ზნეობრივი კრიტერიუმი: „ვინც უსულგულოდ მუშაობს, ვინც შრომას მთელ ძალ-ღონეს არ ახმარს, — ის პატივს არ სცემს გმირთა ხსოვნას, ღირსი არ არის მათი დიდებისა. ასეთ უპატივცემლობას კი ხალხი არ აპატიებს, ხალხი არ შეურიგდება!“

ღიადი გამარჯვების 30 წლისთავი აღინიშნება მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს; ეს ზეიმი კი შთაგვაგონებს, რომ პირნათლად შევასრულოთ აღებული ვალდებულებანი და ახალი წარმატებები მოვიპოვოთ შრომაში. ეს იქნება გმირთა დიდების კიდევ ერთი უკვდავი ძეგლი.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში!

მათ სახელებს არ დაივიწყებს შთამომავლობა!

პ. კრივონოვოვი.

გამარჯება.





ქართული მუსიკა დიდი საგაგაო ომის წლებში

ლადო დონაძე

სამამულო ომის წლებში ქართული მუსიკალური ხელოვნება თავისი დანიშნულების სიმადლეზე აღმოჩნდა. ამ პერიოდის ქართული ლიტერატურა და ხელოვნება იმსჯვალემა მებრძოლი სულისკვეთებით, მაღალი მოქალაქეობრივი იდეალებით. სამამულო ომმა ძლიერი გამოძახილი ჰპოვა ქართულ მუსიკაში და მისი ახალი აღმავლობა გამოიწვია. მუსიკალური შემოქმედების მაგისტრალურ თემად იქცა სამშობლოს თემა — პატრიოტული ჰეროიკა. შეიძლება ითქვას, რომ ქართული მუსიკალური ხელოვნების განვითარების არც ერთ პერიოდში პატრიოტული თემა არ ასახულა ისე ფართოდ, როგორც დიდი სამამულო ომის წლებში.

მეტიც, ომისდროინდელი ქართული მუსიკა არსებითად „მონოთემატურია“. იგი ერთ მსატერულ თემას ასახიერებს — პატრიოტული თავდადებისა და გმირობის თემა განსაზღვრავს მუსიკალური შთაგონებისა და შემოქმედებითი ცხოვრების ძირითად შინაარსს.

სამამულო ომის მოვლენებმა პირველად გამოხატულება ჰპოვეს პატრიოტულ ტექსტებზე დაწერილ მცირე ვოკალურ ნაწარმოებებში — შ. მშველიძის, ა. ბალანჩივაძის, ი. ტუსკიას, შ. თაქთაქიშვილის, ალ. მაჭავარიანის, რ. გაბიჩვაძის, ვ. ცაგარეიშვილის, გრ. კოკელაძის, თ. ბარამიშვილის საგუნდო და სოლო სიმღერებში. უფრო გვიან პატრიოტული თემა იჭრება მონუმენტურ ჟანრებში — სიმფონიებში, ოპერებში, ორატორიისა და კანტატის სფეროში. ამ თემას უძღვნეს თავიანთი სიმფონიები ა. ბალანჩივაძემ, შ. მშველიძემ, გრ. კილაძემ. გმირულ-პატრიოტული თემა დაედო საფუძვლად ვ. გოგიელის ოპერას — „პატარა კახი“, ალ. მაჭავარიანის ოპერას — „დედა და შვილი“. კავკასიის გმირული დაცვის თემას უძღვნა თავისი კანტატა „კავკასიონი“ ნ. გუდიაშვილმა. უშუალოდ ომის თემას ეხება ნ. ნარიშკინის ორატორია „წითელ არმიის გაცელება“.

ომისდროინდელ ქართულ მუსიკაში ადვილად შეინიშნება მისწრაფება მონუმენტური ჟანრებისადმი — სიმფონიურ, საოპერო, კანტატურ-ორატორიული მუსიკისადმი. მაგრამ ყველა ეს ჟანრი არ ვითარდება თანაბარი ინტენსიობით. მთავარ და ცენტრალურ ადგილს ამ პერიოდის ქართულ მუსიკაში კვლავ სიმფონიური ჟანრი ინარჩუნებს. ამ დროს იქმნება მთელი წყება ახალი სიმფონიებისა: დ. არაყიშვილის მეორე სიმფონია, ან. ბალანჩივაძის პირველი სიმფონია, შ. მშველიძის პირველი და მეორე სიმფონია, გრ. კილაძის პირველი სიმფონია, ნ. გუდიაშვილის სიმფონია. თავისი უნარი სცადეს სიმფონიურ ჟანრში ახალგაზრდა ავტორებმაც. ამ მხრივ აღსანიშნავია რ. გაბიჩვაძის სიმფონიური პოემა „გამზრდელი“, დ. თორაძის სიმფონიური სურათი „როკვა“.

როგორც ითქვა, ქართველ კომპოზიტორთა მიღწევები სამამულო ომის წლებში უმთავრესად სიმფონიურ ჟანრთან არის დაკავშირებული. ამ მხრივ ქართული მუსიკა აგრძელებს 30-

იანი წლების ხაზს, მაგრამ თუ სამამულო ომის წინა პერიოდის ქართული სიმფონიური მუსიკა უმთავრესად ლიტერატურულ საწყისს ეყრდნობა და თითქმის მთლიანად პროგრამულია („პოემური“ სიმფონიზმი შეადგენს მისი განვითარების მაგისტრალურ ხაზს), სამამულო ომის წლებში ვითარდება და წინა პლანზე გამოდის ახალი განშტოება — უპროგრამო „წმინდა“ სიმფონიზმი. ასეთია ან. ბალანჩივადის, შ. მშველიძის, ვრ. კილაძის სიმფონიები. მართალია, პროგრამული საწყისი აღნიშნულ სიმფონიებშიც იგრძნობა ფარული ქვეტექსტის სახით, მაგრამ მათი პროგრამა არა ლიტერატურულიდან არის აღებული, არამედ უშუალოდ ცხოვრებიდან. ქართველი კომპოზიტორები ესწრაფვიან დაეუფლონ ინსტრუმენტული მუსიკის ყველაზე მასშტაბურ ფორმას — სიმფონიას. სწორედ, სიმფონიის ჟანრში — მუსიკალური აზროვნების ამ ყველაზე მაღალ სფეროში, ქართველი კომპოზიტორები ცდილობენ განაზოგადონ თანამედროვეობის მღელვარე პრობლემები. ქართული სიმფონიური მუსიკის განვითარება ამ პერიოდში წარმოადგენს სონატურ-სიმფონიური ციკლის შემოქმედებითი ათვისებისა და დაუფლების გზით. ყალიბდება უმნიშვნელოვანესი კომპონენტი ციკლური დრამატურგიისა — სონატური ფორმა, რომელსაც ყველაზე დიდი შესაძლებლობანი გააჩნია აღბეჭდოს და გადმოსცეს დინამიკა რთული ცხოვრებისეული პროცესებისა. სიმფონიის მონუმენტური ფორმის შემოქმედებითი ათვისება ქართული საბჭოთა მუსიკის თვალსაჩინო მონაპოვარს წარმოადგენს სამამულო ომის წლებში (ან. ბალანჩივადის პირველი სიმფონია, შ. მშველიძის მეორე სიმფონია). ამ ფაქტთან არის დაკავშირებული გარკვეული ძვრები მუსიკალური მეტყველების სფეროში. სიმფონიური ჟანრისთვის დამახასიათებელმა განზოგადებულმა აზროვნებამ გარკვეული გავლენა იქონია ქართული მუსიკის ინტონაციურ ფონდზეც. მისი ფარგლები საგრძნობლად ფართოვდება. მუსიკალური მეტყველების ინტონაციური განახლების პროცესმა განსაკუთრებით სიმფონიურ ჟანრში იჩინა თავი. თუ ომის წინადროინდელი პერიოდის — 30-იანი წლების ქართულ სიმფონიურ მუსიკაში ლოკალიზებული კუთხური დიალექტია გაბატონებული, სამამულო ომის წლებში საგრძნობლად მდიდრდება და ფართოვდება ქართული მუსიკის ინტონაციური ლექსიკა — ძლიერდება მისწრაფება ზოგადქართული მუსიკალური მეტყველებისადმი. ეს ტენდენცია ნათლად იგრძნობა არა მარტო ა. ბალანჩივადის სიმფონიაში, არამედ შ. მშველიძის მეორე სიმფონიაში, ალ. მაჭავარიანის საფორტეპიანო კონცერტში. ასევე საგრძნობლად იცვლება ქართველ კომპოზიტორთა დამოკიდებულება მუსიკალური ფოლკლორისადმი — იგი უფრო აქტიური და შემოქმედებითი გახდა.

ყველაზე თვალსაჩინო მიღწევები ამ პერიოდისა ძირითადად დაკავშირებულია სამი მაღალნიჭიერი კომპოზიტორის — ანდრია ბალანჩივადის, შ. მშველიძის და ალ. მაჭავარიანის სახელთან.

სამამულო ომის წლებში ანდრია ბალანჩივადის შემოქმედება მხატვრული სიმწიფის ასაკში შედის. იგი ქმნის თავის საუკეთესო ნაწარმოებს — პირველ სიმფონიას (H-dur, 1944), რომელიც მთელი ქართული საბჭოთა მუსიკის შესანიშნავ მონაპოვარს წარმოადგენს.¹ ბალანჩივადის პირველი

სიმფონიამ ახალი ფურცელი გადაშალა ქართული სიმფონიზმის ისტორიაში. ეს მონუმენტური ქმნილება საგრძნობლად აფართოებს ქართული სიმფონიზმის სტილისტურ დიაპაზონს, მისი პრობლემეტიკის სფეროს. სიმფონიის მუსიკა თანადროული ცხოვრების აქტიური სულითა და სიცოცხლის მახვილი დინამიკური შეგრძნებითა გამსჭვალული. თავისი ფართო ჰუმანიტური კონცეფციით, დრამატული, ჰეროიკული და ტრაგიკული ეპიზოდებით, ბალანჩივადის სიმფონია ეხმარება ომის პერიოდში შექმნილ მონუმენტურ ქმნილებებს — შოსტაკოვიჩის მეშვიდე სიმფონიას, ხაჩატურიანის მეორე სიმფონიას.

ბალანჩივადის სიმფონიას არა აქვს გარკვეული პროგრამა, მაგრამ მის დრამატურგიაში და არქიტექტონიკაში, მხატვრული სახეების ხასიათში არის ნიშნები, რომელნიც მკაფიოდ მეტყველებენ სიმფონიის თავისებურ „ფარულ“ პროგრამულობაზე. ომის თემატიკა, ბრძოლისა და გამარჯვების მხატვრული სახეები სიმფონიაში გადმოცემულია არა სურათოვანი ბატალური ეპიზოდებით, არამედ ფართო განზოგადებული ასპექტით.

ბალანჩივადის სიმფონია მეტად თავისებურად არის მოფიქრებული და გადაწყვეტილი. სიმფონიურ ციკლს კომპოზიტორი ბევრ რამეში ახლებურად და სრულიად ინდივიდუალურად იყენებს. არღვევს ამ სქემის კლასიკურ სტრუქტურულ პრინციპებს. კომპოზიტორის შინაგანმა შთანაფიქრმა, მისმა პროგრამულმა „ქვეტექსტმა“, რომელიც უდავოდ იგრძნობა ნაწარმოებში, განაპირობა სიმფონიის მთელი რიგი მხარეების ახლებური გადაწყვეტა. ბალანჩივადის სიმფონიის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება, უპირველეს ყოვლისა, მის ჟანრულ მრავალფეროვნებაშია. სიმფონიის მუსიკა გამოირჩევა მკვეთრად განსხვავებული მრავალფეროვანი სახეებით. ციკლის ყოველ ნაწილს მკაფიოდ მოხაზული ინდივიდუალური პროფილი აქვს. მისი მუსიკა შეიცავს ლირიკისა და ჰეროიკის, ეპოსისა და ტრაგედიის ელემენტებს. სიმფონიის ეს თავისებურება, მისი ფართო ჟანრობრივი დიაპაზონი, თავის დროზე ხაზგასმით აღნიშნა ჩვენი დროის გამოჩენილმა სიმფონისტმა დ. შოსტაკოვიჩმა, რომელმაც თავის რეცენზიაში ბალანჩივადის სიმფონია „მთელი საბჭოთა მუსიკის გამარჯვებად“ აღიარა.² ბალანჩივადის სიმფონია ყურადღებას იპყრობს არა მარტო მხატვრული სახეების სიმდიდრითა და ნაირსახეობით, არამედ სტილისა და ფორმის მონოლითობითაც. უკვე თავის პირველ სიმფონიაში ბალანჩივადე გვევლინება სიმფონიური დრამატურგიის სახეებით მომწიფებულოსტატად. მისი პირველი სიმფონია მთელი სიცხადით ასახიერებს ჭეშმარიტი სიმფონიზმის ძირითად ესთეტიკურ პრინციპს: „მთლიანობა მრავალფეროვნებაში“. არანაკლებ საინტერესოა სიმფონიის გარეგანი აღნაგობა, მისი არქიტექტონიკა, რომელიც არ ემორჩილება ისტორიულად შემუშავებულ ტრადიციულ სქემას და სრულიად თავისებურია: ოთხნაწილიანობის დაცვასთან ერთად ა. ბალანჩივადე სიმფონიურ ციკლის ახალ გაგებას იძლევა. უპირველეს ყოვლისა, სიმფონიაში ორი ნელი ნაწილია (II, IV). ციკლში ადგილი არა აქვს ჟანრულ ინტერმეცოს — სკერცოს. მის ნაცვლად კომპოზიტორი გვაძლევს დრამატიზებულ ჰეროიკულ მარშს. აქ-

¹ 1945 წელს ან. ბალანჩივადეს პირველი სიმფონიისათვის სსრკ სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

² დ. შოსტაკოვიჩი: „ქართველი მუსიკოსები“, გაზეთი „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1945, 29/III, № 11.

ტიურ-ქმედითი საწყისის მკვეთრი გამოვლინების მიზნით, კომპოზიტორი დიდ როლს ანიჭებს სიმფონიაში ჰეროიკული მუსიკის ტიპურ ჟანრს — მარშს. განსაკუთრებით საყურადღებოა ფინალის პრობლემის ორიგინალური გადაწყვეტა. ტრადიციული სიმფონიური ციკლის ყველაზე სტაბილური ნაწილი — ფინალი, აქ სრულ ტრანსფორმაციას განიცდის. სიმფონიას აბოლოებს არა ფინალი — ალევრო, როგორც ეს კლასიკური სიმფონიზმის ტიპურ ნიმუშებს ახასიათებს, არამედ ფართო ქორალურ თემაზე აგებული ფინალი — ადაჟიო. უთუოდ პროგრამული შთანაფიქრის ნაკარნახევია სამგლოვიარო ზარის — რეკვიემის ეპიზოდი ფინალის დასაწყისში, ახალი თემების გამოჩენა პირველი ალევროს დამუშავებაში, სიმფონიის ყველა ძირითადი თემის რემინისცენცია ფინალში და სხვა. აქვე უნდა აღინიშნოს ხალხური თემების გამოყენება სათანადო კონტექსტში — ხალხური „საიერიშოს“ თემა სიმფონიის პირველი ნაწილის დამუშავებაში, ცნობილი პატრიოტული სიმღერის „მუმლი მუხასა“ ინტონაციები ფინალის დასაწყისში. მართებული არ იქნებოდა, ბალანჩივადის სიმფონიის ყველა ეს სიახლე და თავისებურება მუსიკალური განვითარების ლოგიკის თვალსაზრისით აგვეხსნა. ჩვენ ვფიქრობთ, ისინი კომპოზიტორის პროგრამული შთანაფიქრითაა გამოწვეული.

ბალანჩივადე აღჭურვილია ჭეშმარიტი სიმფონისტის ერთი აუცილებელი თვისებით — მხატვრული სახეების მაქსიმალური გარდასახვის უნარით. კომპოზიტორი დიდი ოსტატობით ფლობს თემატური მასალის მრავალმხრივი მოდიფიკაციის მეთოდს. სიმფონიის განვითარების მთელ მანძილზე ძირითადი თემატური სახეები დიდ შინაგან გარდასახვას განიცდიან.

დიდ ინტერესს იწვევს ბალანჩივადის სიმფონია ეროვნული მუსიკალური მეტყველების განვითარების თვალსაზრისით. სიმფონიაში მკაფიოდ გამოიხატა ეროვნულ-ხალხური საწყისი, რომელიც ადვილად შეიგრძნობა როგორც მის ინტონაციურ ისე კილო-პარამონიულ სტრუქტურაში. ამავე დროს, სიმფონიის მუსიკალური ენა არ არის მოქცეული „ადგილობრივი კოლორიტის“ ვიწრო ფარგლებში. ბალანჩივადის ინტონაციური აზროვნებისათვის დამახასიათებელია არა ლოკალიზაციის, არამედ ცენტრალიზაციის და ინტეგრაციის პრინციპი. ეს პრინციპი სავსებით შეესატყვისება სიმფონიის ღრმა ჩანაფიქრს, მის ფართო კონცეფციას. ბალანჩივადის სიმფონია ზოგადქართული მუსიკალური მეტყველების მკაფიო გამოვლინებაა თანამედროვე ქართულ მუსიკაში.

სიმფონიის დრამატურგიული კონცეფცია განსაკუთრებული სიძლიერით მის განაპირა ნაწილებში გამოვლინდა. როგორც თავიანთი მასშტაბით, ისე მხატვრული შინაარსით და სიღრმით, მათ ცენტრალური ადგილი უჭირავთ ციკლში.

პირველი ნაწილი — სონატური ალევრო გამსჭვალულია აქტიურქმედითი საწყისით, განუწყვეტელი დინამიკური აღმავლობით. სიმფონიის „გმირი“ თავიდანვე მოცემულია მუდმივ მოქმედებაში და მოძრაობაში. დიდად დამახასიათებელია, რომ სონატურ ალევროში ძალზე მცირე ადგილი უჭირავს ექსპოზიციურ ნაწილს, ხოლო დიდი მასშტაბით გამოირჩევა დამუშავება. აქტიურ-ქმედითი საწყისის გამოვლინება და განზოგადება უმთავრესად ხდება ორგანიზებული, მარშისებური რიტმის საშუალებით, რომელიც აქ მოძრაობის მთავარ „მოქმედ ფაქტორად“ გვევლინება. ალევრო ყურადღებას იქ-

ცევს მუსიკალური მასალის სიუხვით. აქ თემათა მთელი კომპლექსია. უკვე ექსპოზიციის ფარგლებში კომპოზიტორი ოთხ თემას იძლევა, დამუშავებაში ორი ახალი თემატური ეპიზოდი იჩენს თავს. საერთოდ, პირველ ნაწილში უაღრესად მრავალფეროვანი სახეები აისახა, მაგრამ ეს მრავალფეროვნება იქმნება არა თემების სიჭარბით, არამედ მათი ინტონაციური და ემოციური გარდასახვის სიმახვილით. უწყვეტი დინამიკური განვითარებით კომპოზიტორმა გადალახა სქემატური საზღვრები ალევროს ცალკეულ ნაწილებს შორის და მთელი მისი მოქმედება შეაკავშირა და გააერთიანა ერთიანი მოძრაობის პულსით. საერთოდ, ალევროს განვითარების პროცესი დინამიკური აღმავლობის ერთიანი ხაზის შეგრძნებას იძლევა. მოძრაობის დინამიზაციას კომპოზიტორი აღწევს მახვილი აქტიურ-ქმედითი რიტმის, შეუჩერებელი სწრაფი ტემპის (Allegro vivo) და ინტენსიური კილო-ტონალური განვითარების გზით.

მთელი ორკესტრის (tutti) ენერგიული შეძახილი (უნისონი) დასაბანს აძლევს შესავალ თემას, რომელიც სხარტია და მოქნილი, აღსავსაა სწრაფვითა და მოძრაობით. შესავალ თემას, განსაკუთრებით მის უკანასკნელ ტაქტს, დიდი როლი აქვს დამუშავებაში. აქ იგი დინამიკური აქტივიზაციის ფუნქციას ასრულებს და მოძრაობის მძლავრ სტიმულად გვევლინება.

სილადით და უზრუნველი მხარულებით არის აღსავსე მთავარი თემა, რომელსაც ხის საკრავები ასრულებენ სიმებიანი კვარტეტის რიტმულ ფონზე. თავისი ხასიათით და ინტონაციური წყობით იგი სკერცოს თემებს მოგვაგონებს. მის ჟანრულ-სკერცოსულ ხასიათს ხაზს უსვამს მის საკრავთა ღია ტემბრი (ფლეიტები, ჰობოები, კლარნეტები), მელოდიის ორნამენტულ-ფიგურაციული ხასიათი, თანხლების რიტმული ფონის (სტაკატო)³ მაჟორული კილო (H=dur). კომპოზიტორი არ იფარგლება ამ თემის ერთი გატარებით და უეცარი გადასვლით ახალ მაჟორულ ტონალობაში (D=dur) აძლიერებს მის ნათელ ტონუსს. მეორე თემა არ არის მომზადებული წინასწარი განვითარებით. მის გამოჩენას სრულიად მოულოდნელად საყვირები გვაუწყებენ ფრთხილი მარშის სახით. მინორული კილო (h=ეოლიური) და მარშისებური რიტმის შეზავება თავისებურ ელფერს აძლევს მას.

როგორც შესავლის ისე ექსპოზიციის ორივე თემას მსუბუქი მოტორული რიტმი ამოძრავებს. ექსპოზიციის ფარგლებში ლირიკული განწყობილება შეაქვს დამხმარე პარტიის მეორე მოტივს, რომელსაც ვიოლინოები ასრულებენ კლარნეტისა და არფის ფიგურაციების ფონზე.

ექსპოზიციის დასკვნით ნაწილში მეორე მარშისებური თემა საზეიმო-ჰეროიკულ ხასიათს იღებს, როდესაც მას მთელი ორკესტრი გაატარებს მძლავრ უნისონურ ხმოვანებაში (FF, D=dur).

განვითარების დიდი მასშტაბით გამოირჩევა ალევროს დინამიკური ცენტრი — დამუშავება. მას უდიდესი ადგილი უჭირავს (19-53) პირველ ნაწილში. აქ ექსპოზიციის ყველა ძირითადი თემა იღებს მონაწილეობას. მათ, ორი ახალი თემატური ეპიზოდი ემატება. მათ შორის მჭიდრო ურთიერთობა ნყარდება. დამუშავება ძალზე მრავალფეროვანია — გამოირჩევა მახვილი მოტორული რიტმით, დინამიკური დაძაბულო-


³ თანხლებში ყურადღებას იქცევს აგრეთვე ქართული ხალხური პარამონიისათვის დამახასიათებელი აკორდიკა.

ბით, უეცარი მოდულაციებით, განწყობილებათა მკვეთრი და მოულოდნელი გადასვლებით. მრავალრიცხოვანი მოდიფიკაციის გზით თემები სრულ გარდასახვას განიცდიან. მასში ხან ლირიკული ნაკადი იჭრება, ხან საბრძოლო შემართების გმირული სულისკვეთება ან ტრაგიკული განწყობილება იჩენს თავს. დამუშავება რამდენიმე დინამიკურად მზარდ ტალღაზეა აგებული. შესავლის თემიდან გამომდინარე რიტმული ფიგურა სოლივიტ იჭრება მუსიკალურ ქსოვილში და დამუშავების მთელ პირველ ნახევარს ეუფლება როგორც წამყვანი ძალა. გზადაგზა მოძრაობაში მთავარი და დამხმარე თემის ინტონაციებიც იჭრება. ხმოვანების თანდათანობით გამძაფრებას თითქოს კულმინაციისკენ მივყავართ. მაგრამ განვითარების აღმავალ ხაზს უეცრად ახალი თემატური ეპიზოდი წყვეტს — სიმებიანი საკრავების მთრთოლვარე რიტმულ ფონზე, ნაზად გაისმის ფლეიტის გრძელი ლირიკული მელოდია ($g=dur$). რომელიც ფართოდ გადაიშლება პარტიტურის 30 ტაქტის მანძილზე.⁴ ფლეიტის სოლო ერთადერთ ლირიკულ კანტილენას წარმოადგენს მთელ ალევროში. თავისი ნაზი პოეტური განწყობილებით, მსუბუქი გამჭვირვალე კოლორიტით, ფლეიტის მელოდიას ახალი სუნთქვა შეაქვს ალევროში. მოქმედების და მოძრაობის მუსიკას წყნარი ოცნებისა და ჭვრეტის მუსიკაცვლის. იგი წუთით აჩერებს მოძრაობას, რომელიც კვლავ მეტის ინტენსიურობით და დაძაბულობით განახლდება დამუშა-

⁴ ამ თემის უაღრესად მოდიფიცირებული ვარიანტი შემდეგ ფინალში გვევლინება ქორალის სახით.

ვების მეორე ნახევარში. აქ განვითარების ახალი ტალღა მარშის თემით იწყება. დინამიკური აღმავლობის ნაკადი კვლავ ახალი ძალით მიემართება კულმინაციისაკენ. თუ დამუშავების პირველ ნახევარში ფლეიტის მელოდიამ ლირიკული განწყობილება შემოიტანა, დამუშავების მეორე ნახევარში — კულმინაციის მისადგომებთან — კვლავ ახალი თემატური ეპიზოდი ქმნის გმირულ სულისკვეთებას. ეს არის ძველებური ხალხური „საიერიშოს“ მელოდია, რომელიც ვაჟკაცური შეძახილებითა და ყიჟინით შემოიჭრება და მეტად კოლორიტულად ამეტიყველდება ყველა ხის საკრავებში დოლის ოსტინატური რიტმის ფონზე, ბანში კი ამ დროს მრისხანედ გაისმის მთავარი თემა ტრომბონებისა და ტუბის ხმოვანებაში. ეს ეპიზოდი ყურადღებას იქცევს არა მარტო თავისი ემოციური აღმავლობით, არამედ რთული ფაქტურითაც — პოლიფონიური და პოლიტონალური აღნაგობით. კომპოზიტორი დიდ ოსტატობას ამჟღავნებს „საიერიშოსა“ და მთავარი თემის ერთდროულ დამუშავებასა და შერწყმაში.

ძლიერი მოტორული დინამიკის შემდეგ უეცრად მუსიკა სრულიად იცვლის ელფერს. უდარდელი ხასიათის მთავარი თემა სავსებით კარგავს პირვანდელ ჟანრულ-სკერცოზულ კოლორიტს და პირქუში ნიღბით იმოსება. ეს არის დამუშავების ყველაზე შთამბეჭდავი და ყველაზე შთამაგონებელი ეპიზოდი — კულმინაციური მწვერვალი *Andante mosso c=moll*, რომელიც მონუმენტურ შთაბეჭდილებას სტოვებს თავისი ტრაგიკული სიდიადით და სიღრმით. სწრაფად მიმდინარე ალევროს ერთი შეუჩერებელი ნაკადი მიაქანებს და ძხოლოდ გაშლილ კულმინაციურ ეპიზოდს — *Andante-*



დ. კაკაბაძე. იმერეთი ომის დროს.

შეაქვს გარდატეხა მის მოძრაობაში.

მძლავრ ტრაგიკულ კულმინაციას მთავარ თემაზე, უშუალოდ მოსდევს სავსებით მოდიფიცირებული რეპრიზა, სადაც წამყვანი ადგილი უჭირავს მეორე თემას. ეს თემაც რადიკალურად იცვლის თავის სახეს და სხვადასხვა ასპექტით არის ნაჩვენები რეპრიზაში. აქ იგი ჯერ ლირიკული რენიტატივის სახით გაისმის სიმებიან საკრავებში, შემდეგ კი მთელ ორკესტრში აჟღერდება როგორც გმირული მარში. ბოლოს საზეიმო განწყობილება განმტკიცდება. ასეთია კონტრაპუნქტულად აგებული კოდა — ალევროს მეორე მძლავრი კულმინაცია (FFF). აქ გამარჯვების საზეიმო ჰიმნად გაისმის მარშის თემა, რომელიც საიერიშოს მოტივთან შეზავებული ამკვიდრებს და აზოგადებს ალევროს აქტიურ-ქმედით საწყისს.

ბალანჩივადის სიმფონიის პირველი ნაწილი სიმფონიზებული ალევროს პირველი სამაგალითო ნიმუშია ქართულ მუსიკაში. მიუხედავად თემების სიტარბისა, იგი გამოირჩევა კომპოზიციური მთლიანობით, ლაკონიზმით, მწყობრად და მჭიდროდ აგებული კონცენტრირებული ფორმით.

ბალანჩივადის სიმფონიის პირველ ნაწილში შოსტაკოვიჩის სონატური დრამატურგიის თავისებურება იგრძნობა: მასში არა იმდენად თემების მკვეთრი დაპირისპირებით იქმნება სახეების მრავალფეროვნება, არამედ ალევროს ცალკეული ნაწილების — ექსპოზიციის, დამუშავების, რეპრიზის და კოდის დრამატურგიული კონტრასტებით. ამ მხრივ ალევროს ემოციური შინაარსი შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ: ექსპოზიციურ ნაწილს ძირითადად ჟანრული ხასიათი აქვს, დამუშავებას — ლირიკული, გმირული და ტრაგიკული. რეპრიზა-

ში ლირიკული საწყისი ჭარბობს, კოდაში — ეპიკურ-საზეიმო. ამრიგად, უკვე პირველ ალევროში ნათლად ჩანს ის ჟანრობრივი მრავალფეროვნება, რაც მთელი სიმფონიური ციკლისთვისაა დამახასიათებელი.

სიმფონიის ძირითადი იდეა არ პოულობს განვითარებას მის მეორე ნაწილში — Andantino... დინამიზებულ სონატურ ალევროს შემდეგ ანდანტინოს მუსიკა ისე შეიგრძნობა, როგორც ფსიქოლოგიურად აუცილებელი შესვენება — ლირიკული ინტერმეცო. ანდანტინოს ლირიკა არ არის ფსიქოლოგიზებული. იგი გრაციოზული სილადის ნათელი გრძნობითაა გამსჭვალული. მისი ინტონაციურ-სტილისტური სათავე ხალხური მუსიკის ჟანრულ ნაკადებში უნდა ვეძიოთ. აქ ჩვენს წინაშე მკაფიო ნიმუშია ჟანრული საწყისის პოეტიზაციის, რაც ესოდენ დამახასიათებელია ა. ბალანჩივადის ლირიკისათვის, ანდანტინოს მუსიკა ჰაეროვან-გამჭვირვალე ფერებითაა აღბეჭდილი. მისი რიტმი ძალზე მოქნილია, თითქმის ქორეოგრაფიული. თავისი ფაქიზი ცეკვალობით და სინატიფით, ვალსური ეპიზოდით, გრაციოზულ-პლასტიკური მოძრაობით ანდანტინოს მუსიკა რამდენადმე საბალეტო სცენას მოგვაგონებს. ანდანტინოს მთავარი მელოდია (E=dur); გადმოცემული სიმებიანი საკრავების მიერ არფის ფონზე, არა მარტო ტონს აძლევს მის მუსიკას, არამედ მთელ მის შინაარსს და ხასიათს განსაზღვრავს. სიმფონიის ამ ნაწილშიც კომპოზიტორმა დამახასიათებელი ხერხები გამოიხატა მხატვრული შთანაფიქრის განსახიერებისათვის. ეს არის რონდო-ვა-



ლ. გუდიაშვილი.
დესანტის შეპყრობა.

ი. ნიკოლაძე.
საბჭოთა კავშირის გმირის, გენერალ-პოლკოვნიკ კ. ლესელიძის ძეგლი.



რიაციული განვითარების პრინციპი, სიმებიან და ხის საკრავ-
თა ტემბრების წამყვანი როლი, ღია, მაჟორული ტონალობე-
ბის სიჭარბე — ყოველივე ეს ხაზს უსვამს ანდანტინოს მუსი-
კის გრაციოზულ სიმსუბუქეს, სირბილეს, ფაქიზ აჟურულ კო-
ლორიტს. მთავარი მელოდიის ინტონაციურ-რიტმულ და
ტემბრულ რეგისტრული ვარიანტების შედეგად ანდანტინოს გან-
ვითარებაში ახალი თემატური ეპიზოდები იჩენს თავს. ასეთია
შუა ნაწილში ეპიზოდი *Piu mosso*, რომელიც სწრა-
ფი ორნამენტული არაბესკების სახით გაივლის ინსტრუ-
მენტთა სხვადასხვა ჯგუფში. მასში რამდენადმე ხალხური
„ცანგალა და გოგონას“ შორეული გამოძახილი ისმის, განსა-
კუთრებით როცა იგი კონტრბასის წმინდა კვინტის გაჭიმულ,
ბურდონულ ფონზე სრულდება. იქვე აღსანიშნავია ვალსის
ეპიზოდი ($A=dur$), რომელიც კვლავ მთავარი მელოდი-
ის ახალ ვარიანტს წარმოადგენს. სამწუხაროდ, სიმფონიის
ამ ყველაზე პოეტური ნაწილის — ანდანტინოს ფორმა, არ
არის მკაფიოდ გამოკვეთილი.

სიმფონიის მესამე ნაწილი — *Allegro* არ წარმო-
ადგენს ტიპურ ტრადიციულ სკერცოს. აქ კვლავ აქტიურ-
ქმედითი საწყისი იჭრება სიმფონიაში, წამყვანი როლი ისევ
მოტორულ რიტმს ენიჭება. ამ მხრივ იგი პირველი ალეგ-
როს ხაზს ანვითარებს. მესამე ნაწილი მოფიქრებულია რო-
გორც გამირული მარში. მისდევს რა თავის პროგრამულ ჩანა-
ფიქრს, კომპოზიტორს თითქმის სურს ბრძოლაში მიმავალი
ლაშქრის ჰანგები გადმოგვცეს. მაგრამ კომპოზიტორის ჩანა-
ფიქრი ვერ ხორციელდება აქ სათანადო სიმძლავრით და ინ-
ტენსიობით, თანაც მისი ფორმა რამდენადმე გაუმართავია
და ფრაგმენტული. სიმფონიის ეს ნაწილი წარმოადგენს ორ
თემაზე აგებულ ვარიაციულ ალეგროს, რომლის განვითარება-
ში ცენტრალური მნიშვნელობა ენიჭება მკაცრი და იდეალური
ხასიათის მარშისებურ თემას. იგი პირველად ორკესტ-
რის დაბალ რეგისტრებში გაისმის როგორც ტემბრული კო-
ლორიტი (ტრომბონები, ტუბა და შემდეგ ფაგოტის სოლო),
ისე კილო-ტონალური წყობა ($C=moll$ ეოლიური კილოს
ელემენტებით) ხაზს უსვამს მის პირქუშ, მკაცრ ხასიათს:
დასაწყისში მარშისებური თემა არ არის მთელი სისრულით
ნაჩვენები. მისი ფორმირება თანდათან ხდება. ვიდრე იგი
მთლიანად ჩამოყალიბდებოდეს, კომპოზიტორი მისი შემად-
გენელი ნაწილების ვარიანტებს ეწევა, ოსტატურად იყენებს
მისთვის დამახასიათებელ ვარიაციული ტრანსფორმაციის
ხერხს, რომლის საშუალებით მარშის თემა ხან პირქუშსა და
მრისხანე ხასიათს იღებს, ხან კი ბრწყინვალედ და ზეიმურად
ჟღერს. ალეგროს შუა ნაწილს (*trio*) საფუძვლად უდევს
მეგრული ლირიკული სიმღერის — „ნანას“ მელოდია, რომე-
ლიც ნაღვლიანად გაისმის სოლო-ფლეიტის შესრულებით (*e-*
ეოლიური, c=დორიული ტრიოს მელოდია), ჰარმონიულ და
ტემბრულ ვარიანტებს განიცდის. ალეგროს შემჭიდროებული
რეპრიზა კვლავ აღადგენს მკაცრი და ძლევამოსილი მარშის
თემას, რომელიც მთელი ორკესტრის მქუხარე, საზეიმო ხმო-
ვანებით ამთავრებს ამ ნაწილს.

სიმფონიის უკანასკნელ, კულმინაციურ მწვერვალს წარმო-
ადგენს ფინალი *Adagio*. მთელ ნაწარმოებში იგი გა-
მოირჩევა მაღალმხატვრული, ღრმად შთამაგონებელი მუსიკით.
რომლის ემოციური ძალა თავიდანვე იპყრობს მსმენელის ყუ-
რადლებას. ამავე დროს, როგორც მხატვრული შინაარსით, ისე
კომპოზიციური სტრუქტურით, სიმფონიის უკანასკნელი ნაწი-

ლი — ფინალი ყველაზე უფრო თავისებური და ორიგინალუ-
რია ციკლში. როგორც ცნობილია, სიმფონიურ ლიტერატურა-
ში ოპტიმისტური ხასიათის საზეიმო ფინალები ჭარბობენ. ცეკ-
ვის ან მარშის მხიარულ ჟანრულ რიტმებზე აგებული ფინალები
ტრადიციულ მოვლენას წარმოადგენს როგორც კლასიკურ,
ისე რომანტიკულ სიმფონიურ მუსიკაში. ამავე დროს მსოფ-
ლიო სიმფონიურ ლიტერატურაში ტრაგიკული ხასიათის ფინა-
ლებიც გვხვდება.⁵ ანალოგიური შემთხვევები სონატური ციკ-
ლის ისტორიაშიც მოიძებნება. ბალანჩინაძის სიმფონიის ფინა-
ლის იშვიათი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი არც
ერთ მათგანს არ უახლოვდება. მასში მოხდა სინთეტიკური გა-
ერთიანება და შეთავსება ორი სხვადასხვა ტიპის ფინალისა —
ტრაგიკულის და ოპტიმისტურის. მისი პირველი ნახევარი წარ-
მოადგენს ტრაგიკული გრძობით გამსჭვალულ რეკვიემს, მე-
ორე ნახევარი კი ძლევისა და გამარჯვების გრძობით აღსავსე
საზეიმო ჰიმნს. სიმფონიის ფინალი განსხვავებულია იმ მხრი-
ვაც, რომ მას ვერ მოგათავსებთ რომელიმე ტიპურ მუსიკა-
ლურ სქემაში (რონდო, ვარიაცია, სონატური ალეგრო). მხატვ-
რული შინაარსის შესაბამისად ფინალი ორნაწილიანი ფორმი-
თაა აგებული. ორი მუსიკალური ჟანრის — ტრაგიკული რეკ-
ვიემისა და საზეიმო ჰიმნის შეთავსებით კომპოზიტორი ამკვი-
დრებს და აზოგადებს სიმფონიის ძირითად კონცეფციას. უნდა
აღინიშნოს, რომ სახეების პოლარიზაცია ფინალში იქმნება არა
ინტონაციურ-თემატიკური, არამედ ფსიქოლოგიური კონტრას-
ტებით — დამეტრულად საპირისპირო სახეები აქ ძირითა-
დად ერთ თემატურ მასალაზეა აგებული — რეკვიემის ქორა-
ლური თემა მოდიფიცირებული სახით საფუძვლად დაედო ჰიმ-
ნურ ოდას. ფინალის მუსიკა ყურადღებას იქცევს თავისი ინტო-
ნაციური სტილისა და ფაქტურის თავისებურებითაც. მასში
პირველად თავს იჩენს ან. ბალანჩინაძის ხელწერისათვის ნაკ-
ლებად დამახასიათებელი ეპიკურ-მონუმენტური მანერა წე-
რისა თუ სიმფონიის წინა ნაწილების თემატიკას უმთავრე-
სად ინსტრუმენტული ხასიათი აქვს, ფინალში პირველად
გვხვდება ქართული ხალხური ვოკალური მრავალხმიანობის
ტიპური, დამახასიათებელი ნიშნები — რეჩიტატიულ-თხრო-
ბითი მელოსი, კომპაქტური ფაქტურა, ამალღებულ-ეპიკური
კოლორიტი. ფინალის მუსიკა საერთოდ ქართული საგუნდო
სიმღერის სტილისტურ თავისებურებათა განზოგადების საფუ-
ძველზეა აღმოცენებული, მასში „ორატორიული“ საწყისი
შეიგრძნობა.

ფინალის მთავარი თემა (A — მიქსოლიდიური) სამნა-
წილიანი სქემითაა აგებული, სადაც განაპირა ნაწილები ქო-
რალური საგალობლის მელოდიას წარმოადგენს, შუა ეპიზო-
დი კი ქართული პატრიოტული ხალხური სიმღერის „მუმილი
მუხსასა“ თემის ფრაგმენტს, რომელიც ორგანულად ექსოვება
ქორალს. როგორც ჩვენ მიერ უკვე შენიშნული იყო, ქორალის
თემა სიმფონიის პირველი ალეგროს დამუშავებიდან აღებუ-
ლი ფლეიტის ლირიკული მელოდიაა, რომელიც აქ სრულ მე-
ტამორფოზას განიცდის. რიტმული, ფაქტურული და ფსიქო-
ლოგიური ტრანსფორმაციის შედეგად იგი ტრაგიკული ქო-
რალის სახით წარმოგვიდგება.⁶

5 ბრამსის IV სიმფონია. ჩაიკოვსკის VI სიმფონია, მალერის VI
სიმფონია.

6 თავისი ხასიათით და ინტონაციური სტილით ქორალი რამდენ-
ნაღვე ენათესავება ცნობილ ქართულ საგალობელს „ღირს არს ქემ-
მარტალ“.

შესანიშნავია ფინალის დასაწყისი. ალტების ტრიო pp^{2/4} ასრულებს წყნარი სევდით მოცულ ქორალურ მელოდიას. მღორედ მიმდინარე მუსიკა იზრდება, ფართოვდება, ძლიერდება და ბოლოს მთელ სიმებიან ორკესტრს ეუფლება მწუხარების გრძობა. ქორალის დიატონური მელოდიის აღმავალ სეკუნდურ სვლებში ქრომატიზმის ელემენტები იჭრება. კენესითა და ცრემლით გამსჭვალული მუსიკა სახალხო გოდების ხასიათს იღებს და თითქოს დაღუპულ გმირთა დატირების სურათს გვიხატავს. მუსიკის ამალღებულ-მონუმენტური ხასიათი ძლიერდება, როდესაც ორკესტრს ორღანი ემატება. უწყვეტი მდინარების გზით მუსიკა დიდ სიმფონიურ სუნთქვას აღწევს. მზარდ შინაგან მღელვარებას თანდათან კულმინაციამდე მივყავართ. ფინალის პირველი ნახევარი შესანიშნავი ნიმუშია ღრმა ტრაგიზმის გრძობით გამსჭვალული სიმფონიზებული ქორალისა, რომელიც ისე შეიგრძობა, როგორც სამგლოვიარო ზარი — რეკვიემი. გასათყარი კონტრასტის შთაბეჭდილებას ქმნის მომდევნო ეპიზოდი, რომელსაც დიდი გარდატეხა შეაქვს ფინალის მოძრაობაში. ოთხი საყვირის მჭექარე ფანფარები (უნისონი) მოულოდნელად შემოიჭრებიან და გმირული შეძახილებით შუაზე გაჰკვეთენ ფინალის მოძრაობას. საყვირთა რეჩიტატივები ახალ პერსპექტივას აძლევენ ფინალის მუსიკას — სამგლოვიარო ზარს საზეიმო განწყობილება ცვლის. აქ კომპოზიტორი მიმართავს თემების რემინისცენციის ხერხს — ორკესტრი იმეორებს სიმფონიის წინა ნაწილების ძირითად თემებს. ეს თითქოს განვლილი გზის თავისებური მოგონებაა. საყვირთა გმირული მოწოდება სამგზის გაისმის თითო ტონით მაღლა თანდათან მზარდი ხმოვანებით. პირველად ოთხი საყვირის რეჩიტატივების შემდეგ სიმებიანთა ტრემოლოს ფონზე ჟღერს პირველი ალტეროს მარშის თემა. შემდეგ საყვირთა ფანფარებს სიმფონიის მეორე ნაწილის ლირიკული მელოდია მოსდევს ჩელესტას კრიტიკალურ ხმოვანებაში. უკანასკნელად საყვირთა მედგარ შეძახილებს უპირისპირდება მესამე ნაწილის მარშის თემა ფლეიტების შესრულებით, რომლის შემდეგ მოკლე სვლას გადავყავართ ფინალის საზეიმო კოდაში (Andante mosso), სადაც სრულიად ტრანსფორმირებული სახით გვევლინება ფინალის ქორალური მელოდია. რეკვიემის ტრაგიკული თემა აქ საზეიმო ხასიათს იძენს და ისე გაისმის, როგორც ჰიმნური ოდა. ხმოვანება შედის მთავარ ტონალობაში (H=dur). ფინალის დასკვნითი ეპიზოდი საინტერესოა კიდევ იმ მხრივ, რომ აქ სიმფონიის ყველა მთავარი თემის ინტონაციები ერთმანეთს ექსოვებიან და იქცებიან ერთ სინთეტურ მელოდიად. ამ ხერხით ფინალის მონუმენტურ კოდას ენიჭება იდეურ-მხატვრული განზოგადების ის ძალა, რომელიც მას მთელი სიმფონიის განვითარების ლოგიკურ დასკვნად აქცევს. 32 ტაქტის მანძილზე მთელი ორკესტრის გაბმული tutti (tt) ისე ჟღერს, როგორც მძლავრი ოპტიმისტური ჰიმნი სიცოცხლისადმი.

ა. ბალანჩივადის სიმფონია ღრმად ნოვატორული მოვლენაა, რომელმაც წარუშლელი კვალი გაავლო ქართულ სიმფონიურ მუსიკაში. იგი თავის დროზე დიდი მასშტაბით იქნა დაფასებული. უკვე 30 წელია ბალანჩივადის სიმფონია ფართო პოპულარობით სარგებლობს არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირში. იგი არაერთხელ შეუსრულებიათ საზღვარგარეთაც.

სამამულო ომის ეპოპეას ეხმარება გრ. კილაძის პირველი

სიმფონია (რე-მაჟორი, 1944 წ.), რომელსაც კომპოზიტორმა გმირული სიმფონია უწოდა და იგი სამამულო ომის გმირებს უძღვნა. კილაძის სიმფონიის გარეგანი მასშტაბი მონუმენტურია, მისი ორკესტრის შემადგენლობა კოლოსალური. განსაკუთრებით გაძლიერებულია ლითონის საკრავთა ჯგუფი. პარტიტურაში შეტანილია ექვსი ვალტორნა, ოთხი საყვირი. ოთხი ტრომბონი. ფინალში (კოდა) სიმფონიურ ორკესტრს ჩასაბერი ორკესტრი (banda) ემატება. როგორც ჩანს, კომპოზიტორს განუზრახავს ფართო ეპიკურ პლანში გადაწყვეტა აღებული თემა, მძლავრი მუსიკალური ფუნჯით დაეხატა მონუმენტური სიმფონიური ფრესკა. მაგრამ კომპოზიტორის მისწრაფება ამო აღმოჩნდა. მან ვერ შეძლო თავისი შთანაფიქრის რეალიზება მაღალმხატვრულ მუსიკალურ ფორმებში. სიმფონიაში აშკარად იგრძნობა დისპროპორცია იდეურ ჩანაფიქრსა და მის რეალურ რეზულტატს შორის. სიმფონია ძალზე დამძიმებულია და გადატირებული. ორკესტრის უადრესად მდიდარი საშუალებანი აქ არა ნაწარმოების დასახეული იდეის გახსნას ემსახურება, არამედ გარეგანი კოლორიტის გამახვილებას. კილაძის სიმფონია დეკორატიული სიმფონიზმის ტიპური ნიმუშია. სიმფონიის მონუმენტურობას, პომპეზურ-თეატრალური ხასიათი აქვს. მას აკლია სიდიადე სიდიდის მიუხედავად. სიმფონიური მუსიკა დატირებულია გარეგანი შთაბეჭდილების მოსახდენად გამიზნული ეფექტებით, გამაყრუებელი ფანფარული ინტონაციებით, მქუხარე, აპოთეოზური კულმინაციებით. კომპოზიტორმა ვერ გამოძებნა გმირული თემატიკის შესატყვისი მუსიკალური ენა. სრულიად გაუმათლებელია, რომ გმირულად გააზრებულ სიმფონიას საფუძვლად დაედო ხალხური ლირიკული სიმღერა „დიდავიო ნანას“ მელოდია, რომელიც თითქმის ლეიტმოტივის ფუნქციას ასრულებს ნაწარმოებში. გრ. კილაძის სიმფონიის ღირსება მის ცალკეულ ეპიზოდებშია. ასეთია სიმფონიის შესავალი (Largo), მეორე ნაწილი Adagio და სკერცოს შუა ეპიზოდი trio. სიმფონიის სუსტი მხარეები განსაკუთრებით თვალსაჩინოა პირველ ნაწილში, რომლის ფორმა ძალზე დაქსაქსულია და ქაოსური. აქ ფრავმენტულობის დაღი აზის როგორც სტრუქტურას, ისე კილოტონალურ გეგმას. სიმფონიის ყველაზე შთამაგონებელი ნაწილია Adagio, რომელიც გმირის დატირების მომენტს გამოხატავს. მისი მუსიკა ვაჟაკური სევდით არის გამსჭვალული და მკაცრი ტრაგიკული კოლორიტით გამოირჩევა. ხის და სიმებიან საკრავთა გამომსახველ უნისონში გაისმის ღრმა მწუხარებით აღსავსე, იმპროვიზაციულ-რეჩიტატიული მელოდია (a-ეოლიური), რომელიც სტილისტურად დაკავშირებულია ქართველ მთიელთა სასიმღერო შემოქმედებასთან. მთელი Adagio ისე შეიგრძნობა, როგორც პათეტიური მონოლოგი — სიტყვა თქმული გმირის საფლავზე. მეტრიულად თავისუფალი, პირქუში კილოებით გამსჭვალული (ეოლიური, ფრიგიული, დორიული) იმპროვიზაციული მელოდია ძლიერი კულმინაციური დაძაბულობის შემდეგ სავესებით მიყურდება. აქ მეტად შთამბეჭდავია ეპიზოდი — ხის საკრავთა ფონზე მოცემული ჩელესტას და სიმებიანი ორკესტრის დიალოგი. დასასრულს ხუთ პიანომდე მიწყნარებული ხმოვანება თანდათან სიჩუმეში გადაიზრდება.

სიმფონიის მესამე ნაწილი — სკერცო ხალხური საფერხულ ცეკვის — „შავლეგოს“ თემას ემყარება. კომპოზიტორს განუზრახავს შეექმნა ხალხური ღრეობის და მხიარულების ამ-

13111

კ. მარქის ს.ხ. საქ. სსრ სახელმწიფო რესპუბლიკა



უ. ჯაფარიძე.
დაქრილის მოწოდება.
ი. პერშუდრევი.
საბჭოთა კავშირის გმირი მ. ქან-
თარია.

სახველი კოლორიტული სურათი. მაგრამ ციკლის ეს ნაწილიც მოკლებულია მწყობრად აგებულ ფორმას, რელიეფურ მხატვრულ სახეებს. აქ საინტერესოა მხოლოდ trio (Allegretto), სადაც არფის არპეჯირებული აკორდების ფონზე, სამი ფაგოტის უნისონური შესრულებით იუმორისტულად ჟღერს მელოდია რატული მესტიერული რეჩიტატივების კილოზე. სიმფონიის ფინალი მოფიქრებულია როგორც გამარჯვების საგალობელი — ტრიუმფი. იგი იწყება საზეიმო ფანფარებით, გურული მედგარი სიმღერის — „მაყრულის“ თემაზე. მარშისებური მელოდია ვითარდება დოლის რიტმული ოსტინატოს ფონზე და შემდეგ თანდათან ედება ორკესტრის სხვა ჯგუფებს. საზეიმო განწყობილება თავის ზენიტს აღწევს კონტრაპუნქტულად აგებულ კოდაში, სადაც banda მედიდურად ასრულებს ლირიკული ლეიტმოტივის მაჟორულ ვარიანტს, ხოლო სიმებიანი ორკესტრი — ფინალის საზეიმო თემას. მაგრამ კილამის სიმფონიის სერიოზული ხარვეზები, პირველი ნაწილის შემდეგ, ყველაზე მეტად ფინალს ემჩნევა. იგი ძალზე გარეგნულია, ფორმალური და თეატრალური აპოთეოზის შთაბეჭდილებას სტოვებს.

ახალი ძალით გამოვლინდა შ. მშველიძის ორიგინალური ნიჭი სამამულო ომის წლებში. იგი ზედიზედ ჰქმნის ორ სიმფონიას.⁷ საბჭოთა ხალხის ისტორიულ გამარჯვებას სამამუ-

ლო ომში შ. მშველიძე ეხმარება მეორე სიმფონიით (1944). მისი ხასიათი და კონცეფცია მკაფიოდ და ლაკონურად განსაზღვრა თვით კომპოზიტორმა, როდესაც მას „სიხარულისა და გამარჯვების“ სიმფონია უწოდა. და მართლაც, მშველიძის მეორე სიმფონია ღრმად ოპტიმისტური ნაწარმოებია. ციკლის ოთხივე ნაწილი მოკლებულია კონფლიქტურ საწყისს, ბრძოლისა და შეჯახების მძაფრ დრამატულ პროცესებს. მთელ ნაწარმოებს სიხარულისა და სადღესასწაულო განწყობილების ნათელი გრძნობა მსჭვალავს. მეორე სიმფონია ეპიკურ-ჟანრული სტილის ნაწარმოებია. თანამედროვე ეპოსის მძლავრი სახეები შეადგენენ მის მხატვრულ შინაარსს. სიმფონიაში ჰეროიკის ელემენტებიც არის, მაგრამ ეს არის არა ბრძოლისა და შემართების ჰეროიკა, არამედ ზეიმისა და გამარჯვების. ამ გრძნობის გდმოსაცემად კომპოზიტორი მიმართავს ქართული ხალხური მუსიკის ჟანრულ ფორმებს — სიმღერას, ცეკვას, მარშს. კომპოზიტორმა შესძლო ჟანრული საწყისის ამაღლება ეპიკური განზოგადების საფეხურამდე. მეორე სიმფონიის მუსიკალური ენა მკვეთრად ეროვნულია. მისი ხალხური სათავეები და წყაროები მრავალმხრივია. ეს მით უფრო აღსანიშნავია, რომ მეორე სიმფონიამდე მშველიძის ინტონაციური აზროვნება ძალზე ლოკალიზებული იყო — კუთხური მუსიკალური მეტყველებით შეზღუდული („ფშაური“, „ზვიადური“).

მეორე სიმფონია საკმაოდ აფართოებს მისი შემოქმედების ინტონაციურ სფეროს. მასში სინთეზირებულია აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ფოლკლორის სხვადა-

7 პირველი სიმფონია (1943) კომპოზიტორმა კავკასიის დაცვის თემას უძღვნა.



ვ. ნარიშკინი.

სამშობლოს ერთგული შვილები.

ს ბაღდასარიანი.

საბჭოთა კავშირის გმირის უნან ავეტისიანის ძველი კაფანში.



სხვა ელემენტები. კომპოზიტორი ისწრაფვის ზოგადქართული მუსიკალური მეტყველებისაკენ. ხალხურ სათავეებთან უშუალო სიახლოვე დიდ ეროვნულ თვითმყოფადობას ანიჭებს სიმფონიის მუსიკალურ ენას — მის მელოდიკას, ჰარმონიას, პოლიფონიას, ტემბრულ პალიტრას. მტკიცე კილოებრივი დიატონიზმი, ესოდენ დამახასიათებელი შ. მშველიძის შემოქმედებითი ხელწერისათვის, ხაზს უსვამს სიმფონიის ეროვნულ-ხალხურ საფუძველს და ამასთან მისი მუსიკის მხნე ვაჟკაცურ ხასიათს. რაც შეეხება სიმფონიის სტრუქტურას, იგი არ გამოირჩევა სიახლით და თავისებურებით. სიმფონია დაწერილია ტრადიციული ტიპის, ჩვეულებრივი ოთხნაწილიანი ფორმით. სიმფონიის დრამატურგიაც რამდენადმე მარტივია და ცალმხრივი. მასში ადგილი არა აქვს მკვეთრ ემოციურ კონტრასტებს. მისი მთლიანობა ემყარება არა მრავალფეროვნების, არამედ ერთგვაროვნების პრინციპს. რაფსოდული იმპროვიზაციულობა, რომელიც ძალზე დამახასიათებელია მშველიძის ადრინდელი კომპოზიციებისათვის, მეორე სიმფონიაში მინიმუმამდეა დაყვანილი. მისი თემები და სახეები კონსტრუქციულად უფრო სადაა და ჩამოყალიბებული.

სიმფონიის იდეურ და დრამატურგიულ ცენტრს წარმოადგენს პირველი ნაწილი, რომელიც ჩვეულებრივი სონატური ფორმითაა აგებული. ნაწარმოების ძირითადი პატრიოტული იდეა აქ ყველაზე მკვეთრ და მძლავრ გამოხატულებას იღებს. იგი გამოირჩევა მთელ ციკლში დინამიკური დაძაბულობით, მწყობრად აგებული ლოგიკური ფორმით. სონატურ ალევროს წინ უძღვის ქორალური ხასიათის შესავალი, რომელიც ინტონაციურად დაკავშირებულია ციკლის სხვა ნაწი-

ლებთან. იგი შეიცავს, როგორც პირველი ალევროს მთავარი თემის რიტმო-ინტონაციურ მარცვლებს, ისე მეორე ნაწილის ანდანტეს თემატურ მასალას. ამავე დროს, შესავლის მუსიკაში ყურადღებას იქცევს ხშირი კილოებრივი მონაცვლეობა, რაც შემდეგ მთელი პირველი ნაწილისთვის არის დამახასიათებელი. მეორე მხრივ, შესავლის მუსიკა თავისი მკაცრი, პირქუში ტონუსით, მკვეთრად უპირისპირდება აქტიური სწრაფვით და მჩქეფარე ქმედითა რიტმით გამსჭვალულ ალევროს. ამ უკანასკნელის კონსტრუქციული ჩონჩხი რამდენადმე ჩაიკოვსკის მეექვსე სიმფონიის პირველ ნაწილს მოგვაგონებს. მაგრამ როგორც ემოციური შინაარსით, ისე ინტონაციურად არაფერი აქვს მასთან საერთო და საგვებით დამოუკიდებელია. პირველი ალევროს ემოციურ ტონუსს ძირითადად უქმნის რიტმულად მახვილი და სწრაფვითი ხასიათის მოტორული მთავარი თემა, რომელსაც სიმებიანი საკრავები გვაუწყებენ დიდი სიხარულით. მის ცოცხალ სხარტ ხასიათს ხაზს უსვამს საცეკვაო რიტმი, სწრაფი ტემპი, მაჟორული კილო (რე-მაჟორი).

მთავარი თემა მნიშვნელოვან დრამატურგიულ ფუნქციას ასრულებს სიმფონიაში, რადგან მის ფანფარულ მოტივზეა აგებული ალევროს განვითარების ყველა საკვანძო მომენტი, ორივე კულმინაცია და ბოლოს ფინალური კოდა. შესანიშნავ ეპიზოდს წარმოადგენს დამაკავშირებელი თემა — ჰობოის პასტორალური მელოდია (h=ეოლიური), რომელიც მრავალგზის მეორდება ვარირებული სახით. როგორც თავისი სევდიანი განწყობილებით ისე ტემბრული და ტონალური კოლორიტით, იგი უშუალოდ ამზადებს დამხმარე თემას — მე-

ტად მიმზიდველ ლირიკულ მელოდიას, რომელსაც კვლავ პო-
ზი ასრულებს სიმებიან საკრავთა ფონზე. თავისი იმპროვი-
ზაციული წყობით, რეჩიტატიული მღერადობით, დაღმავალი
მოდრაობით იგი უახლოვდება ცნობილ ხალხურ ლირიკულ
სიმღერას „ურმულს“ (h — ეოლიური).

საკმაოდ ვრცელი ექსპოზიციის ფარგლებში, მკვეთრად
კონტრასტირებული თემები ფართო ფენებად იშლებიან. აქ
განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს მეორე თემა, როდესაც
იგი ჯერ სიმებიან საკრავთა თბილი ტემბრით იმოსება, ხო-
ლო შემდეგ მხნე, ვაჟაკურ ხასიათს იღებს ლითონის ჩასაბერ
საკრავთა ფონზე. პირველი ალევროს ყველაზე დაძაბულ ნა-
წილს — დამუშავებას უფრო დინამიკური ხასიათი აქვს, ვიდ-
რე დრამატული, რაც საერთოდ დამახასიათებელია „კონტ-
რასტული“ და არა „კონფლიქტური“ ტიპის სონატური ფორ-
მისათვის. აქ მთავარი მოქმედი ძალაა რიტმი, რომლის სა-
შუალებით ხაზგასმულია ამ ნაწილის ქმედითი არსი, მისი დი-
ნამიზმი. დამუშავება ძირითადად აგებულია მთავარი თემის
ფანფარულ კვინტურ მოტივზე, რომლის აქტიური რიტმი იმ-
დენად ცენტრალიზებულია, რომ თითქმის მთლიანად ეუფ-
ლება შინაგანი პულსაციით აღსავსე დინამიკურ დამუშავებას
და არანაკლებ დინამიზებულ რეპრიზას. დამუშავება მიმ-
დინარეობს მთავარი თემის ორ დიდ და ფართოდ გაშლილ
რიტმულ ტალღაზე, რომლის განვითარება პირველ მძლავრ
კულმინაციას აღწევს რეპრიზის დასაწყისში. სიმებიან საკ-
რავთა გამმაგებულ სწრაფ მოძრაობას ხანდახან სწყვეტენ
და ერთგვარი ფსიქოლოგიური პაუზის როლს ასრულებენ ხის
საკრავთა ლირიკული სოლოები (მეორე თემის ინტონაციებ-
ზე), რომლის შემდეგ კედევ უფრო მეტი ენერჯით ჩაერთვის
მთავარი თემის ფანფარული ინტონაცია. კომპოზიტორმა ორ-
განული და ლოგიკური განვითარებით დაუკავშირა დამუშა-
ვება რეპრიზას, რის შედეგადაც ამ უკანასკნელს მეტი დაძა-
ბულობა მიეცა და ბუნებრივად მოამზადა მეორე უფრო ძლიე-
რი და მაღალი კულმინაცია კოდაში (maestoso), სადაც
მთელი ორკესტრის მძლავრად ახმაურებულ მასაში მჭეპარედ
ჟღერს მთავარი თემის მოწოდებითი ხასიათის კვინტური მო-
ტივი. აქ მუსიკა თავისი წრესგადასული პომპეზური ხმოვანე-
ბით და გადამწყვეტი — დასკვნითი ხასიათით ფინალური
აპოთეოზის შთაბეჭდილებას სტოვებს.

სიმფონიის პირველი ნაწილი თავისი მოცულობით და ში-
ნაგანი მასშტაბით ისე შეივრძნობა, როგორც სავეებით დას-
რულებული და დამოუკიდებელი ნაწარმოები.

ალევროს მჩქეფარე პულსაციის შემდეგ მოულოდნელი
კონტრასტის შთაბეჭდილებას სტოვებს სიმფონიის მეორე ნა-
წილი — Andantino. კომპოზიტორს მსმენელი ერთ-
ბაშად გადაჰყავს შორეულ ისტორიულ წარსულში, თითქოს
მოისმის გუნდის სასულიერო იერის გალობა, რომელიც მსმე-
ნელში რელიგიურ სიმშვიდეს ბადებს. ანდანტეს მუსიკა ძვე-
ლი ქართული საგალობლებიდან არის წარმომდგარი. მასში
კომპოზიტორი საკულტო მუსიკის გუნდური მეტყველების
სერხებით სარგებლობს. თავისი მღორე მიმდინარეობით,
წყნარი სიდიადით და შინაგანი სიწმინდით ანდანტეს მუსიკა
ამაღლებული ლირიკის ნიმუშებს უახლოვდება. ანდანტეს
პირველი ტაქტები ჯერ კიდევ სიმფონიის ქორალურ შესა-
ვალში მოისმის. მაგრამ ის, რაც იქ ესკიზურად იყო მოხაზუ-
ლი, აქ ფართო და ვრცელ ფენებად გადაიშლება. ორკესტრის
ხის ჯგუფით წარმოებული ეს გალობა ღრმა ბანების ფონზე

იშლება. სრულიად ახალი განწყობილება შეაქვს ვიოლინოს
სოლოს ორნამენტულ-იმპროვიზაციულ მელოდიას, რომელიც
თავისი ელევგურ-პასტორალური ხასიათით როგორც უც-
ხოდ გამოიყურება ქორალისებური ანდანტეს შუა ნაწილში.
მაგრამ მალე მუსიკა საწყის განწყობილებას უბრუნდება.
კვლავ აღდგება ქორალის ხმოვანება. აქ კომპოზიტორი ორღა-
ნოს, ჩელესტას და არფის გამოყენებით (pp) ამაღლებულ-
გამჭვირვალე, ზეციურ ხმოვანებას აღწევს. სამწუხაროდ, სიმ-
ფონიის მეორე ნაწილს აკლია ზომიერება, სიმჭიდროვე, მისი
განვითარების კონტურები არ არის მკაფიოდ გამოკვეთილი.

სპეციფიკური ხალხური უშუალობითა და გულუბრყვილო
მხიარულებით არის აღბეჭდილი სიმფონიის მესამე ნაწილი—
სკერცო. იგი კვლავ აღადგენს პირველი ალევროს სამხიარუ-
ლო განწყობილებას, მაგრამ უფრო ლოკალიზებული, ჟანრუ-
ლი ასპექტით. სკერცო თავისი საფერულ-საცეკვაო რიტმით
და მოხვეური სიმღერის მსგავსი ეპიზოდით (trio) წმინ-
და ფოლკლორულ იერს აძლევს მუსიკას. ეს ნაწილი უმთავ-
რესად სიმებიან საკრავთა ჯგუფს მიჰყავს. გარკვეული კო-
ლორიტულ-ტემბრული ეფექტის შესაქმნელად კომპოზიტორი
ფართოდ იყენებს pizzicato-ს ხერხს თითქმის მთელი
სკერცოს მანძილზე. უნდა აღინიშნოს, რომ სკერცოს ინტო-
ნაციური მასალა არ არის საკმაოდ რელიეფური და თანაც მას
აკლია ამ ჟანრისათვის დამახასიათებელი მოქნილობა და
სილაღე.

სიმფონიის ლოგიკურ დასასრულს წარმოადგენს მოკლე
და კომპაქტურად აგებული ფინალი (რონდო). აქ სადღესას-
წაულო მხიარულების სურათი უფრო მკვეთრი და ცხოველი
ფერებით არის დახატული. ორკესტრიდან დროებით გამოთი-
შული ლითონის საკრავები კვლავ ზეიმური ჟღერით იჭრებიან
ფინალში, ელვარე და კამპაშა ფერებით ავსებენ მის პალიტ-
რას. ფინალის მთელი მუსიკა გურული ფოლკლორის მასალა-
ზეა აგებული. უკვე შესავალ ტაქტებში თითქოს მოისმის მო-
ხეიმი ხალხის ჩოჩქოლი და შეძახილები. საყვირების საზეი-
მო თემა (რეფრენი) გურული ლაშქრული სიმღერის „ალი-
ფაშას“ ინტონაციებს ემყარება. მისი ვაჟაკური მარშისებური
რიტმი თავიდანვე ტონს აძლევს სახალხო დღესასწაულს. სა-
ზეიმო განწყობილებას აძლიერებს ბანების მხნე აქტიური მო-
ძრაობა (გურული მრავალხმიანობის ყაიდაზე), მჩქეფარე
ტემპი, ფლეიტების კრიმანჭული. კომპოზიტორი ოსტატურად
იყენებს კრიმანჭულის გამყიფან ორნამენტირებულ მოძახი-
ლებს, რომელნიც თავიანთი იმპროვიზაციული მანერით აფე-
რადებენ და აცხოველებენ მოძრაობას. სადღესასწაულო მუ-
სიკის ნაკადს დროდადრო ეპიზოდურად სწყვეტს ფაგოტების
სახუმარო-საოხენჯო მოტივი, რომელიც თავისთავად ოსტა-
ტური საორკესტრო მიგნებაა და გურული ხალხური იუმორის
მშვენიერი ანასახია. უნდა შევნიშნოთ, რომ ფინალის მუსიკა-
ში კომპოზიტორმა მეტად მოხდენილად გამოავლინა გურუ-
ლი ხალხური მუსიკის ორი მოპირდაპირე საწყისი — მხნე-
ვაჟაკური და იუმორისტული. მედგარი მარშის რიტმით
აღფრთოვანებული ფინალი ცხადად მეტყველებს გამარჯვ-
ებული ხალხის ენთუზიაზმზე. განსაკუთრებით ტრიუმფალუ-
რია კოდა, სადაც სიმფონიის პირველი ნაწილის მთავარი თე-
მა ელვარებით შემოიჭრება და ფანფარული რიტმით იფეთ-
ქებს საყვირებში. სიმფონია თავდება იმავე ინტონაციებით
რითაც დაიწყო. პირველი ნაწილის ალევროდან გადაიჭიმება
ინტონაციური და ემოციური თალი ფინალის კოდისაკენ. ეს

არის არა უბრალო რემინისცენცია, არამედ სიმფონიის დრამატურგიული განვითარების ორგანული დასკვნა. კოდა ამკვიდრებს და აზოგადებს მთელი სიმფონიის ოპტიმისტურ კონცეფციას დოლის ცემითა და მთელი ორკესტრის მჭექარე აკორდებით.

თავისი მეორე სიმფონიით შ. მშველიძემ ქართულ მუსიკას შესძინა ხალხური ოპტიმიზმით და ტემპერამენტით აღსავსე ნაწარმოები.

ნამდვილი შემოქმედებითი ზრდა და დაწინაურება განიცადა სამამულო ომის წლებში ახალგაზრდა კომპოზიტორმა ალექსი მაჭავარიანმა, რომელმაც ამ ხნის განმავლობაში შექმნა საფორტეპიანო კონცერტი, ოპერა „დედა და შვილი“, სიმღერები და რომანსები. შემოქმედების სარბიელზე გამოსვლისთანავე ალ. მაჭავარიანმა შემოიტანა ქართულ მუსიკაში მხატვრული სახეების ახალი სამყარო, რომლითაც გააფართოვა თანამედროვე ქართული მუსიკის გამომსახველობის ფარგლები.

საფორტეპიანო კონცერტი (1943) ალ. მაჭავარიანის პირველი დიდი ფორმის ნაწარმოებია, რომელიც მთელი რიგი მხატვრულ-სტილისტური ნიშნებით აგრძელებს კომპოზიტორის ადრინდელი ნაწარმოებების („ხორუმი“, „სკერცო“, უგერტიურა „მუშლი მუხასა“) ხაზს, მეორე მხრივ ნიადაგს უმზადებს მისი შემოქმედებითი სიმწიფის პერიოდის ქმნილებებს, განსაკუთრებით შესანიშნავ სავიოლინო კონცერტს.

მაჭავარიანის საფორტეპიანო კონცერტი არ შეიძლება საესებით მომწიფებულ ნაწარმოებად ჩაითვალოს. იგი კომპოზიტორმა სტილისტური ძიების პერიოდში შექმნა. ამავე დროს, მასში მკაფიოდ შეიმჩნევა კომპოზიტორის თავისებურება, ინდივიდუალური ხელწერის ნიშნები. საფორტეპიანო კონცერტი ლირიკულ-დრამატული სტილის ნაწარმოებია. იგი გამოირჩევა კომპოზიტორისათვის ჩვეული მხურვალე ემოციურობით, რომანტიკული მგზნებარებით, მძაფრი ფსიქოლოგიური კონტრასტებით. კონცერტის დრამატურგიაში ყურადღებას იქცევს პოლარული საწყისების — მოტორულ-დინამიკური რიტმების დაპირდაპირება რომანტიზებულ ლირიკულ სახეებთან.⁸ კონცერტის მუსიკა მსმენელს იზიდავს მკვეთრად გამოსატყუარი რელიეფური თემატიზმით, განვითარების მშფოთვარე, გატაცებული ხასიათით. ციკლის განვითარების თითქმის მთელ მანძილზე მუსიკას მსჭვალავს მახვილი იმპულსური რიტმი (ხშირად სინკოპური), მძაფრი ჰარმონიული ენა (მიდრეკილება დისონანსური კომპლექსებისაკენ), ქრომატიზაციის ელემენტები, კილო-ტონალური მერყეობა. კონცერტში ნათლად ჩანს მაჭავარიანისათვის დამახასიათებელი ტენდენცია — ლირიკული საწყისის თანდათანობითი დრამატიზაცია, რომელიც ცხადად მეტყველებს მისი მუსიკის რომანტიკულ ბუნებაზე. ამავე დროს, კონტრასტების მაქსიმალური გამახვილება, მოტორულ-ოსტინატური რიტმის დიდი როლი, თანამედროვე ჟღერადობას ანიჭებს ნაწარმოებს. მაჭავარიანის კონცერტში თავისებურად არის შეთავსებული ინდივიდუალური ხელწერის მკაფიო ნიშნები და სხვადასხვა გალენების კვალი (რახმანინოვი, ხაჩატურიანი). მიუხედავად

იმისა, რომ კონცერტის ცალკეულ ნაწილებს შორის იგრძნობა ინტონაციურ-თემატიკური და ემოციური კავშირი, ნაწარმოებს მაინც აკლია დრამატურგიული და ნაწილობრივ სტილისტური მთლიანობა. გაჭიანურებულია განაპირა ნაწილები, რიტმული საწყისის ზომიერ მეტად გამახვილება რამდენადმე ჩრდილავს გამოსახვის სხვა საშუალებებს, უპირველეს ყოვლისა მელოდიურ საწყისს (ფინალი).

კონცერტის ინტონაციურ-სტილისტური საფუძველი ღრმად ეროვნულია. მისი თემატიკის სათავეა ქართული ხალხური სიმღერა და ცეკვა. შემოქმედებითი ათვისების გზით კონცერტში ინდივიდუალურ ელფერს იძენს ხალხური მხედრული ცეკვა ხორუმი⁹, ლირიკულ-სატრფიალო სიმღერა „ნეტავი გოგო მე და შენ“ და სხვა. კილო-ჰარმონიული წყობაც, რომელიც ტონალობათა სეკუნდურ და ტერციულ დამოკიდებულებას ეყრდნობა, კონცერტის ეროვნულ თავისებურებაზე მეტყველებს.

შესავალი ტაქტებიდანვე კონცერტი იპყრობს მსმენელის ყურადღებას მოწოდებითი ხასიათის მძაფრი რეჩიტატიული ფრაზებით. ალფეროს როგორც პირველ, ისე მეორე თემას წმინდა ლირიკული ხასიათი აქვს და ერთმანეთს ენათესავენ. ნიან ემოციური ტონუსით, მინორული წყობით, ხალხური წარმომობით. მთავარი თემა (გ — ეოლიური) ინტონაციურად ემყარება პოპულარულ ხალხურ ლირიკულ სიმღერას („ნეტავი გოგო“). იგი ფართოდ გაშლილ ტალღებად ეფინება ჯერ ფორტეპიანოს, შემდეგ ორკესტრში გადასვლით უფრო რელიეფურ სახეს იღებს. არანაკლებ მიმზიდველია ღრმა სევდიანი ლირიზმით აღსავსე მეორე თემა (ბ — დორიული), რომელიც თუმცა კომპოზიტორს ეკუთვნის, მაგრამ თავისი ხასიათით და სტილით ფანდურული ტიპის კუპლეტურ სიმღერას მოგვაგონებს. ალფეროს ორივე ლირიკული თემა ექსპოზიციის ფარგლებში მუშავდება და დრამატიზაციას განიცდის. ეს უმთავრესად მახვილი, შეტევითი რიტმის საშუალებით ხდება. განსაკუთრებით თავშეუკავებელი რიტმული პულსაციით არის სავსე დამუშავება. აქ რიტმი მოძრაობის დინამიზაციის მთავარ ფაქტორად გვევლინება. ძალზე მერყევი და დაძაბული ხდება ტონალური გეგმაც. ალფეროს ყველაზე შთამბეჭდავ ეპიზოდს წარმოადგენს დამუშავების ცენტრალური ნაკვეთი — რიტმული დინამიკის აღსავსე საფორტეპიანო კადენცია, რომელშიც ტექნიკურ-ვირტუოზული ოსტატობა შეზავებულია უკიდურეს ემოციურ დაძაბულობასთან. კადენციაში მეტად თავისებურადაა სინთეზირებული მეორე, ლირიკული თემის ინტონაციები და ხორუმის ოსტინატური სუთწილადი რიტმი. აქ კომპოზიტორი მხატვრული სახის საოცარი გარდასახვის მაგალითს გვაძლევს. ძირეული ტრანსფორმაციის შედეგად ლირიკულ-კანტილენური თემა დინამიზებულ ჰეროიკულ ცეკვად გარდაიქმნება. ხორუმის რიტმული ნაკადი შეუწყვეტლად მზარდი დაძაბულობით მონუმენტურ ჟღერადობას აღწევს ფორტეპიანოსა და მთელი ორკესტრის ერთობლივ ხმოვანებაში. კადენცია პირველი აღ-

⁸ სახეების პოლარიზაცია მაჭავარიანის შემოქმედებაში რამდენადმე მოგვაგონებს შუმანისებურ ფსიქოლოგიურ კონტრასტებს (ფლორესტანი, ევზებიუსი).

⁹ ხორუმის რიტმა დიდი ადგილი დაიკავა მაჭავარიანის შემოქმედებაში. იგი მრავალმხრივად არის გამოყენებული კომპოზიტორის მიერ. ამ რიტმთან არის დაკავშირებული მაჭავარიანის შემოქმედების უაღრესად დინამიკური ფორცნები (საფორტეპიანო პიესა „ხორუმი“, საფორტეპიანო კონცერტი (კადენცია), სიმფონიის ფინალი, ბალეტ „ოტელოს“ სხვადასხვა ეპიზოდი).

ეგროს ყველაზე დინამიკური ეპიზოდია და არსებითად მის ბრწყინვალე კულმინაციას წარმოადგენს. მაქსიმალურად შენოკლებულ რეპრიზას დასკვნითი ხასიათი აქვს. აქ მთავარი თემა (მეორე თემა საესეებით გამოთიშულია) პათეტიკურ ტალღებად ეფინება როიალს და ფართო ექსპრესიით გადაიშლება.

ნამდვილი პოეტური შთაგონებით არის დაწერილი კონცერტის მეორე ნაწილი *Andante*. მასში დიდი ძალით გამოვლინდა კომპოზიტორის ლირიკული ნიჭი, მისი რომანტიკული ბუნება. კონცერტის ამ ნაწილში მუსიკალური გამომსახველობის მთავარ საშუალებას ფორტეპიანოს კანტილენა წარმოადგენს, ორკესტრი კი მარტივი თანხლების ფუნქციას ასრულებს. *Andante* სამნაწილიანი სქემის მიხედვით არის აგებული. მისი ოდნავ ორნამენტირებული, ლირიკულ-ელეგიური მელოდია ალტების რწვევადი თანხლების ფონზე ისე შეიგრძნობა, როგორც პოეტური ნოქტურნი — სიყვარულის მომხიბლავი სიმღერა.¹⁰ ღრმა სულიერ განცდებზე მეტყველებს სევდიანი მელოდია (ა — ეოლიური) თავისი ინტონაციური მიმოქცევებით ხალხურ ნანას უახლოვდება.¹¹ დიდი ფერადოვნება შეაქვს მის წყნარ მოძრაობაში სხვადასხვა კილოთა შეზავებას, ეოლიურ კილოს კოლორირებას. სულ სხვაა შუა ნაწილი — თავისი ენერგიული, აქტიური სინკოპური რიტმით, პათეტიკური დაჭიმულობით არღვევს *Andante*-ს რომანტიკულ მყუდროებას და უფრო სონატური ალგეროს მძლავრი ხორუმის ეპიზოდს ეხმარება. მესამე ნაწილში მთავარი მელოდია კვლავ ახალი ტონუსით გვევლინება. აქ იგი უფრო ენერგიულად და ექსპრესიულად ჟღერს. ბოლოს კი მუსიკა კვლავ იბნდება და ნელ-ნელა ქრება.

კონცერტს ამთავრებს სამ თემაზე აგებული ფინალი (რონდო სონატა) — აღსავე სწრაფვით, ენერგიით, მოტორული რიტმით. სწორედ ასეთია ჟანრულ-სკერცოზული ხასიათის მთავარი თემა (სოლ-მინორი), რომელიც მრავალგზის მეორდება და თავისი ხაზგასმული კვადრატულობით მეტად ერთფეროვან შთაბეჭდილებას სტოვებს. მექანიკურ-მოტორულ მოძრაობას გზას უღობავს ლირიკული კანტილენა მეორე თემის სახით (რე-მინორი). თავისი ემოციური ტონუსით და ნაწილობრივ ინტონაციურადაც, იგი პირველი ალგეროს მთავარ თემას უახლოვდება, მაგრამ კანტილენურ მელოდიას მაინც ეპიზოდური ადგილი უჭირავს ფინალის სწრაფ, ტოკატურ მოძრაობაში. მესამე თემაც კვლავ რიტმულ საწყისს აძლიერებს თავისი ცეკვადობით და სქემატური კვადრატული მეტრით. თუ კონცერტის პირველ ნაწილში რიტმი მუსიკალური გამომსახველობის მთავარ ძალას წარმოადგენს, ფინალში იგი მოკლებულია ექსპრესიულობას და უბრალო მოტორულ-მეტრულ ფუნქციას ასრულებს. საერთოდ ფინალი საგრძნობლად ჩამორჩება ციკლის წინა ნაწილებს და ტოკატურ-მოტორული მოძრაობის სიჭარბით ანელებს მსატკრული ზემოქმედების ძალას.

10 უნდა აღინიშნოს, რომ ალ. მაჭავარიანმა თავისი ციკლური კომპოზიციების ნელი ნაწილებით (საფორტეპიანო კონცერტი, სიმფონია, სავიოლინო კონცერტი და სხვა) ქართული რომანტიკული კანტილენის შესანიშნავი ნიმუშები შექმნა.

11 ამ მელოდიის ვარიანტი საფუძვლად დაედო კომპოზიტორის იმავე პერიოდში შექმნილ შესანიშნავ რომანსს „არ დაიდარდო დედაო“.

ალ. მაჭავარიანის საფორტეპიანო კონცერტი არ არის ამ ჟანრის პირველი ნიმუში ქართულ მუსიკაში, მაგრამ თავისი მსატკრული ლირებულებით იგი აჭარბებს და ჩრდილავს მანამდე შექმნილ ამ ჟანრის ყველა ნიმუშს ჩვენში. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ 30 წლის წინათ შექმნილი ეს ნაწარმოები დღესაც რეპერტუარშია და საქართველოს ფარგლებს გარეთაც არაერთხელ შესრულებულა (გდრ-ის ქალაქებში, პარიზში და სხვ.).

* * *

ომისდროინდელი ქართული მუსიკის წამყვანი თემა — პატრიოტული ჰეროიკა — მთავარ ადგილს ინარჩუნებს საოპერო ჟანრშიც. ამ თემას მიეძღვნა ორი ოპერა — ვ. გოციელის „პატარა კახი“ და ალ. მაჭავარიანის „დედა და შვილი“. მიუხედავად იმისა, რომ ამ ოპერების სიუჟეტი ქართული ხალხის ისტორიულ წარსულს ასახავს, მათი იდეური კონცეფცია მეტად მახლობელი და აქტუალური შეიქმნა სამამულო ომის წლებში.

ვ. გოციელის ოპერა „პატარა კახი“¹² აღმოცენდა აკ. წერეთლის ცნობილი ისტორიული დრამის საფუძველზე. ოპერის დრამატურგიაში ორი თემატური ხაზია — გმირულ-პატრიოტული და ლირიკულ-სატრფიალო. ძირითადი პატრიოტული იდეის მატარებელი არიან ბრმა მოხუცი გელა, რანდი ლევახი, პატარა კახი და ხალხი. მათ ერთი მიზანი ამოძრავებთ — ბრძოლა განსაცდელში ჩავარდნილი სამშობლოს განთავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. მეორე ლირიკულ ხაზს შეადგენს თავად ლევან ქვაბულიძისა და გლეხი ქალის ტურფას სიყვარულის ამბავი. კონფლიქტურ ძალას წარმოადგენს ოპერაში სამშობლოს მოღალატე რევაზი, რომელიც ფარულად უკავშირდება მტერს. ოპერის ფინალში პატრიოტული იდეა გამარჯვებას ჰპოვებს, მაგრამ ხალხის სიხარულს მწუხარებაც ახლავს. მტერთან ბრძოლაში იღუპება ლევანი და მისი სატრფო ტურფა.

„პატარა კახის“ ლიბრეტოს (შ. დადიანი და შ. აღსაბაძე) და მის საფუძველზე აგებულ ოპერას სერიოზული დრამატურგიული ხარვეზები აქვს. მათში არ ჩანს როგორც გამჭოლი განვითარების ერთიანი ხაზი, ისე მოქმედ პირთა შემატყვისი ინდივიდუალური დახასიათება. ოპერას აკლია დრამატული სიმძაფრე და ინტენსიური განვითარების პულსი. მიუხედავად იმისა, რომ ოპერის წამყვან ხაზს გმირულ-პატრიოტული იდეა განსაზღვრავს, მისი მუსიკა უფრო რბილ, ნაზ, ლირიკულ-სენტიმენტალურ ტონებშია მოცემული და ამ მხრივ ერთგვარი წინააღმდეგობაა ოპერის იდეურ ჩანაფიქრსა და მის მუსიკალურ განსახიერებას შორის. ოპერის მუსიკალური მასალა არ გამოირჩევა სიახლით და თავისებურებით. მასში ხშირად გვხვდება მრავალგზის ნაცადი, ტრადიციული ხერხები და გამოსახვის საშუალებანი, ოპერას ემჩნევა გავლენა როგორც იტალიური საოპერო ვერსიმისა, ისე რუსული კლასიკური მუსიკისა (ჩაიკოვსკი). სხვა ნაკლოვანებებს შორის აღსანიშნავია მეტრო-რიტმული ერთფეროვნება, ნელი ტემპის სიჭარბე და სხვა.

ოპერის სტრუქტურა ჩვეულებრივი ტიპისაა და წარმოად-

12 ოპერა დაიდგა 1943 წლის 23 მარტს. ღირიქორი შ. აზმაიფაბაშვილი, რეჟისორი შ. აღსაბაძე, მსატკარი ირ. გამრეკელი.

გენს ცალკეული დასრულებული ნომრების — არიების, ან-სამბლებსა და გუნდების თანმიმდევრობას. ამასთანავე, კომპოზიტორი ლეიტმოტივის ხერხსაც იყენებს. ამ მხრივ განსაკუთრებულ როლს ასრულებს ოპერაში ცნობილი ხალხური სიმღერა „მუმლი მუხსას“, რომლის მელოდია მრავალგზის გაისმის საკვანძო მომენტებში, როგორც მისი ძირითადი პატრიოტული იდეის სიმბოლიური გამოხატულება. ლეიტმოტივის მნიშვნელობა აქვს ოპერაში აგრეთვე ლევანის და ტურფას სიყვარულის გამომსახველ მელოდიას.

მოქმედ პირთა სახეები არ არიან მკვეთრად დიფერენცირებულნი და არც შინაგან ევოლუციას განიცდიან. მკრთალად და პასიურად არის ნაჩვენები ოპერაში მთავარი გმირი პატარა კახი — მეფე ერეკლე. მისი პარტია ვერ ასახიერებს გმირის ნამდვილ ბუნებას. მებრძოლ, პატრიოტ ქალად არის გამოყვანილი ოპერაში ტურფა, მაგრამ მისი სახე ეპიზოდურად არის მოხაზული და განვითარებას არ განიცდის. ოპერა თუმცა მეფე ერეკლეს სახელს ატარებს, მაგრამ აქ მთავარი გმირები მაინც გელა და ლევანია.

ოპერაში ორატორიული საწყისიც იგრძნობა. თვალსაჩინო ადგილი უჭირავს საგუნდო სცენებს. ხალხი ძირითადად ნაჩვენებია პატრიოტული აღმავლობის მომენტებში და ნაწილობრივ ჟანრულ-საყოფაცხოვრებო სცენებში.

ხალხის გმირულ-პატრიოტული განწყობილების გამოსატყულებას წარმოადგენს მესამე აქტის საფინალო სცენა, სადაც კომპოზიტორი იძლევა მთავარი გმირის გელას და ხალხის ერთსულოვნების ამსახველ მონუმენტურ სცენას.

მიუხედავად მთელი რიგი ცალკეული მომენტებისა — სოლო და საგუნდო ეპიზოდების დამოუკიდებელი ღირსებისა, ვ. გოგიელის ოპერის სცენური ცხოვრება მეტად ხანმოკლე იყო.

პლ. მაჭავარიანის ორაქტიანი ოპერა „დედა და შვილი“¹³ (1943) ემყარება ი. ჭავჭავაძის დრამატულ პოემას „ქართლის დედა“, რომელშიც დიდი პატრიოტული გრძნობითაა გადმოცემული დედა და შვილის გამოთხოვება ომში წასვლის წინ. ერთი ეპიზოდისაგან შენდგარი ილიას ეს პოემა, ცხადია, ვერ დააკმაყოფილებდა საოპერო ლიბრეტოს ყველა მოთხოვნილებას და ამიტომ კომპოზიტორმა მისი გაფართოება სცადა. მაგრამ ეს გაფართოება მხოლოდ ორი ახალი პერსონაჟის — კიანოს და ქარუნას დამატებით განისაზღვრა, ხოლო სიუჟეტურად კი ოპერის ლიბრეტო თითქმის იგივე დარჩა, ოპერას იმ გარემოებამაც ვერ უშველა, რომ მ. ს. ს. დიდი ადგილი დაეთმო ხალხს გუნდის სახით, რადგან ეს უკანასკნელი აქ მოქმედ ძალად არ არის გამოყვანილი. ამრიგად, ალ. მაჭავარიანის ოპერა მოკლებულია გარკვეულ სიუჟეტს. მთელ ოპერაში მხოლოდ ორი მომენტია. სალაშქროდ გამზადებული ხალხის სულისკვეთება — საბრძოლო ფიცი და დედის გამოთხოვება შვილთან. ალ. მაჭავარიანის ამ მცირე მოცულობის ოპერასაც ეტყობა ქართული საბჭოთა ოპერებისათვის დამახასიათებელი თავისებურება — ორატორიული ვახსნა. ასეთია კერძოდ, პროლოგის მსგავსი პირველი სურათი. რომელიც დიდ გუნდურ სცენას წარმოადგენს.

მეორე სურათის საინტერესო ეპიზოდია შვილის სევდიანი სიმღერა-ოროველა წმინდა ქართული გუნთურის კილოზე.

საინტერესოა დედის დიდი არია — „ის დედა დღეს“. აქ დიდი ექსპრესიით არის კადმოცემული ას მწუხარება, რომელსაც დედა განიცდის შვილის ომში გამგზავრებისას. დედის არია გამოირჩევა მელოდიური მღერადობით და წრფელი ემოციურობით.

სულ სხვა კოლორიტი აქვს მესამე სურათს: სალაშქროდ გამზადებულ ახალგაზრდობას ცეკვა-თამაშით და მასობრივი მხიარულებით ესალმება ხალხი. ამ მხრივ საკმაოდ ეფექტურია გუნდი „ომში მიდისართ, ბიჭებო“. საყურადღებოა საცეკვაო სცენა: ქართული—სამაია—ქართული. ოპერის ფინალური სცენა მთლიანად გუნდურია და გვიხატავს ხალხის საბრძოლო ყიჟინას და ერთსულოვნებას.

როგორც ამ მოკლე განხილვიდან ჩანს, ალ. მაჭავარიანის ოპერა „დედა და შვილი“ რამდენიმე მნიშვნელოვან ეპიზოდს შეიცავს. კომპოზიტორის შემოქმედებით განვითარებაში მას უდავოდ გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა.

* * *

ომის პერიოდში შექმნილ ვოკალურ-სიმფონიური ჟანრის ნიმუშებს შორის აღსანიშნავია ნ. ნარიშანიძის ორატორია „გაცილება წითელ არმიას“ და ნ. გუდიაშვილის კანტატა „კავკასიონი“. ორივე ნაწარმოები უშუალოდ ომის თემატიკას ეხება.


ნ. ნარიშანიძის ორატორია „გაცილება წითელ არმიას“ (1943) ლირიკულ-ეპიკური ნაწარმოებია. იგი გვიხატავს ქართველი ხალხის პატრიოტულ სულისკვეთებას, დედისა და ომში მიმავალი შვილის ფიცს, სამშობლოსათვის თავდადებას მაღალ გრძნობას. ნარიშანიძის ორატორიის საუკეთესო ავსებებია — ემოციური სითბო და გამომსახველობა, ვოკალური ძღერადობა, მკაფიოდ გამოხატული ეროვნულ-ხალხური კოლორიტი. ნარიშანიძის ორატორიას არა აქვს პრეტენზია ადგილი თემის სიმფონიურ პლანში გადაწყვეტისა. ძისი ცალკეული ნაწილები არ არიან შეკავშირებული განვითარებითა ეოთიანი ხაზით. იგი უფრო ცალკეული ეპიზოდური აოხტოასტული მონაცვლეობის პრინციპს ემყარება. ამიტომ, უფრო მართებული იქნება ნარიშანიძის ნაწარმოებს ეყოდოს კანტატა, ვიდრე ორატორია.

„გაცილება წითელ არმიას“ მჭიდროდაა დაკავშირებული ქართული მუსიკის საუკეთესო ტრადიციებთან. მასში ადგილად შევამჩხევთ ქართული კლასიკური მუსიკის — ზ. ფალიაშვილის საოპერო გუნდების გავლენას, მაგრამ უფრო უშუალოდ და პირდაპირი გავლენა ქართული ფოლკლორიდან მომდინარეობს.

* * *

ქართველ კომპოზიტორთა შემოქმედებითი ინტერესი კამერული ჟანრისადმი საგრძნობლად შენედა საბჭოთა ომის წლებში. ამ ჟანრის შესაძლებლობანი არასაკმარისი აღმოჩნდა ფართო სოციალური თემებისა და პრობლემების გადმოსაცემად, რომელიც სამამულო ომში შემოიტანა ჩვენს მუსიკაში. ამიტომ კამერულმა ჟანრმა პერიფერიული ადგილი დაიკავა და მისი არსებობა ამ დროს ნაკლებ საინტერესო ერთეული ნიმუშებით განისაზღვრა. გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ შ. თაქთაქიშვილის საფორტეპიანო ტრიო და ალ. მაჭავარიანის რამდენიმე რომანსი.

13 პრემიერა შედგა 1945 წელს 1 მაისს. ღირიჟორი გრ. კილაძე, რეჟისორი შ. აღსაბაძე, მხატვარი კ. სანაძე.



ე. ახვლედიანი.


მოსკოვი ომის დროს.

მოსკოვის ოლქი. ლენინგრადის გზატკეცილი. დედაქალაქის დამცველთა მონუმენტი. არქიტექტორები: ი. სემიშინი, ა. აგაფონოვი, ა. მიხსი, კ. მიხაილოვი.



მოსკოვი —

მოსკოვი. უცნობი ჯარისკაცის საფლავთან. არქიტექტორები: დ. ბურდინი, ვ. კლიმოვი, ი. რაბუევი, მოქანდაკე ი. ტომსკი.





მოსკოვი. დიდ სამამულო ომში დაღუპულ პედაგოგთა და სტუდენტთა ძეგლი უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის წინ.

ჩვენი სამუოზლოს დედაქალაქი

მოსკოვი. წითელი მოედანი. საპატიო ყარაულის ცვლა.



კამერულ ჟანრში დახელოვნებული კომპოზიტორი შ. თაქ-
თაქიშვილი 1944 წელს წერს საფორტეპიანო ტრიოს (რე-
ნინორი, მიეიდენა დ. არაყიშვილს), ამ ჟანრის პირველ ნი-
მუშს ქართულ მუსიკაში. შ. თაქთაქიშვილის ტრიო მიეკუთ-
ვნება ლირიკულ-დრამატულ ჟანრს, რომელიც სათავეს იღ-
ებს ჩვენში მისივე პირველი კვარტეტით. შ. თაქთაქიშვილი
არ გაჰყვა ისტორიულად დამყარებულ ტრადიციას და შექმ-
ნა არა მელანქოლიური ან სამგლოვიარო ხასიათის ტრიო,
არამედ ცხოველი ენერგიით გამსჭვალული ნაწარმოები. თუმ-
ცა მუსიკალური ენისა და კომპოზიციის მხრივ საფორტეპიან-
ო ტრიო ძალზე ტრადიციულია და არ გამოირჩევა სიახლი-
თა და თავისებურებით.

* * *

სამამულო ომის წლებში გმირულ-პატრიოტული თემა
შეიჭრა კამერულ-ვოკალურ ჟანრში, რომელშიაც ათეული
წლების მანძილზე ლირიკულ-სატრფიალო თემა იყო გაბატო-
ნებული. უნდა აღინიშნოს, რომ ქართულმა ვოკალურმა ლი-
რიკამ საგრძნობი ევოლუცია განიცადა საბჭოთა პერიოდში.
ამ ჟანრის თემატური და ინტონაციური განახლება დაიწყო
უკვე 30-იან წლებში. ამ დროს დამკვიდრდა მასში სამოქა-
ლაქო თემა, ხოლო მისი ინტონაციურ-სტილისტური სათავე
და საფუძველი ამიერიდან არა მარტო ქალაქური ფოლკ-
ლორია, რომელიც ოდითვე ანაყოფიერებდა მის ნიადაგს, არა-
მედ ძველი ქართული სოფლური სიმღერა. ამ ხაზს აგრძელებს
და ავითარებს ომის პერიოდის ქართული ვოკალური ლირიკა,
რომლის ნიმუშები შედარებით მცირეა. მათ შორის ყურად-
ღებებს იმსახურებს ი. ტუსკიას და ალ. მაჭავარიანის რომანსე-
ბი. სამამულო ომის წლებში (1944) ი. ტუსკია ქმნის რო-
მანსებისა და სიმღერების წყებას, რომელთაგან აღსანიშნავია
„წერილი მებრძოლთა“ (ვაჟა-ფშაველას ტექსტზე), სიმღერა
„კაპიტან ბუხაიძეზე“ (სიტყვები ირ. აბაშიძის), „სამშობ-
ლოსათვის“ (ს. ჩიქოვანის ტექსტზე) და „მე უბით ვატარებ
პატარა ბარათს“ (რ. მარგიანის ტექსტზე).

ი. ტუსკია ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც ქართულ
ვოკალურ ლირიკას მოქალაქეობრივი ჟღერადობა მიანიჭა,
ამას მოწმობს მისი პატარა ვოკალური ციკლი („ელეგია“,
„ნანა“, „მესმის, მესმის“, „გაზაფხული“, 1938 წ.). ი. ჭავ-
ჭავაძის ლექსებზე, რომელნიც მაღალი პატრიოტული გრძნო-
ბითაა გამსჭვალული. პატრიოტულ თემას საერთოდ ერთ-
ერთი პირველი ადგილი უჭირავს ი. ტუსკიას შემოქმედებაში.
სამამულო ომის დღეებში დიდი პოპულარობა მოიპოვა ირ.
აბაშიძის ლექსმა „კაპიტანი ბუხაიძე“. ამ ვაჟაკურმა ლექს-
მა ადექვატური ინტონაციური განსახიერება ჰპოვა ი. ტუსკი-
ას სიმღერა-რომანსში. ლექსის გმირული სულიკვეთება, მისი
შინაგანი პათოსი გადმოცემულია მარშული წყობის მტკიცე
რიტმით, რომელიც მთელ სიმღერას მსჭვალავს ენერგიული
ოქტავური სვლებით ბანში, განვითარების აღმავალი ხა-
ზით, რომელიც მძლავრი კულმინაციით ამთავრებს სიმღერას.
ქართული ვოკალური ლირიკის სამაგალითო მონაპოვარია
ალ. მაჭავარიანის რომანსები „შენ საქართველოს დედოფ-
ლობა დაგმშვენდებოდა“ (1944) და „არ დაიდარდო დე-
დაო“ (1945), რომელიც მან სამამულო ომის წლებში შექმნა,
კომპოზიტორის ნათელმა ლირიკულმა ნიჭმა, მისმა რომანტი-
კულმა ბუნებამ მკაფიო გამოვლინება ჰპოვა პირველივე რო-
მანსებში. სამამულო ომის წლებში საყოველთაო აღიარება

ხვდა წილად გ. ლეონიძის შესანიშნავ ლექსს „არ დაიდარდო
დედაო“. მასში დიდი ემოციური ძალით და ექსპრესიით არის
გადმოცემული ახალგაზრდა ჯარისკაცის გამოთხოვება დე-
დასთან. ეს არის ლექსი სამამულო ომის ფრონტზე გმირუ-
ლად დაღუპულ უცნობ ქართველ ჯარისკაცზე. დედისა და სამ-
შობლოსათვის თავდადებული შვილის თემა საკმაოდ ცნობი-
ლია ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში. სწორედ ამ თემას
უძღვნა ალ. მაჭავარიანმა სამამულო ომის წლებში თავისი
ორი ნაწარმოები — ოპერა „დედა და შვილი“ და რომანსი-
სიმღერა „არ დაიდარდო დედაო“. რომანსში პატრიოტული
თემა ლირიკულ-დრამატულ ტონებშია განსახიერებული. ალ.
მაჭავარიანის სიმღერა პოეტური ტექსტისა და მუსიკის ორ-
განული შერწყმის მკაფიო ნიმუშია. ხალხური პოეზიის გავ-
ლენით დაწერილ გ. ლეონიძის ღრმად პატრიოტულ ლექსს,
კომპოზიტორმა ასეთივე, შესატყვისი ხალხური მუსიკალუ-
რი ფორმა მოუნახა. თავისი ჟანრობრივი და სტილისტური
ნიშნებით რომანსი-სიმღერა „არ დაიდარდო დედაო“ ხალ-
ხურ ნანას უახლოვდება¹⁴. მას ენათესავება ინტონაციური
სვლებით, სპეციფიკური აკორდიკით, კადანსებით, რწევად ხა-
სიათის თანხლებით, კილო-ტონალური წყობით (ა=ეოლი-
ური). რომანსის შუა ნაწილში უაღრესად ნაღვლიანი ლირი-
კული მელოდია მღელვარე დაძაბულ ხასიათს იღებს და ბო-
ლოს დრამატულ კულმინაციას აღწევს. სიმღერის ნაღვლიანი
კოლორიტის შეგრძნებას აძლიერებს მინორულ კილოთა მო-
ნაცვლებობა (ეოლიური, დორიული, გადახრა (d ფრიგიულში)).
ალ. მაჭავარიანმა არაერთი ნაწარმოები შექმნა პატრიო-
ტულ თემაზე, მაგრამ მარტო ერთი რომანსი „არ დაიდარდო
დედაო“ რომ დაეწერა, ამითაც ძვირფას წვლილს შეიტანდა
ქართულ პატრიოტულ ლიტერატურაში. სულ სხვაა თავისი
პოეტური ჩანაფიქრითა და შესრულებით რომანსი „შენ სა-
ქართველოს დედოფლობა დაგმშვენდებოდა“ (ტექსტი ი. ნო-
ნეშვილის). იგი რომანტიკული განწყობილებით არის შთა-
გონებული და ქალის სილამაზისა და მშვენებების აპოლო-
გიას წარმოადგენს.

სამამულო ომის გმირულ ეპოპეას ქართველი კომპოზიტო-
რები ეხმარებიან აგრეთვე მრავალხმიანი საგუნდო სიმღე-
რებით, მრავალი მათგანი ქართული ხალხური სასიმღერო
სტილის შესანიშნავი ცოდნითაა დაწერილი, რომელთაგან
უნდა გამოიყოს შ. მშველიძის ვაჟაკური „სიმღერა სამშობ-
ლოზე“, ი. ტუსკიას ჰიმნური სიმღერა „დიდება გმირებს“,
ან. ბალანჩივაძის „სიმღერა სამშობლოზე“, რ. გაბიჩაძის
„გამარჯვების დროს“, დ. თორაძის „დედის მოწოდება“, გრ.
კოკელაძის „სიმღერა შალამბერიძეზე“. ყველა ამ საგუნდო
სიმღერას, მიუხედავად ავტორთა მკვეთრი ინდივიდუალური
განსხვავებისა, აერთიანებს და აკავშირებს ეროვნულ-ხალხური
კოლორიტი, ეპოქის შესატყვისი მოქალაქეობრივი სულისკვე-
თება — საბჭოთა პატრიოტიზმის მხურვალე გრძნობა.

¹⁴ უნდა აღინიშნოს, რომ ნანას ჟანრის გამოყენება პატრიოტუ-
ლი გრძნობის გადმოსაცემად თავიდანვე ახსიათებდა ქართულ ვო-
კალურ ლირიკას: მ. ბალანჩივაძის რომანსი „ნანა“, ზ. ფალიაშვი-
ლის რომანსი „ნანა, შვილო“ და სხვ.



ოქუი იბრძოდა

ქართული თეატრის...

ვასილ
კიკნაძე

რწმუნა ქვეყანას გაუჭირდა, როცა სამშობლომ მოუწოდა, მის დაძახილზე წამოიმართა ქართული თეატრიც. სხვა საფიქრალი და საზრუნავი მას არ ჰქონია, გარდა სამშობლოს ბედნიერებაზე ფიქრისა. მაგრამ ეს იყო არა მხოლოდ ფიქრი, არამედ მოქმედება, ბრძოლა, — ნამდვილი ვაჟკაცური ბრძოლა.

ასობით მსახიობი და თეატრის სხვა მუშაკი წავიდა ჯარში. შინ დარჩენილებიც იმავე საქმეს ემსახურებოდნენ, რასაც ჯარში წასულები.

ომის დაწყების პირველი დღიდან გამარჯვების დღემდე ვაჟკაცურად, მაღალი პატრიოტული შეგნებით იშრომა და იმოღვაწევა ქართულმა თეატრმა.

ომის დაწყებამ კი სხვადასხვა თეატრს სხვადასხვა პირობებში მოუსწრო. ზოგი საგასტროლო მოგზაურობაში იყო, ზოგი — თავის ქალაქში, ზოგი — სოფლად, გლეხკაცობასთან. „1941 წლის 21 ივნისს, — იგონებს ქუთაისის ლადო ჩეხიშვილის სახელობის თეატრის მუზეუმის გამგე ალექსანდრე ალფაიძე, — შაბათს, ქუთაისის თეატრმა თბილისში გასტროლებზე ყოფნის დროს დადგა სპექტაკლი „მეფე ლირი“. 22 ივნისს დილით რადიომ გვაუწყა ომის დაწყება. მოწვეული იქნა სახელდასახლო მიტინგი. ამ მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ მსახიობები: აკაკი (ჯაჯა) მამრიკაშვილი, აკაკი აფხაიძე, აკაკი ოქრუაძე, გიორგი ჯიბუტი, სალიტერატურო ნაწილის გამგე გიორგი ნაფეტვარიძე... მამრიკაშვილმა განაცხადა: „ამხანაგებო! მოგიწოდებთ ყველას, იარაღს მოვიკიდოთ ხელი და დავიცვათ საყვარელი სამშობლო! ბუტაფორიული ხელყუმბარა უნდა შეეცვალოს საბრძოლო ხელყუმბარით, ბუტაფორიული შაშხანა საბრძოლო შაშხანით. გადავიცვათ საომარი ფარაჯები და ჩავდგეთ სამშობლოს დამცველთა რიგებში“.

და იგი მართლაც ღირსეულად იცავდა ქართული მსახიობის სახელს, მას სიკვდილამდე არ შეუწყვეტია ფიქრი თეატრზე. იგი ოცნებობდა თავის მომავალ დღეებზე, მომავალ როლებზე. დ. ანთაძისადმი გამოგზავნილ ერთ-ერთ წერილში წერდა: „მართალია, ფიზიკურად ძალიან შორს ვარ თქვენგან, მაგრამ არსებითად მაინც თქვენთან ვარ. ბოდიშს ვიხდი, რომ ყველას წერილში ვერ ვიხსენიებ, მაგრამ თითოეული თქვენგანი და ყველა თვალწინ მიდგახართ“. მას აინტერესებდა თეატრის მუშაობა, სთხოვდა მეგობრებს, რომ ყოველი ახალი სპექტაკლის განხორციელებისას ახსოვდეთ მათი მეგობარი. „რამდენ ახალ პიესას მოამზადებთ და დადგამთ, ყოველ პირველ წარმოდგენაზე ისე მივუღწევთ, როგორც თითოეული თქვენთაგანი და მეც თითოეულ თქვენთაგანს. ჩემთან ვიგულვებ მაშინ, როცა მტერთან სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ვიქნები ჩაბმული“.

მაყურებელი. მღელვარებით ელოდა ყოველ ახალ სპექტაკლს. თეატრისადმი ინტერესი ერთობ

გაცხოველდა და გაიზარდა. „სპექტაკლები მიდიოდა მაყურებლით გაჭედნილ დარბაზში. ხალხს არ აფრთხობდა ის, რომ ომის პირობებთან შეფარდებით ქალაქი ჩაბნელებული იყო. აი აქ, მესხიშვილის თეატრში პოპულობა ხალხის სულიერ სიმშვიდეს. თეატრი იმ წლებში გადაიქცა იმად, რაც ის უნდა იყოს, კულტურის კერად. შთაგონების წყაროდ, შრომისა და ცხოვრების სტიმულად. მაყურებელთა შორის ბევრნი იყვნენ ფრონტიდან ჩამოსულები, ფრონტზე მიმავალინიც. სცენიდან წარმოთქმულ ყოველ სიტყვას აუდიტორია მგზნებარებით ეხმაურებოდა. თეატრს ჰქონდა გაცხოველებული მიწერ-მოწერა ჩვენი დასის წევრებთან... მსახიობი არდევან მოწონელიძე, იმჟამად მამაცი მეზღვაური, ერთ-ერთ წერილში სიხარულით გვატყობინებდა: „წავიკითხე გაზეთში ჩემს საყვარელ თეატრზე და დასზე რეცენზია“.¹

და ასე გრძელდებოდა მთელი ომის მანძილზე. ზურგი ფრონტი, თეატრის სცენა და ბრძოლის ველი გაერთიანდა, ამ ერთიანობაში იყო ჩვენი ძალაც. თეატრი იბრძოდა ორ ფრონტზე: შემოქმედებაში და უშუალოდ ბრძოლის ველზე, ორივე ერთ მიზანს ემსახურებოდა — მტერზე გამარჯვებას.

ქუთაისის თეატრიდან წავიდა ჯარში მისი სალიტერატურო ნაწილის გამგე გიორგი ნაფეტვარიძე — პოეტი და თეატრის მუშაკი. მან არა ერთი ლექსი, ნარკვევი, ამაღლფეხი სიტყვა უძღვნა სამშობლოს დამცველებს. თავად შესანიშნავი ჯარისკაცი იყო და მისი პოეზიაც გამსჭვალულია გმირული სულით. მის პოეტურ დღიურებში კარგად ჩანს თეატრში ნამოღვაწარი კაცის სახე.

რაოდენი სითბო და ღირსეობა, რაოდენი მხედრული შემართებაა მათში! მისი ჩანაწერები მოგვითხრობენ მწერლის სულიერ ცხოვრებაზე, გადმოგვცემენ მის განცდებს. ვიდრე ბრძოლის

¹ დ. ანთაძე, „დღეები ახლო წარსულისა“, 1966, გვ. 326.

ველზე გავიდოდა, გიორგი ნაფეტვარიძეს უბის წიგნაკში ჩაუწერია: „ჯერჯერობით როლებსა კინაწილებს და ვსწავლობთ, მთავარი წინაა, — ვინ როგორ შეასრულებს ამ როლს. არა სცენაზე — ბრძოლაში, ფრონტზე, სადაც მაყურებელი არავინ არ არის და რეცენზია არ იწერება“. დი-ახ, მან იცის, რომ მთავარი წინ არის, მან ისიც იცის, რომ გამარჯვება უეჭველია. მსხვერპლი იქ-ნება, რადგან დიდი საქმე არასოდეს უმსხვერპ-ლოდ არ კეთდება — „მიწის თავისუფლება ით-ხოვს სისხლს, ცრემლებს, სხეულებს“...

მომავალი ნოველების, მოთხრობების კონტუ-რები, თემები აღუნიშნავს უბის წიგნაკში. „მინ-დოდა დამეწერა მოთხრობა „ფარაჯა“, გვამც-ნობს იგი პირველსავე სტრიქონში და მერე ისე ჰყვება ჯარისკაცის ფარაჯაზე, რომ თქვენც გინ-დათ როგორც ცოცხალს მოეფროთ, მიუალერ-სოთ. „დოსტოვესკის უთქვამს: ჩვენ ყველანი გო-გოლის შინელიდან გამოვედით. მეც მაქვს შინე-ლი. იგი რუხია, რბილი, მაგარი, გამძლე. არ აჩ-ნდება მტვერი, თბილია და ჩვენ გვიყვარს... რო-ცა შინელით ვარ, რატომღაც მგონია ტყვია ვე-რას დამაკლებს, ვერ გაატანს შიგ, კარგია შინე-ლი... ამ შინელიდან შეიძლება გამოვიდეს კიდევ ახალი თაობა“. პოეტი იმასაც ფიქრობს, თუ რო-გორი იქნება ომის შემდეგ ამ ფარაჯასთან გა-მოთხოვება. „მე ვფიქრობ, როგორ გულდასაწყ-ვეტი უნდა იყოს ომის შემდეგ შინელის დატოვე-ბა, ძველი მეგობრის, უსიტყვოდ კეთილი მეგობ-რის... ო, რა ბედნიერებაა შინელი, ჩემი რუხი შინელი, რომელიც არ იჭმუჭნება, არ ისვრება და თბილია, თბილი, როგორც სატრფოს გული“. მწერალმა ვერ მოასწრო „ფარაჯაზე“ მოთხრო-ბის დაწერა, მაგრამ მასზე ნაფიქრი და განცდი-ლი ცოცხლად შერჩა ამ ჩანაწერებს.

ომში დაღუპული პოეტების მთელი თაობის სიმღერა დღესაც ძალუმად ისმის. ჩვენმა მკითხ-ველმა თავის საყვარელ ნაწარმოებებზე აქცია ამ პოეტების — მირზა გელოვანის, ვლადიმერ უბი-ლავას, სევერიან ისიანის, სანდრო ჟღენტის, და-ვით პატატოშვილის ლექსები. მათს სტრიქონებში ისმის ვაჟაკური სუნთქვა და აჩქარებული ფეთქ-ვა გულისა, რომელიც ადრე გაცივდა, მაგრამ ლა-მას პოეტურ სტრიქონებს შერჩა დიდი სითბო და სილაღე.

თეატრიდან წასული ადამიანები, რომლებსაც შემოქმედის სულიც თან წაჰყვათ, არასოდეს არ ივიწყებდნენ თეატრს. ვისაც ერთხელ მაინც „გა-დაუყლაპავს სცენის მტვერი“, იგი ვერასოდეს ვერ დაივიწყებს იმ დიადსა და უცნაურ სამყაროს, რომელსაც თეატრი ჰქვია. ლენინგრადელი ივანე ბოლოტინი 1942 წელს თავის მეგობრებს წერდა: „სალამი თეატრალური ხელოვნების ახალგაზრ-და თაყვანისმცემლებო და მოყვარულებო! ძვირ-ფასო მეგობრებო, ქარიშხალივით გადაიფრინა ჩვენი ორი წლის ერთად მუშაობამ. მასში არის მოსაგონარი... გრიმი, პარიკი, მაყურებელი, სცე-

ნაზე პირველი გასვლა... მაგრამ არა უშავს, განა-დგურდება ჰიტლერი და ისევ ვიმუშავებთ. გვექ-ნება სახელოვანი დღეები, როცა მთელი ჩვენი ხალხი იზვიამებს ჩვენს მიწა-წყლიდან მტრის განდევნას“.

დაუვიწყარი იყო ყველასთვის სცენა, მას მე-დამ იგონებდნენ ათასები, რომლებიც ფრონტისა-კენ დაიძრნენ თეატრებიდან...

„ლენინგრადის თეატრში დასის ყველა წევ-რი ვერ შეიკრიბა, თხუთმეტი მსახიობი დაიღუპა ომის დაწყებიდან პირველსავე კვირებში“. ვკით-ხულობთ ლენინგრადის ბლოკადის ქრონიკაში.²

ქვემეხების ქუხილში იშვა ახალი ხელოვნება. ეს იყო საბჭოთა პატრიოტიზმით შთაგონებული, მტრისადმი სიძულვილით გამსჭვალული ხელო-ვნება. თეატრის მოღვაწეები სცენაზე იდგნენ, რო-გორც ტრიბუნები და ხალხს ბრძოლისკენ მოუ-წოდებდნენ.

გ. ნაფეტვარიძე თეატრის მუშაკი იყო, მის პოეზიაში დარჩა მისი სულიერი სამყარო, მაგრამ თეატრის რამდენი მოღვაწე დაიღუპა ისე, რომ ვერ თქვა სათქმელი. სცენიდან გაქრნენ მათი სა-ხეები. ასეთია მსახიობის ბედი, რამეთუ მის სიკვ-დილთან ერთად კვდებიან მისი სულის ორეულე-ბი — მისი გმირები.

მაგრამ მსახიობებმა ბრძოლის ველზე თქვეს თავიანთი სიტყვა.

მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ მსახიობ კარლო მეზალიშვილს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. იგი ახალციხის თეატრის მსა-ხიობი იყო, 1500 საბრძოლო გაფრენის რაინდი. ასე დარჩა მისი სახელი სამამულო ომის ისტო-რიაში!

ა. პაპუტკო წიგნში „მარუხის მყინვარის საი-დუმლო“ იგონებს ერთ-ერთ საბრძოლო ეპიზოდს. იგი წერს: „5 სექტემბერს (1942 წ.) დილით დაიწყო უშუალოდ მარუხის უღელტეხილისათვის ყველაზე მძიმე და სისხლისმღვრელი ბრძოლა. მოწინააღმდეგე არტილერიისა და ავიაციის მხარდაჭერით გადმოვიდა მძაფრ შეტევაზე... მო-წინააღმდეგე უტევდა როგორც ფრონტიდან, აგ-რეთვე ფრთებიდანაც. მტერმა იერიში თვით სა-კომანდო პუნქტზე მოიტანა. აღარავითარი რე-ზერვი აღარ არის. ახლა უკვე ტყვიამფრქვევებს წამოუწვა მეთაურთა შემადგენლობა და მძაფრი ცეცხლი გაუხსნეს მოწინააღმდეგეს“. დიმიტრი ტატიშვილის ოცეულს ებრძანა იერიშზე გადასე-ლა. გაიმართა ხელჩართული ბრძოლა, რომელ-შიც გმირული სიკვდილით დაეცა ოპერის თეატ-რის მსახიობი დიმიტრი ტატიშვილი.

ბევრი იყო მისი ბედის მოზიარე. და ვინ იცის, მათთან ერთად რამდენი ბრწყინვალე განუხორ-ციელებელი სახე მოკვდა.

ყველა წერილი, რომელსაც ჯარში წასულები

² ე. „ტეატრ“, 1975, № 1, გვ. 67.

გზავნიდნენ, გამსჭვალული იყო გამარჯვების რწმენით. თეატრის თანამშრომლები ამაცობდნენ, რომ ემსახურებოდნენ უდიდეს საქმეს. რუსთაველის თეატრის მსახიობი კობა ვადაჭკორია ასე წერდა: „დეკემბრის შემდეგ ყირიმში ვარ და ვითვლები მის ერთ-ერთ დამცველად. ვიბრძოდით ლოზუნგით: ყირიმი იყო, არის და იქნება საბჭოთა მიწა. დამნიშნეს ნაწილის კომისრად. ვასრულებ ჩემი პარტიის დავალებას. არ შეგარცხვინო“.

კ. მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი გიორგი ჩახავა გმირულად იბრძოდა სევესტოპოლთან. საბჭოთა კავშირის გმირი ა. გეგეშიძე წერს: „...ჩემს ბატალიონში სახელი გაითქვა გ. ჩახავამ. იგი მარჯანიშვილის თეატრიდან მოვიდა ნაწილში და დიდი ენთუზიაზმით დაეწაფა სამხედრო საქმეს. მან თავი გამოიჩინა მრავალ ბრძოლაში. ერთ-ერთი ბრძოლის დროს მწყობრიდან გამოვიდა გვერდითი მეტყვიამფრქვევე. ჩახავა დაეფულა ამ ტყვიამფრქვევსაც. იგი ხან ერთით ისროდა, ხან მეორეთი. როცა ერთი გაცხელდებოდა, მეორესთან მიდიოდა. ასე იბრძოდა, ვიდრე არ დაიჭრა“.

...„1942 წლის ზამთარში ჩვენმა ბატალიონმა, — განაგრძობს გეგეშიძე, — მიიღო შევსება. ჩამოსულთა შორის იყვნენ ქართველებიც. მომინდა მათი გაცნობაც, დალაპარაკება. გადავწყვიტე სათითაოდ მიმეწვია... და აი, მომიანლოვდა მაღალი, მხარბეჭიანი ახალგაზრდა ოფიცერი და მომანსენა — ლეიტენანტი ჩახავა!..

შევხედე, ოფიცრის ლამაზი სახე ნაცნობად მომჩვენა. შევეკითხე:

— სად შევხვედრივართ ადრე ერთმანეთს?

— ალბათ თბილისში.

— თბილისში დიდი ხანია არ ვყოფილვარ. შორეულ აღმოსავლეთში ვმსახურობდი.

— მაშინ კინოში შევხვდებოდით ერთმანეთს.

მეგონა ოფიცერი ხუმრობდა, მაგრამ მან განმიმარტა, რომ ის მსახიობი იყო მარჯანიშვილის თეატრიდან და კინოშიც გადაიღეს.

— თუ ნახეთ „დაკარგული სამოთხე“, მაშინ ჩვენ ერთმანეთს შევხვედრივართ. მე ერთ-ერთ ძმას ვთამაშობდი. რა თქმა უნდა, ჩახავას სახე ჩემთვის კინოფილმიდან იყო ნაცნობი. მე ვუთხარი ოფიცერს, ჩახავა ბატალიონის შტაბის უფროსის მოადგილე დაენიშნათ, ჩახავას კი ვთხოვე ხანდახან გამოსულიყო მებრძოლების წინაშე, რათა თავისი მსახიობური ოსტატობით აემადლებინა მათი საბრძოლო განწყობა“. მერე ტყვიამფრქვევთან დაეცა იგი. დაეცა ვაჟკაცურად. „...თბილისში ყოფნა თუ მოგიწევთ, გადაეცით, რომ პატიოსნად შევასრულე ჩემი მოვალეობა...“

ამაღლეზელი სტრიქონებია, სიკვდილის წინ სამშობლოს წინაშე პატიოსნად მოხდით ვალზე ლაპარაკობს. მსახიობმა იცოდა ვისთვის და რისთვის კვდებოდა. ამიტომ იყო ამაღლებული,

დიადი მისი სიკვდილიც, რადგან იგი განათებული იყო გამარჯვების რწმენით.

ყველა თეატრიდან იყვნენ ფრონტზე წასულები. ზოგიერთი თეატრი განახევრდა. მარტო გორის თეატრიდან სამამულო ომში 50 თანამშრომელი მონაწილეობდა. ზოგი დაბრუნდა, ზოგი — ვერა.

ქართველი მსახიობის გმირობას ომში დიდი ტრადიცია აქვს. იგი შორეულ საუკუნეებში იღებს სათავეს. ქართველ ხალხს არაერთხელ დადგომია დიდი გასაჭირი. არაერთხელ დამდგარა ყოფნა-არყოფნის ჟამი. ერის ძნელბედობის დროს თეატრი ყოველთვის მის გვერდით იდგა. თეატრში არა მარტო ისახებოდა ომის თემა, მტერზე გამარჯვების იდეა, არამედ იგი უშუალოდ მონაწილეობდა კიდეც ბრძოლაში. ამის ყველაზე ნათელი და მრავალსმთქმელი მაგალითია ერეკლეს სასახლის კარის თეატრის გმირობა.

ამ ფაქტის შესახებ თეიმურაზ ბატონიშვილი მოგვითხრობს: „მცხოვრებთაგან თბილისისათა გამორჩეულ იქნეს კაცნი მამაცნი და მარჯენი, რომელთაც აღმოაჩინეს წინამძღვრად თავისად კაცი ვინმე მსახიობი, რომელსაც სახანდრად უბოძდნენ. ეს იყო ერთი წარჩინებულთა მესაკრავეთა და მსახიობთაგან მეფისათა, მუსიკი და კომედიანტი და ეს იყო უფროსი მსახიობთა და ცნობილი იყო სამეფოსა სახლსა შინა. ეს იყო გვარეულობითა და სარწმუნოებითა ქართველი, რომელსაც სახელს სდებდნენ მაჩაბელად. ეს მიუძღვა გუნდსა მას თბილისელთა მტერთა მიმართ და ეპყრა ხელთა ბარბითა, ე. ი. დაირა და უკრავდა მას ზედა შადიანსა, ე. ი. ხმასა, რომელსაც ლხინსა შინა დაუკრავენ. ჟამსა შინა უმეტეს სიხარულისას, ვინაიდან ხმაი ესე განაჩიხარულებს მსმენელთ. იხილა რა აღა მაჰმადხანმა სიმხნე ესე ვითარი ქართველთა მხედრობისა, განკვირდა ფრიად და იტყოდა: სიყრმელთაგან ჩემით ვიდრე აქამომდე დამიყოფია ბრძოლასა შინა და არსად მიხილავს მე წინააღმდეგნი ვითარ ესე კაცნი ჩემთა მიმართ ჰყოფდნენ ბრძოლასა, მაჩაბლისა გუნდი შეეწირა მსხვერპლად საყვარელსა მამულსა თვისსა. სახელოვნად დასთხიენეს სისხლნი თვისნი“.

ახლა სახოტბო ჰიმნად ჟღერს ეს სიტყვები. იგი მოგვითხრობს ქართველი მსახიობის გმირობაზე, მის რაინდულ სულზე. მაღალი პატრიოტული შეგნება, რომელიც მაჩაბელმა გამომავლადანა, წარმოადგენს ქართული თეატრის ღირსებას. მაჩაბლისა და გაბრიელ მაიორის მებრძოლი თეატრის ტრადიცია სავესებით გაიზიარეს შემდგომმა თაობებმაც. სწორედ ამ დიდი ტრადიციის ნათელი დადასტურება იყო ქართული თეატრის მოღვაწეობაც დიდი სამამულო ომის წლებში.

სცენაზე გაიღვიძა ისტორიის მებრძოლმა სულმა. და ეს შემთხვევითი არ იყო. ქართული თეატრი ავლენდა ქართველი ხალხის საუკეთესო თვისებებს, თეატრი იყო მებრძოლი, შემართული,

როგორც ბრძოლის ველზე გასული ჯარისკაცი. ეს დიდი სულიერი ვაჟკაცობა საუკუნეების სიღრმეებიდან მოდის. საუკუნეების მანძილზე იწრთობოდა, კრისტალდებოდა ის ფორმები, რომელსაც ყოველი თაობა იღებდა და ითვისებდა, როგორც ძვირფას ტრადიციას. ქართული თეატრი მხარში ედგა მთელი საბჭოთა თეატრის ბრძოლასა და შრომას. დიდების ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერეს სამამულო ომის მატთანში რუსულმა, უკრაინულმა, ბელორუსულმა და სხვა ერების თეატრებმა.

ლენინგრადის ფილარმონიის სიმფონიური ორკესტრის მსახიობი ანდრეი საფრონოვი წერილში „ბედნიერების 90 წუთი“ ამაღლელებელ ამბავს მოგვითხრობს: „1942 წლის 9 აგვისტო... ლენინგრადის ფილარმონიის არასოდეს უნახავს ამდენი ხალხი. ბევრი ძლივს მოლასლასდა ფილარმონიამდე და ახლა ოღონდ მიეყრდნოს ძველებური სავარძლების საზურგეებს. მაყურებელთა უმეტესობას მხედრული და მეზღვაურული ფორმა აცვია, დარბაზში არიან ქალაქის პარტიული კომიტეტის ხელმძღვანელები, ფრონტის სამ-

ხედრო საბჭოსა და საჰაერო თავდაცვის შტაბის წევრები. სცენაზე ოც კაცს ჯარისკაცის გამოხუნებული ფორმა აცვია, სამოცამდე ადამიანი კი საკმაოდ ჭრელად არის ჩაცმული. დირიჟორის პულტთან დგას მაღალი, გამხდარი ფრაკიანი და მანჟეტანი კაცი. ეს კარლ ილიას ძე ელიასბერგია. მისი ფრაკი და მანჟეტი ახლა იმდენად სადღესასწაულოდ ჩანს, რომ ბევრს ცრემლი მოადგა თვალზე.

ჟღერს დიმიტრი შოსტაკოვიჩის მეშვიდე სიმფონიის პირველი აკორდები. სიმფონიის შესრულებას კანონადა ახლდა თან. მაშინ გვევონა, რომ ფაშისცები ისროდნენ. მაგრამ გვიან გავიგეთ, სროლა თურმე ჩვენი მხრიდან იყო. ლენინგრადის ფრონტის სარდლის ლ. ა. გოვოროვის ბრძანებით, ფრონტის ყოველმა ბატარეამ ცეცხლი დაუშინა ფაშისცთა კომუნიკაციებს. ერთდროულად დასცხეს მეზღვაურებმაც და მუსიკოსებმაც. ეს იყო ჭეშმარიტი ზეიმის დღე, ტრაგიკული და ბრწყინვალე ქმნილებისა, რომელიც კაცობრიობის ისტორიაში თვით ცხოვრებამ ჩაწერა“.³

³ „თეატრალური მოამბე“, 1970 წ., № 3, გვ. 26.



ბ. შველიძე.
მოგონება.
ბ. ავალიშვილი.
მირზა გელოვანის პორტრეტი.
ა. ბილანიშვილი.
ზოია რუხაძე.

და განა შეიძლება აუღელვებლად წაკითხვა ან მოსმენა იმისა, რაც მაშინ ბრძოლის ველზე ხდებოდა? მებრძოლები და მუსიკოსები ერთად იცავდნენ ლენინგრადს, ერთად ურტყამდნენ მტერს.

უნგრეთის რევოლუციის დროს აჯანყებულთა მეოთხედი წერდა კონვენტს: ან ჯარისკაცები მომავლეთ ან მარსელიოზას ნოტებით.

ასე დიდ როლს ასრულებს მუსიკა და მხატვრული სიტყვა ომში. ამის შეგნებით მიდიოდნენ მსახიობთა ბრიგადები ჯარის ნაწილებთან, ფრონტის წინა ხაზზე, ჰოსპიტლებში.

საბჭოთა კავშირის გმირი, ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკი ი. გრომოვი წერდა: „მსახიობები ფრონტზე ყოველთვის და ყველგან სასურველი იყვნენ... მე მახსოვს, — განაგრძობს იგი, — აეროდრომიზე როგორ უცებ იქმნებოდა მაცურებელთა დარბაზი. თვითმფრინავები თავისებური მკაცრი დეკორაცია იყო. ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო ბრძანება, რათა ჰაერში აჭრილიყვნენ თვითმფრინავები. ზოგი ბოლომდე ვერც რჩებოდა კონცერტის დამთავრებამდე. მაგრამ მე ვიცოდი, რომ ხელოვნება, რომელიც იქმნებოდა უძი-

ლო ღამეების, განგაშისა და საომარი პირობების გვერდით, ჯარისკაცებს განაცდევინებდა მშვენიერებას, უნერგავდა რეალურ იდეალს, რომლისთვისაც იბრძოდა ხალხი, არმია, აძლიერებდა ზიჯს მტრისადმი“.


მსახიობები გრძნობდნენ, რომ ხალხს არასოდეს ისე არ ესაჭიროებოდა ხელოვნება, როგორც ახლა.

ომის წლებში ქართველი მსახიობების მთავარი საზრუნავი იყო, ერთი მხრივ, საშეფო კონცერტების გამართვა და, მეორე მხრივ, სცენაზე იმგვარი სპექტაკლების წარმოდგენა, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ ხალხის დარაზმვას. მებრძოლების წინაშე ხშირად გამოდიოდნენ ყველა თეატრის მსახიობები. მათ შორის: აკაკი ხორაია, აკაკი ვასაძე, ვერიკო ანჯაფარიძე, შალვა დამბაშიძე, ვასო გოძიაშვილი, სერგო ზაქარიაძე, გიორგი საღარაძე, სტეფანე ჯაფარიძე, გიორგი დავითაშვილი, თამარ ჭავჭავაძე, ცეცილია წუწუნავა, შალვა ჯაფარიძე, პიერ კობახიძე და სხვები.

ჩვენმა მსახიობებმა სამამულო ომის წლებში 1500-ზე მეტი საშეფო კონცერტი გამართეს. ეს იყო დიდი მორალური მხარდაჭერა!

წარმოდგენები და კონცერტები მეტწილად იმართებოდა ღია ცის ქვეშ, უშუალოდ ბრძოლის წინა ხაზზე. მსახიობი შალვა ჯაფარიძე ასე იგონებს იმ წარმოდგენებს: „ვიყავი წითელი არმიის ერთ ნაწილში კონცერტების გასამართავად, ყველაფერს რაღაც არაჩვეულებრივი ელფერი დაჰკარავდა... ელვის სისწრაფით მიადგეს ორი სატვირთო მანქანა და სცენა ცის ქვეშ უკვე მზად იყო“. ასეთ კონცერტებზე ჩვენი სცენის ოსტატები გამოდიოდნენ.

მსახიობები გრძნობდნენ, რომ მათი ხელოვნება მიზანს აღწევდა. მებრძოლებს უხაროდათ, როცა მათ შორის ხედავდნენ მსახიობებს. თ. ჭავჭავაძე იგონებს იმ დღეებს, იმ განცდებს და წერს: „უკვე ფრონტის საბრძოლო ხაზზე გასასვლელად გამზადებულ ნაწილში ვართ, მაიორი ანდრეევი კონცერტის დაწყების ნიშანს იძლევა. მანქანა მანქანას მივუყენეთ და თვლებიან ესტრადაზე შევდექით. შორიდან ზარბაზნების გრიალი ისმის, მამაცი არტილერიისტები გზას უკაფავენ ჩვენს სატანკო და ქვეითი ჯარის ნაწილებს. რამდენიმე ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი ელის ჩვენს გამოსვლას. და აი, ზარბაზნების გრიალს უერთდება ჩვენი სიმღერის ხმა, საბჭოთა პოეტების ლექსების ძალა... მეომრებს ჩვენი სიმღერა მოაგონებს სახლ-კარს, თავის სოფელს, რომლის დასაცავად სამშობლომ იარაღი მისცა ხელში... ამ შეგნებამ რაღაც საოცარი ძალა მოგვცა, ფრთები შეგვასხა. ერთმანეთს ვეღარ ვცნობდით, ისე თავდავიწყებით და გატაცებით გამოვდიოდით. პირადად მე იშვიათად მიგრძენია ჩემი გამოსვლით ასეთი კმაყოფილება, ასეთი სიხარული საკუთარი






მ. ბერძენიშვილი.

„კიდევაც დაიზრდებიან“... ესკიზი
გმირთა დიდებას ძეგლისათვის.

გ. ნარმანია.
დაბარუნება.



ხმის მონახვისა, ნამდვილი არტისტული ძალის
განცდისა“.⁴

დაჭრილ მეომართა მხატვრული მომსახურების
მიზნით ჩამოყალიბდა სიმებიანი კვარტეტი.
კვარტეტი პალატებში უკრავდა მუსიკას. ერთ-
ერთი კონცერტის მონაწილე იგონებდა: „სახეზე
ღიმილს რომ შევამჩნევდით მძიმედ დაჭრილებს,
ვფიქრობდით, ერთი წუთით ხომ მაინც დავაფიწ-
ყეთ ტკივილი...“ მუსიკა უმსუბუქებდა დაჭრი-
ლებს აფორიაქებულ სულს.

განსაკუთრებით დიდი მუშაობა ჩაატარეს რუს-
თაველისა და მარჯანიშვილის თეატრებმა. თეატ-
რების მუზეუმებში დაცულია იმ დღეთა მოსაგო-
ნარი მასალები. მარჯანიშვილის თეატრის მუზე-
უმში ვხვდებით ასეთ ჩანაწერებს: „1942 წლის
აპრილში თეატრის მხატვრულმა ბრიგადამ ოთ-
ხის ნაცვლად გამართა 9 კონცერტი № 14-22
ჰოსპიტალში. კონცერტი ჩატარდა პალატაში მძი-
მედ დაჭრილთათვის“. ერთ-ერთ დოკუმენტში
წერია: „ჩვენ ჯარისკაცები და ოფიცრები, რომ-
ლებიც სამკურნალოდ ვიმყოფებით № 1418 ჰოს-
პიტალში, სულითა და გულით ვუხდით მადლო-
ბას მარჯანიშვილის თეატრის მსახიობებს“.
„კონცერტმა დიდი წარმატებით ჩაიარა“. — წე-
რენ სხვა ჰოსპიტლიდან — დაჭრილი მებრძოლე-
ბი და ოფიცრები აღფრთოვანებით შეხვდნენ მსა-
ხიობებს. განსაკუთრებით ღრმა შთაბეჭდილება
დასტოვა ც. წუწუნავას, ს. ჟორჟოლიანის, აკ.
კვანტალიანის და ა. გომელაურის გამოსვლამ“.

საშეფო ბრიგადის აქტიური მონაწილე ბაბო
გამრეკელი იგონებს: „მუშაობა გვიხდებოდა ათ-
ასგვარ პირობებში. სცენა, რა თქმა უნდა, არ
გვქონდა. ვთამაშობდით ოთახებში, ვიწრო კორი-
დორებში, ეზოებში, კიბეებზეც კი... ჯანსაღი სი-
ცილი, რაც მოჰყვებოდა ხოლმე ჩვენს გამოსვლას,
აღგვაფრთოვანებდა და დიდ კმაყოფილებას გვა-
გრძნობინებდა.“ ზოგიერთმა მსახიობმა 100-ზე
მეტი საშეფო კონცერტი გამართა ომის წლებში.

ქართული სიტყვა და მუსიკა ისმოდა ბრძოლის
ველზე, სანგრებში. ამ რამდენიმე წლის წინათ
„სოვეტსკაია კულტურამ“ ერთ-ერთი ამადლევე-
ბელი ეპიზოდი გამოაქვეყნა: „1941 წელს ოდე-
სის განთავისუფლებისათვის ბრძოლის მძიმე
დღეები იყო. ერთ დღეს უცებ სანგარში გაისმა
ნაცნობი მელოდია. სიტყვები ახალი იყო, იგი შე-
ეჭმნა არტისტული ბრიგადის სელმძღვანელს
უფროს პოლიტხელ ირაკლი ხატელაშვილს, იანი
ნო გამოდიოდნენ გემებზე, სანგრებში, ჰოსპიტ-
ლებში, აღვივებდნენ პატრიოტულ გრძნობებს.
ერთ-ერთი ბრძოლის დროს დაიღუპა ირაკლი ხა-
ტელიშვილი“.

კიდევ მრავალი სხვა ფაქტი ადასტურებს, რომ
ქართული თეატრის მსახიობები გმირულად იბრ-
ძოდნენ ფრონტზეცა და ზურგშიც.

⁴ გ. ბუხნიკაშვილი, „თამარ ჭავჭავაძე“, თბ., 1951,
გვ. 18.

ომი დიდი გამოცდა იყო. მან გვიჩვენა ჩვენი ხელოვნების მიზნის სიცხადე, შემოქმედებითი სიმწიფე და მაღალი მოქალაქეობრივი შეგნება. ხელოვნებამ დიდი პატრიოტული მისია შეასრულა იმ მრისხანე წლებში და არ შეიძლება განსაკუთრებული პატივისცემით არ ვიხსენებდეთ მის ღვაწლსა და ამავს.

* * *

1942 წელს გაზეთი „პრავდა“ მოწინავე წერილში „ხელოვნება წითელი არმიის სამსახურში“ წერდა: „დაე ჩვენმა დრამატურგებმაც გააკეთონ ყველაფერი, რისი გაკეთებაც შეუძლიათ და მოვალენიც არიან გააკეთონ იმისათვის, რომ ჩვენი თეატრების სცენიდან მსახიობებს შეეძლოთ სიძღვრით და მუსიკით, მგზნებარე პატრიოტული სახეებით კიდევ უფრო აღაფრთოვანონ ხალხი ფაშიზმის საბოლოო განადგურებისათვის საბრძოლველად“.

პარტია უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა დრამატურგიას. გაზეთმა „პრავდამ“ ა. კორნეიჩუკის პიესა „ფრონტი“ დაბეჭდა. იმ დროისათვის ეს უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო. „პრავდაში“ გამოქვეყნებულ პიესას დიდი გამოხმაურება ჰქონდა. ამ რამდენიმე წლის წინ კიევიში, დალეჟსკის ბინაში, ა. კორნეიჩუკმა გაიხსენა პიესის დაბეჭდვის ისტორია და აღნიშნა, რომ თურნე ჯარის ნაწილებში ეწყობოდა პიესის საჯარო განხილვები. ამ ერთ პიესაზე ტონობით დასკვნა და რეცენზია დაიწერაო — ამბობდა დრამატურგი.

ბუნებრივია, რომ ჩვენი თეატრებიც განსაკუთრებული გულისყურით ეკიდებოდნენ რეპერტუარის საკითხს. სცენაზე გაცოცხლდა ისტორიულ-პატრიოტული პიესები. მათ თანამედროვეობისადმი მიძღვნილი ნაწარმოებების გვერდით საპატიო ადგილი დაიკავეს.

რა დაიდგა იმ ხანად რუსთაველისა და მარჯანიშვილის სახელობის თეატრებში? რუსთაველის თეატრმა პირველი პრემიერა, რომელიც ომის დაწყების შემდეგ უჩვენა, ვ. დარასელის „კიკვიძე“ იყო (5. IX-41). მას მოჰყვა ანტიფაშისტური მწერლის ფ. ვოლფის „პროფესორი მამლოკი“. შემდეგ — გ. მდიუნის „ბატალიონი მიდის დასავლეთისკენ“. ომის წლებში დაიდგა დ. ერისთავის „სამშობლო“, გ. მდიუნის „მოსკოვის ცის ქვეშ“, ა. რუჟეშკისა და მ. კაცის „ოლეკო დუნდინი“, ი. სელვინსკის „გენერალი ბრუსილოვი“, ს. შანშიაშვილის „კრწანისის გმირები“, ე. როსტანის „სირანო დე ბერჟერაკი“, ს. კლდიაშვილის „ორმის ხევი“, ა. ყაზბეგის „ხევისბერი გოჩა“ (ს. შანშიაშვილის ინსცენირებით). დაიდგა ორიოდე სხვა პიესაც, მაგრამ დასახელებული ნაწარმოებები ყველაზე უკეთ მიესადაგებოდნენ დიდი სამამულო ომის საერთო ატმოსფეროს. ეს სპექტაკლები, მიუხედავად დადგმისა და შესრულების ხარისხის განსხვავებულობისა, აგრეთვე პი-

სათა მხატვრული დონის სხვადასხვაობისა, მაინც ერთ მიზანს ემსახურებოდნენ.

ვ. დარასელის „კიკვიძე“ სამოქალაქო ომის პერიოდს ასახავს, მაგრამ მაყურებელი მას ისე აღიქვამდა, როგორც დიდი სამამულო ომის გმირულ ეპოპეას. ვასილ კიკვიძის საბრძოლო დღეები, მისი რაინდული სული თანახმიერი იყო მაყურებლის განწყობილებისა. ომის წლებში ახალი ძალით აჟღერდა სუვოროვის, კუტუზოვის, ბაგრატიონის სახელები. მათი მაგალითი საბჭოთა ადამიანებს ამხნევებდა და უმაღლესად საბრძოლო განწყობილებას. ჩვენი ხალხების წარსულის გმირული დღეები ბუნებრივად შეერწყა ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეპოპეას. ამ დიდსა და სამართლიან ბრძოლაში იყო კიკვიძეც. რუსთაველის თეატრის ამ სპექტაკლმა ერთგვარი ტონი წისცა ომის წლებში ისტორიულ-პატრიოტულ თემას ქართულ სცენაზე. ამიერიდან ჩვენი თეატრების რეპერტუარში გამორჩეული ადგილი დაიკავა ხალხის გმირობის ამსახველმა ნაწარმოებებმა. წარსულის სურათების რომანტიკული განცდის, გმირობისა და ვაჟკაცობის იდეალის დამკვიდრებას ქართულ სცენაზე დიდად შეუწყობდა „კიკვიძე“, „ოლეკო დუნდინი“, „კრწანისის გმირები“, „ქართლის დედამ“ და სხვ.

ლევენდარული გმირის კიკვიძის სახე რომანტიკული გუნებით, შინაგანი ექსპრესიით, ახალი სამყაროს შენებისათვის ბრძოლის პათოსით გამოხატა ა. ვასაძემ. ფიცხელი ტემპერამენტის, მოუსვენარი, სიცოცხლეზე შეყვარებული ჭაბუკის მხატვრული სახე მან დიდი განზოგადებით გამოკვეთა. როცა „კიკვიძე“ ნახა ნემიროვიჩი-დანჩენკომ, დიდად შეაქო წარმოდგენა. ვასაძემ კიკვიძის როლის შესრულებისათვის სახელმწიფო პრემია დაიმსახურა.

შ. რუსთაველის სახელობის თეატრი, რომელიც წარსულშიაც ერთგულად იცავდა გმირულ-რომანტიკულ სტილს, ახალ იერს იძენს ომის წლებში.

კ. მარჯანიშვილის სპექტაკლმა „ცხვრის წყარომ“, სადაც ასე ნათლად გამოიხატა თავისუფლებისათვის, ყოველგვარი ძალადობისა და მონობის წინააღმდეგ ბრძოლის იდეა, ახალ მხატვრულ ხარისხში წარმოადგინა გმირულ-რომანტიკული სტილის თავისებურება. ახალი სოციალისტური სინამდვილის, ახალი ქვეყნის შენების ამ ეტაპზე, ეს სპექტაკლი და საერთოდ თეატრის შემოქმედება „მაღალი რომანტიკული ძაბვისაა“. თვით ცხოვრება განაპირობებს ამას. ს. ახმეტელის რომანტიკული თეატრი შემდგომი ახალი საფეხურია შემოქმედებისა, სადაც განმსაზღვრელ როლს ასრულებს გმირულ-რომანტიკული სტილი. ესეც თვით ცხოვრების თავისებურებით, ხალხის რწმენისა და განწყობილების, რომანტიკული აღმშენებლობის, ძველის ნგრევისა და ახლის დაბადების სიღრმისეული პროცესების შესაბამისია. „შეხედეთ, — წერდა ე. ბესკინი, — როგორი სი-

ხალისითა და სიამაყის გრძნობით გამოიყურება ადამიანი ანზორის რაზმის ყოველ ნაწილსა და თვით პარტიზანთა ბელადის ფიგურაშიც კი. თქვენ გრძნობთ, რომ ეს არის ბრძოლა სწორედ ახალი ადამიანისათვის, მაგრამ კლასობრივად სხვა, კლასობრივად ახალი ადამიანისათვის“. დიახ, ეს იყო რომანტიკული მგზნებარებით აღსავსე უკომპრომისო და გამირული ბრძოლა ახალი ადამიანისათვის.

ომის წლებმა, როცა სულ სხვა მასშტაბები და მნიშვნელობა შეიძინა ბრძოლამ, მოითხოვა საბჭოთა ადამიანის სულიერი და ფიზიკური შესაძლებლობების უდიდესი დაძაბვა. სამშობლოს დაცვის, ფაშისმის განადგურების იდეამ მოიცნა ყველა და ყველაფერი. ხალხს სწამდა თავისი სამართლიანი ბრძოლისა და ამ რწმენით იბრძოდა ფრონტზედაც და ზურგშიაც. სწორედ აქ იღებს სათავეს რომანტიკაც. ხალხის რწმენის, სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულის, გამირობისა და ვაჟაკობის გამოსატყვის იმ ფორმებსა და საშუალებებს, რომლებიც სცენაზე ყველაზე უკეთ ამაღლებულა, გამირულ-რომანტიკული სტილი მიესადაგებოდა. რუსთაველის თეატრმა კარგად იცოდა ეს და მის რეპერტუარშიც უხვად იქნა წარმოდგენილი პიესები, რომლებიც ამის საშუალებას იძლეოდნენ.

რუსთაველის თეატრის სპექტაკლმა — ს. შანიანიშვილის „კრწანისის გამირობმა“ ფართო გამოცხადი პპოვა მაყურებელში. ამიერკავკასიის ფრონტის წითელარმიული გაზეთი „მებრძოლი“ წერდა: „გამარჯვებულ ქართველო მებრძოლო! რომ დაბრუნდები შენს ქალაქში, რუსთაველის თეატრში მიდი და ნახე შენს წინაპართა ბრძოლისა და გამარჯვების შესანიშნავი წარმოდგენა“. ასე შეერწყა წარსული და თანამედროვეობა ურთიერთს. მას აერთიანებდა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის იდეა. გაზეთ „კომუნისტში“ ბ. ჟდენტი წერდა: „ფაშისტური ბარბაროსობის წინააღმდეგ ძლევამოსილი ბრძოლის მგზნებარე დღეებში ჩვენი ხალხი მღელვარე სიყვარულით იგონებს და დიდების უჭკნობი შარავანდედით მოსავს თავის გმირ წინაპრებს, ჩვენი სახელოვანი საბრძოლო ტრადიციების შემქმნელებს. ჩვენი სამშობლოს დიდებისა და უკვდავების, მისი ღირსებისა და თავისუფლების განმამტკიცებელთ“. ასე ესმოდა სპექტაკლის აზრი არა მარტო კრიტიკას, არამედ ფართო აუდიტორიასაც. ამიტომ ეძალებოდა თეატრს მაყურებელი.

მაგრამ ხალხის ბრძოლას უსამართლობის, მონობისა და ძალადობის წინააღმდეგ მარტო თემატურად აქტუალური პიესები როდი გამოხატავდნენ. საჭირო იყო რეპერტუარის მრავალფეროვნება. მაყურებელს სცენაზე უნდა ენახა არა მარტო გამირული ბრძოლის ეპიზოდები, არამედ ჯანსაღი და ხალისიანი კომედიებიც. ასეც მოხდა, მაგრამ მთავარი მაინც პატრიოტული თემის, სამშობლოს დაცვის იდეის გამოსახვა იყო. არასო-

დეს არ შედუღებულა ისტორია და თანამედროვეობა ისე, როგორც ომის წლებში. თეატრი წინაპართა საგმირო საქმეების ჩვენებით, სამართლიანი საქმის გამარჯვების იდეის შთაგონებით აღაფრთოვანებდა მაყურებელს. თეატრი სცენაზე უხვობდა წარსულის გმირებს და მათ მაგალითებზე ზრდიდა მაყურებელს. იგი მოაგონებდა მაყურებელს, რომ სამართლიანი ბრძოლა არ შეიძლება გამარჯვებით არ დამთავრდეს. ხშირად „ჭირსა შიგან გამაგრების“ იდეა განსაზღვრავდა ამგვარი პიესების იდეურ პათოსს.

ბუნებრივია, რომ ომის წლების ატმოსფეროში ახალი ძალით გახმაურდა ა. ყაზბეგის „ხევისბერი გოჩა“. რუსთაველის თეატრში დიდხანს მაყურებლის ტევა არ იყო, როცა ეს შესანიშნავი ნაწარმოები იდგმებოდა... ს. შანიანიშვილმა მარჯვედ გადააკეთა მოთხრობა და ჩვენც ვიხილეთ დრამატურგიულად საყურადღებო ნაწარმოები.

პირადულისა და საზოგადოებრივის, სამშობლოს წინაშე მოვალეობისა და ინტიმური განცდების შეპირისპირებაში გამოჩნდა თეატრის მხატვრული პოზიცია, მაყურებელი მღელვარებით უყურებდა დრამატურგიული კონფლიქტის ტრაგიკულ განვითარებას. მისთვის ყველაზე წმინდა და ძლიერი გრძნობა სამშობლოს სიყვარული იყო და ამიტომ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ხევისბერის მოქმედებას. მართალია, ეს იყო მძაფრი ტრაგედია შემადრწუნებელი ფინალით, მაგრამ თავისი არსით გულწრფელად ემსახურებოდა იმ იდეას, რომელსაც სამშობლოსათვის თავდადება ჰქვია.

ისტორიულ-პატრიოტული თემის ციკლს თავისებურად ავსებდა დ. ერისთავის „სამშობლო“. მან ხომ მთელი ეპოქა შექმნა ქართული თეატრის ისტორიაში! მისი წარმატების შესახებ პირდაპირ ლეგენდები დადიოდა! ყოველი თაობა მასში პოულობდა თავის სათქმელს და რუსთაველის თეატრმაც იგრძნო მისი დადგმის საჭიროება. იგი დაიდგა 1942 წლის მიწურულს. წარმატება მართლაც დიდი იყო.

განსაკუთრებით საყურადღებოა ა. რეჟისორისა და მ. კაცის „ოლეკო ღუნდიჩი“. ოლეკო ღუნდიჩის როლს აკაკი ხორავა ასრულებდა. მის ძლიერ, მონუმენტურ სახეში გამოიხატა ხალხთა მეგობრობის, რევოლუციური ბრძოლის წმიდათაწმიდა იდეა, ომის წლებში ახალი შინაარსი შეიძინა ხორავას გმირის სიტყვებმა, როცა იგი იუკანებს მმართავდა: „იუკანებო, რუსის ჯარისკაცებთან ერთად სამი წელიწადი ვიბრძოდით მხარდამხარ გერმანელების წინააღმდეგ და ჩვენ ესლა ისინი უნდა ვხოცოთ? რისთვის? ვინ მიპასუხებს? იუკანებო! ამათ სურთ წაგიყვანონ იმათ წინააღმდეგ, ვინც ჩვენ ბრუსილოვის გარღვევის დროს ტყვეობიდან გაგვანთავისუფლა, სლავები—სლავების წინააღმდეგ! ვისაც სურს თავისი ძმების—სლავების სასხლის დაღვრა, ორი ნაბიჯით წინ გამოვიდეს“.

ამ სიტყვებში ისახებოდა ხორავას გმირის რწმენა და მოწოდება იმისკენ, რომ სლავთა ქვეყნები გაერთიანებულიყვნენ საერთო მტრის წინააღმდეგ, ამჯერად კი იგი აღიქმებოდა, როგორც ფაშიზმის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლისათვის მოწოდება.

რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე დაიდგა უშუალოდ თანამედროვეობის ამსახველი რამდენიმე პიესა, მათ შორის გ. მდივნის „ბატალიონი მიდის დასავლეთისკენ“, „მოსკოვის ბჭესთან“, ს. კლდიაშვილის „ირმის ხევი“. სამივე პიესა სამამულო ომს მიეძღვნა. გ. მდივანი ერთ-ერთი პირველი გამოცხადება ომის დაწყებას. მის პიესებში იყო ნათელი აზრი და მიზანი კეთილშობილური სურვილი — ეჩვენებინა საბჭოთა ადამიანების გმირობა, მაყურებელში გაემძაფრებია მტრისადმი სიძულვილი. გარკვეული მხატვრული კომპრომისი, რომელსაც თეატრი უმჯობესდა ამ პიესათა დადგმით, ერთგვარად მართლდება და ნაზღაურდება იმ ღირსებებით, რაც უკვე აღენიშნეთ.

პიესა აქტუალურად ჟღერდა და მაყურებლის ინტერესსაც იწვევდა. გაზეთი „კომუნისტი“ ამ წარმოდგენის შესახებ წერდა: „სპექტაკლი სადად და დამაჯერებლად გვიხატავს სამამულო ომის დღეებს. საბჭოთა ადამიანების უმაგალითო გმირობას გერმანელი ფაშისტი ვანდალების წინააღმდეგ შეუპოვარ ბრძოლაში. კარგად მოფიქრებული ფაბულა დრამატულადც მიმზიდველი გამოვიდა. მთელი სპექტაკლი სუნთქავს ვერაჯ მტერზე გამარჯვების ღრმა რწმენით, თითოეული სურათი დარბაზში გაისმის ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოწოდების ზარად და იგი მაყურებლის სულის სიღრმეში იჭრება“.

და ეს ყველაფერი ცოტას როდი ნიშნავდა!

ცხოველი ინტერესი გამოიწვია ს. კლდიაშვილის დრამამ „ირმის ხევი“. სპექტაკლი თეატრალური საზოგადოებრიობისა და ფართო მაყურებლის ყურადღების ცენტრში მოექცა. წარმოდგენა საესებით შეესაბამებოდა იმ იდეალს, იმ მიზნებს, რისთვისაც ცოცხლობდა და იბრძოდა თეატრი ომის წლებში. თეატრმა ამ სპექტაკლითაც გვიჩვენა მაღალი მოქალაქეობრივი შეგნება და საბრძოლო სულისკვეთება. „ირმის ხევი“ მაყურებელს ხიბლავდა მწერლის მართალი სიტყვა, მაღალი ზნეობრივი პრინციპი, იდეურობა, მთელი რიგი სახეებისა და სცენების ოსტატურად წარმოსახვა.

კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა 1942 წლის მიწურულს დადგა გ. მდივნის „პარტიზანები“. წარმოდგენის რეჟისორი იყო ვასო ყუშიტაშვილი. რეჟისორმა სცადა ღრმად და სიმართლით გამოეხატა გმირთა ცხოვრება, დამაჯერებლად გადმოსცა მთელი ის სამყარო, რითაც სუნთქავდა ყოველი გმირი, ყოველი სცენა. სპექტაკლში მონაწილეობდნენ ვერიკო ანჯაფარიძე, ვასო გოძიაშვილი, სერგო ზაქარიაძე და სხვა გა-

მოჩენილი მსახიობები. ეს გარემოება მეტ ავტორიტეტს უქმნიდა სპექტაკლს, განსაზღვრავდა მის აქტიურულ დონეს.

კ. მარჯანიშვილის თეატრმა სამამულო ომის ინტერესებს დაუკავშირა მთელი თავისი საქმიანობა. ბუნებრივია, რომ ცხოვრების მოთხოვნილების კვალბაზე გარდაიქმნა რეპერტუარიც. ომის დაწყების პირველ ხანებში ჯერ კიდევ არ იყო უშუალოდ სამამულო ომზე დაწერილი პიესები, მაგრამ მალე თეატრმა მოაწყო ერთმოქმედებიანი პიესების სადამო. სპექტაკლი იწყებოდა იალუნერის პიესით „სასტუმროში“. პიესაში მოცემული იყო საბჭოთა ქალის გმირობა, მისი პოლიტიკური სიფხიზლე და გონიერება ფაშიზმთან ბრძოლაში. სადამოს პროგრამიდან გამოირჩეოდა ილია ჭავჭავაძის „ქართვის დედა“, თამარ ჭავჭავაძისა და პიერ კობახიძის დუეტი ამ სპექტაკლში დიდ აღტაცებას იწვევდა.

1942 წლის დღეებში მარჯანიშვილის თეატრში დაიდგა ბორის გამრეკელის პიესა „გრიგალი“. იგი სამამულო ომის თემას ეხებოდა.

ომის დროინდელ მაყურებელს ალბათ არასოდეს დაავიწყდება ის დიდი სულიერი მღელვარება და კმაყოფილება, რასაც მას ანიჭებდა ლ. გოთუას „მეფე ერეკლე“. ბევრი არ იყო მაშინ ამგვარი წარმოდგენა, ასე დიდძალი ხალხი რომ მიეზიდოს და მისი აზრი და გრძნობა აედლევიანოს. სპექტაკლში გამოჩნდა ჩვენი ხალხის მებრძოლი სული, მისი გმირული შემართება და ზნეობრივი იდეალები. ისტორიულ გმირთა სახეები მაყურებელს შთაგონებდნენ გმირობასა და ვაჟკაცობას. გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ აზრით, სპექტაკლი უშუალოდ ეხმაურებოდა ხალხის გრძნობასა და განწყობილებას, ამის გამო იგი „გადაიქცა მაყურებელთა ფართო ფენების საყვარელ სპექტაკლად, რომელმაც ცხოველი საზოგადოებრივი ინტერესი გამოიწვია. ქართულ საბჭოთა თეატრს და დრამატურგიას ბევრი არ შეუქმნია ისეთი ნაწარმოები, რომელსაც ამგვარი ძალით მიეზიდოს მაყურებელი.“ მაყურებელმა სპექტაკლში დაინახა მტერთან შერკინებული ქართველი კაცის უძლეველი სული და გამარჯვების რწმენა. ისტორია შეიჭრა თანამედროვე მაყურებლის ცხოვრებაში და თავისი გამამხნეველი სიტყვა უთხრა ფაშიზმის წინააღმდეგ ამხედრებულ ხალხს.

ომის წლებში ისტორიულ თემაზე დადგმულ პიესებს შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს მ. ჯაფარიძის „ჟამთაბერის ასულს“. რეალისტურად დაწერილ ამ პიესაში არის ფსიქოლოგიურად გააზრებული მართალი სახეები, კონკრეტული ისტორიული გმირები, რომლებიც საესებით მოკლებულნი არიან ბუტაფორიულობას და შტამპს, ასე მკვეთრად რომ შეინიშნება ხოლმე ისტორიულ თემაზე დაწერილ პიესებში.

რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრებს კვალში ჩაუდგნენ საქართველოს სხვა თეატრალური კოლექტივებიც. ყოველი თეატრი თავის უწმინდეს მოვალეობად მიიჩნევდა პირნათლად მოეხადა ვალი ქვეყნისა და ხალხის წინაშე. თეატრების აფიშაზე ხშირად იყო ს. კლდიაშვილის „ირმის ხევი“, გ. მდიენის „პარტიზანები“, „მოსკოვის ბჭესთან“ და სხვა თანამედროვე მწერლების ნაწარმოებები. მათ გვერდით იყო „ხევისბერი გოჩა“, „სამშობლო“, „პატარა კახი“.

რთულ, მაგრამ უადრესად საჭირო და სასარგებლო შრომას ეწეოდნენ ქუთაისისა და ბათუმის, სოხუმისა და ცხინვალის, გორის, ჭიათურის, ზუგდიდისა და საერთოდ ყველა ქალაქისა თურაინის თეატრები. საბჭოთა მთავრობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა თეატრებს ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში და ამიტომაც იყო, რომ დიდძალ სახსრებს ხარჯავდა მასზე.

საბჭოთა თეატრმა გაამართლა პარტიისა და ხალხის იმედები.

ქართული თეატრი მხარში ედგა საბჭოთა ხალხს დიდსა და სამართლიან ბრძოლაში, ჩვენი მსახიობები ყველგან იყვნენ — ბრძოლის ხაზზე და საკუთარ თეატრში, ჰოსპიტლებსა და საკოლმეურნეო მინდვრებში, ჯარის ნაწილებთან — ერთი სიტყვით, ყველგან, სადაც სამშობლო მოითხოვდა. ქართველი მაყურებელი გრძნობდა, რომ თმის წლებში დრამატურგია ჯერ კიდევ სავსებით ვერ მოიცავდა მის თვალწინ მომხდარ გრანდიოზულ მოვლენებს. ხშირად მას აკლდა სიღრმე, ფსიქოლოგიურ ნიუანსებში წვდომა, ემპირიულობა და სქემატიზმი საკმაოდ ხელხვაგვიანად იყო ჩვენს დრამატურგიაში, მაგრამ იგი ერთ წერტილზე არ გაჩერებულა, თმის თემა სულ უფრო და უფრო მეტ ინტერესს იწვევდა ქართველ მწერლებში. მოვიდა თმის თაობა და სრულიად ახლებურად აისახა ჯარისკაცის ცხოვრება, თითქოს ახალი თვალთ დაინახეს მათ ის, რაც ფრონტსა და ზურგში ხდებოდა.

თმის დამთავრებიდან 30 წელი გავიდა. ქართულ თეატრს არ შეუწყვეტია ფიქრი და ზრუნვა იმ წლებსა და იმ ადამიანებზე, რომლებმაც გამარჯვება მოგვიტანეს.



საბჭოთა კავშირის გმირი, ლენინური პრემიის ლაურეატი გიორგი გიორგის ძე გოცირიძე მოსკოვის ოლქის მთავარი არქიტექტორი და არქიტექტურულ საგეგმო სამმართველოს უფროსი. დედაქალაქის ცენტრში სტოლენიკოვის შესახვევში, ძველ, მაღალჭერიან სახლში, სადაც სამმართველო მოთავსებული, დილიდან გვიან საღამომდე უამრავი ხალხი ირევა; მიღება გიორგი გოცირიძესთან დროით თუმცა შეუზღუდავია, მაგრამ კაბინეტში მისი მოხელთება არცთუ ისე ადვილია. საშური საქმეების გამო მას ხშირად უხდება მოგზაურობა ოლქის გზატკეცილებსა და მარაგებზე. მოსკოვის ოლქი კი — ეს თითქმის მთელი სახელმწიფოა — მისი ტერიტორია 45 ათასი კვადრატული კილომეტრია, მოსახლეობა — 6 მილიონი. ოლქში შედის 38 რაიონი, 60 ქალაქი, 74 ქალაქის ტიპის დასახლება, 557 სასოფლო საბჭო.

მეტად ფართოა იმ პრობლემათა სფერო, რომელთა გადაჭრაზე უხდება ზრუნვა გიორგი გოცირიძეს. ეს გახლავთ, მაგალითად, გლობალური პრობლემები, როგორცაა, მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის ერთიანი საქალაქმშენებლო და სატრანსპორტო სისტემის შექმნა, რაც აუცილებელია მრეწველობისა და მოსახლეობის მკვეთრი ზრდისა და კონცენტრაციის პირობებში, ეს არის ისეთი სპეციფიკური საკითხებიც, როგორცაა ოლქში ჰაერის გაბინძურებასთან ბრძოლა, ტურიზმის ბაზის განვითარება, მდინარე ოკას წყლისა და ლამაზი ნაპირების დაცვა მრეწველთაგან და ა. შ. მას ერთდროულად უხდება ეკონომიური, ფინანსური, სოციალური, დემოგრაფიული, ესთეტიკური და სხვა მრავალი პრობლემის გათვალისწინება და, ამასთან ერთად, იგი ახერხებს მეტად ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას, ქმნის საკუთარ პროექტებს.



საბჭოთა კავშირის გვირი ბიოგრაფი გოცირიძე

ნანა ყიფიანი

გ. გოცირიძის პროექტით შენდება ქალაქი ლოსინო-პეტროვსკი. არქიტექტორის ეს ახალი ჩანაფიქრი მრავალმხრივია საინტერესო, მაგრამ მისი მთავარი თავისებურება იმაშია, რომ ტრანსპორტი არ არის გათვალისწინებული. ქალაქი უტრანსპორტოდ! მაგრამ ავტორმა ეს გააკეთა ადამიანის ჯანმრთელობისათვის, ტრანსპორტის ხმაურისა და შხამიანი გაზებისაგან მის დასაცავად. ამასთან, ფეხით სიარულის ზიზანშეწონილობის თვალსაზრისითაც. ლოსინო-პეტროვსკი ისეა დაგეგმილი, რომ ყველაფერი ყურის ძირშია, ადვილად მისასვლელია.

გოცირიძისავე პროექტით მოსკოვში შენდება საავადმყოფო. ამ ნაგებობაში ბევრი სიახლე დაინერგება ავადმყოფთა ჯანმრთელობის სწრაფად აღდგენისათვის და ამ სიახლეთა დანერგვაში თავისი წვლილი ექნება პროექტის ავტორს. გ. გოცირიძის აზრით, საავადმყოფოსთვის ყველაზე შესაფერისია მაღლივი შენობა — შედარებით იაფი ჯდება, საექსპლუატაციოდ მოხერხებულია, უფრო ადვილია სამკურნალო-დიაგნოსტიკურ სამსახურთა კონცენტრაცია, ერთ შენობაში სხვადასხვა სპეციალობის ექიმთა გაერთიანება.

გ. გოცირიძე ავტორია ტიპობრივი საცხოვრებელი სახლითა, რომელიც ყ9-ა სერის სახელწოდებითაა ცნობილი. სახლი გამოირჩევა ორიგინალური და მოხდენილი არქიტექტურით, ფუნქციურობით.

დიდი საბრძოლო დამსახურება განსაკუთრებით ამშვენებს ამ ადამიანის ბიოგრაფიას.

სტალინგრადიდან დნებრამდე იარა მე-4 მექანიზებულმა გვარდიულმა კორპუსმა, რომლის მესანგრეთა ბატალიონის მეთაური გოცირიძე იყო. კორპუსში შედიოდა სატანკო, ნაღმტყორცნელი, ტანკსაწინააღმდეგო-გამანადგურებელი და თვითმავალი საარტილერიო პოლკები, მექანიზებული ბრიგადა, ნაღმტყორცნელი დივიზიონი.

ჯავშან-საავტომობილო და მოტობატალიონები. ამათ წინ უძღოდნენ და გზას უკვალავდნენ გიორგი გოცირიძის მესანგრეები. ამ ბატალიონმა მოაწყო დნებრის გადალახვა. საინჟინრო საშუალებათა შექმნა, საქმის ბრწყინვალე ორგანიზაცია, მამაცობა და თავდადება — აი რამ განაპირობა ამ საბრძოლო ოპერაციის წარმატებით დაგვირგვინება. დნებრის გადასალახავად ბრძოლებში მონაწილეობისათვის გიორგი გოცირიძეს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა. არმიის გენერალ ვატუტინს თვით უნახავს, თუ როგორ მუშაობდა გოცირიძის ბატალიონი და აღფრთოვანებულია მისი გმირობით, საქმის შესანიშნავი ხელმძღვანელობით.

ორშოც წელზე მეტია, რაც გიორგი გოცირიძე რუსეთში ცხოვრობს და მოღვაწეობს (საქართველოში მან ბავშვობა და სიჭაბუკე გაატარა). ღრმად განათლებული ადამიანი, დახვეწილი ინტელიგენტი, ფრანგული და ინგლისური ენების შესანიშნავი მცოდნე, საინტერესო, გონებამახვილი ორატორი — ასე იცნობენ მას ყველგან. იგი რამდენჯერმე იყო მიწვეული უცხოეთში, ამას წინათ კი ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფებოდა, კოსმიურ ცენტრში, ქალაქ ჰიუსტონში ლექციებით განოვიდა.

გიორგი გოცირიძის ხელმძღვანელობით შეიქმნა პროექტი მემორიალური კომპლექსისა „დედების ზღუდე“ (ასე ეწოდება მოსკოვთან ბრძოლების ფრონტის წინა ხაზს — 500 კილომეტრიან ზღუდეს), რომელმაც კონკურსში პირველი ხარისხის დიპლომი დაიმსახურა.

ამ ადგილებიდან დაიწყო საბჭოთა ჯარების სახელგანთქმული კონტრშეტევა 1941 წლის დეკემბერში. რთულ არქიტექტურულ-სივრცითსა და ლანდშაფტურ კომპლექსში გათვალისწინებულია 12 მემორიალური ანსამბლის აგება. ერთ-ერთი მათგანია „მთავარი ანსამბლი“.



ლილი თაბუკა და ქსახუკუა



ლეილა თაბუკაშვილი

როსა ფაშისტთა მიერ საბჭოთა მიწაზე გაჩაღებული ბარბაროსული ომი მძვინვარებდა, ბევრი წათ შორის, ვიპაც ახლა ფუნჯი თუ საჭრეთელი უჭირავს ხელში, პატარა გოგონა და ბიჭუნა იყო. ბევრისთვის კი — მშვიდობიანი პერიოდის შვილთათვის, ეს ომი კიდევ უფრო შორეული ისტორიაა, მაგრამ ეს ის ისტორიაა, რომლის ლანდი დღეს ერთნაირად შემზარავად წარმოესახებათ ადამიანებს, რომელთაობასაც არ უნდა გკუთვნოდნენ ისინი, და დღესაც ისევე, როგორც განვლილი სამი ათეული წლის მანძილზე, ადამიანებს უფლება არა აქვთ თუნდ ერთი წუთით მიადუნონ სიფხიზლე, შეასუკტონ ბრძოლა მშვიდობის შენარჩუნებისთვის, ყოვლისშთანმთქავი ომის საფრთხის ასაცილებლად. ამიტომაც იქცევა ხოლმე ყოველწლიურად გამარჯვების დღე მშვიდობის წეიზად, იმ გმირთა გახსენებისა და დიდების დღედ, ვინც თავისი სიცოცხლის ფასად მოუპოვა თაობებს სიცოცხლისა და ბედნიერების უკლება.

ათი წლის წინათ საქართველოს მხატვრები საგანგებო საიუბილეო ექსპოზიციით შეხვდნენ ფაშისტურ გამარჯვების ოცი წლისთავს — გამოფენით „მშვიდობის სადარაჯოზე“. ეს იყო მხატვრულ ქმნილებებში გადატანილი მშვიდობის ზეიმი, მშვიდობიანი შრომისა და აღმშენებლობის ზეიმი; ეს იყო სამშობლოსათვის თავდადებულ ვაჟკაცთა გახსენება, მათი გმირობის ჰიმნი და ომის წინააღმდეგ მძაფრი პროტესტი, ასახული მეტყველ, ხატოვან ნაწარმოებებში. უფროსი თაობის მხატვრებთან ერთად ამ გამოფენაზე წარმატებით გამოვიდნენ ახალგაზრდები, თვით ახალბედა შემოქმედნი, რომელთა ტილოებმა და ქან-

დაკებებმა ქართული სახვითი ხელოვნების ახალი ნძლავრი ძალებით შევსება ცხადყო. გასულმა წლებმა ეს იმედები მთლიანად გაამართლა: მაშინდელი ახალგაზრდობის თუ ახალბედების ოსტატობა დაიხვეწა, ინდივიდუალურად ჩამოყალიბდა, რაც მთავარია, ბევრმა მათგანმა შეინარჩუნა და გააღრმავა ის უშუალობა და სიწრფევე, რაც ჯერ კიდევ მათს პირველ ნამუშევრებში გამოჩნდა.

მრავალი დასამახსოვრებელი ნაწარმოები იყო მაშინ ექსპოზიციასი და მომდევნო ყოველწლიურ გამოფენებზე იმ ქმნილებათა ავტორებს, თავიანთი ახალი ნამუშევრებით, საგულისხმო წვლილი შეჰქონდათ გამოფენების საერთო წარმატებაში. ათი წელი უკვე მთელი ბიოგრაფია შემოქმედთა ცხოვრებაში, თუკი ეს წლები არ არის ცარიელი (როგორც ზოგიერთი მხატვრისათვის), არამედ აღსავსეა დაუღალავი, გატაცებული შრომით, ახლის მიკვლევის წყურვილითა და ოსტატობის შემდგომი დაუფლებისაკენ მისწრაფებით.

რესპუბლიკური გამოფენა — „დიადი გამარჯვების ოცდაათი წელი“ უნებურად შეგვახსენებს ათი წლის წინანდელ საიუბილეო ექსპოზიციას, შეგვახსენებს არა მხოლოდ შედარებითი პოზიციებიდან, არამედ იმ თვალსაზრისითაც, თუ რა ახალი ძვრები და ტენდენციებია დღეს ქართულ სახვით ხელოვნებაში, მოსდევს თუ არა ამ ახალ ტენდენციებს ახალი სიმაღლეების დაპყრობა და შემდგომი აღმასვლა.

პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად თავისი მასშტაბურობისა (იმ მხრეაკ, რომ ეს იყო რესპუბლიკური და არა შედარებით მცირე მნიშვნელობის რიგითი გამოფენა, რაც

მთავარია, იმ მხრივ, რომ იგი იდეურ-მხატვრული მიზანდასახულობითა და შინაარსით მნიშვნელოვანი გამოფენა იყო), ახალი ექსპოზიცია სათანადოდ სისრულით ვერ ასახავდა საქართველოს მხატვართა შემოქმედებით შესაძლებლობებს. ეს თვალნათლივ იგრძნობოდა გამოფენაზე, რომელიც, უნდა ითქვას, თავისი საერთო მხატვრული დონით დიდად არ უსწრებდა წინამორბედ, 1965 წლის გამოფენას „მშვიდობის სადარაჯოზე“. ვიმედოვნებდით კი, რომ განსხვავება უფრო თვალსაჩინო უნდა ყოფილიყო.

მცირედენი სტატისტიკური ვადახვევა: ახალი ექსპოზიციის მონაწილეთა უდიდეს ნაწილს ახალგაზრდა თაობა წარმოადგენდა, თაობა, რომელსაც ომის ატმოსფეროში არ უცხოვრია, მაგრამ ბევრ შემთხვევაში ისინი ისევ აგნებენ ემოციურ მხატვრულ აზრს, აღწევენ გამოხატვის სიღრმესა და ხატოვანებას, როგორც თვით ომგადახდილნი, ისინი, ვინც უშუალოდ იყვნენ ჩაბმულნი საომარ ქარცეცხლში, ან ისინი, ვინც თვითონ გამოსცადა და ახსოვს გადატანილი სიმძიმეები. ეს დადასტურა 1965 წლის გამოფენამ, რომელზეც ახალგაზრდა მხატვრები მეტად საინტერესოდ გამოვიდნენ, ეს ჩანდა ახალ ექსპოზიციაშიც, რომლის მონაწილეთა თითქმის უმრავლესობა მხოლოდ ბოლო წლებში მთავიდა ქართულ მხატვრობაში.

მეორე მომენტი სტატისტიკიდან: გამოფენაზე არ მონაწილეობდა ქართული მხატვრობის წამყვან ძალთა თვალსაჩინო ნაწილი და ეს არა მარტო აშკარად იგრძნობოდა, არამედ უთუოდ გვევლინებოდა იმის მიზეზად, რომ, ადრინდელთან შედარებით, უკეთესობისაკენ არ გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი. შეიძლება კი, რომ შედეგი უფრო საგულისხმო ყოფილიყო — გამოფენას უფრო მკაფიოდ და თვალსაჩინოდ ეჩვენებინა ქართული მხატვრობის დღევანდელი სურათი. მიუხედავად ამისა, ექსპოზიცია მაინც ავლენდა საერთოდ ხელოვნების ამ დარგში დღეისათვის არსებულ სახეობრივ-სტილურ ტენდენციებს — შემოქმედთა მისწრაფებას პოეტურ-სიმბოლურ წიგნისა და მეტაფორებისადმი, პირობითი გარემოს შექმნისადმი, ზოგადი მხატვრული აზრის გადმოცემის ამოცანას რომ უკავშირდება; ავლენდა ლირიკულ, ყოფით-ჟანრულ ხასხას, რაც უფრო კონკრეტულ სიუჟეტს, ფსიქოლოგიურად მახვილ მოტივს და არა ზოგად თემას გულისხმობს. ამ მეორე ხაზის მიმდევარ ავტორთა ნამუშევრებში უშირად ამოსავალია ეროვნული ხასიათი, გარემო, კოლორიტი და ამ ეროვნულობაში თემის შინაგანი შინაარსის გახსნა.

ყოველ მოვლენას გარკვეული თავისებურებანი, ნიშანდობლივი მხარეები გამოარჩევს. გარდა ზემოაღნიშნულისა — ახალგაზრდა ავტორთა სიჭარბე, ფართოდ აღიარებულ ოსტატთა ნაკლებობა — ამ ნიშანდობლივ მხარეებს ავლენდა თვით



ექსპონატები და ავლენდა ყველა დარგში: ფერწერაში, გრაფიკაში, ქანდაკებაში. კერძოდ, მრავლად იყო მსგავსი თემები და სიუჟეტები: შეხვედრა, გაცილება, მოლოდინი, დაბრუნება და სხვ. მაგრამ თავისთავად საქმე თემასა და სიუჟეტში როდია. არც ის არის გასაკვირი, რომ ეს თემები მხატვრებს ემოციური გადაწყვეტის ამოუწურავად მრავალფეროვან გზებს უსახავს. აქ იმაზე გვინდა მივუთითოთ, რომ ავტორები ყოველთვის ვერ პოულობენ სახეობრივად მეტყველ ამოსავალ წერტილს, თვით ამ მრავლისმომცველი, ემოციური შინაარსის თემიდან და ხშირ შემთხვევაში „პროზაულად“, ყოფით პლანში წყვეტენ მას, ყურადღება გადააქვთ გარეგნულ, სანახაობით მხარეზე — ლამაზ პეიზაჟურ გარემოზე, ფერადოვან პლასტიკურ რიტმებზე, ადამიანების სულიერი ძვრების ჩვენება კი განზე რჩება. აქა-იქ თვალში გვხვდება ისიც, რომ ნაწარმოების სახელწოდება როგორღაც ხელოვნურადაა მისადაგებული მას, შინაარსობრივად არ ესიტყვება. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ავტორს სურს სახელწოდებით მიანიჭოს ნაწარმოებს იდეური სიღრმე და აქტუალობა. მაგრამ, ცხადია, ამით ნამუშევარს არაფერი ემატება — იგი ცალკე რჩება, მისი სახელწოდება — ცალკე აქვე უნდა დაეძინოთ, რომ პროფისიულად, მხატვრული ღირსებებით — კოლორიტის, კომპოზიციური წყობისა თუ გრაფიკული ინტერპრეტაციის მხრივ — ეს ნაწარმოებები, ფერწერაში იქნება ეს თუ გრაფიკაში, უთუოდ იმსახურებენ ყურადღებას, მაგრამ ისეთი ნამუშევარი, რომ კვალი დატოვოს მნახველის ცნობიერებაში, მხატვრული ძალით შეძრას იგი, ჩვენი აზრით, მაინც ცოტა იყო. სწორედ ამიტომ, გამოფენის ექსპონატები როგორღაც ერთ დონეზეა, აქა-იქ „გამონათებები“ რომ ვერ მივიპყრობს. ამ მხრივ, გამორჩეული ქმნილებებით, თითქმის უფრო მდიდარი იყო „მშვიდობის სადარაჯოზე“. ბევრი შთაბეჭდავი ნაწარმოები შეიქმნა ჰას შემდეგაც, კერძოდ, დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის ძლიერად გამარჯვებისა და მშვიდობიანი აღმშენებლობის თემა მკაფიოდ მხატვრულ სახეებში გახსნა ზურაბ ნიჟარაძემ. მისი ტრიპტიქი „გამარჯვებულნი“ (1969) ბოლო წლების ქართული მხატვრობის თვალსაჩინო შენაძენია და როცა მნახველს ახსოვს ამგვარი ქმნილებები, უნებურად მეტი მომთხროვნელობით უყურებს ახალს. ახალი კი უკვე მიღწეულს ვერ გასცდა და ვერც გაუტოლდა. ამჟამადაც იყო ექსპოზიციაში ტრიპტიქისა და ორფრაგმენტისანი კომპოზიციების სახით გადაწყვეტილი ტილოები განზოგადებულ თემებზე (ომარ ჩუბინიძე — „მშვიდობიანი ცის ქვეშ“, სერგო კენჭაძე — „გაზაფხული, 1945-1975“), მაგრამ მხატვრულ სახეთა ახლებური და მკაფიო გააზრებით მათ ვერ მიიპყრეს ყურადღება.

რაკი ახალმა ექსპოზიციამ ზურაბ ნიჟარაძის ადრინდელი ტილო გაგვახსენა, აქვე უნდა აღვნი-



ზ. დავითაია.
„მცირე მიწა“.

შნით მის ნამუშევარზეც — „ბრძოლაში“, რომელიც მხატვრისათვის ჩვეული მძაფრი პლასტიკურ-ფერწერული ექსპრესიით გამოირჩევა. შუქჩრდილთა და თბილ-ცივ კონტრასტულ, ხშიერ ფერთა დაპირისპირებანი, ფართო ფერწერა, თვით ფიგურათა მსხვილი პლანით განლაგება კომპოზიციაში და მათა მოძრაობის დინამიკა აზღვევებლად გვაგარძნობინებს ბრძოლის ქარცეცხლს და ადამიანების თავგანწირულ შემართებას.

ექსპოზიციაში იყო საინტერესო ისტორიული ჟანრის სურათებიც, რომლებიც დიდი სამამულო ომის კონკრეტულ ეპიზოდებს ასახავდა. ეს არის დ. გაბიტაშვილის „ნოვოროსიისკის მისადგომებთან“ და ზ. დავითაიას „მცირე მიწა, 1943 წელი“. ავტორებმა სიმართლითა და დამაჯერებლად წარმოსახეს იმ ისტორიული ბრძოლების მონაწილენი, მათი საბრძოლო შემართება და ომის დაძაბული ატმოსფერო.

იღეურ ჩანაფიქრს საინტერესოდ შეასხა ხორცი ა. ვეფხვაძემ სურათში „მარადიული ცეცხლი“, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევის გამოხატავს უცნობი ჯარისკაცის საფლავთან.

მხატვრულ სახეთა მონუმენტურობითა და ამბლლებულობით კვლავ მიიზიდა ყურადღება რ. სტურუას ახალმა ტილომ „რაინსტაგის ალება“.

შთაბეჭდილებები, ცხადია, სხვადასხვაგვარი და სუბიექტურია, მაგრამ, ჩვენი აზრით, როცა დანახვის ახალ წერტილებსა და ემოციური შინაარსის ახალი კუთხიდან გახსნაზე ვლაპარაკობთ, ამის ნიმუშად უნდა მივიჩნიოთ ნანა მესხიძის ტილო „მუზეუმში“. სურათის სახელწოდება (თუკი თვით ამ სურათის მნახველი არ ვართ) თავისთავად ბევრად უფრო „პროზაული“ და მცარეს დამპირებელია, ვიდრე, ვთქვათ, ლირიკულ-რომანტიკული ან ტრაგიკული შინაარსის შემცველი: „გაცილება“, „შუხვედრა“, „დაბრუნება“, „გამოთხოვება“ და ა. შ. მესხიძის ტილო, ერთი შეხედვით, უპრეტენზიო, ჟანრული ხასიათისაა, მაგრამ სწორედ ამ უპრეტენზიობისა და ჟანრულობის ჩარჩოებში მხატვარმა შეძლო ღრმა იღეური შინაარსის გახსნა, შეძლო არა მარტო ტრაგიკულის ჩვენება, არამედ იმ სულისკვეთების გადმოცემაც, რასაც თითოეულ ჩვენგანში აღძრავს წარსულის ნგრევა-ჟლეტის გახსენება და იმის წარმოდგენა, რომ ეს შეიძლება კვლავ განმეორდეს,


ზ. ნიჟარაძე.
ბრძოლაში



..შემინულ ვიტრინაში საკონცენტრაციო ბანაკის ტყვეთა — დიდისა და ბავშვის ზოლიანი ხალათები კიდია. სიკვდილის წინა სამოსი ორი უსახელო მსხვერპლისა, რომელთა რეალური არსებობა ფაშისტებმა იმთავითვე მათ სამოსზე შავად ამოტვიფრული რიგითი ნომრებით დაადასტურეს, მილიონთა შემზარავ ტრაგიკულ ხვედრს გვაუწყებს. ტილოზე მუხეუმის მხოლოდ ერთ კუთხეს ვხედავთ ერთი ექსპონატით, მაგრამ ეს ექსპონატი სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ გაოგნებული შეჩერდეს მის წინ ისევე, როგორც ეს გოგონა, პატარა ძმით რომ მოსულა აქ საშინელ ზღაპარივით გაგონილში დასარწმუნებლად. ბიჭუნასთვის კი უცხო და გაუგებარია ეს ექსპონატიც და მისი დის გაოგნებაც. მაყურებლისაკენ შემოტრიალებული, ფერადზოლებიანი ბზრივით ხელში იგი გარეთ გასვლას ლამობს. მარცხენა ხელი ზემოთ აუწვდია, თითქოს ნიშნად იმისა — არ მინდა აქ, გამიშვიტ მზეზეო! მაგრამ ბიჭუნას ეს ჟესტი სურათში უფრო მეორე მნიშვნელობით იკითხება: არა, ეს აღარ უნდა განმეორდეს!

მეტყველია ვიტრინის წინ მდგომი დაფიქრებული გოგონას ფიგურა. მაყურებლისაკენ შურგშექცეულის სახის პროფილი მხოლოდ ოდნავ ისა-

გ. სიფროშვილი.
დედა



ხება, მაგრამ ამ მონახაზში ადამიანის ცოცხალი სულია ამეტიყველებული, გრძობთ გოგონას ფიქრებს, განცდას. ამაზე ლაპარაკობს მისი მარცხენა ხელიც, ინსტინქტურად ძმის თავს სათუთად რომ გადაფარებია, თითქოს სურს საფრთხიდან დაიფაროსო. მხატვარი არ ცდილობს ფერთა მკაცრი, მუქი გამით ხაზი გაუსვას მომენტის სიმძიმეს, შექმნას ნაღვლიანი განწყობილება. ნათელ და მშვიდ ფერადოვან გამაშია დაწერილი მთელი სურათი და ეს სიმშვიდე, თავშეკავება ტონალობათა შერჩევაში ზუსტად უპასუხებს სურათის დედა-აზრს, მისი პერსონაჟების — ჩვენი თანამედროვეების დახასიათების ამოცანას.

ახალ ნაწარმოებშიც ნანა მესხიძე თავის „ამპლუაშია“ და ამ „ამპლუაში“ იგი კვლავ საინტერესოდ, მახვილი და ემოციური მხატვრული აზრის გამხსნელად მოგვევლინა. მხატვრის ეს „მოვლინება“ სრულიადაც არ იყო მოულოდნელი, როგორც თუნდაც ათი წლის წინათ, როცა ახალგაზრდა მხატვრის ტილო „მამა“ ერთ-ერთ მთამბეჭდავ, გამორჩეულ ექსპონატად იქცა გამოფენაზე „მშვიდობის სადარაჯოზე“. უკვე მაშინ და შემდგომი ათწლეულის შემოქმედებით გზაზე სულ უფრო გამოიკვეთა ნანა მესხიძის ინტერესთა წრე, მისთვის განსაკუთრებით მახლობელი, კასაგები და საყვარელი თემები. ამ წლების მანძილზე ფერმწერმა რამდენიმე მხატვრულად მეტიყველი ტილო შექმნა, რომელთა მთავარი გმირებია ბავშვები. მესხიძისეული ბავშვთა სახეები — უშუალოდ ალსაყენი, ბავშვური სამყაროს უფაქიზესი გადმოცემით ხასიათდებიან, ამასთან თავიანთი იერით, სახეთა ინტერპრეტაციით, თავისებური პლასტიკურობით, რისი აზნაც სიტყვებით ძნელი გადმოსაცემია, ისინი გამოირჩევიან სხვა მხატვართა მიერ შექმნილი ბავშვთა სახეებიდან.

მოზარდთა მეტად მიმზიდველი, ხასიათების გახსნის მხრივ, მახვილი, ტიპიური სახეები შექმნა დიმიტრი ერისთავმაც თავის მრავალრიცხოვან ჟანრულ-გრაფიკულ ფურცლებში და ამ სიმახვილე-სიფაქიზით ეს ორი მხატვარი გარკვევით ენათესავენ ერთმანეთს. მაგრამ სახეთა პლასტიკური განსხეულებით ეს მაინც ორი სხვადასხვა ინდივიდუალობაა, სხვადასხვა „ხელწერა“, რაც მათ ურთიერთისაგან საგრძნობლად განასხვავებს, და არა მხოლოდ იმ მხრივ, რომ ერთი ფერმწერია, მეორე — გრაფიკოსი, არამედ დანაშვლის, აღქმის, ფსიქოლოგიური წვდომის სხვადასხვაგვარობით. გავიხსენოთ ნანა მესხიძის „მამა“ — მშობელს მონატრებული პატარა და-ძმა, ნახატში რომ სურთ გაცოცხლონ მამის გამოსახულება. ასფალტზე ჩაჩოქალ ბუჭუნას ცარცივი მოუხაზავს მეომარი მამის ფიგურა, ქუდზე არმიელის ვარსკვლავიც გამოუყვანია და ახლა ორდენს „აბნეუს“ მკერდზე ქვაზე ჩამომჯდარი გოგონა კი, — როგორი გულისყურით, როგორი სი-

ყვარულითა და ბავშვური თავყანისცემით დასცქერის ძმის ნახელავს, თითქოს ეს-ეს არის გაცოცხლებია ნახატი და მამის ხილვაზე ოცნება ახდებო! თუ დიმიტრი ერისთავის ბავშვთა და მოზარდთა სახეები უფრო გარეგნული პლასტიკური დახასიათების სიზუსტითა და სიმახვილით, ნიშანდობლივი ტიპიური შტრისების მიკვლევიტ გვიხილავენ, ნანა მესხიძეს უფრო მათი შინაგანი ფსიქოლოგიური სამყაროს გამოვლენა იტაცებს და ამ შინაგანიდან ამოდის მათი გარეგნული დახასიათების დროს.

ომის საშინელებაზე მოგვიტხრობს გამოფენაზე წარმოდგენილი სხვა ტილოებიც. სახეობრივი აზროვნებისა და მხატვრულობის თვალსაზრისით, უთუოდ საყურადღებოა ახალგაზრდა მხატვრების — ა. თომაშვილის „ბუხნევალი, 1943 წელი“, ა. ჩაგელიშვილის „ომის საშინელება“, ვ. ჯიბუტის „უკვდავება“. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ შემზარავი სინამდვილის სურათებს ეს სექტორები პირდაპირ გადაშლიან მყურებლის თვალწინ, ნ. მესხიძის ტილო უფრო აღწევს მიზანს — უფრო ღრმად შეგვაგრძნობინებს ადამიანთა წარსულ ტრაგედიასა და მშვიდობიანი აწმყოს ფასს. იდეური ჩანაფიქრითა და განწყობილებით თითქოს რაღაც აერთიანებს ზაურ გოლაგას სურათს „1941 წელი“ და ზურაბ რაზმაძის „კვლავ სახელოსნოში“, თუმცა პირველის ტილოზე სამომარი ქარტეხილების დასაწყისია აღბეჭდილი, მეორესაზე — დასასრული. გოლაგას სურათზე ახალგაზრდა მხატვარი — უკვე ჯარისკაცი, ემშვიდობება ხელოვნების სამყაროს, თავის სახელოსნოს, დაწყებულ ტილოებს. იგი ნაღვლიანად დაფიქრებული დგას მოლბერტის წინ. ზ. გოლაგამ უკვე რამდენიმე ფერწერული ტილოთი მოიპოვა საინტერესო, მაღალი შესაქლებლობების პროფესიონალის სახელი. ახალ ტილოშიც, რომელიც უმცირეს დეტალებამდეა გააზრებული და დამუშავებული, იგი აღწევს მხატვრულ მთლიანობას, გარკვეული განწყობილების შექმნას. სურათში დამაჯერებლად იკითხება ადამიანური განცდა მომენტისა, იმ წუთებისა, როცა არ იცი წინ რა გელის, არ იცი შენი ჯარსაკაცული მისია ბოლომდე გაამართლებს თუ არა, გადაარჩენს თუ არა შენთვის და შენისთანა ადამიანებისათვის სიცოცხლესთან ერთად ყველაზე ძვირფასს — მის სულიერ მონაპოვარს.

ზურაბ რაზმაძის ტილოს შინაარსი თითქოს გოლაგას პერსონაჟისათვის ძნელად განსაჭვრეტი მომავლის მიზანდასახულობათა და ოცნებათა რეალური დაგვირგვინებაა: ომგადახდილი ჯარისკაცი კვლავ თავის სახელოსნოშია, დაუსრულებელი ტილოებისა და განვლილი დროის ათასნაირ ჩანაფიქრთა გარემოცვაში. ჩანს, ამ ადამიანს ეს-ეს არის შემოუღია სახელოსნოს კარი, ჯერ კიდევ მეომრის სამოსში, დაღლილი ჩამომჯდარა სკამზე და ფიქრებს მისცემია. მის პოზაში, საერთო იერ-

სა და განწყობილებაში იგრძნობა გადატანილი სიმძიმეები, ამასთან, მთელი მისი არსება მომავლისკენაა მიპყრობილი, ცხოვრების ხელახალი გაგრძელების გზებზე ფიქრს მოუცავს. ტილო, რომლის კოლორიტი თბილი ტონალობის ფერთა შესამებაზეა აგებული, სახვითადაც თავისებურადაა გადაწყვეტილი, თავისუფალი, ცხოველხატული ეტიუდური მანერითაა შესრულებული და ეს სილაღე კარგად ესადაგება თვით სურათის ემოციურ აზრს: ირგვლივ დაწყებული, მონიშნული და დაუსრულებელი სურათებია, მათი ავტორიც სულიერად აფორიაქებულია, ახალი ცხოვრების ზღურბლზე დგას, ძველს გადახედვა სჭირდება, მიზნებს — დასახვას... ყოველივე ეს იკითხება სურათში, რომელიც გარკვეულ ფიქრსა და განცდას აღძრავს მაყურებელშიც.

სურათის იდეური ჩანაფიქრის გასახსნელად კომპოზიციური და, რაც მთავარია, ფერადოვანი წყობის შერჩევის ამოცანა ბევრი ავტორის წინაშე დგას და ამ მხრივ იშვიათად თუ შეხვედებით ზერელე და თვითმიზნური მიდგომის ნიმუშს (სამწუხაროდ, ამგვარი ნიმუშები მაინც არსებობენ, ისევე როგორც წარსულ გამოფენებზე და ეს გარეგნული სახვითი „ეფექტები“ მათ ავტორთა მხოლოდ და მხოლოდ შემოქმედებით უძღურებაზე, იოლი გზებით სიარულზე მეტყველებს).

ახალ ტილოში „ფორე მოსულიშვილი“ ედუარდ ამბოკაძე იტალიის ერთგული გმირის სიცოცხლის ბოლო წუთებს, მისი გმირობის მომენტს აღბეჭდავს. მხატვარი შორეული წერტილიდან უმზერს სცენას. ჩვენს წინაშე გორაკის ფერდობია, ხშირტოტიანი, ფოთოლშემოძარცვული ხეებით. მუქ, შავ-ლილისფერ ტონალობაში, სილუეტური საზობრივი რიტმებით ვადაწყვეტილი სურათი უთუოდ განაწყობს მაყურებელს დაძაბული, ტრაგიკულად დიადი მომენტის აღსაქმელად. მაგრამ მომენტის სიდიადე (რის გადმოცემა ურთულეს მხატვრულ ამოცანად უნდა მივიჩნიოთ და საამისოდ ალბათ უფრო სხვა ხერხები იყო საჭირო) მაინც ვერ შეიგრძნობა. შესაძლოა იმიტომ, რომ თავისთავად შთამბეჭდავი ეს სცენა მოგვაგონებს შორეულ კინოკადრს, რომელიც ახლოს აღარ მოდის და ვერ ვხედავთ ვინ იყო ეს გმირი, რას განიცდიდა სიკვდილის წამებში. ამღვრეული ცის ფონზე მისი მკაფიო სილუეტი და წინა პლანზე ჩასაფრებული, მისკენ თოფმიღვრებული ფაშისტების ფიგურები მაინც ცოტას ამბობს ამ მომენტის შინაგან სიდიადეზე.


სურათები (ისევე როგორც საერთოდ სახვითი მხატვრული ნაწარმოები) ზოგჯერ მისი სახელწოდების გაცნობის გარეშე იკითხება: ნათელია სიუჟეტი, მხატვრული აზრი. შანაარსი სურათისა, რომელსაც ახლა გვინდა შევხვით და რომელიც ერთ-ერთ ორიგინალურად ჩაფიქრებულ ტილოდ მიგვაჩნია, მისი სახელწოდების წინასწარ გაუცნო-



გ. მიზანდარი.
საბჭოთა კავშირის გმირი
გ. სხულუხია.

ნ. მესხიძე.

მუზეუმში



ბლად ძნელად ამოსაცნობია (მიუხედავად იმისა, რომ ერთი რამ სრულიად ნათელია: ჩვენს წინაშეა დამარცხებული, დათრგუნვილი ფაშიზმი, არარაობად, უსახურ მასად ქცეული ადამიანები, რომლებიც უგუნურმა ბოროტმა ძალამ ღირსეულ ფინალამდე მიიყვანა). ფართო მაგისტრალზე რუხ სამხედრო ტანსაცმელში, გრძელ სწორკუთხოვან ნწკრივში მიაბიჯებენ თავჩაქინდრული ადამიანები. მაყურებელი ზემოდან დასცქერის ზოლებად დაყოფილ ამ მუქ მასას და ხედვის ეს წერტილი კიდევ უფრო აძლიერებს ამ ადამიანების სულიერი დათრგუნვის შეგრძნებას. დამარცხებული ძალის ხაზგასასმელად მხატვარს სხვა, წმინდა სახვითი ხერხი აქვს გამოყენებული — ადამიანთა ეს რუხი მასა გამოხატულია ქვევით მოკირწყლული მაგისტრალის ფოლადისფერ ფონზე და ქვების ეს წყობა გადმოცემულია არა ფერწერული საშუალებებით (ისევე, როგორც ადამიანთა ჯგუფი), არამედ ერთგვარი მოზაიკურ-რელიეფური ხერხით, რითაც სურათის ეს დეტალი — ფონი თავისი მკაფიო ხაზებით, ხელშესახები რელიეფურობით კიდევ უფრო „კლავს“ ამ მასას. თვით ამ

ტექნიკური მხატვრული ხერხის გამოყენება რამდენად აუცილებელი იყო, ეს სადავოა, მაგრამ გარკვეულ მხატვრულ ეფექტს ავტორი უთოოდ აღწევს.

სურათს ჰქვია „მათ მანც გაიარეს მოსკოვი“. სახელწოდების გარეშე, რა თქმა უნდა, ძნელია ტილოს კონკრეტული აზრის ამოცნობა, რამდენადაც არ არის მინიშნებული გარემოს არცერთი სხვა დეტალი. მოსკოვში, წითელ მოედანზე მოუხდათ გავლა ამ დამანგრეველი ომის მოთავეთა წარმომადგენლებს, მაგრამ გაიარეს როგორც დამარცხებულებმა, განადგურებულებმა — აი, რისი თქმა სურს ავტორს — ახალგაზრდა მხატვარს ვიტალი კაპანაძეს, რომელიც ამ ტილოთი საინტერესოდ მოაზროვნე ფერმწერად მოგვევლინა.

„დაბრუნება“ — რაოდენ სასიხარულოსა და სასიამოვნოსთან არის დაკავშირებული ამ სიტყვის შინაარსი, მით უმეტეს როცა იცი, რომ იგი გულისხმობს სიცოცხლის გადარჩენას, მშობლიურთან და უძვირფასესთან შეხვედრას, ცხოვრებას გაგრძელებას... ალბათ ამიტომაც აირჩია ბევრმა მხატვარმა ეს თემა და თითოეულმა თავისებურად



რ. სტურუა.
რაიხსტაგის აღება.
ა. სარჩიმელიძე.
პლაკატი.
გ. შხვატაბაია.
აჭანყება ტექსელზე.

გაიაზრა. მაგრამ ამ გააზრებაში ავტორები რამდენადმე მიუახლოვდნენ ერთმანეთს, იმ გაგებით, რომ ნაწარმოებებში, როგორც ზემოთაც აღნიშნა, ყოფითობის ელემენტებმა დაჩრდილა ადამიანთა ამაღლებული განცდა. მღელვარედ გასახსნელი თემა მათ ტილოებზე შედარებით უმნიშვნელო პროზად იქცა. ჩანს, საქმე აქ მხოლოდ იმაში როდია, რომ შეხვედრის სცენები (საყვარელ ქალიშვილიან, დედასთან თუ მამასთან) ამ ტილოებზე ხშირად კომპოზიციურად და აზრობრივად უკანა პლანზეა, არამედ უფრო იმაში, რომ ავტორებმა ვერ მიაკვლიეს ემოციურ წერტილს, ემოციურად ამოსავალ მხატვრულ ხერხს ადამიანის ცხოვრებაში დაბრუნების ამ განცდის გადმოხატვამდე. ეს შეიძლება ითქვას ე. ტოგონიძის გ. ვაკოშიძის, ა. ფარქოსაძის, ი. ცომაიას, ა. მოსიაშვილის, თ. მაისურაძის ტილოებზე, რომლებიც თუმცა გარკვეული ფერწერული ღირსებებით ხასიათდებიან, განსაკუთრებით გარემო-პეიზაჟის გადმოცემისას, მაგრამ ჩანაფიქრის ემოციური არსი, დედააზრი ამ ტილოებში ვერ გაიხსნა, ვერ გამოიკვეთა. აქ უნებურად გვახსენდება გივი ნარმანი-



ას მიერ ათი წლის წინათ შესრულებული იმავე სახელწოდების ტილო — „დაბრუნება“ (გამოფენა „მშვიდობის სადარაჯოზე“). სურათზე შორიდან, ზემო წერტილიდან ვუმზერთ ორი ადამიანის შეხვედრის სცენას, ვხედავთ მხოლოდ მათი ფიგურების მუქ სილუეტს, მაგრამ ვგრძნობთ ამ შეხვედრის მხურვალეობას, დაბრუნების სიხარულის ამაღლებულ განცდას. თვით ბუნებაა ჩართული მღელვარე განწყობილების შექმნაში. ირგვლივ თუმცა თოვლია, მაგრამ ნაადრევი გაზაფხულის სუნთქვა იგრძნობა შეუფოთლავ ხეთა უცნაურად ლამაზ სილუეტებში, მკაფიოდ რომ იკვთება ქათქათა ფონზე. შორს კი, პერსპექტივში მოჩანს მიმქროლავი სატვირთო მანქანა (საიდანაც ეს-ეს არის გადმომხტარა ჯარისკაცი თავისი ხელჩანთით) და მუქ, სველ ნაკვალევს ტოვებს. გივი ნარმანიას ეს ტილო დღესაც ერთერთ მეტად შთაბეჭდავ, პოეტურ ნაწარმოებად რჩება, რომელსაც მხატვრული ძალის მხრივ გვერდით ვერ ამოუდგნენ ამ თემაზე შესრულებული ახალი ტილოები, მათ შორის ნ. იგნატოვის ტილოც, რომელიც ზემოაღნიშნულ ავტორთა ნამუშევრებიდან არსებითად განსხვავებულია თავისი ჩანაფიქრითა და გადაწყვეტით, გამოირჩევა მხატვრისეული თავისებური ხატოვანებითა და პლასტიკით, გარკვეული სიმძაფრით ადამიანურ განცდათა გადმოცემაში, რაც არა მარტო კომპოზიციურ და კოლორიტულ წყობაში, არამედ თვით ამ ორი ფიგურის სულიერ მოძრაობაში იხატება.

ჩვენ ზოგჯერ მიზანდასახულად ვირჩევთ ნაწარმოებებს, შესრულებულს ერთსა და იმავე თემაზე, რათა უფრო ნათელი გახდეს რამდენად მიაღწია ცალკეულმა მხატვარმა ამ თემის ამაღლებულად გახსნას. კერძოდ, მუხუშუებისა და ექსკურსიების სიუჟეტზე (გარდა ნ. მესხიძისა) ფერწერული ტილოები წარმოადგინეს სხვა ავტორებმაც. მაგრამ სიუჟეტი მათ ნაწარმოებებში ვერ გაფართოვდა იდეურ შინაარსამდე, არ შეიცავს ღრმა აზრს, არ მიანიშნებს რაიმე მნიშვნელოვან სათქმელზე. აქ კვლავ უნებურად იბადება ასოციაცია 1965 წლის გამოფენაზე წარმოდგენილ დიმიტრი ერისთავის გრაფიკულ ციკლთან, რომელშიც ჟანრულობის, ყოფითობის კუთხიდან მხატვარმა შეძლო მნიშვნელოვანი შინაარსი ჩაექსოვა თითოეულ ფურცელში („დილა“, „აღლუმის რეპეტიცია დამით“, „მუხუშუში“), კერძოდ, კომპოზიციურად „მუხუშუში“ ნათელი იყო მხატვრის ჩანაფიქრი — დაეხატა სახეები ადამიანებისა — ჯარისკაცებისა, რომელთა ხელთაა კაცობრიობის საუკუნოვანი კულტურული მონაპოვრის დაცვა და ეს ჩანაფიქრი ავტორმა ძუნწი კომპოზიციური საშუალებებით, მაგრამ ხატოვანად გახსნა.

მსგავსი შინაარსი უდევს საფუძვლად ემილიან ადამიას ფერწერულ ტილოს „ექსკურსია მუხუშუში“. აქაც ჯარისკაცთა ჯგუფია წარმოდგენილი ისტორიულ მუხუშუში, ძველი ფრესკების ფონ-

ზე. მათ წინაშე მდგომი ქალიშვილი — ექსკურსიამძღოლი, ჩანს, თავის მოვალეობას ასრულებს. ყველაფერი თითქოს რიგზეა, მაგრამ მხატვარი ამბის გულგრილ თხრობას ვერ სცილდება. თვით პერსონაჟები რამდენადმე მოკლებული არიან სიცოცხლეს, ინდივიდუალობას, რაიმე ემოციის გამოხატვას ნახულითა და გაგონილით.

„ექსკურსია ქვათახევში“ ეწოდება მამია ასობადის ახალ ტილოს. ჩვენს წინაშე ოქროსფრად აელვარებული შემოდგომის მომხიბლავი პეიზაჟია გადაშლილი. მოშორებია ხეებს შორის, მოჩანს დიდებული ტაძარი. წინა პლანზე კი მუქ წრიულ ლაქად გამოიყოფა ჯარისკაცთა მჭიდროდ შეკრული ჯგუფი ექსკურსიამძღოლის ფიგურასთან ერთად. ადამიანთა ეს ჯგუფი მხოლოდ პატარა დეტალია სურათში, რომლის დიდ ნაწილს პეიზაჟური გარემო შეადგენს. ფაქტიურად ფერმწერის ეს ნაწარმოები მხატვრულად შთამბეჭდავი პეიზაჟური სურათი უფროა, ვიდრე გარკვეული შინაარსის შემცველი სიუჟეტური ტილო.

გამოფენაზე იყო რამდენიმე სურათი „მოლოდინის“ თემაზე, მაგრამ აქაც, პირდაპირ უნდა ვთქვათ, თემა ზედაპირულ გადაწყვეტას ვერ გა-

სცდა, სწორხაზოვნობითა და პერსონაჟთა არაფრისმთქმელი პოზიციებით ხასიათდებოდა. გამოხატვისად შეიძლება მივიჩნიოთ ვ. თოიძისა და ბ. შველიძის ტილოები: პირველმა ბინდით მიცული ქალაქის რომანტიკული ჰეიზაჟის ფონზე გვიჩვენა ქუჩაში მდგომი ქალები, მოუთმენლად რომ ელიან ფოსტალიონს. მეორემ ბუხრის წინ მჯდომი მოხუცი ცოლ-ქმრის მომხიბვლელ, ცოცხალ სახეებში მშობელთა ფაქიზი სულიერი განცდები გადმოსცა. ბ. შველიძეს საერთოდ ეხერხება ადამიანთა გარეგნულად თითქოს სტატიკურ ფიგურებში მათი შინაგანი განწყობილების ჩვენება. ამგვარი იყო ათი წლის წინანდელი მისი „მოგონებაც“, ფსიქოლოგიურად მართალი და სახვითად მეტყველი ტილო, დაღუპული ჯარისკაცის მოგონების დიდებულ წუთებს რომ გვაგაჩინებდა თითოეული პერსონაჟის იერში.

მსგავსი ჩანაფიქრია ხორცმესხმული ვ. მარგიანის „შესანდობარში“, მაგრამ აქ მხატვარი შორი პლანით გვიჩვენებს დამწუხრებული ადამიანების ჯგუფს და სევდის განწყობილებას ქმნის სურათის კომპოზიციურ-ფერადოვანი წყობით.

რადიმ თორდია, რომლის ერთ-ერთი პირველი



მ. ჟორჯოლაძე.
მარუხის გმირები.

ზ. რაზმაძე.
კვლავ სახელოსნოში.



შემოქმედებითი წარმატება (ისევე, როგორც სო-
ციურთი მისი თაობის მხატვრისა) ათი წლის
წინანდელ რესპუბლიკურ გამოფენას უკავშირდე-
ბა („ერთი ერთზე“, გამოფენა „მშვიდობის სა-
დარაჯოზე“), ამჯერად სრულიად სხვაგვარი ხასი-
ათის სურათით — ჟანრული კომპოზიციით წარ-
მოგვიდგა. ეს არცთუ მოულოდნელი იყო, რამ-
დენადაც ამ ათწლეულის მანძილზე მხატვარმა
უფრო ლირიკულ-რომანტიკულ ჟანრულ ფერწე-
რაში იპოვა თავი და ბევრი გამომსახველი ტილო
შექმნა. „ჯარისკაცის ქორწილიც“ ამ ხაზის გა-
გრძელებად მიგვაჩნია, მაგრამ არა თვით მომენ-
ტის, ამბის არსის ფსიქოლოგიური აქცენტებით,
არამედ სურათის სანახაობრივ მხარეზე ყურად-
ღების გადატანით.

იდური ჩანაფიქრისა და მისი მხატვრულ-
ფერწერული გააზრების მხრივ, ექსპოზიციაში
ყურადღება მიიზიდა აგრეთვე სურათებმა — ჯ-
მირზაშვილის „იყო მათი ორმოცდახუთის“, ლ.
კვასხვაძის „გამარჯვების დღე“, გ. სიფროშვილის
„დღეა“, თ. ფიცხელაურის „ჯარისკაცის კვირა-
დღე“, გ. ჩირინაშვილის „სიცოცხლე გრძელდება“,
თ. ცხონდიას „მშვიდობა მომავალს“ და სხვ.

გამოფენის გრაფიკული ნაწილი ძირითადად
მასალაში (ლითოგრაფია, ლინოგრაფიურა,
ოფორტი) შესრულებული სერიული ფურცლები-
დან შედგებოდა. ბევრი ავტორი რამდენიმე, თე-
მატურად გაერთიანებული ნამუშევრით იყო წარ-
მოდგენილი და თითოეულს არა მხოლოდ მასა-
ლის სპეციფიკით გაპირობებული, არამედ გრაფი-
კული გადაწყვეტის ინდივიდუალობა და თავისე-
ბურება გამოარჩევდა. კომპოზიციები ასახავდა
ფრონტულ ეპიზოდებს, ომის პერიოდის ზურვის
ცხოვრების ყოველდღიურობას. თუმცა ამ ნაწარ-
მოებთა დიდი ნაწილი პროფესიულად და მხა-
ტვრულად გარკვეულ ინტერესს იწვევდა, მაგრამ
აქაც განსაკუთრებული „გამონათებები“ ამჯერად
ვერ ვიხილეთ. აქ ისიც არის აღსანიშნავი, რომ
ახალგაზრდა გრაფიკოსები გამოფენის მონაწილე-
თა თვალსაჩინო ნაწილს წარმოადგენენ და, რაც
მთავარია, პროფესიული ოსტატობის მხრივაც
კარგ მონაცემებს ამჟღავნებენ. თანამედროვეობის
გრძნობა, საკუთარი ენის გამოხატვა, მასალის
ფლობა ჩანდა მათ ნამუშევრებში.

უფრო საინტერესო და შთაბეჭდავი იყო პლა-
კატისტიკების შემოქმედება. პლაკატი თუმცა მრავ-
ალრიცხოვნად არ იყო წარმოდგენილი, მაგრამ
მახვილი მხატვრული მიგნებებითა და აზრობრივ-
ემოციური გამომსახველობით გამოირჩეოდა.
განსაკუთრებით ეს ითქმის ი. გორდელაძის
პლაკატებზე „დიადი გამარჯვება“, „ბოროტსა
სძლია კეთილმა“, „გამარჯვების დღე“, აგრეთვე
ა. სარჩიელიძის, რ. კონდახსაზოვის, თ. მესხის,
დ. მალრძისა და სხვათა პლაკატებზე.

როცა ზემოთ აღვნიშნავდით, რომ მხატვრებმა

ამჯერად ხშირ შემთხვევაში ვერ მიაკვლიეს
გზებს თემების შთაბეჭდავად გახსნისაკენ,
ჩვენი აზრით, პირველ რიგში ესება ქანდაკებას,
გარდა რიგი პორტრეტული ქანდაკებისა (ვეული-
სხმობთ როგორც კონკრეტულ პიროვნებათა პორ-
ტრეტებს, ისე ზოგად მხატვრულ სახეებს) თით-
ქმის ვერც ერთმა ნაწარმოებმა განსაკუთრებული
ყურადღება ვერ მიიზიდა. ასე თუ ისე, საინტერესო
პლასტიკური გადაწყვეტის ნიმუში შესამჩნევად
ცოტა იყო ფიგურულ კომპოზიციებს შორის, ზო-
გიერთმა ნაწარმოებებმა კი სქემატიზმისა და პრი-
მიტივიზმის ტენდენციით, გაურკვეველი ჩანაფიქ-
რით თუ გაუმართლებელი მანერულობით მეტად
არასასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა.

დიდი სამამულო ომის გმირთა, ომის ვეტერან-
თა პორტრეტები გამოფენის სკულპტურული
ნაწილის უთუოდ საინტერესო ექსპონატებს წარ-
მოადგენდა. მოქანდაკეებმა შესძლეს ამ ადამიანე-
ბის გარეგნულ თავისებურებებთან ერთად მათი
ძძლავრი სულიერი და ინტელექტუალური სამყა-
როს ჩვენება (ს. კაკაბაძე — „საბჭოთა კავშირის
გმირი, გენერალ-პოლკოვნიკი კ. ლესელიძე“,
ტ. სიხარულიძე — „ომის ვეტერანი, გენერალ-
ლეიტენანტი ვ. ჯანჯღავა“, „პოლკოვნიკი ლ. ქუ-
დიძე“, თ. ფარულავა — „საბჭოთა კავშირის გმი-
რი ვ. კანკავა“, რ. შეროზია — „საბჭოთა კავში-
რის გმირი ვ. ჩიქოვანი“, ა. კიკნაველიძე — „საბ-
ჭოთა კავშირის გმირი ვ. ლურსმანაშვილი“ და
სხვ.).

საიუბილეო გამოფენაზე რიგი გამომსახველი
ნაწარმოებისა წარმოადგინეს თეატრალურმა
მხატვრებმა და დეკორატიულ-გამოყენებითი ხე-
ლოვნების ოსტატებმა. თეატრალური უსკივნები
სპექტაკლებისათვის (ეს არის საბალეტო და
დრამატული სპექტაკლები, აგებული დიდი სამა-
მულო ომის სიუჟეტებზე), რომელთა ავტორები
არიან ი. ასკურავა, ა. კაკაბაძე, შ. ჩიქოვანი, სა-
მეული — ა. სლოვინსკი, თ. ქოჩაკიძე და ი. ჩიკვა-
იძე, ცხადყოფენ სხვადასხვა ხელწერის მქონე ამ
საინტერესო შემოქმედთა მაღალ ხელოვნებას.

ახალი, ორიგინალურად გადაწყვეტილი ნამუ-
შევრები წარმოადგინეს კერამიკოსებმა, მინის,
ხის, ჭედურობისა და მინანქრის ოსტატებმა.
ექსპოზიციაში განსაკუთრებით მრავალრიცხოვნად
იყო გობელენი და თითოეულ ამ ნამუშევარს სა-
ფუძვლად ედო ომის, მშვიდობის, გამარჯვების
თემები. რა თქმა უნდა, ამ თემებმა ნაქსოვებში
პირობით-დეკორატიულად შეისხა ხორცი, მაგრამ
მხატვართა მიღწევა სწორედ იმაშია, რომ მათ
შეძლეს თემატური მოტივების გახსნა თვით გო-
ბელენის მხატვრული სპეციფიკის, მისი ძირითა-
დი — დეკორატიული დანიშნულების გათვალის-
წინებით. ფერადოვანი გამის, ხაზობრივი და
სიბრტყობრივი ლაქების კომპოზიციის შერჩევა
ამ ნამუშევრებში ავტორთა მაღალ გემოვნებასა და
შესრულების ფაქიზ ოსტატობაზე მეტყველებს.



კ. გოგიბერიძე, ნ. ბელიაევი და
გ. პროკოპინსკი სუხინინში. 1941
წლის 20 აპრილი.



მეგობრის მოგონება

კ. გოგიბერიძე.
დივიზიის პოლიტგანყოფილების
უფროსი ვ. კოლკა.



გენადი პროკოპინსკი,
ნიკოლოზ ბელიაევი


კ. გოგიბერიძე.

საფრონტო გზაზე.



1940 წელს მ. ბ. გრეკოვის სახელობის სამხედრო მხატვართა სტუდიაში წითელი არმიის რიგებში სამსახურის გასაღლელად მოვიდა კარლო დომენტის ძე გოგიბერიძე — ახალგაზრდა, ენერგიული, სიცოცხლის ხალისით სავსე მხატვარი, რომელმაც მაშინვე მოიპოვა ავტორიტეტი სტუდიაში. ჩვენ დავეგობრდით და ეს მეგობრობა მის სიკვდილამდე არ შეწყვეტილა. კარლო სტუდიის მამასახლისად დაინიშნა და ამის გამო ბევრი ორგანიზაციული სამუშაოს შესრულება უხდებოდა, მაგრამ მინც პოულობდა დროს გატაცებული შემოქმედებითი შრომისათვის. თითქმის ერთი წლის მანძილზე მან სამი ნამუშევარი შექმნა: „კოტოვსკის მიერ ბანდის განიარაღება“, „სუვოროვის ჯარის გადასვლა ეშმაკის ხიდზე“ და „ტამანის ლაშქრობა“. 1940 წლის მარტში სამხედრო მხატვართა ჯგუფი, მათ შორის კ. გოგიბერიძეც, თეთრფინელებთან ბრძოლების ადგილებზე გაემგზავრა მასალის შესაგროვებლად დიორამისთვის „წითელი არმიის შეტევა მანერჰეიმის ხაზზე“. დიდმა სამამულო ომმა შეწყვიტა ეს მუშაობა. 1942 წლის იანვარში სტუდია ჯგუფი, რვა კაცის შემადგენლობით, დასავლეთ ფრონტზე გაემგზავრა როკოსოვსკის მე-16 არმიაში.

ფრონტზე მისვლისას ჩვენ პატარა ჯგუფებად დავიყავით მოწინავე ხაზზე სამუშაოდ. ვაკეთებდით ჩანახატებს, ვუშვებდით საბრძოლო ფურცლებს, შევადგინეთ დივიზიის საბრძოლო გზის ამსახველი ალბომი. ერთ-ერთი ბრძოლის დროს გოგიბერიძემ და ბელიაევმა ფაშისტური ბატალიონის დროშა ჩაიგდეს ხელში, რისთვისაც ისინი სარდლობამ დააჯილდოვა. შეგროვილი ჩანახატების დასამუშავებლად თავს ვიყრიდით ქ. სუხინიჩში, მე-16 არმიის შტაბში. 1942 წლის 20 აპრილს, საფრონტო ჩანახატებზე მუშაობისას, მტრის ავიაციის თავდასხმის დროს, დაიღუპა კარლო გოგიბერიძე. ბელიაევი და მე მძიმედ დავიჭერით.



ნ. ბელიაევი. კ. გოგიბერიძის პორტრეტი

კარლო სუხინიჩში დავკრძალეთ. დავკარგეთ კარგი მეგობარი და კარგი მხატვარი. მისი ფრონტული ჩანახატები, ჩვენს ნახატებთან ერთად, გამოფენილი იყო სანგრებში. ეს იყო გრეკოველთა პირველი ვერნისაჟი. ქ. სუხინიჩის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ერთ კუთხეში მოწყობილია ექსპოზიცია, რომელიც გრეკოველთა საბრძოლო შემოქმედებით მოღვაწეობას აშუქებს. აქ გამოფენილია კარლო გოგიბერიძის ნახატებიც.

კ. გოგიბერიძე.
მტრის დამსხვრეული ტანკი.



განვლილის შესახებ

მოქალაქის სახელით

დიდი სამამულო ომის თემა ქართული კინოზო

გივი ბარამიძე



მცდათმა წელმა განვლო დიდი სამამულო ომის შემდეგ და როცა კი განვლილი ომის თემას მიმართავდა ხოლმე ქართული კინო, მარტო წარსულს კი არ იხსენებდა, არამედ ყოველთვის ბედნიერ მომავალზე ზრუნვას ისახავდა მიზნად. სხვაგვარად არავითარი გამართლება არ ექნებოდა ომის გახსენებას.

დიახ, ამის დავიწყება არ შეიძლება! უკეთესი მომავლის სახელით არავის უნდა მიეცეს უფლება განვლილი ტრაგედიის მივიწყებისა. კინოხელოვნებაც, როგორც ადამიანის გრძობებსა და გონებაზე ზემოქმედების უდიდესი ძალა, ცხადია, გამუდმებით უნდა შთააგონებდეს ყველას, რომ ომი „ომობანას თამაში“ როდია, რომ ტყუპის ცალები არიან ომი და სიკვდილი. ხოლო ადამიანი, რომელიც ხშირად არ იხსენებს სიკვდილის გარდუვალობას, ვერც ნამდვილ ადამიანურ სიცოცხლეს დააფასებს. ბოროტებას, უსამართლობას, ძალმომრეობას სწადიან ისინი, რომლებსაც ავიწყდებათ, რომ არსებობს სიკვდილი, რომლის დაჩქარებაც არაადამიანური სიცოცხლის დამკვიდრებას ძალუძს ყოველთვის და არსებობს სიცოცხლე, რომლის გახანგრძლივებაც ბედნიერების მომნიჭებელი ადამიანების წილხვედრია მხოლოდ.

იმ მძიმე განსაცდელის ჟამსაც იშვიათად, მაგრამ სწორედ ამ ჭეშმარიტების გათვალისწინებით იქმნებოდა ქართული ფილმები. ქვემოთ ჩამოვთვლილნი, როცა 1941 წელს ეკრანზე ავიდნენ მებრძოლი, მოკლემეტრაჟიანი ქართული ფილმები: „სადარაჯო ჯისური“ (სცენარის ავტორები: კ. ლორთქიფანიძე, ი. მოსაშვილი; რეჟისორები: დ. ანთაძე, ა. ჯალიაშვილი), „შავ მთებში“ (სცენარის ავტორი ბ. ბალაში, რეჟისორი ნ. შენგელაია), „ფორპოსტი“ (სცენარის ავტორები: ი. პერესტიანი, პ. მორსკოი, რეჟისორი კ. მიქაბერიძე); 1942 წელს მაყურებელმა ნახა სრულმეტრაჟიანი „ხიდი“ (სცენარის ავტორი გ. მდივანი, რეჟისორი კ. პიპინაშვილი), 1943 წელს — „ის კიდევ დაბრუნდება“ (სცენარის ავტორები: კ. ლორთქიფანიძე, ი. მოსაშვილი; რეჟისორები: ნ. შენგელაია, დ. ანთაძე) 1945 წელს — კინოკონცერტი „ჯურდაის ფარი“ (სცენარის ავტორები: გ. ლეონიძე, ს. დოლიძე, დ. რონდელი; რეჟისორები: ს. დოლიძე, დ. რონდელი) და სხვა.

ასლა, სამ ათეულ წელზე მეტი ხნის შემდეგ, ადვილია მათ მხატვრულ ღირსება-ნაკლოვანებაზე მსჯელობა, ისევე, როგორც შედარებით ადვილია თვით განვლილი ომის გაანალიზება. მაგრამ ომის მძიმე პირობებში შექმნილ ამ ფილმებსაც ნუ მოვთხოვთ დღევანდლობისათვის შესაფერ სრულყოფილებას. ომის დროს ისინი ღირსეულად პასუხობდნენ დროის მოთხოვნებს და მეტ-ნაკლები ძალით ხალხის საყვარელ ნაწარმოებებად იქცეოდნენ. აღსანიშნავია, რომ მათი ავტორების ძირითადი მიზანი იყო რა სამ-



წილობის დაცვის პროპაგანდა, ისინი არ მიმართავენ ეკრანის სპეციფიკური შესაძლებლობების გამოსავლენად ომისთვის დამახასიათებელადამიანურ კონფლიქტს, არამედ ცდილობდნენ, რაც შეიძლება მაქსიმალურად და სწრაფად განოყენებინათ იმდროისათვის არცთუ მდიდარი სპეციფიკური შესაძლებლობები ხასიათებისა და კონფლიქტების გამოსავლენად. და თუ ზოგჯერ ისინი ვერ ახერხებდნენ ფრონტსა და ზურგში მომხდარ კონკრეტულ მოვლენათა ისტორიული არსის გახსნას მთელი სიღრმით, ეს, იმდროისათვის დამახასიათებელი საერთო ნაკლი, აიხსნებოდა იმით, რომ ავტორები (გგულისხმობთ ისეთი თვალსაჩინო რუსული ფილმების ავტორებსაც კი, როგორც იყო „მაშენკა“, „იგი სამშობლოს იცავს“, „ცისარტყელა“, „შემოსევა“ და სხვ.) საკმარისად არ იცნობდნენ ომის რეალურ ფრონტულ სირთულეებს.

დროთა ვითარებაში თანდათანობით მეტი შესაძლებლობა იქმნებოდა მომხდარი მოვლენის გასაანალიზებლად. ასეთი პროგრესით აღინიშნება უკვე ომის დასასრულს შოთა მანაგაძის პირველი დამოუკიდებელი კინოკომედია „ჭირვეული მეზობლები“. რეჟისორმა გიორგი მდივნის სცენარის მიხედვით შექმნა მხატვრული ნაწარმოები სამამულო ომის თემაზე. ფილმში კარგადაა გამოყენებული ქართული ხალხური კომედიის ტრადიციები, თბილი იუმორი. მართალია, ფილმის წარმატება დიდად განაპირობა მთავარ როლებში ისეთი გამოცდილი მსახიობების მონაწილეობამ, როგორც იყვნენ: შალვა ღამბაშიძე (გრამიტონი) და ალექსანდრე ჟორჟოლიანი (ამირანი), მაგრამ მართლაც ამ ორი კოლორიტული როლით როდი ამოიწურება სურათის ღირსებები. ფილმში დროის ხასიათი გაშარებულად ან ფაქტების კონსტატაციით კი არ არის წარმოდგენილი, არამედ მხატვრული ანალიზის შედეგად მიღებული განზოგადებით. ასე გვიხატავს რეჟისორი სამამულო ომის დროინდელ ქართულ საკოლმეურნეო სოფელს, გვიჩვენებს ხალხის პატრიოტულ სულისკვეთებას.

რა თქმა უნდა, რეჟისორის ეს პირველი დამოუკიდებელი ნაწარმოები, ისიც კომედიური ჟანრისა, თავისუფალი ვერ იქნებოდა ხარვეზებისაგან, მაგრამ იგი თავისი მიზანდასახულობით, თემის აქტუალობით, აქტიორული შესრულებითა და დადგმის მთელი რიგი ოსტატური განსახიერებით, სათანადო ადგილს იჭერს სამამულო ომის თემაზე შექმნილ კომედიური ჟანრის ფილმებს შორის. ამის ნათელი დადასტურებაა ისიც, რომ „ჭირვეულმა მეზობლებმა“ შესანიშნავად გაუძლო დროის გამოცდას.

უფრო გვიან, ჯერ „კეთილ ადამიანებში“, ხოლო შემდეგ „ჯვარცმულ კუნძულში“ კიდევ უფრო მეტი სიმძაფრით დაგვიხატა შოთა მანაგაძემ ომის სიმწვავე.

„კეთილ ადამიანებში“ უშუალოდ ფრონტული

გარემო არაა ასახული, მაგრამ განსაკუთრებით მის პირველ კადრებში ნათლად ვგრძნობთ ომის მძიმე ატმოსფეროს, რომელმაც გიგა ბეთანელის მსგავს ბევრ წმინდა სულის ყმაწვილს განაცდევინა მოუშუშებელი ტკივილები. ფილმში არ არის მწვავე კონფლიქტი წარმავალსა თუ მომავალს, ბორბტსა თუ კეთილს შორის (ამ სიტყვის ტრადიციული გაგებით). სულიერი დრამა იმით გაწამებული ადამიანების ცოცხალი ხასიათების ფსიქოლოგიური სიმართლით იხსნება. დრამატულ სიუჟეტურ ქარავში ჩატეული ადამიანური გაცდების სირთულე, დადებითისა და უარყოფითის რეკლამური ჭიდილის ნაცვლად, მაწენ ცხოვრებისეულ მოვლენებთან შერკინება, წმინდა გრძნობების, ძლიერი ინტელექტის ზეიმი შმაგ გზნებებზე — აი ფილმის მხატვრული სიმართლე. ზუსტად შერჩეული აქტიორული ძალები (ო. მეღვინეთუხუცესი, ნანა პირველი, თ. არჩვაძე...) ემოციური და შთამბეჭდავი გამომსახველობითი ხერხები, ბევრ სხვა ღირსებასთან ერთად, აქარწყლებენ ზოგიერთ უმნიშვნელო ხარვეზს, აქა-იქ გამოვლენილ აზრის მშრალ ილუსტრირებას.

„ჯვარცმულ კუნძულში“ (1968) კი შოთა მანაგაძე უშუალოდ მკორე მსოფლიო ომის დროს ჰოლანდიის კუნძულ ტექსელზე დატრიალებულ საყოველთაოდ ცნობილ ტრაგედიას ეხება. რეჟისორმა თაბუკაშვილის მიერ ამ ფილმისათვის შექმნილ სცენარში ასახულია ისტორიული ფაქტი. გერმანელების მიერ ტექსელზე თავმოყრილმა ქართველმა სამხედრო ტყვეებმა, ჰოლანდიის წინააღმდეგობის მოძრაობასთან კავშირში, აჯანყება მოაწყვეს ფაშისტური გარნიზონის წინააღმდეგ. სამამულო ომის ისტორიაში ეს იყო სამაგალითო გმირული ეპოპეა. ქართველმა ვაჟაკებმა გამოიჩინეს დიდი მორალური სიმტკიცე, სამშობლოსა და ჰოლანდიელი ხალხის თავისუფლებას თავი შესწირეს. ბრძოლაში დაეცა ხუთასზე მეტი ქართველი.

ფილმის ავტორებს, აღნიშნული მოვლენის ისტორიასთან ერთად, აინტერესებთ ხასიათების ისტორიაც. ეს ხასიათები არ არის ცალკე, განსაკუთრებულად გამოყოფილი. ფილმში არ არიან საგანგებოდ გამორჩეული გმირები. არის გმირი — მასა, სადაც ერთიან ძალად ქცეულა სუსტი და ძლიერი, მერყევი და მტკიცე, სკეპტიკოსი და ოპტიმისტი, რადგან არსებობს საერთო მიზანი: სამშობლოს სიყვარული, რადგან წამყვანია ნებისყოფა და სიმტკიცე.

ომის თემაზე გადაღებულ ფილმებში ხშირად მტერი წარმოდგენილია კარიკატურულად, დამახინჯებულად. შ. მანაგაძე არ აუფერულებს სოციალური კონფლიქტის მთელ სიმწვავეს. მტერი აქ სერიოზული, სამიში ძალაა, რომელსაც არ აკლია ადამიანური სუსტი და ძლიერი თვისებები, აქვს თავისი მრწამსი, სულ ერთია, ბა-



კადრი ფილმიდან „შეწყვეტილი სიმღერა“.

ნაკის უფროსი იქნება იგი თუ მისი ქალიშვილი ლოტა (ა. შენგელაია), ჰოლანდიელი ნაცისტის თუ უბრალო გერმანელი ჯარისკაცი.

რა თქმა უნდა, ფილმის ავტორებს შეეძლოთ უფრო კოლორიტული გაეხადათ ქართველების ეროვნული და ინტერნაციონალური ბუნება, უფრო მკაფიოდ ეჩვენებინათ აჯანყებულთა დამოკიდებულება ჰოლანდიის წინააღმდეგობის მოძრაობასთან. ფილმში რამდენადმე ჩრდილი შეაქვს ტყვეთა საერთო იერსაც, რადგან მათ არ აჩნიათ ტყვეობაში ნატანჯი ადამიანების დაღი (მართო წვერის მოშვება საქმეს როდი შველის). ეს აფერმკრთალებს შექმნილი მდგომარეობის ტრაგიკულ ატმოსფეროს, არ იძლევა სიტყვიერი მასალის ფაქტიურ დადასტურებას.

სიუჟეტის განვითარების, ომში ჩვენი მოკავშირეების გულგრილობის ჩვენების თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დახმარების სათხოვნელად ინგლისში ქართველების გაგზავნის ამბავს. მას კი მხოლოდ მინიშნებით, სასხვათაშორისოდ გვიჩვენებენ და შედეგს მხოლოდ დიქტორის ტექსტით გვამცნობენ.

საერთოდ კი, ტრაგიკული ფინალის მიუხედავად, „ჯვარცმული კუნძული“ მაინც ნათელა იმედით განაწყობს მაყურებელს და ავსებს ჰუმანური გრძნობით, თავისუფლებისა და სამშობლოს სიყვარულით. ეს დიდი სიყვარული გვაგრძნობინა შოთა მანაგაძემ თავის ვაჟიშვილთან --- ნოდარ მანაგაძესთან ერთად შექმნილ შემდგომ ფილმშიც „მოლოდინი“.

მძიმე ბედი ხვდა წილად „მოლოდინს“. ამ ფართოეკრანიან ფერად ფილმზე პირველად კ. პიპინაშვილმა დაიწყო მუშაობა. მოულოდნელად გარდაიცვალა რეჟისორი. ყველას უმძიმდა განსვენებული რეჟისორის ჩანაფიქრის ხორცშესხმა. მანაგაძეების სასახლოდ უნდა ითქვას, რომ მათ არ დაუზოგავთ ძალ-ღონე, რათა პიპინაშვილისეული ჩანაფიქრის მიმართაც გამოეჩინათ ერთგულება და არც თავიანთი წვლილი დაჰკარგოდათ.

ფილმში მთავარ როლს ასრულებს ლეილა აბაშიძე. იგი ამავე დროს გ. ხუხაშვილთან, შ. მანაგაძესთან და კ. პიპინაშვილთან ერთად სცენარის ერთ-ერთი ავტორიცაა.

ფილმში ბევრი რამ ზედაპირული და მონოტონური აღმოჩნდა, მაგრამ ავტორებმა მაინც შესძლეს სამამულო ომის დროინდელი საქართველოს მთის ერთი პატარა სოფლის მცხოვრებთა საერთო მდგომარეობის ასახვა.

ჩვენს წინაშე გაივლის დაძაბული, განსაცდელითა და გაჭირვებით აღსავსე ომის მძიმე დღეები. მოქმედების ცენტრში დგას დედა-შვილის, მარიამ და ლაშა შეროზიების ცხოვრება. ექიმი ქალი მარიამი (ლ. აბაშიძე), რომელიც ადრე დაქვრივდა, სოფლის ამაგდარი, ძლიერი ნებისყოფის ადამიანია. მოვლენები ისე ვითარდება,

კადრი ფილმიდან „ლიმილის ბიჭები“.



რომ აუცილებელია ლაშაც ფრონტზე წავიდეს. მრავალჭირნახული ქალისაგან ომი დაუზოგავად ითხოვს ყველაფერს. ბოლოს დგება მომენტი, როცა დედა მასთან დარჩენილ ერთადერთ შვილსაც სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში გზავნის, რადგან არსებობს სამშობლოს სიყვარულის უმაღლესი გრძნობა, რომელიც ყველაფერზე ძლიერი აღმოჩნდა.

ის, რაც მოაკლდა დედის სახეს ამ ფილმში, სულიკო ჟღენტის სცენარის საფუძველზე დადგმულ „წუთისოფელში“ ქართველი დედის — სიდონიას სახით თითქოს შეავსეს რეჟისორებმა. სიდონია არასოდეს გასცილებია თავის პატარა სოფელს, მაგრამ რაც ჩვენმა ქვეყანამ გამოიარა ოციანი წლებიდან დღემდე, მის პირად ცხოვრებასაც შეეხო. დიდმა სამამულო ომამაც მის „ეზოზე გადაიარა“. ამიტომაც ავტორები ამ უახლოეს წარსულსა და აწმყოსაც თითქოს სიდონიას — ცხოვრებაში მრავალჭირგამოვლილი ქართველი დედის თვალთ, მისი უშუალოდ თა და გააზრებით გვთავაზობენ.

ლიტერატურულ სცენარს თავიდანვე „დედის ფიქრები“ ეწოდებოდა. „წუთისოფელში“ მოთხრობილ ამბავს სწორედ დედის ფიქრებით, დედის თვალთახედვით აქვს გაკეთებული ანალიზი. ეუდა აქ განზოგადებული გამოხატულებაა და, როცა მას ვუყურებთ სოფიკო ჭიაურელის განსახიერებით, ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, თითქოს საგანგებოდ მისთვის ჩაუფიქრებიათ ეს როლი.

ს. ჭიაურელის სიდონია გვამცნობს არა მხოლოდ პირად დრამას, თავისი ხუთი შვილის დარდას და სიხარულს, არამედ მთელი წუთისოფლის არსს. იგი არც თავმჯდომარეა და არც სოფლის მოთავე, მაგრამ თავისი ძლიერი ნებისყოფითა და სისპეტაკით, ჩვენი ხალხის საუკეთესო განზოგადებაა. ეს ის ხალხია, რომელმაც ყველაზე მეტი მსხვერპლი გაიღო სამამულო ომში და სამშობლოს წინაშე პირნათელი დარჩა.

ჩვენ შეგნებულად ავცდით ომის თემაზე შექმნილი ფილმების თანმიმდევრობას, რადგან გვინდოდა გარკვეული წარმოდგენა შეგვენარჩუნებინა ომის თემისადმი მანაგაძეების დამოკიდებულების შემოქმედებით ევოლუციასზე. ესეც არ იყოს, მიზნად არც გვაქვს დასახული ამ ერთ წერილში შევეჩოთ ომის თემაზე შექმნილ ყველა ფილმს. ამჟღად მათგან გამოვყოფთ მხოლოდ რამდენიმეს, რომლებშიც აისახა სამამულო ომი.

ომის თემამ თავისებური არეკლვა ჰპოვა ლანა დოლობერიძის პირველ კინონოველაში „მტრედები“. ეს ფილმი არჩილ სულაკაურის შესანიშნავი მოთხრობის მიხედვით დადგა რეჟისორმა ლ. დოლობერიძემ.

სამოციანი წლების დასაწყისში ჩვენ ენე-

მატოგრაფისტები განსაკუთრებით ამახვილებენ ყურადღებას სამამულო ომის ისტორიულად სწორი პოზიციებიდან განჭვრეტაზე. ასეთი დამოკიდებულებით დადგა ნიკოლოზ სანიშვილმა ფილმი „შეწყვეტილი სიმღერა“, რომელიც კინოსტუდია „ქართული ფილმისა“ და ბრატისლავის კინოსტუდია „კოლიბას“ მეგობრული თანამშრომლობით შექმნა (სცენარის ავტორები: კ. ლორთქიფანიძე, ნ. სანიშვილი და სლოვაკელი მწერალი პ. მარენიჩი).

სამამულო ომის დროს, ბრძოლის ველზე შემთხვევით შეხვდნენ ერთმანეთს ქართველი ქალიშვილი და სლოვაკი ჭაბუკი. ახალგაზრდების სიყვარულის ამ ნამდვილმა ისტორიამ საინტერესო მხატვრული ასახვა ჰპოვა ფილმში. სიუჟეტურ ქარგასთან ორიგინალურადაა შერწყმული პატრიოტიზმის, ხალხთა მეგობრობის, მორალური და მოქალაქეობრივი სიწმინდის მარადიული თემები.

შეიძლება ითქვას, რომ „შეწყვეტილმა სიმღერამ“ ჩაუყარა საფუძველი ომის თემის მრავალმხრივ და სერიოზულ დამუშავებას ქართულ კინოში.

სიკეთის გრძნობა, იუმორი და მახვილგონიერება მოიტანეს ეკრანზე ნოდარ დუმბაძის მოთხრობებმა „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ და „მე ვხედავ მზეს“. პირველი ფილმი, რომელიც თენგიზ აბულაძემ დადგა, მართალია, ომის თემას ნაწილობრივ ეხება, მაგრამ მეტად მკაფიოდ და თავისებურად. რეჟისორი სცენარშივე ძირითადად გაყვა მწერლის მიზანდასახულებას, მის ჰუმანიურ სულისკვეთებას, რაც, ცხადია, სულაც არ გულისხმობს მოთხრობის სიტყვა-სიტყვით გადატანას ეკრანზე. ეს ეკრანიზაციის თვალსაზრისითაც გაუმართლებელი იქნებოდა. მთავარი ისაა, რომ ნ. დუმბაძის მოთხრობის არსებითი მხარე ფილმშიაც დარჩა, მაგრამ განახლებული გააზრებითა და აბულაძისეულ სტილისტიკასთან შეთავსებით. რეჟისორი ომის ატმოსფეროს უსადაგებს ფილმის ტრაგიკომიკურ ჟანრს და მისთვის ჩვეული მხატვრული სიძლიერით ძერწავს ნ. დუმბაძისეულ ეროვნულ ხასიათებს. ეს გმირები ძნელბედობის ჟამსაც ისეთივე მოყვასნი, სამართლიანნი და მტკიცე ნებისყოფისანი არიან, როგორც მშვიდობიანობის დროს. აი, სწორედ ეს „მკვეთრი ეროვნული ხასიათები“ მოუწონა ფილმის ავტორებს თავის დროზე გაზეთმა „პრავდამ“. ფილმში ასახულ სოფელს, მართალია, ომის ჭექა-ქუხილი არ აზანზარებდა, მაგრამ მისი მოსახლეობის მსგავსმა, სულიერად წმინდა ხალხმა უზრუნველყო მშვიდობიანი ზურგის სიმტკიცე. ასეთი ხალხის დახმარებით რამდენადმე იოლი ასატანიც გახდა ომით მოყენებული ტკივილები.

ფილმის „მე ვხედავ მზეს“ გადაღების პროცესში რეჟისორმა ლანა დოლობერიძემ განაცხადა: ნ. დუმბაძის ამ რომანის ეკრანიზაციას გა-



კადრი ფილმიდან
„ჯარისკაცის მამა“.

ტაცებით დავეწაფე, რადგან მან მიმიჩიდა თავისი ადამიანურობით, სახეთა პოეტურობით, და უნდა ვაღიარო, რომ ცოტა არ იყოს, ვღელავ, ვაითუ მკითხველების მიერ უკვე შეყვარებული რომანის გმირები ეკრანზე შესაფერისად ვერ გამოჩნდნენო. მას შემდეგ, რაც უკვე ბევრმა მაყურებელმა ნახა ფილმი „მე ვხედავ მზეს“, დადასტურდა, რომ რეჟისორის მღელვარება უსაფუძვლო არ ყოფილა.

ფილმის ავტორებმა სწორად დაინახეს ომის დროინდელი ერთი პატარა ქართული სოფელი და მისი კეთილი მცხოვრებნი. დუმბაძის მოთხრობის მსგავსად აქაც, ერთმანეთს ერწყმის კომედია და დრამა, ყოფითობის ფილოსოფია და პროზა, არის კარგად მიგნებული მეტაფორული სახეც (ომის გამოცხადებისას კინოკამერის შეჭრა სინათლიდან ბნელ გვირაბში, ხოლო ომის დამთავრების შემდეგ ელმავლის მთელი სისწრაფით ისევ სინათლეზე გამოსვლა — მზისა და სიცოცხლისაკენ ლტოლვის გამომხატველი სიმბოლურ-ალეგორიული გააზრება), მაგრამ მაინც ვერ დაიბადა ის დიდი პოეზია, ემოციურ ზემოქმედებას რომ უნდა ახდენდეს მაყურებელზე. შეიმჩნევა ეპიზოდების შეუსაბამობა. ზოგჯერ ცრემლისმომგვრელი, ღრმა განცდებით სავსე სცენის შემდეგ შემოიჭრება ხოლმე ნაკლებად შთამაგონებელი და რიტმულად მოდუნებული, მოსაწყენი ეპიზოდი. ომის ატმოსფეროს შეგრძნების თავალსაზრისით ფილმს რაღაც არსებითი აკლია, რომლის დამატებაც უკვე არა მისი ავტორების,

არამედ მაყურებლის უშუალო პოეტური წარმოსახვით თუ შეიძლება.

— ვინმე ხომ არ შემოგაკვდა, შვილო? — ეკითხება ბებია ომიდან დაბრუნებულ შვილს ფილმში „დიდელები და შვილიშვილები“ (სცენარის ავტორი მერაბ ელიოზიშვილი, რეჟისორი ნანა მჭედლიძე) და ამ, ერთი შეხედვით, მეტად გულუბრყვილო შეკითხვაში შეიცნობა ის დიდი ჰუმანიური ქვეტექსტი, რომელიც ლეიტმოტივად გასდევს მთელ ფილმს. ეს ალალ-მართალი ქართველი გლეხის გულისთქმაა, ეს პროტესტია ყოველგვარი კვლის წინააღმდეგ, ომში თუ მშვიდობიანობისას, რადგან კვლა სიკვდილია, სიკვდილის გამარჯვება კი ვერაფერი ბედენაა. საქმე ისაა, სიცოცხლით გაიმარჯვო სიკვდილზე, ბებიას ეს სიბრძნე არსად არ უსწავლია, იგი მემკვიდრეობით გამოჰყვა მას ქართული წიადიდან, მიწიდან, რომლის შვილებმაც დიდი გაჭირვების დროსაც კი იციან ერთმანეთის გატანა, სიკეთის პატივისცემა და სამშობლოს სიყვარული...

უშუალოდ ომის მოვლენებს ასახავს დავით რონდელის ფილმი „ზოია რუხაძე“. იგი მოგვითხრობს მამაცი ქართველი ქალიშვილის კეთილშობილურ ცხოვრებასა და გმირულ სიკვდილზე. ზოიამ თავისი ახალგაზრდა სიცოცხლე შესწირა სამშობლოს თავისუფლებას, რუს ხალხთან მეგობრობას. მისი სიმამაცე ანალოგიურია ზოია კოსმოდემიანსკაიას სიმამაცისა. სიმფეროპოლში, ფაშისტური საპყრობილის 25-ე საკანის კედელს შემორჩა დაუმთავრებელი

წარწერა: „აქ იჯდა ზოია რუხაძე 1944 წლის 10/III-დან...“ ეს მრავალწერტილი სიმბოლური აღმოჩნდა. ზოიას სიცოცხლე არ დამთავრებულა. ფილმის ავტორები შეეცადნენ, ღირსეული ხარკი მიეზღოთ მისი უკვდავებისათვის. საგულისხმოა, რომ ფილმისათვის სცენარი რევაზ ებრაღიძესთან ერთად დაწერა ყირიმის პარტიზანული მოძრაობის მეთაურის მოადგილემ გიორგი სევერსკიმ. ფილმის მთელ შემოქმედებით კოლექტივს კეთილშობილური მიზანი ამოძრავებდა: დღევანდელი თაობისათვის ცოცხლად წარმოედგინა მამაცი ქართველი ქალიშვილის გმირული საქმიანობა.

რეჟისორს აქცენტი გადააქვს ფილმის ეპიკურ ჟღერადობაზე. ბევრი ეპიზოდი მღელვარედ და ემოციურად გადმოგვცემს ახალგაზრდა პატრიოტების თავგანწირულ ბრძოლას ჰიტლერელების წინააღმდეგ. მთავარი თპერატორები ა. ვოდოლაჟსკი და ლ. ნამგალაშვილი გარკვეულ წარმატებებს აღწვევენ გმირთა პორტრეტული დახასიათების დროს. კომპოზიციურად და განათლების მხრივაც გამომსახველია ბრძოლის ეპიზოდები, მაგრამ ზოგჯერ მსახიობების ხელოვნება, რეჟისურა, სახვითი და მუსიკალური (კომპოზიტორი ნ. მამისაშვილი) გაფორმება არატოლფარდოვანია, რაც საგრძნობლად არღვევს ფილმის მთლიანობას. ასე, მაგალითად: თუ შთამბეჭდავია ფაშისტებით ალყაშემორტყმული ზოია რუხაძისა და პარტიზან პეტრე გვალიას (ო. ყიფიანი) ბრძოლის დაცაბუღლი სცენა, ფილმის ეპიკურ ჟღერადობას რამდენადმე აწელებს ტრაფარეტული გადაწყვეტა ფაშისტების მუსიკალური დახასიათებისა. გამოცდილი მსახიობების (ი. სო-

როკინი, ს. კონოვალოვა, მ. ჟიროვი, ბ. კობახიძე, ი. ტრიპოლსკი, ვ. ალტანოვი...) ანსამბლში მომხიბვლელად გამოიყურება ცენტრალური სახე ზოია რუხაძისა, რომელსაც საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფიზიკის ფაკულტეტის მაშინდელი სტუდენტი მანანა მღივანი უშუალოდ ასრულებს, მაგრამ ამ დებიუტანტ მსახიობს, საგრძნობლად აკლია ქართული ეროვნული ხასიათის გამოვლენის თავისებურება, ის ყმაწვილქალური გმირული შემართება, რომლითაც თურმე განსაკუთრებით გამოირჩეოდა თანატოლებისაგან ზოია რუხაძე.

ომის თემას ეძღვნება არსებითად სიკო დოლიძის ფერადი, ფართოკარნიანი ფილმი „სემირამიდას ბაღები“. მის ძირითად სიუჟეტურ ბირთვს წარმოადგენს უკრაინის გენიჩესკისა და საქართველოს მახარადის რაიონის კოლმეურნეთა მეგობრობა. ფილმი ნახვისთანავე მკვეთრად აგრძნობინებს მაყურებელს ორ ურთიერთსაპირისპირო მხარეს — იდეურ-შინაარსობრივ გამართულობას და ტიპიური გარემოსათვის შეუფერებელი ხასიათების გადმოცემის მხატვრულ ზიგზაგოვნებას.

ფილმის ცენტრალური ფიგურაა ქართველი ქალი, პატრიოტი დედა, სოფლის თვალისჩინი — მაგდა. ძირითად სიუჟეტურ ხაზს ერთვის მისი ვაჟის გიორგისა და უკრაინელი ქალიშვილის მარიას სიყვარულის თემაც. ხალხთა მეგობრობის საერთო ფონზე მათი სიყვარული სიმბოლურად გამოხატავს ორი მოქმე ხალხის ურღვევ კავშირს.

საერთოდ, სიუჟეტის დინამიკური განვითარება ს. დოლიძის შემოქმედების ერთ-ერთი არსე-



კადრი ფილმიდან „ბიჭები
იასანის ქუჩიდან“.

ბითი მომენტია. ეს ამ ფილმშიც ნათლად მჟღავნდება, სადაც შექმნილ სიტუაციებს თავისი ემოციური დატვირთულობაც ახლავს, მაგრამ ეს სევდამორეული მღელვარება ზოგჯერ მხოლოდ სიტუაციებით აღიძვრება და არა თვით ტიპური ხასიათების გახსნით. „სემირამიდას ბაღებში“ მაყურებელს ხშირად უფრო გარეშე ასოციაციები აღიძვრის, რადგან იშვიათია ადამიანი, რომელსაც ფილმმა არ გაახსენოს ომში დაღუპული რომელიმე ახლობელი, ან პირადი მონაწილეობით განცდილი უბედურება. მაშასადამე, გულისტკივილსაც და ცრემლებსაც ეს კადრმიღმა ახლობლები უფრო იმსახურებენ, ვიდრე თვით ფილმის პერსონაჟები. ისინი არსებითად შეუცნობელნი რჩებიან.

დეკლამაციურობის მიუხედავად, ფილმში სწორი მინაწინებები მიეცა ჩვენი თანამედროვე ადამიანის ძვირფას თვისებებს — საკუთარ ტვირთად მიიჩნის გერმანელი ფაშისტების მიერ მის ირგვლივ დატრიალებული უბედურების მთელი სიმძიმე, გაუძლოს ცხოვრებისეულ დაბრკოლებებს და იზრუნოს უკეთესი მომავლისათვის.

ჩვენ საგანგებოდ შემოვიხსნათ სამამულო ომის თემაზე შექმნილი ფილმების შეფასების საბოლოო აკორდებისთვის „ჯარისკაცის მამა“ და „ლიმილის ბიჭები“.

ქართული კინოს არსებობის მთელ მანძილზე არც ერთ ფილმს არ მოუპოვებია ისეთი აღიარება, როგორც წილად ხვდა კინოდრამატურგ სულიკო ჟღენტის, კინორეჟისორ რეზო ჩხეიძისა და მსახიობ სერგო ზაქარიასის „ჯარისკაცის მამას“.

ქართველი გლეხის — გიორგი მახარაშვილისათვის, რომელმაც დაჭრილი შვილის ძებნაში შემოიარა ფრონტის გზები, ომი იქცა გამოცდილების იმ სარკმლად, საიდანაც გამოჩნდა მთელი სამყარო თავისი მრავალმხრიობით, ხოლო, თავის მხრივ, სერგო ზაქარიასემ ეკრანი აქცია იმ სარკმლად, რომლიდანაც არც ერთ მშვიდობისმოყვარე, მართალ და კეთილ ადამიანს არ შეუძლია გულგრილად უყუროს მახარაშვილის ალალ-მართალი ბუნებით შეცნობილ სამყაროს. ფილმის ავტორებმა თითქმის მთელი მსოფლიო „აიძულეს“ ყოველივე განეცადა ქართველი გლეხკაცის, მხენელ-მთესველისა და მევენახის გიორგი მახარაშვილის ცხოვრებით და მასთან ერთად მოხვედრილიყო ტრაგიკული, მხიარული და მღელვარე ამბების ორომტრიალში.

„საიდუმლოდ გეტყვით, — თქვა ამასთან დაკავშირებით მოსკოვის IV საერთაშორისო კინოფესტივალის დროს კინომსახიობმა ტატიანა სამოილოვამ, — ფილმის დემონსტრირების დროს რამდენჯერმე ვიტყვით კიდევ. პირველად მომერიდა, შემდეგ მიმოვიხედე და დავინახე: ჩემს გვერდით ტიროდნენ კუბელი სტუმრები და ცნო-

ბილი ფრანგი მსახიობი მარინა ვლადი...“ შემდეგ კი ამ ფილმის ნახვის დროს ტიროდნენ და იცინოდნენ ამერიკელები და იტალიელები, ინგლისელები და გერმანელები...

ფილმმა „ჯარისკაცის მამამ“ ტრიუმფით შემოიარა მსოფლიო, სერგო ზაქარიასის მიერ შექმნილი სახე კი შევიდა არა მარტო ჩვენი ეროვნული კინოხელოვნების, არამედ მსოფლიო კინოხელოვნების საგანძურში, როგორც ეროვნულისა და ინტერნაციონალურის საუკეთესო გამოხატულება. იგი აფიქრებს ადამიანებს ცხოვრებაზე, ხვალისდელ დღეზე და მარტო ფიქრიც კი აკეთილშობილებს თითოეულს. მაყურებელი განიცდის ცხოვრების სიხარულს. ამ დიდი სიხარულის საფასურად კი ფილმის ავტორებმა ჯილდოდ მიიღეს ხალისსავე სიყვარული და საყოველთაო აღიარება.

„ჯარისკაცის მამის“ შემდეგ ს. ჟღენტის და რ. ჩხეიძე კვლავ უბრუნდებიან სამამულო ომის თემას. ამჯერად მათ ყურადღება გადააქვთ ჩვეულებრივი ყმაწვილკაცების გმირულ შემართებაზე. მათი გმირობა ბუნებრივი და ტიპურია, რადგან ისინი ამ სულისკვეთებით აღიზარდნენ. ეს სულისკვეთება დამახასიათებელია არა ერთი რომელიმესთვის (ასეთი გამორჩეული გმირი არცაა ფილმში), არამედ ყველასათვის, თემური იქნება იგი, ლევანი თუ ბადური... ეს ბიჭები ვერც კი მივიდნენ რაიხსტაგამდე. ისინი გმირულად დაეცნენ ბრძოლის გზაზე. ბერლინამდე მათი სახელები მივიდა მხოლოდ, ისინი მეგობარმა მიიტანა და კედელზე აღბეჭდა... იცოდნენ კი თავის დროზე ბუზღუნა უფროსებმა, რა დიდი სული ედგათ ამ ონავარ ბიჭებს? — ეს რა ამბავია, კაცო, ეს რა ახალგაზრდობა მოდისო, — გაიძახოდნენ მათი სიცელქით თავმობურებულნი.

ფილმის ავტორებს ყურადღება გადააქვთ ჩვენი უბრალო, ლიმილის ბიჭების რომანტიკულ შემართებაზე.

სამშობლოს ვანსაცდელის ჟამს მათი პირადი ინტერესების დამორჩილება სახალხო საქმისადმი, ურყევი რწმენა გამარჯვებისა, შემართება მათ ახლოებს ა. ფადეევისა და ს. გერასიმოვის ფილმის „ახალგაზრდა გვარდიის“ გმირებთან. მართალია, „ახალგაზრდა გვარდიის“ გმირების საქმიანობა უფრო მასშტაბურია, ვიდრე „ლიმილის ბიჭებისა“, მაგრამ ერთნაირია მათი ამაღლებულობა, რომანტიკა, გმირული სულისკვეთება, საერთო მტრის წინააღმდეგ თავგანწირული ბრძოლა. ისინი ყველანი ლენინური კომკავშირის აღზრდილები არიან.

დომიტრი მჭედლიძე



სამაჰმულ ომის დროს თბილისში თავი მოიყარეს საბჭოთა ხელოვნების გამოჩენილმა წარმომადგენლებმა. თბილისელები ღირსეულად მასპინძლობდნენ ევაკუირებულებს, რომელთა შორის იყვნენ რუსული დრამატული ხელოვნების ცნობილი ოსტატები: ნემიროვიჩ-დანჩენკო, კახალოვი, ტარხანოვი, კლიმოვი, ლიუბიმოვ-ლანსკოი, შევჩენკო, რიჟოვა, მასალიტინოვა, დიდი თეატრის სოლისტი ვ. დავიდოვა, კომპოზიტორი ი. შაპორინი, დირიჟორი ა. გაუკი. პიანისტები — ნეიჰაუზი და რიხტერი, ცნობილი ბანი ცესევიჩი და სხვები. უკრაინიდან კი თბილისს ესტუმრნენ გამოჩენილი მომღერლები კიპარენკო-დამანსკი, გრიშკო, გუჟოვა, ჩასტი და მრავალი სხვა. ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში, ემსახურებოდნენ საბჭოთა არმიის ნაწილებს, სისტემატურად მართავდნენ კონცერტებსა და სპექტაკლებს, რომელთა შემოსავალი თავდაცვის ფონდს ხმარდებოდა. მსახიობები ჯგუფ-ჯგუფად მოგზაურობდნენ, ხვდებოდნენ მემსახტეებსა და შავი ზღვის ფლოტელებს, დაჭრილებს. მთავარი კი ისაა, რომ ხელოვნების ოსტატები უშიშრად მიდიოდნენ ფრონტზე, ეცნობოდნენ მოწინავე ხაზზე მებრძოლ გმირებსაც. აი, სწორედ ერთ-ერთი ასეთი მოგზაურობა ჩამოჩა მესხიერებაში:

ეს იყო 1942 წელს, მაშინ ჩვენს სამშობლოს მტრები ყოველი მხრიდან უტევდნენ. თბილისში ჩამოყალიბდა მსახიობთა ბრიგადა, რომელსაც ხელმძღვანელობდა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი აკაკი ხორავა. ეს ბრიგადა გაემგზავრა გუდარმესში (გროზნოს მახლობლად), სადაც სასტიკი ბრძოლა მიმდინარეობდა. მსახიობთა შორის იყვნენ: დ. ანდლულაძე, პ. ამირანაშვილი, პ. კობახიძე, ე. გოსტენინა, ო. დოლიძე, ნ. გოროშკო, დ. ჩირაძე, შ. ელიაშვილი, შ. მაჩაბელი და მე. ძალზე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდით. ფაშისტები იპყრობოდნენ კავკასიონის მისადგომებს, იმარჯვებდნენ ქერჩშიც. საჭირო იყო მებრძოლთა გამხნეება, რწმენის განმტკიცება ხელოვნების ძალით.


ჩვენ ჟოველდღიურად სამ-სამ კონცერტს ვმართავდით მოწინავე ხაზის მახლობლად. ეს უკვე ნამდვილი ფრონტი იყო, ამიტომაც შეიარაღებულნი ვიყავით არა მარტო ნოტებით, არამედ იარაღითაც, რადგან მტერთან შეტაკება ყოველ წუთს იყო მოსალოდნელი. სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელები თბილისში დაბრუნებას გვთხოვდნენ, მაგრამ ჩვენი ბრიგადა არ სთმობდა პოზიციებს, განაგრძობდა თავის მოღვაწეობას, რაც აუცილებე-

ლი იყო, თუნდაც იმიტომ, რომ მსახიობთა გამგზავრებას ჯარის ნაწილები ევაკუაციად მიიჩნევდნენ. ეს კი პანიკის საშიშროებას შექმნიდა. კონცერტებს ვმართავდით ყველგან — ბლინდაჟებში, ყაზარმებში, ტრიალ მინდორში. სახელდახელოდ გამართულ „ესტრადებზე“ მეომრებსაც ვიწვევდით, მათაც ვამღერებდით, ვამხიარულებდით, ჩვენი კონცერტები დარდსა და სევდას უქარვებდნენ მეომრებს, ამხნეებდნენ, ანუგეშებდნენ ჯარისკაცებს, საბრძოლო განწყობილებას ქმნიდნენ. ამით ჩვენი წვლილი შეგვექონდა ფრონტელთა ცხოვრებაში, სამშობლოსათვის ბრძოლაში.

1944 წელს კი დამევალა ფრიად საპატიო მისია: სათავეში ჩავუდექი დიდი თეატრის მომღერალთა ბრიგადას, რომელიც ლენინგრადის ფრონტს ემსახურებოდა. საბრძოლო ოპერაციების ცენტრში ყოფნა მოთხოვნილება იყო თითოეული საბჭოთა მოქალაქისათვის. სწორედ ამ მაღალი შევნებით იღვწოდა თითოეული მსახიობი თუ მომღერალი, ხელოვნების ყოველი მუშაკი.

ა. გორგაძე.

საბჭოთა არმია.



„სპრემიუმენტო“ ვითარებაში შეიქმნა დ. შოსტაკოვიჩის მეშვიდე — „ლენინგრადული“ სიმფონია. უპრეცედენტო შემთხვევა იგი მუსიკის და შეიძლება მთელი ხელოვნების ისტორიაშიც. ცოტაა იმის თქმა, რომ დროის რაიმე დისტანციის გარეშე წარმოიშვა სამამულო ომის ეს გიგანტური ეპოპეა. იგი ჩაისახა ომის პირველსავე მძვინვარებაში, ალყაშემორტყმულ ლენინგრადში, სადაც გამოჩენილი საბჭოთა კომპოზიტორი მრავალმხრივ იხდიდა თავის პატრიოტულ ვალს: თავის კოლეგებთან ერთად ეწეოდა ქალაქის თავდაცვის გასამაგრებელ სამუშაოებს, ხოლო ქვეშევსების განუწყვეტელი გრიალის, საპაე-რო თავდასხმებისა და განგაშების ჯოჯოხეთურ ატმოსფეროში რაღაც არაადამიანური ენერჯითა და შემართებით ეჭიდებოდა თავის უზარმაზარ შემოქმედებით ამოცანას.

წარმოდგენლად მოკლე დროში დაიწერა ეს გიგანტური ნაწარმოები და ომის მძვინვარე წლებშივე ტრიუმფით მოიარა მთელი მსოფლიო. ეს ყველაფერი კარგა ხანია ცნობილია.

დიმიტრი შოსტაკოვიჩმა კარგა ხნით ადრე, პირველივე გაელვებისთანავე დაიპყრო მსმენელთა დიდი აუდიტორიები, მისი რეზონანსიც მთელ მსოფლიოს გასწვდა. არ შეგუდგებით მისი ვებერთელა ტალანტის ყველა თვისების ჩამოთვლას, არც მისი შემოქმედების საოცარი — მხატვრული თუ ჟანრობრივი უნივერსალობის ახსნას. აქ მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ მსმენელთა აუდიტორიებზე შოსტაკოვიჩის მუსიკის შთამაგონებელი ზეგავლენის ერთი უპირველესი მიზეზი მუდამ იყო მხატვრული სფეროსა თუ ფილოსოფიური აზრის გლობალური მასშტაბები. სწორედ ამ თვისებით დაიმკვიდრა თანამედროვეობის ამ ერთ-ერთმა უდიდესმა კომპოზიტორმა თავისი შეუვალი ადგილი ჩვენი საუკუნის მუსიკაში.

ამ გლობალურობის ანარეკლი შოსტაკოვიჩის შემოქმედების თითქმის ყველა ჟანრს გასწვდა, მაგრამ ძირითადად სიმფონიებში აღიბეჭდა. სწორედ ამ თავის ცენტრალურ ჟანრშია შოსტაკოვიჩი დიდად უნივერსალური. ელვარე „პერიფერიები“ აქაც გააჩნია, მაგრამ ყველაზე მძლავრი და მასშტაბური ფორმა, რომლითაც შოსტაკოვიჩი თავის ჰუმანისტურ იდეებს გამოხატავს, ეს არის სიმფონია-ტრაგედია. სწორედ ეს გახლავთ ცენტრი მთელი მისი შემოქმედებისა. ეს ცენტრი კი „ორმაგია“: მისი ერთი მხარეა ფილოსოფიური ტრაგედია, მეორე — სახალხო-გმირული ეპოსი. განსაცვიფრებელია ის ამოუწურავი ენერჯია და საკაცობრიო-ფილოსოფიური პრობლემატიკის ის შეუპოვარი თანმიმდევრობა, რომლითაც დიდი კომპოზიტორი ამ საწყისებს ატარებს თავის შემოქმედებაში. ამ მხრივ შოსტაკოვიჩი უპრეცედენტო ნოვლენაა სიმფონიურ მუსიკაში ბეთჰოვენის შემდეგ.

კონფლიქტების უადრესი სიმძაფრით აღბეჭდავს შოსტაკოვიჩი თავის ქმნილებებში დღევანდელი მსოფლიოს ყველაზე მშფოთვარე მოვლენებს.

ცნობილია მეშვიდე სიმფონიის შინაარსი, მეტადრე პროგრამა მისი I ნაწილისა: რომ იგი იწყება საბჭოთა ხალხის ომამდელი მშვიდობიანი ცხოვრების ამსახველი სურათით, რომ მასობრივი, ქმედითი ენერჯიის გამოხატულებას ლირიკული იდილია ცვლის, რომელშიც „ომის წინა დამის“ მხიბლავი სილამაზე აღბეჭდილია, რომ სიმფონიის I ნაწილის ეკ ორი პარტია — თემა, დინამიკური სხვაობის მიუხედავად, ერთიმეორეს ავსებს და შრომისა და მშვიდობის ჰარმონიის ხატებას წარმოქმნის. შემდეგ — რომ ამ იდილიაში შეუმჩნევლად

შემოძვრება დოლის შორეული ფაჩუნის და მას შემოპყვება თითქოსდა უწყინარი მოტივი, ასევე რომ ფაჩუნობს ვიოლინობესა და ალტებში. არ ვმალავთ: გართობთ კიდევ, თავდაპირველად, ეს მოტივი, ასე უცვლელად, ნელ-ნელა რომ მოედება სხვადასხვა საკრავებს. მერე ოდნავი გაოცება და გაუმჭიდავებელი ძრწოლაც შემოგებარებათ — დოლის ფაჩუნი რომ არ წყდება და არც აბეზარა მოტივი იცვლის ნირს... რას ნიშნავს ყოველივე ეს? ალექსეი ტოლსტოიმ იგი წარმოადგინა, როგორც გაწვრთნილი ვირთხების როკვა ვირთხისმჭერის დუდუკზე.

უკვე ამ საოცრად ხატოვანი თქმითაც ნათელია, თუ რაოდენ შემაშფოთებელი ხდება ეს თამაში. თან ირკვევა, რომ იგი — ეს თამაში — შეწყვეტას თურმე არც აპირებს და პი-

ომისა და

გმირების თემა

დიმიტრი შოსტაკოვიჩის

სიმფონია № 7

რიკით: აბეზარა მოტივი, ფიგურალურად რომ ვთქვათ, ჯერ „ბანს“ პოულობს, შემდეგ „მეორე ხმას“, მერე იმიტატორები გაჩნდებიან; უწყვეტად მექანიზებული მოძრაობა „ახალი რესურსებით“ მარაგდება, „უსულობით“ ყველამდე ივსება და რომ აღარ გაგვიგრძელებს — ყველაფერი ეს წამლევკავ მანქანად გადაიქცევა!

ფაშისტთა ურდოების შემოსევის ეს დიდად გახმაურებული ეპიზოდი ხატოვანი წარმოსახვაა და არაფერი აქვს საერთო რაიმე ილუსტრაციულობასთან. ხშირად აღუნიშნავთ ამ ეპიზოდის ანალოგია რაველის „ბოლეროსთან“. მართლაც, ერთი უცვლელი მოტივის უსასრულო გამეორებანი უდევთ საფუძვლად ორთავეს. მაგრამ ერთი — მთლიანი ნაწარმოებია და თავის თავშია ჩაკეტილი, მეორე კი მოზრდილი ეპიზოდია ვებერთელა ნაწარმოებისა და მასში ვებერთელა ფუნქციაც აკისრია. მას აქ სონატური ფორმის „შუა ტერიტორია“ დაუკავებია — ტრადიციული დამუშავების მონაკვეთი შეუცვლია, „შუაში ჩადგომია“ სიმფონიის პირველი ნაწილის ექსპოზიციასა და რეპრიზას, და მათ შორის გამოაგნებელი სხვაობა შეუქმნია: თითქოსდა ერთი მიწა ორად გაიპო, რომლის ერთ მხარეს ბედნიერება ფეთქს, მეორე მხარეს კი — უბედურება! ძნელი წარმოსადგენია მეტი კონტრასტი

იმ ორ მონაკვეთს შორის, რომლებიც საერთო მუსიკალურ მასალაზე არიან აგებული!

ასე, „ჯოჯოხეთურმა მანქანამ“ უბედურებას მისცა ყველაფერი... მასობრივი გაოგნების ზარ-ნაღარა სცემს რეპრეზენტაციის დასაწყისში, სადაც სახალხო კენესა-გოდებანი ერთმანეთს აწყდებიან. შემდეგ: ფაგოტის ხანგრძლივი სამგლოვია-რო მონოლოგი — რეკვიემი, ბოლოს — წამიერი მირაჟი წმიდათა წმიდას მოგონებით. მაგრამ ომის აჩრდილი ამასაც თან სდევს — დახშული საყვირი, ისევ დოლის ფონზე, ისევ იმ აბეზარა მოტივს გაიძახის...

ვიდრე სიმფონიის შემდეგ — მეორე, მესამე და მეოთხე ნაწილებს შევეხებოდე, შევჩერდები კვლავ I ნაწილის იმ თავისებურებებზე, რომელთა ძალითაც მეშვიდე სიმფონია არ-



ანტონ წულუკიძე

სებითად განსხვავდება შოსტაკოვიჩის სხვა სიმფონიათაგან. დიდმა ხანმა განვლო მეშვიდე სიმფონიის პირველი შესრულებიდან და დღეს იგი გამოყოფილ მწვერვალად მოჩანს შოსტაკოვიჩის სიმფონიათა გრეხილში. ვეებერთელა ძალის ქმნილებებით არის იგი გარემოცული: ერთის მხრივ, მას წინ უძღოდა კომპოზიტორის მეხუთე, მეექვსე სიმფონიები და მათთან ერთად — საჯაროდ სულ გვიან გამჟღავნებული მეოთხე სიმფონია — თავიანთი ურთულესი ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური სამყაროთი, ტრაგედიული კონცეფციებით. სულ ორიოდე წლის შემდეგ მას მოჰყვა გამოგონებული მერვე სიმფონია, გვიან კი — მეათე და მომდევნო (მეთხუთმეტმდე) სიმფონიები — ასევე ურთულესი სამყაროთი და კონცეფციებით. არის ამ — მეშვიდეს გარემომცველ სიმფონიებში სხვაობანი, მაგრამ ძალიან ღრმავა მათ შორის ნათესაობა — ფილოსოფიურ ხედვაშიც, ესთეტიკურსა და დრამატურგიულ პრინციპებშიაც; ისინი ერთმანეთს ავსებენ, ავითარებენ და ქმნიან ვეებერთელა ჯაჭვს... მათ კონცეფციებზე კი დღემდე არ დამცხრალა დავა...

საოცრად მარტივად გამოიყურება დღეს შოსტაკოვიჩის მეშვიდე სიმფონიის შენების ლოგიკა. ყველაფერი აქ პლაკატ-ტივით ცხადია. მაგრამ ეს იმგვარი პლაკატი, რომლის გაშ-

ლის უნარი ვლადიმერ მაიაკოვსკის გოლიათურ ძალას შესწევდა.

უკვე მთავარი მუსიკალური თემების შედარებაც ცხადყოფს ძირეულ განსხვავებას მეშვიდესა და მის გარემომცველ სიმფონიებს შორის. სწორედ ამ გარემომცველ სიმფონიებში დასაწყისშივე ყალიბდება შინაგანი წინააღმდეგობებით, რეფლექსებით, თეზა-ანტითეზებით სავსე სამყაროები. მათგან განსხვავებით საოცრად მთლიანია, ნათელი და გაშლილი მეშვიდე სიმფონიის დასაწყისი, მისი ექსპოზიცია, და შეუდრეკელი, მასობრივი ქმედითი ენერგია ჩქვეს მასში. მეშვიდეს გარემომცველი სიმფონიების მუსიკალური ენა რთულია, კონვულსიური, მელოდიური სახეები გართულებულ კილოთა ხლართებსა და ცვალებადობაზეა აგებული, ხშირია მათში ხმათა საფეხურების ამალღება-დადაბლებანი. ამ ხმათა პოლიფონიური ნაერთები კი მაღალი ძაბვით გაჟღერდნენ ჰარმონიებს ქმნიან. მეშვიდე სიმფონიის დასაწყისივე განსაკუთრებით დღეს გვაოცებს შვიდსაფეხურიანი გაზის საწყისის — დო-მაჟორული ტონალობის საოცარი გამჭვირვალებით. მხოლოდ ალაგ-ალაგ თუ აამაღლებს ან დადაბლებს ამ მაჟორის ცალკეულ საფეხურებს კომპოზიტორი, რაც ამ გამჭვირვალე ნათელ საწყისს ოდნავ ჩრდილს არ აკარებს. მაგრამ ამ თითქოსდა შეუმჩნეველად ჩაგდებული მარცკლების შორეული ნაყოფი კი შთამაგონებელი ხდება: სწორედ ეს ამალღება-დადაბლება ამოსავალი გამხდარა რეპრეზენტაციის დასაწყისისა, რომელიც მთავარ თემაზეა აგებული და აძვირად სახალხო გლოვის ზარს სცემს! როგორც ვხედავთ, ამის გარეგნული ლოგიკა საკმაოდ მარტივია, შინაგანი მაგნიტური ძალა კი ვეებერთელა და ამის უნარი მხოლოდ ერთეულ შემოქმედთა ხვედრია!

სხვა სიმფონიების რთული რეფლექსური სამყაროსაგან განსხვავებით, უყოყმანო, შემტევი და გაშლილია მეშვიდე სიმფონიის დასაწყისივე, ბეთჰოვენისებრ ლაპიდარულად ვითარდება მისი აზრი. კომპოზიტორის ოპტიმიზმის პოტენციამ ყველაზე აშკარა ძალით სწორედ მეშვიდე სიმფონიაში იფეთქა, სწორედ იმ ნაწარმოებში, რომელიც შოსტაკოვიჩისა და მისი მშობელი ხალხის, დიდი საბჭოთა სამშობლოს უმძიმესი განსაცდელის ჟამს წარმოიშვა. ეს მეტად თვალსაჩინო ფაქტია შოსტაკოვიჩის შინაგანი სიღრმეების, მისი მოქალაქეობრივი პოტენციის ნათელსაყოფად.

გამოთქმულა აზრი, რომ I ნაწილის ცენტრალური მომენტი შემოსვლის ეპიზოდიაო, მაგრამ ეს უაღრესად დინამიკური ეპიზოდი მხოლოდ „ტერიტორიულადაა“ I ნაწილის შუაგულს მოქცეული. თვით შოსტაკოვიჩი ცენტრალურ მომენტად მიიჩნევს რეკვიემს, რომელსაც რეპრეზენტაციის ფაგოტის დიდი სოლო წარმართავს, სადაც მეორე — ლირიკული იდილიის თემის სახეცვლას ვხედავთ, მაგრამ აქ იგი უზომო ტკივილებითაა დაძვირებული. შემოსვლის თემას კი უპირისპირდება ის ვეებერთელა პოზიტიური ქმედითი ენერგია, თავიდანვე რომ არის გაშლილი, უპირისპირდება მშვენიერების ის მაღალი სამყარო, მეორე თემაში რომ არის მოცემული. მშვენიერების ეს სამყარო თავის აპოთეოზს აღწევს პირველი ნაწილის დასასრულს, როცა ზარ-ნაღარისა და რეკვიემის შემდეგ, I ვიოლინოებში ლირიკულად აჟღერდება მთავარი თემა. იშვიათად მომხიბლავია და უმანკო სიწმინდითაა აღბეჭდილი ეს აჟღერება. ზევით, თითქოსდა ქალწული მწვერვალისაკენ მიილტვის მისი მელოდია, რომელსაც ფლეიტა შემოუერთდება, სხვა სიმებიანი საკრავები კი თავისი მრწველი ფონით სა-

თუთად ესაღბუნებთან ამ მელოდიას, ვიტყვოდი, რომ უმანკო მშვენიერების გამოსხივება შოსტაკოვიჩის შემოქმედებაში არ-სად არ ასულა ისეთ მწვერვალზე, როგორც მეშვიდე სიმ-ფონიაში! სწორედ ეს მელოდიური ვარიანტი საფუძვლად დაედო სიმფონიის ფინალის ძლევაშოსილ კოდას.

ჩვენ უფრო მეტხანს შევჩერდით პირველ ნაწილზე იმის გამო, რომ სწორედ მასში აღიბეჭდა ყველაზე ელვარედ მეშვი-დე სიმფონიის ნოვატორობა და კომპოზიტორის თავისებუ-რებანი, მასში გამოიხატა არსებითი განსხვავება შოსტაკოვი-ჩის ფილოსოფიურ ტრაგედებსა და მეშვიდე სიმფონიას შო-რის. მასში მიიღო ვებერთელა დასაბამი შოსტაკოვიჩის სა-ხალხო გმირულ-ეპოსურმა სიმფონიზმმა.

დანარჩენი ნაწილები თავიანთი აღნაგობით და თუ გენ-ბავთ — შინაარსობრივი მხარითაც გაცილებით უფრო ახლოა შოსტაკოვიჩის სხვა ნაწარმოებებთან. მაგრამ რა თქმა უნდა, პირველი ნაწილის სახალხო გმირულმა საწყისმა გამოიწვია დანარჩენი ნაწილების აღნაგობაც, მათი გიგანტური მოცუ-ლობაც. ამასთან, შუა ნაწილები თავიდანვე ჩამოყალიბებუ-ლი სახით არიან მოცემულნი.

სიმფონიის მეორე ნაწილი ძალზე თავისებური სკერცოა. როგორც მას უწოდეს — „ნაღვლიანი სკერცო“. I ნაწილის ვებერთელა ენერჯისა, ნგრევებისა და აფეთქებების შემდეგ მას სულ სხვა სამყაროში გადავყავართ. ეს სამყარო უადრე-სად ფაქიზი და ინტიმურია. იდუმალი სევდითაა გაჟღენთილი მთავარი თემა — ვიოლინოთა მსტუნავი, თითქოს მოცეკვავე, ჟანრული მელოდია, მეორე თემაც — ჰობოს დაჟინებული, მკენესარე ჰანგი, რომლის შინაგან სევდას კიდევ უფრო ააშ-კარავებს სიმებიანთა რიტმული ფონი. ყველაზე მეტი იდუმა-ლება კი გადაიხსნება სკერცოს ბოლოს, სადაც მე-2 თემას არ-ფები უკრავენ, იდუმალი კონტრაპუნქტებით თემები ერთმა-ნეთს ხედებიან, ორკესტრში შედის ალტის ფლეიტა. მხოლოდ სკერცოს შუა ნაწილში ამოდრავდებიან უსულო, ცინიკური სახეები, რომელთა მწვერვალზე ბობოქარი ენერჯია მოქცევა.

დიდი ამპლიტუდების კონტრასტები კვლავ გრძელდება. ინტიმურ, სევდიან სკერცოს კვლავ დიდი ღალადისი მოსდევს. ეს სიღრმითა და სიდიადით მოსილი ადაჟიოა. დიდა, ამაღ-ლებული და მონუმენტური მისი ფორმა, მთლიანი არქიტექ-ტონიკაც და ცალკეული კონტურებიც. მთლიანად იგი შე-იგრძნობა, როგორც გიგანტური ქორალი. ამგვარი ღრმა ნელი ნაწილები არაერთხელ შეგვხვდებოდა შოსტაკოვიჩის მუსიკაში, მაგრამ აქ კიდევ უფრო მკაცრსა და ხაზგასმულად უძრავ გა-მონატრულებასთან გვაქვს საქმე. იგრძნობა რადაც ვებერთე-ლა, სახალხო, სულიერი ვარინდება საბედისწერო ჟამს — უმაღლესი ვალის წინაშე! იგრძნობა ის მაღალი სიდიადეც, ქალაქ ლენინგრადს რომ აქვს მინიჭებული. როგორც სხვა ქმნილებებშიც, აქაც შოსტაკოვიჩის ბევრი რამ აქვს საერთო ბახის მუსიკის სამყაროსთან.

ბახის სულიერ სიღრმეებს უკავშირდება საორღანო იე-რით აღბეჭდილი ქორალი (თუმცა ორღანო სიმფონიაში არ უკრავს). ჰენდელის გმირულ-მონუმენტურ ფრესკებს ჩამო-გავს ვიოლინოთა უნისონური რეჩიტატივი, ქორალს რომ ერთ-ვის. ესენი ტრადიციებია, მაგრამ ყველაფერი ეს ჭეშმარიტი შოსტაკოვიჩია — მისი მაღალი სამყაროთი.

სიმფონიის ფინალში ისევ ქმედითი ძალა ამოდრავდება და საკმაოდ გრძელ პროცესსაც გაივლის. არის მასში ბატალური

ეპიზოდები. ასე ისახება ძლევაშოსილი გზა მტერთან გამარჯ-ვების სრულ ტრიუმფამდე.

საკმაოდ დახლართულ გზებს გაივლიან ტრიუმფალური აპოთეოზის დამკვიდრებამდე ფინალის სახეები. გრანდიოზუ-ლია აპოთეოზის შემზადების პროცესი. ერთდროულ ჟღერადო-ბაში თავს იყრიან თვით ურთიერთ მოპირისპიერ თემების მთა-ვარი მოტივები, სადაც მთავარი, საბრძოლო ჰანგის გვერდით სამგლოვიარო სარაბანდას თემაც კი მრისხანე ენერჯით იმს-ჭვალება, მრისხანე სი-მინორული ჟღერადობა ეფექტურად გადაინაცვლებს დო-მაჟორში და აქ მთელის ძლევაშოსილე-ბით აჟღერდა სიმფონიის მთავარი თემის ის გაციკროვნე-ბული მელოდიური ვარიანტი, I ნაწილს რომ ამთავრებდა.

1941 წლის დეკემბერში დაამთავრა შოსტაკოვიჩმა თა-ვისი მეშვიდე სიმფონია. პირველად კი იგი 1942 წლის 5 მარტს შესრულდა ქ. კუბინშევში, მოსკოვიდან ევაკუირებული საბჭოთა კავშირის დიდი თეატრის ორკესტრის მიერ. დირი-ჟორობდა მას გამოჩენილი საბჭოთა დირიჟორი ს. სამოსუდი. მისი პრემიერა, უდიდეს მხატვრულ გამარჯვებასთან ერთად, უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის დემონსტრაციად გა-დაიქცა. ომის მძვინვარე დღეებში ჩვენი დიდი ქვეყნის მრ-ვალ ქალაქში შესრულდა იგი, მათ შორის თბილისშიც.

ომის წლებშივე ტრიუმფით მოიარა მან მუსიკალური მსოფლიო. პირველად გზა მას ნიუ-იორკში გაეხსნა. ეს იყო 1942 წლის ივლისში. ასრულებდა მას ნაციონალური რადი-ოკორპორაციის ორკესტრი ჩვენი დროის უდიდესი დირიჟო-რის არტურო ტოსკანინის ხელმძღვანელობით. ტოსკანინიმ მაშინ გენიოსი უწოდა შოსტაკოვიჩს. ეს შესრულება მსოფლი-ოს პროგრესულ ძალთა უდიდეს დემონსტრაციად გადაიქცა. მარტო ამერიკის შეერთებულ შტატებში 1942-43 წლების სე-ზონის განმავლობაში შოსტაკოვიჩის მეშვიდე სიმფონია 62-ჯერ იქნა შესრულებული და მას დირიჟორობდნენ უცხოეთის საუკეთესო დირიჟორები: ს. კუსევიცკი, ლ. სტაკოვსკი, ორმან-დი, მიტროპულოსი, რაძინსკი, მონტე და სხვები. ომის დამ-თავრებისთანავე მეშვიდე სიმფონია მოედო პარიზს, პრადს, ბელგრადს, რომს, ოსლოს, ვენას, სოფიას, ბუდაპეშტს, კო-პენჰაგენს, ბუქარესტს, კრაკოვს, ზაგრებს, ბერლინს. შოსტა-კოვიჩს უწოდებდნენ „მსოფლიოს მუსიკალურ ტრიუმფს“.

ომის თემა ამ გიგანტური ქმნილებით როდი ამოსწურა შოსტაკოვიჩმა. ამ სახალხო გმირულ ეპოსს მოჰყვა ომისა და მშვიდობის ფილოსოფიური ტრაგედია — მერვე სიმფონია.

როგორც კი შოსტაკოვიჩის მერვე სიმფონიის მოსმენას ვიწყებთ, მყისვე ჩვენს წარმოდგენაში შოსტაკოვიჩისავე წინა სიმფონიური თხზულებანი წამოიჭრებიან, სახელდობრ — ის თვისებები, რომლითაც კომპოზიტორმა მნიშვნელოვანი სი-ახლე შეიტანა სიმფონიის კლასიკური ციკლის გაგებაში. შოს-ტაკოვიჩმა უადრესად დინამიკით გამსჭვალა ნელი ტემპის მუ-სიკა. თავისი მეხუთე სიმფონიიდან მოყოლებული, ტრადი-ციული „სონატური ალევროს“ ადგილზე დაამკვიდრა, ასე ვთქვათ, „ნელი სონატური ალევროები“. თითქოს პარადოქ-სია „ნელი ალევრო“, რადგან ყველასათვის ცნობილია, რომ სიტყვა ალევრო ჩქარ ტემპს აღნიშნავს! მაგრამ სწორედ სონატური ალევროს ფორმაში, რომელიც ტრადიციულად წარმოადგენს სიმფონიის ყველაზე დინამიკურ, საკონფლიქტო ნაწილს, შოსტაკოვიჩი ამ ტრადიციისაგან განსხვავებით თა-ვის ექსპოზიციებს უმეტესად ნელ ტემპებში იძლევა და მათ მოსდევს ვებერთელა აფეთქებები!

შოსტაკოვიჩის ნელი სონატური ფორმები, რომლებიც

შინაგანი კონფლიქტების შორეულ წყაროებს ჰპოვებენ ბახის — მხოლოდ არა სონატურ, არამედ უფრო მონოლოგიურ, ან ბეთჰოვენის, კერძოდ მის მძაფრ დიალოგებზე აგებული ნელი ნაწილების მუსიკაში, მთლიანად გამსჭვალული არიან განვი-თარების დიალექტიკური პრინციპებით. ეს ქმნის მის ნაწარ-მობთა თითქმის უსაზღვრო დიაპაზონს, სადაც ღრმა ორგა-ნულობით ერწყმიან ერთმანეთს ფიქრი და მოქმედება. თვით ფიქრებშიც ქმედითი ძალაა. ასე იქმნება შოსტაკოვიჩის ფი-ლოსოფიური სიმფონიზმის საფუძველი.

მაგრამ დავუბრუნდეთ მერვე სიმფონიის დასაწყისს. უწინარეს ყოვლისა, თვალში გვეცემა მისი შეკავლის (ადა-ჟიო) ანალოგია მეხუთე სიმფონიის შესავალთან. ანალოგია გამომხატულია ორივე მომენტის პათოსშიც და აღნაგობის თა-ვისებურებებშიც. ორივე სიმფონიას იწყებს ხემიან საკრავთა

სებს რიტუალური სიძინჯით, გოლიათური მოთმინებით, ერ-თიმეორის დაცდით, თან როგორც კი ერთი მხარე თავის ერთ-წილ სათქმელს მორჩება, ერთ ბგერაზე დაჭიმული, დაძაბული ელოდება მეორე მხარის გამოძახილს... სიმებიანთა ეს ორი მხარე მძიმე მასივებით გადასძახებს ერთიმეორეს და ეს გა-დაძახილი გლოვის ნალარის მრისხანებითაა განათებული.

წინათქმის ბოლოს, ეს ორი მხარე შეერთდება და ჩუმი ძახილით ეგებება მთავარი თემის შემოსვლას. აქ პირველად შემოდის I ვიოლინოები და უკრავენ ღრმად მწუხარე ჰანგს. და აქაც ახალი ასოციაცია. ამ მწუხარე ჰანგის საწყისი, სულ სხვა სახით, მეშვიდე სიმფონიაში გვესმოდა, სახელდობრ მის I ნაწილში. ეს გახლავთ გერმანელ ფაშისტთა შემოსევის, ომის ჯოჯოხეთური მანქანის მოტივი. წარმოდგენელი უბე-დურებანი მოუტანა ომის მანქანამ ადამიანთა სამყაროს, და

დ. შოსტაკოვიჩი და ა. ბალანჩი-ვაძე.



ჯგუფი, რომელიც ორ მხარედ არის გაყოფილი: ერთშია და მეორეშია ბანების ძახილს სიმებიანთა ზემო ხმები გამოეხ-მაურებიან და ორივე მხარე თავისას მძლავრი უნისონებით გა-მთქვამს. ორივე ეს წინათქმა ამ სიმფონიათა სიღრმეების გასაღებია და მათში დიდი რამ სათქმელია დაგუბებული... მათი მკაცრად ორგანიზებული სტრუქტურა კი მათ დიდსა და ძლიერ სამყაროზე მიგვანიშნებს.

არის მათ შორის განსხვავება. მეხუთე სიმფონიის წინა-თქმაში (მოდერატო) ორი მხარის რეგისტრების დაპირისპი-რებისას, ზედა ხმებიდან გამოთიშულია ალტები, მერვე სიმ-ფონიაში კი I ვიოლინოები, მაგრამ აქ ეს როდია მთავარი მეხუთეში ბანების — ჩელო-კონტრაბასების ნათქვამს იმიტა-ციით იმეორებენ ვიოლინოები, რაც ამ ერთი საწყისი ხატების გაორებაზე, მის შინაგან წინააღმდეგობაზე, მის შიგნით დას-მულ კითხვებზე მიგვანიშნებს. მაგრამ ეს წინააღმდეგობა ქმე-დითი ენერჯის დიდ იმპულსებს მოიცავს, თვით თემა კი ბორ-გავს, ექებს და ფართო ჟესტებით მიილტვის ხან ზევით, და იქვე — პირქით.

მერვე სიმფონიის წინათქმაში იმიტაციები არ არის. ბანე-ბის საპასუხოდ ზემო ხმები განაგრძობენ უკვე ნათქვამს და შემდეგ ორივე მხარე ასე, ერთმანეთის სათქმელს ავსებს, ავ-

ამ უძირო-უნაპირო უბედურებებზე ჰგოდებს შოსტაკოვიჩის მერვე სიმფონია...

ბოლოს — ისევ შოსტაკოვიჩის შემოქმედებიდან კიდევ ერ-თი ასოციაცია, რომლის ძირი საჯაროდ მერვე სიმფონიის გამჟღავნების შემდეგ გამჟღავნდა. ლაპარაკი გვაქვს მეოთხე სიმფონიაზე — როცა მის ფინალში, ღრმა გამოცანითა და იდუმალებით გამსჭვალული კოდის წინ ქარიშხალი ამოვარ-დება და მის ვეებერთელა ტალღებზე მძვინვარებს ბობოქარი მოტივი, რომელიც სამი ფორტეს მქუხარებაში ფინალის მთა-ვარ ტრაურულ-ტრიუმფული მარშის თემას კონტრაპუნქ-ტულად შეეხება. ეს მძვინვარე მოტივი თავისი ინტონაციური და რიტმული ძირებით მერვე სიმფონიის წინათქმის შერეუ-ლი წინამორბედი ხატებაა. არის საგრძნობი განსხვავება მათ შორის ინტონაციური და რიტმული ნახაზის სიზუსტის მხრივ. განსხვავებაა მათი პათოსის ხასიათშიც, ერთი მზრივ, აზვირ-თებულ ტალღებზე ბორგვა, მეორე მხრივ, გლოვის მაცნე, მძიმე მასივი. საერთოა — რისხვის ტიტანური პოტენცია.

შემთხვევითი არ არის, რომ ორივე სიმფონია — მეოთხეც და მერვეც ერთ, გმირულ-ტრაგიკულ, დო-მაინორულ ტო-ნალობაშია დაწერილი. თუ მხედველობაში მივიღებთ ტონა-ლობის ტრადიციულ პრობლემატურ მნიშვნელობას სიმფონი-

ურ შემოქმედებაში, ეს დამთხვევაც დიდად დამახასიათებელია. სხვადასხვა ხანაშია შექმნილი ეს ორი სიმფონია. მაგრამ ეს, მსმენელთათვის დიდხანს მიყურებული მეოთხე სიმფონია, იმ დროს იწერებოდა, როდესაც კაცობრიობის თავზე შავი ღრუბლები გროვებოდა (ეს იყო 1935-36 წლებში).

ერთი, იქნებ ყველაზე მეტადაც საგულისხმო მომენტია ამ მხრივ მეოთხე სიმფონიაში. ეს არის მისი კოდა — დასასრული. დროის ქარტეხილების მძინვარე გამოსატყულების, წამლევავი ნიაღვრების, აფეთქებათა კალეიდოსკოპის, გზნებათა ქარიშხლის დაცხრომის შემდეგ გაჩნდება ჩელესტის ხმა — მოტივი დო-მინორის არპეჯიოზე, რომელიც შემაშფოთებელი მონოტონობით მრავალგზის მეორდება. თითქოსდა სრულიად საკაცობრიო სამრეკლოდან მოსმის იდუმალი ზარი: იგი რეკს ჩუმად, ნელა, დაჟინებული უცვლელით, გამაფრთხილებლად... წამოიჭრა ღრმა გამოცანა, რომლის, ვიტყვოდი — მაგიური ძალა გლობალური პრობლემების ასოციაციას აღძრავს. ეს „გლობალური გამოცანა“ პერმანენტულად აღმოცენდება და გრძელდება შოსტაკოვიჩის სიმფონიების — ფილოსოფიური ტრაგედიების მთელ სერიაში, უშუალოდ — მეხუთეში. უახლოეს, კონკრეტულ პასუხს კი იღებს ომისეულ — მეშვიდე და მერვე სიმფონიებში.

შოსტაკოვიჩის ფილოსოფიური ტრაგედიები თავიანთი კონცეფციებითა და დრამატურული თავისებურებებით გარკვეულად ერთი მეორისგან გამომდინარეობენ, კანონზომიერად ერთმანეთს ავსებენ და ქმნიან სამყაროსადმი კომპოზიტორის დამოკიდებულების ჩამოყალიბებულ მხატვრულ-ფილოსოფიურ სისტემას, სადაც იდეური თეზისების, მხატვრული ფორმების ურთიერთობანი, მათი განმეორებანი თუ ცვლილებანი, რემინისცენციები თუ სიახლენი — ღრმა ლოგიკითა და პრინციპულობით არიან განსაზღვრული. დაჟინებული შეუპოვრობით მსჭვალავს დიდი კომპოზიტორი თავის შემოქმედებას თანამედროვეობის ჰუმანიტური პრობლემატიკით, — კაცობრიობის სვებდღე ფიქრითა და ზრუნვით.

ამრიგად, ზემოთ წამოჭრილი ინტონაციური, სტრუქტურულ-დინამიკური თუ ზოგად-ხატობრივი ასოციაციები ღრმად პრობლემურ მნიშვნელობას იძენენ. ამგვარი, ზოგჯერ კონკრეტული კავშირების მიუხედავად, ისინი არსად არ მეორდებიან თავისი პირვანდელი სახით — უკვე გავლილის გამოვრებას შოსტაკოვიჩის თვით ერთი ნაწარმოების ფარგლებშიაც ვერ ნახავთ. მაგრამ ეს ასოციაციები ქმნიან პრობლემათა ვებერთელა ჯაჭვს, სისტემას, სადაც გიგანტური, „საპლანეტო“ მასშტაბებით, ღრმა და მძლავრი ლოგიკური კავშირებითაა გადახსნილი შოსტაკოვიჩის მუსიკის ფილოსოფიური სამყარო.

მაშ ასე, მძიმე, გამოვრებელი, — „სრულიად საკაცობრიო“ დაღადისით იწყება მერვე სიმფონია. „საქვეყნო დაღადისიც“ არაერთხელ გვსმენია შოსტაკოვიჩის წინა თხზულებებში. მერვე სიმფონია თითქოსდა იკრებს მათ პათოსს და მანამდე არნახულ, — საპლანეტო მასშტაბებს იღებს.

განსხვავდება იგი მეშვიდე სიმფონიისაგან — სამამულო ომის იმ გიგანტური ეპოპეისაგან, ომის დაწყებისთანავე წარმოუდგენლად სწრაფად რომ დაიბადა. თითქოსდა ამომწურავად შთამავრებელი იყო მებრძოლი ტრიბუნის ის გოლიათური შემართება, პუბლიცისტური პათოსი, გამარჯვების რწმენა, რომელიც შოსტაკოვიჩმა მეშვიდე სიმფონიაში — სამშობლოს განსაცდელის ჟამს დაწერილ ამ ქმნილებაში ჩააქსოვა.

მერვე სიმფონია ომის შუაგულ წელს — 1943-ს დაიწერა. საკაცობრიო-უბედურების მომტანი, ფაშისტური კოალი-

ციის დამარცხების პერსპექტივა მაშინ უკვე ცხადი იყო. მაგრამ ამასთან ცხადი ხდებოდა იმ უბედურებათა უკიდევანობა და უძირო სიღრმეები, რომლებიც ომის ჯოჯოხეთურმა მანქანამ მოუტანა ადამიანთა მოდგმას. ასე შეიქმნა მერვე სიმფონია — ომისა და მშვიდობის ეს გამოვრებელი ფილოსოფიური ტრაგედია! შოსტაკოვიჩი აღარ იმეორებს მერვე სიმფონიაში მეშვიდე სიმფონიის პლანს. კრიტიკის ერთი ტენდენცია კარგა ხანს თავს ესხმოდა მერვე სიმფონიას. ეს ტენდენცია ისეთ ულტიმატურ მოთხოვნებს უყენებდა კომპოზიტორს, რომლის მიხედვითაც შოსტაკოვიჩს მერვე სიმფონიის ნაცვლად მეორედ უნდა დაეწერა ახალი მეშვიდე სიმფონია.

მერვე სიმფონიაში აღარ არის თანმიმდევრულად გამოშლილი ომის ვითარების სიუჟეტი — ეს ხომ მის ავტორს მეშვიდე სიმფონიაში უკვე ჰქონდა! არც რაიმე ცალკეული ილუსტრაციული მომენტებია მასში. მაგრამ გვხვდება კონკრეტული ხატებანი, ასე ვთქვათ — „ტიპაჟი“. რომელიც თავიდანვე სავესებით გამჟღავნებული სახით იჭრება სიმფონიის დრამატურგიაში, გავისხნოთ მეშვიდე სიმფონიაში გერმანელთა საომარი მანქანის სახე, I ნაწილში რომ არის მოცემული, — რომ იგი თანმიმდევრული განვითარების ვებერთელა, შემზარავ პროცესს განიცდის, რომ ფაჩუნით შემოძვრება იგი, ხოლო შემდგომ თანდათან ამჟღავნებს თავის თავს და ჯოჯოხეთად გადაიქცევა. უცვლელი რჩება მხოლოდ მექანიზებული პროცესის არსი. მერვე სიმფონიაში ფაშისტური საომარი მანქანის, როგორც ბოროტი, მნგრეველი ძალის შემზარავი სახე, მთლიანად ჩამოყალიბებული სახით ჩნდება, იგი შემოდის, როგორც ამ ვებერთელა ფილოსოფიური ტრაგედიის „მოქმედი პირი“, ამასთან ჩნდება არა მხოლოდ ერთ ადგილას, და სადაც კი ჩნდება — თავზარდამცემ გამოვრებას იწვევს და უბედურების კვალს ამჩნევს ყველგან...

ბოროტი, მნგრეველი ძალების „ავტომატური მანქანის“ გამოხატულებამ ფრიად აქტიური დრამატურული ფუნქცია მიიღო შოსტაკოვიჩის მრავალ ნაწარმოებში. როგორც განზოგადებული უარყოფითი ხატება, იგი ჯერ ომამდელ ქმნილებებში, ყველაზე უფრო ჩამოყალიბებული სახით — მეხუთე სიმფონიაში გამოჩნდა. ომისდროინდელ ნაწარმოებებში კი, მეშვიდე სიმფონიიდან მოყოლებული ეს მნგრეველი საწყისი ომის მანქანის გამოხატულებად გადაიქცა.

სხვადასხვაგვარად გამოიხატა იგი შოსტაკოვიჩის სხვადასხვა ქმნილებებში, მაგრამ ყველა ვარიანტში იგი გამოიხატა ტლანქი და ბლავი, თავის საწყისში ერთფეროვანი და აბეზარა რიტმითა თუ მოტივით, ამასთან ჟღერადობის კატასტროფიულად მზარდი ინტენსიობით. ეს საწყისი ჩნდება ზოგან ახალი ეპიზოდის სახით, ამასთან — სრულიად ახალი თემატური მასალის საფუძველზე (როგორც მეშვიდე სიმფონიაში). ზოგან იგი წარმოიშვება წინა თემატური მასალის წინააღმდეგობრივი განვითარებისა და მეტამორფოზების შედეგად — ასეა მეხუთე სიმფონიაში. ასევეა მერვე სიმფონიაშიც. შოსტაკოვიჩის ამ კატეგორიის ნაწარმოებებში ეს, უბედურების მომტანი „ჯოჯოხეთური მანქანა“ შეიჭრება ან რომელიმე ნაწილის შიგნით, ან კიდევ ჩნდება დამოუკიდებელი ნაწილის სახით. მაგრამ კიდევ უფრო რთულად არის წარმოდგენილი სახეთა ეს სისტემა მერვე სიმფონიაში, სადაც იგი ციკლური წესით ვითარდება: იფეთქებს პირველი ნაწილის ყველაზე ქარცეცხლიან მომენტში, შემდეგ მის ნაირსახეობას დამოუკიდებელი სახით ვხედავთ მომდევნო — მე-2 და მე-3

ნაწილებში, ჯოჯოხეთური სტიქიის უკიდურესი გამოვლინებაა სიმფონიის მესამე ნაწილი.

რა უპირისპირდება მას სიმფონიაში? უპირისპირდება ჰუმანიზმის ვებერთელა ძალა, მაგრამ არა იმ სახით, როგორც ეს მეშვიდე სიმფონიაში იყო. მეგრე სიმფონიაში, ამ ფილოსოფიურ ტრაგედიაში, ეს გახლავთ, უწინარეს ყოვლისა — რისხვის ძალა, რომელიც თავს იჩენს მამხილებელ პათოსშიც, და რაც მთავარია, მილიონთა ტიტანურ ვლავაში, რომლის მრისხანებას ვერავითარი ბოროტი მანქანა ვერ აღუდგება!

შეიძლება მას ვუწოდოთ მილიონთა რეკვიემი, რომელიც სიმფონიის დასაწყისშივე ძალაში შედის. ასე, დასაწყისიდანვე მუსიკა მიემართება მძიმე მასივით, თითქოს მდორედ, ღრმად მწუხარედ. მაგრამ ამ მდორე მდინარების ვებერთელა მანძილზე საოცარი შინაგანი ძალა და დინამიკა მსჭვალავს მუსიკას. აქ ყველაფერი საოცარი ძაფებით, ერთიმეორესთან არის დაკავშირებული და ერთიმეორისაგან გამომდინარეობს. ასე, წინათქმის ორი მხარის საბოლოო შეერთება (რაც ადრევე აღვნიშნე), თავისი ფაქტურით, რიტმული ფორმულით, მთავარი მწუხარე თემის ფონს ქმნის. შემდეგ, ფაქტურის ყოველგვარი მოძრაობა და რხევა უსათუთესი გულისყურით არის წარმართული, შინაგანი დინამიკური იმპულსებითაა ნაკარნახევი და ყოველი ეს რხევა ღრმად დაგუბულ ძალას კოლოსალურ შინაგან ძაბვას მატებს...

თუნდაც ეს ითქმის სიმებიანთა იმ მრავალხმიან ქორალურ ეპიზოდზე — მთავარ თემას რომ მოსდევს; აქ პირველ ვიოლინოთა რეკვიემისებურ მელოდიას ძალზე შეკავებით თითო საფეხურით მოსდევს მეორე ვიოლინოები, ამ უკანასკნელთა დამუხრუჭებას კი ალტები ლამობენ, ერთხანს ერთ საფეხურზე იმაგრებენ თავს, ბოლოს ვეღარ უძლებენ და იძულებული ხდებიან თვითონაც ადგილი მოინაცვლონ და ასევე ზეითევენ დაიძრან...

ამგვარი დინამიკური ტრადიციები უწყვეტილად ბრუნავენ. გავლის შემდეგ ისევ წამოყოფენ თავს — უკვე ახალი თვისებებით გამაგრებულნი და ყოველივე ეს სულ უფრო და უფრო ჭიმავს მუსიკის კოლოსალურ შინაგან ზამბარას! ამ პროცესში, თავიდანვე მაღალი ეთოსითა და სულიერი სიდიადით გამსჭვალული მუსიკა თანდათან მზარდი მჭახე ჟღერადობებით იჭლინდება და სკდომის მიჯნამდე მიდის...

ამგვარივე პროცესი კიდევ უფრო კონკრეტული გამოხატულებას იღებს დამუშავების ფაზაში, განსაკუთრებით კი მეორე თემის განვითარებისას. ექსპოზიციაში თავდაჭერილი, თითქოს მშვიდად და მდორედ მდინარე ნაღვლიანი მეორე თემა (რომელსაც სიმებიანთა ხუთწილადი, უცვლელი რიტმული ფონის საფუძველზე პირველი ვიოლინოები უკრავენ), დამუშავების მონაკვეთში შემადრწუნებელი ტკივილებით აივსება, ხუთწილადი ფონი შემზარავ გრუსუნად გადაიქცევა, მას კონტრაპუნქტად მთავარი და შესავლის თემები შემოუერთდება და ყველა შინაგანი იარაღი დაუოკებელი ძალით ამოდუღდება. ყველაფერი შემზარავ ყვირილსა და ზრიალში გადაიზრდება და ეს ხდება დიდხანს შეკავებული ნელი ტემპის ფარგლებში! ბოლოს ეს ტემპიც ვეღარ უძლებს ამ კოლოსალურ შეკავებას და იძულებული ხდება დაიძრას, აჩქარდეს. ეს რეაქცია კი მალე თავის შედეგს მოიბამს: შემზარავი ძალით შემოიჭრება ბლავი და ტლანქი მარში, სწორედ ეს — ომის მანქანა გახლავთ... მისი მოტივი მწუხარე მთავარი თემის უხეში ნეტამორფოზაა (მათი საერთო ძირი — ისევ მეშვიდე სიმფონიის გერმანელთა მარშის ეპიზოდია). უხეში მარშის რიტმი

გზადაგზა მეტრულ ცვალებადობას განიცდის და ამით კიდევ უფრო ცინიკურ კორიანტელს აყენებს...

ამ წამლუკავი ნავარდის სიმშაგესა და სითავებდეს თითქოს საზღვარი აღარა აქვს, მაგრამ იგი წყდება დაფდაფების შემადრწუნებელი გრუსუნით. თითქოსდა დედამიწა ამოტრიალდა... მთელი ორკესტრი აზრიალდება და ადრტინდება, აპობს და ანგრევს ყველაფერს და აქ არნახული ძალით ამოსკდებიან მთელი სპილენძის საკრავები: მათი პირით დრტინავს სიმფონიის შესავლის თემა, იგი, როგორც რისხვის ზარი გასძახის და მოუხმობს კაცობრიობას. ამ, ჯერ არნახული ნგრევისა და უბედურების ჟამს თითქოსდა აქ შეერთდნენ ადამიანთა კეთილი სამყაროს მილიონები და მათი ტიტანური რისხვა ჩრდილავს ყოველგვარ წამლუკავ ნიაღვარს.

რისხვის ზარი მიწყდება და რჩება სიმებიანთა გაბმული, მთრთოლვარე ფონი და ამ ფონზე წყნარად აღუდუნდება ინგლისური ქარახსა. არნახული კატასტროფების შემდეგ თითქოსდა სიცოცხლის წყარო გამოჟონაო. დიდებულად განმარტა ეს მომენტი გამოჩენილმა საბჭოთა მუსიკისმცოდნემ ბორის ასაფიევმა: „უეცრად სიჩუმეში, მხოლოდ ერთი გული ძგერს თითქოს, და ვით მრისხანე, სუსხიან კლდეთა სიღრმიდან მჩქეფარე წყარო, უბრალოდ და მგრძობიარედ მღერის იგი: „მე კი ცოცხალი ვარო!“

ქარახსის დუდუნი გრძელდება კარგა ხანს, მისი სიმღერა — რეჩიტატივი გველაპარაკება წყნარად. ძალდაუტანებლივ, თითქოს სულმოთქმულად, გველაპარაკება და გულს გვიხსნის ისევე უშუალოდ, როგორც შოსტაკოვიჩის ამდაგვარივე სოლო-მონოლოგები მისი ადრინდელი და მერმინდელი ქმნილებებიდან, და ეს სოლო-მონოლოგები ხომ შოსტაკოვიჩის სიმფონიების ცოცხალი პერსონაჟებია... ინგლისური ქარახსა მერე ააჟღერებს მეორე თემის მელოდიას განწმენდილ დო-მაჟორულ ტონალობაში. მელოდია გადაინაცვლებს სიმებიანთა დახშულ ბანებში, რომელთა ხმებში დაგუბული სევდის ძგერა გვესმის. სიმებიანთა ძგერას ახლა შესავლის ჰანგიც მოებმება და ახალ აფეთქებას ამზადებს. დახშულ საყვირებსა და ვალტორნებში დაძრწინ ისევ სიმფონიის შესავლის გლოვის მაცნე გადაძახილები. მაგრამ ეს აფეთქებაც მალე ჩაცხრება, რჩება ღრმა იდუმალეობა, პირველი ვიოლინოები ჩუმად ჰგოდებენ სიმფონიის მთავარი და შესავლის თემების ჰანგზე (სხვა სიმებიანი საკრავები აღადგენენ სიმფონიის დასაწყისის რიტმულ ნახაზს). ბანები ჩუმად, თანმიმდევრულად, თითო საფეხურით დაბლა, სადღაც სიღრმეში ეშვებიან, მათ საპირისპიროდ ელავენ დახშული საყვირები. იქმნება ღრმა გამოცანა... ვიოლინოთა დო-მაჟორული მაღალი რეგისტრები კი სადღაც შორეთს სინათლის პერსპექტივას უმზერენ...

ამგვარი გამოცანებით ნაწარმოებთა, ანდა მათ ცალკეულ ნაწილთა დამთავრება ნიშანდობლივია შოსტაკოვიჩისათვის. ამგვარია მეხუთე სიმფონიის პირველი ნაწილის კოდა, როდესაც „საქვეყნო პათოსით“ აჟღერებული დრამატული უნი-სონების დაცხრომის მომენტში მშვენიერების ნათელი სამყარო გადაიხსნება, არფის ჟღერადობა იდუმალების ბურუსში ხვევს ყოველივეს, ხოლო ჩელესტის ბროლისებური, დაჟინებული ქრომატიული გამა თითქოსდა შუა გზაზე, პასუხის გარეშე გაწყვეტს სიმფონიის ამ მონაკვეთს... ანდა — ასევე კოდა მეათე სიმფონიის პირველი ნაწილისა: მძლავრი დრამატული ტალღების მინელების შემდეგ მრავლისმთქმელი ქორალი — ამოსავალი ფილოსოფიური ფუძე-მოტივის კვლავ გამოსხივებით, და მის მოყოლებით გამართული ორი

ფლეიტა — პიკოლოს იდუმალი დიალოგით. მეოთხე სიმფონიის დასასრული უკვე მოვიხსენიეთ. მერვე სიმფონიაში მეორედ შეგვხვდება ამგვარი გამოცანა, — უკვე მის დასასრულს. ეს ნიმუშები დიდ მნიშვნელობას იძენენ ხსენებული სიმფონიების ფილოსოფიურ შინაარსში. უხვადაა გაბნეული ამგვარ გამოცანათა მარცვლები მის კამერულ ქმნილებებში: კვარტეტებში, საფორტეპიანო პრელუდიებსა და ფუგებში.

მერვე სიმფონიის ძირითადი ფილოსოფიური კონცეფცია პირველ ნაწილშია მოცემული. შემდეგი ნაწილები, თითოეული უკვე დამოუკიდებელი სახით, განასახიერებენ სიმფონიის შინაარსობრივი სამყაროდან ცალკეულ, არსებით მომენტებს სიმფონიის მთავარი ხატებანი მათში წარმოდგენილი ახალ მხატვრულ ვარიანტებში — კიდევ უფრო კონკრეტული და ხაზგასმულად გაძლიერებული სახით.

ორი სკერცო მოსდევს ზედიზედ პირველ ნაწილს და ორივე ფაშისტ ურდოებს წარმოსახავს. სიმფონიის მეორე ნაწილს შეიძლება ვუწოდოთ „აღვირახსნილთა როკვა“. ფანტასტიკური სიმახვილითა და თეატრალური ხედვით ხატავს შოსტაკოვიჩი სისხლითდამთვრალთა განცხრომას. ტლანქი სიბლაგვისა და კოპწიობის ერთდროულობა, რაც გამოხატულია ერთის მხრივ სიმებიანთა ძუნძულა მარშიში, და, მეორე მხრივ, ხის საკრავთა დაღმასრიალა ჟღარუნში, კოლოსალურ კოლორიტულ ეფექტს იძლევა. აღნიშნავთ, რომ ამ სკერცოს მთავარი ინტონაციის ძირი ფაშისტური გერმანიის პოპულარული ფოქსტროტიდან მოდის. აქაც თვალნათლივ ჩანს შოსტაკოვიჩის დრამატურული განზოგადების და გადასახიერების უბადლო ძალა და მამხილებელი სიმძაფრე.

შემდეგი სკერცო, უფრო სწორად — ტოკატა — ისევ ჩვენი ნაცნობი „ავტომატური მანქანა“, ამკარად რომ ითქვას — მისი გენიალური მუსიკალური ნიმუში. კატასტროფიულად მზარდი ინტენსიობით დატრიალდება ბლაგვი ერთფეროვნების ავტომატი — პერპეტუუმობილევ. გამოაგნებლად მარტივი და სწორხაზოვანია მისი დინამიკური ლოკაცა: ჯერ აემვებიან და დატრიალდებიან ალტები, გრუხუნით და დარტყმებით მხარს უბამენ გზადაგზა სიმებიანთა ბანები, წივილითა და სტვენით ერთდაიგივეს იმეორებენ ხის საკრავნი. ეს კომპარული სიბლაგვე და ერთფეროვნება სულ უფრო თავზარდამცემი ხდება. დატრიალებულ ავტომატს, გრუხუნსა და კივილს მთელი ორკესტრი უერთდება და წალეკავზე გადადის, შემდეგ, უეცრად, ეს საშინელება თითქოს სადღაც მიიმალება, მაგრამ მის სანაცვლოდ ახალი საშინელება ჩნდება. სამხედრო გრუხუნის გაყოლებით საომარი საყვირი აიწყვეტს თავს და ცეკბლის ბელტებს ყრის ყველგან, შემდეგ ისიც მიიმალება... მაგრამ ვაი ამ მიმაღვას: ბლაგვი ავტომატი ისევ იფეთქებს, ღმუის, ზანზარებს და იქცევა ყველაფერი.

და აქ დგება სიმფონიის გენერალური კულმინაცია. შეუჩერებელი იწყება მე-4 ნაწილი — ლარგო. მთელი სპილენძის, ხისა და სიმებიანთა უმძლავრესი უნისონები ჰგოდებენ და ჰქუხან საქვეყნოდ, საყოველთაოდ, მსჯავრის დადების ტიტანური პათოსით. ჰუმანიზმის ტიტანური, ყოვლისმძლე ძალა ამ მილიონთა გლოვაში. სიმფონიის შესავლიდანაა აღმოცენებული ამ გოდების ინტონაცია. საქვეყნო ძახილი ღრმა პიანოზე ეშვება და ასე რჩება ბოლომდის. და მრავალჯის მეორდება ლარგოს მთავარი მელოდია. ამასთან ცხადი ხდება პასაკალიის ფორმაც, — ეს კლასიკური პოლიფონიური ფორმა, რომელიც შოსტაკოვიჩმა მერვე სიმფონიიდან მოყოლებული დაამკვიდრა, როგორც სიმფონიური ციკლის შემავალი

ნაწილი. მთავარ მოტივს აქ პოლიფონიურად, უფაქიხესი ნიუანსებით გადაეხლართებიან სხვა, ასევე მელოდიური ხმები. მათ ჟღერადობას კი სამგლოვიარო მარშის გეზს აძლევს მუდმივი ბანის მელოდია. მთელი ეს დინება აღბეჭდილია მკაცრი თავდაჭერილობით, ზნეობრივი კდემამოსილებითა და სიწმინდით.

და აქ განსაკუთრებით გამოყოფთ სიმფონიის დრამატურგის უმნიშვნელოვანეს მომენტს: როდესაც მთელი ამ პროცესის ტრაგიკული ექსპრესია გლოვის უძირო სიღრმეებში შედის, სრულიად უბრალო ხერხით შოსტაკოვიჩი ახდენს მოდულაციას დო-მაჟორის ტონალობაში. ჭეშმარიტად კოლოსალურია ამ მომენტის ზემოქმედების ძალა.

არცთუ ისე იოლად მკვიდრდება ეს გამონათება. კიდევ ბევრი რამ გადაელობება წინ ნათელის სრულ გამარჯვებას. ფინალის მუსიკაში შეგვხვდება დინამიკური გართულებები, იმიტაციური პოლიფონიური მომენტები, გამძაფრებული, მკვახე ხმოვანებანი, საგანგაშო მომენტები. ისევ იფეთქებს შეძრწუნებული სახით, I ნაწილის შესავლისა და კულმინაციის მომენტი, მაგრამ ყოველივე ეს მიყუჩდება და ბოლოს, ღრმა იდუმალეებში კვლავ დო მაჟორის ნათელი აღმოცენდება...

ასე მთავრდება ომისა და მშვიდობის ეს ღრმად ჰუმანისტური ფილოსოფიური ტრაგედია.

მრავალჯის გამოხმადურა მეორე მსოფლიო ომს მუსიკალური ხელოვნება. მას მსჯავრი დასდო დიდმა ფრანგმა კომპოზიტორმა — ჰუმანისტმა არტურ ონეგერმა, რომლის საუცხოო მეორე სიმფონია 1942 წლის დასაწყისშივე აქდერდა. ჰიტლერელთა ბოროტმოქმედების გამო ფაქიხი ინტელიგენტის უძირო შეძრწუნება გამოხატა დოდეკაფონიური მუსიკის მამამთავარმა არნოლდ შონბერგმა თავის ორატორიაში „ვარშაველი მოწიმი“. რა თქმა უნდა, დიდი სამამულო ომი მრავალი კუთხით აისახა საბჭოთა მუსიკაში, მათ შორის, — ფრიად ორიგინალურადაც, — ქართულში. მაგრამ არავის არ აუსახავს სამამულო ომი ესოდენ ოპერატიულობით, ამასთან გლობალური მასშტაბებითა და პრობლემატიკის სიღრმით, გიგანტური ფორმებით, როგორც შოსტაკოვიჩს.

ერთ დროს აღნიშნავდნენ — ზოგჯერ საყვედურის სახითაც: შოსტაკოვიჩის ქმნილებებში წყვედიანი ჩრდილავს ნათელ საწყისსო, და ეს, უწინარეს ყოვლისა, მერვე სიმფონიას შეეხებოდა. არ მიგვანჩია ეს მართებულად. შოსტაკოვიჩის სრული კონცეფცია მის ქმნილებათა მთლიან პანორამაში უნდა იქნეს დანახული. გარდა ამისა, შოსტაკოვიჩი თავის თხზულებებში როდი განსაზღვრავს მოპირდაპირი საწყისების მნიშვნელობას რაიმე არითმეტიკული პროპორციით: ზოგჯერ ყველაზე ნათელ იდეას ლაკონიური ხერხით, მინიმუმითაც კი ამკვიდრებს. ამ მხრივაც საგულისხმოა მერვე სიმფონია, სადაც პოზიტიური ენერგია რისხვის ტიტანურ ძალაში აღიბეჭდა. მისი საბოლოო გამონათება, მართალია, ჯერ მხოლოდ სხივია, მაგრამ მასში შეეგრძნობთ ღრმა პერსპექტივას: სიმებიანთა დასკვნითი, ჩუმი და მოწყვეტილი ბეგრები, თითქოს მკრთალად, არსებითად — საკმაოდ ცხადად გვავრძნობინებენ, რომ ახლოვდება ჟამი პროგრესული კაცობრიობის დიდი ხნის ოცნებისა. ეს არის ოცნება საყოველთაო ბედნიერებასა და მშვიდობაზე, ოცნება, რომელიც დიდმა ბეთჰოვენმა თავის დამავირგვინებელ ქმნილებაში აღბეჭდა შილერის სიტყვებით: „მილიონებო, შეერთდით!“

ასეა — შოსტაკოვიჩი მიმართავს მილიონებს და მილიონების სახელითვე ლაპარაკობს, მას აქვს ამის უფლება.



მს წიბნი ავტორისეული ავტოგრაფით ამა წლის იანვარში მიიღო საქართველოს სსრ დამსახურებულმა მხატვარმა კოტე ჭანკვეტაძემ:

„სახსოვრად ჩემს საყვარელ საბრძოლო მეგობარს, დიდი ქართველი ხალხის ერთგულ შვილს, გვარდიის მე-2 არმიის მეომართა ხსოვნის უკვდავსაყოფად გმი-რი ქალაქის — სევასტოპოლის ჩრდილო მხარის კონცხ-ზე აღმართული მონუმენტის ავტორს, ჩემი წიგნის ერთ-ერთ გმირს, კონსტანტინე ალექსანდრეს ძესა და მის ოჯახს დიდ სამამულო ომში გამარჯვების 30 წლის-თვის აღსანიშნავად.

ავტორისაგან. ქ. თბილისი,
3 იანვარი, 1975 წელი.

მრავალ ახალ წელს...“

ერევნის გამომცემლობა „აიასტანის“ მიერ რუსულ ენაზე გამოცემული ეს წიგნი სახელწოდებით „სტალინგრადული განთიადი“ («Сталинградское зарево»), რომლის ავტორია ს. მირზოიანი — ვოლგაზე გმირული ბრძოლების მონაწილე, მოგვითხრობს გვარდიის მსროლელ-თა 33-ე დივიზიის მე-3 საჰაერო-სადესანტო კორპუსის მეომართა საბრძოლო გმირობაზე. როგორც წიგნის ანოტაციაშია ნათქვამი, „ამ დივიზიის მეომრებმა კიდევ ერთი საგმირო ფურცელი ჩაწერეს დიდი სამამულო ომის, კერძოდ სტალინგრადთან ბრძოლების ისტორიაში... მოგონებებთან ერთად ავტორს მოტანილი აქვს საარქივო მასალები, რაც კიდევ უფრო სანტერესოს ხდის ამ გამოცემას“.

არავინ და არაფერი არ არის დავიწყებული. განსაკუთრებით დაუვიწყარი და ხანგრძლივია საბრძოლო მეგობრობა. გავიდა ოცდაათი წელი და ფრონტელმა თანამებრძოლმა უდიდესი სიყვარულით გაიხსენა ქართველი მეგობარი, თავის წიგნში ღირსეული ადგილი დაუმიკვიდრა კოტე ჭანკვეტაძის საბრძოლო ბიოგრაფიასაც. აქვე იხილავთ ფოტორეპროდუქციას „დიდების ძეგლისა“, რომელიც გვარდიის მე-2 არმიის მებრძოლ-თა უკვდავსაყოფად აიგო სევასტოპოლში და რომლის პროექტის ავტორია კოტე ჭანკვეტაძე.

კოტე ჭანკვეტაძის სახელი კარგად არის ცნობილი საქართველოში და მის ფარგლებს გარეთაც. მისი გრაფიკული თუ ფერწერული ნაწარმოებები — პეიზაჟები, ნატურმორტები, პორტრეტები, ჟანრული სურათები შესრულებული გუაშით, ტემპერით, ზეთით, ნახშირით, ფანქრით და შერეული მასალით ნათელყოფენ ხელოვანის მრავალმხრიობას, მხატვრული ინტერესების სიფართოვესა და შემოქმედებით თვითმყოფადობას. ნაყოფიერია კ. ჭანკვეტაძის მოღვაწეობა თეატრსა და კინოში. საექსპოზიციო-საგამო-

ოცდაათი წლის უკვდავ

მარინე კერესელიძე

ფენო საქმის შესანიშნავი მცოდნე, იგი მრავალი თვალსაჩინო საგამოფენო ექსპოზიციის ავტორია. აღსანიშნავია მხატვრის დეკორატიული ალღო და ნატიფი გემოვნება.

ომის პირველი დღეებიდანვე ჩადგა კ. ჭანკვეტაძე სამშობლო: დამცველთა რიგებში და ღირსეულად მოიხადა ვალი მის წინაშე, როგორც გვარდიის ოფიცერმა და ფრონტელმა მხატვარმა. ყირიმის მიწაზე ბრძოლა ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული, როდესაც კ. ჭანკვეტაძემ მიიღო არმიის სარდლობის საბრძოლო დავალება — შეექმნა ძეგლთა პროექტები პერეკოპის, არმიანსკისა და იშუნის განმათავისუფლებელ გმირთა უკვდავსაყოფად. პარალელურად იგი ხელმძღვანელობდა სევასტოპოლის მონუმენტის მშენებლობასაც. ეს საბრძოლო და ამავე დროს დიდად საპატიო დავალება ფიზიკური და შემოქმედებითი ძალების უდიდეს დაძაბვას მოითხოვდა როგორც მშენებლობის ხელმძღვანელის, ისე მშენებელთაგან, რომლებიც თავდაუზოგავად შრომობდნენ ამ კეთილშობილური საქმის წარმატებით დაგვირგვინებისათვის.

და, აი, 1944 წლის 24 ივლისს, ჯერ კიდევ ომის ქარტახილების პერიოდში, მტრის მიერ დანგრეულ და გადამწვარ ქალაქში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ოცდასამეტრიანი „დიდების ძეგლი“. საბრძოლო დავალების წარმატებით შესრულებისათვის კ. ჭანკვეტაძე ბევრჯერ იქნა დაჯილდოებული, მათ შორის მედლით „საბრძოლო

დამსახურებისათვის“ (პერეკოპის ძეგლისათვის) და „წითელი ვარსკვლავის ორდენით“ („დიდების ძეგლისათვის“).

დღეს სევასტოპოლის „დიდების ძეგლი“ წმინდა ადგილადაა მიჩნეული. აქ თავს იყრის ხალხი, მოდიან პიონერები, მეომრები, მეზღვაურები, ომის ვეტერანები, ყვავილებით ამკობენ ძეგლს, თავყანს სცემენ გმირ მეომართა ხსოვნას.

უჩვეულო ვითარებაში ააგო იგი თვით ხალხმა ახლადგანთავისუფლებული ყირიმის მცხოვრებლებმა, რომლებმაც მასში ჩააქსოვეს თავიანთი ნიჭი, შრომა, თავდადება და სიყვარული.

ამაყად აღმართულან ობელისკები სევასტოპოლის წმინდა მიწაზე, აღმართულან როგორც სიმბოლო სამშობლოს დამცველთა უკვადავებისა, ხალხთა მეგობრობისა, რომელიც ომის ქარცეცხლში კიდევ უფრო გამოიბრძმედა.

* * *


ისინი ერთმანეთს 1936 წელს სამხედრო სამსახურში შეხედნენ — ახალგაზრდა მოქანდაკე ტიტე სიხარულიძე და გალაქტიონ რაზმაძე. მოქანდაკე ის-ის იყო გამოდიოდა შემოქმედებით გზაზე. ერთმანეთთან დამეგობრებამ, ახლოს გაცნობამ არა მარტო ადამიანური სიმპათია, არამედ შემოქმედებითი ინტერესიც აღუძრა მოქანდაკეს. „მე გალაქტიონ რაზმაძეში დავინახე დიდი შინაგანი კეთილშობილება, ძალა, რომელიც ყველაფერს და ყოველივეს გადალახავს“ — გვიამბობს ტ. სიხარულიძე. მაშინ დამებადა იდეა ამ პიროვნებიდან გამომძებრვა საბჭოთა არმიის ზოგადი სახე და ჩანაფიქრი განავახორციელე კიდევ“.

მართლაც, ფიგურის დგომაში, ამაყად შემართულ პოზაში, ნებისყოფით აღსავსე სახეში იგრძნობა მეომრული ძალა, მზადყოფნა თავგანწირვით ეკვეთოს მომხდურს, არ დათმოს მშობლიური მიწის არც ერთი მტკაველი. ქანდაკება ახალგაზრდა ავტორის მომწიფებულ ოსტატობას ცხადყოფდა.

ახალგაზრდა მოქანდაკის „წინასწარმეტყველური“ განჭვრეტა გამართლდა: გალაქტიონ რაზმაძემ ღირსეული საბრძოლო შემართებით გაიარა მთელი დიდი სამამულო ომი. ბელორუსიის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში მან საბჭოთა კავშირის გმირის წოდება დაიმსახურა.

ტიტე სიხარულიძე მრავალი ფიგურისა და სამხედრო სკულპტურული პორტრეტის ავტორია. რესპუბლიკურ სამხატვრო გამოფენაზე „შვიდობის სადარაჯოზე“, რომელიც დიდი სამამულო ომის 20 წლისთავს მიეძღვნა, ექსპონირებული იყო მისი „გენერალ-მაიორ ი. ბაბალაშვილის პორტრეტი“, ხოლო ამჟამინდელ გამოფენაზე „დიადი გამარჯვების 30 წელი“ იგი სამი ნამუშევრით მონაწილეობს: პოლკოვნიკების — ლ. ქუდიძისა და აბულაძის, გენერალ-ლეიტენანტ ე. ჯანჯღავას პორტრეტებით. ტ. სიხარულიძე ავტორია სევასტოპოლის 414-ე ანაპის ქართული დივიზიის დიდების ძეგლისა (არქიტექტორი კ. გოქაძე), რომელიც 1960 წელს აიგო.

ოცდაათი წლის შემდეგ მოქანდაკე კვლავ შეხვდა გ. რაზმაძეს, რომელიც ამჟამად მოსკოვში ცხოვრობს და ნაყოფიერ პედაგოგიურ მუშაობას ეწევა. ამჯერად ტ. სიხარულიძემ მისი ახალი პორტრეტი გამოძერწა, რომელშიც სცადა გაეხსნა ამ ადამიანის მაღალი სულიერი ღირსებები, კეთილშობილება და დიდსულოვნება.



სამშობლოს დამცველი.



ქართული კინემატოგრაფიის წელი

ვანტანგ გურგენიძე

„ყველაშერი მტერზე გამარჯვებისათვის!“ — ასეთი იყო საბჭოთა ხალხის მთავარი მიზანი დიდი განსაცდელის ჟამს. ამ ისტორიულ მისიას დაუმორჩილეს თავიანთი შემოქმედებითი შრომა და უნარი საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებმაც.

„აღზარდეთ ჩვენს ხალხში საბჭოთა პატრიოტიზმი, ეროვნული სიამაყე, მოაგონეთ ყოველ მებრძოლს მისი ხალხის გმირული ტრადიციები, მისი მშვენიერი ეპოსი, ლიტერატურა, დიდი ადამიანები, სარდლები და მხედართმთავრები, ხალხის მასების განთავისუფლებისათვის მებრძოლნი“ — ასეთი იყო მოწოდება საბჭოთა ინტელიგენციისადმი (მ. ი. კალინინი, „ერთიანი მებრძოლი ოჯახი“, 1943 წ., გვ. 5).

ჩვენი ლიტერატურის, პრესის, რადიოს, მხატვრობის, მუსიკის, კინემატოგრაფიის წინაშე დაისახა კონკრეტული ამოცანა — მხარში ამოდგომოდნენ ხალხს მტერზე გამარჯვებისათვის ბრძოლაში, გაეხსენებინათ ქართველი ხალხის გმირული ისტორია, მისი საბრძოლო ტრადიციები, წარმოესახათ

წარსული, გმირული აწმყო და მომავალი, შეექმნათ ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც აღზრდიდნენ ყოველ მოქალაქეს მშობლიური მიწა-წყლის, ეროვნული კულტურის სადიდებლად და დასაცავად.

ამ მიზნით გაცოცხლდა ჩვენი გმირი წინაპრების: ვახტანგ გორგასალის, დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის, თეიმურაზ პირველის, გიორგი სააკაძის, ერეკლე მეორის, პეტრე ბაგრატიონისა და სხვათა ბრწყინვალე სახეები, ქართველი ხალხის ძველი და ახალი ეპოქის შრომისა და ბრძოლის გმირული ეპიზოდები.

მთელ შემოქმედებით ინტელიგენციასთან ერთად, ქართველი კინემატოგრაფისტები ქმნიან დროის შესაბამის მხატვრულ და დოკუმენტურ ფილმებს.

დიდი სამამულო ომის პერიოდის ქართული კინემატოგრაფიის მიღწევად ითვლება მიხეილ ჭიაურელის ორსერიანი მხატვრული ფილმი „გიორგი სააკაძე“.

საქართველოს სსრ ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დაცულია გ. ლეონიძის ლიტერატურული სცენარი „გიორგი სააკაძე“ (ქართული და რუსული ვარიანტები); აქვეა ა. ანტონოვსკაიასა და ბ. ჩორნის მიერ შექმნილი ერთობლივი კინოსცენარი ამავე თემაზე და სასცენარო განყოფილების დასკვნა (ფონდი № 52, ან. 1, საქმე 269, 2689, 2690). როგორც დოკუმენტებიდან ვგებულობთ სცენარი წარმოადგენს ა. ანტონოვსკაიასა და ბ. ჩორნის პიესის შესამე ვარიანტს; მითითებულია, რომ კარგადაა გაგებული გიორგი სააკაძის ისტორიულ-პოლიტიკური მრწამსი; სწორადაა მინიშნებული ამ ლეგენდარული გმირის მისწრაფება საქართველოს გასაერთიანებლად. მიუხედავად ამისა, საჭიროდ მიუჩნევიან სცენარის ფინალის გადაკეთება, რათა კიდევ უფრო ნათელი გამხდარიყო გ. სააკაძის ცხოვრების ტრაგიკული დასასრული.

ამავე საკითხზე დაცულია 1940 წლის 4 დეკემბრის თათბირის სტენოგრაფიული ანგარიში (ფონდი 263, გვ. 1-12). თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიუღიათ: ასტახოვს, რომს, ჩორნის, ანტონოვსკაიას, მეეროვიჩს, ჩერნიაკს, ანჯაფარიძეს, ჭიაურელს; აღნიშნულია ის მომავალი სიძნელებები, რომლებიც აუცილებლად წამოეჭრებოდათ ფილმის გადაღების დროს; სირთულეები ყველაზე მეტად მოსალოდნელი იყო დეფიციტური მასალების შეძენასთან დაკავშირებით. მიუხედავად შესანიშნავი სცენარისა, ავტორებს ამჯერადაც დაევალიათ სცენარის, განსაკუთრებით ბატალური სცენების, შესწორება-ამოღება. როგორც მ. რომი, ისე მ. ჭიაურელი იმედოვნებდნენ, რომ დასძლევდნენ სიძნელებებს და „გიორგი სააკაძის“ გადაღება დამთავრდებოდა 1941 წელს. ამიტომ დღის წესრიგში დადგა სარეჟისორო სცენარის მოკლე დროში შექმნა.

თათბირის ყურადღება მიიპყრო საკითხმა სურამის ცნობილი ბრძოლის გადაღების შესახებ.

სსრ კავშირის სახალხო არტისტ აკ. ხორავას პირად ფონდში (№ 212) სხვა მასალათა შორის დაცულია კინოფილმი „გიორგი სააკაძისადმი“ მიძღვნილი რეცენზიები, სტატიები, წერილები, შენიშვნები. მეტად ამაღელვებელია წითელარმიელების — ა. ფალიაშვილის, პეტროვის, ჩუკინის 1943 წლის 6 ივნისისა და № 20021 სამხედრო ნაწილის მეომრების 1944 წლის 3 დეკემბრის ერთობლივი წერილები აკ. ხორავასადმი, გაზეთ „პრავდაში“ 1942 წლის 13 სექტემბერს

დაბეჭდილი დ. ზასლავესკის სტატია „პოემა დიდ ქართველ მხედართმთავარზე“, ს. გერასიმოვის რეცენზია — „ფილმი დიდ ქარველ მხედართმთავარსა და პატრიოტზე“ („პრავდა“, 1943 წლის 12 აგვისტო), 1943 წლის 20 აგვისტოს გაზეთ „ვეჩერნაია მოსკვაში“ დაბეჭდილი ალ. დეიჩის წერილი — „გიორგი სააკაძე“, გაზეთ „ლიტერატურა ი ისკუსტვოში“ (1943 წლის 14 აგვისტო) გამოქვეყნებული ი. მანევიჩისა და ნ. ხუციშვილის სტატიები, დ. ჯანელიძის, შ. ბუაჩიძის, შ. ალხაიშვილის მიერ გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნებაში“ დაბეჭდილი 1943 წლის 17 დეკემბრის კორესპონდენციები რუბრიკით „ქართველი სახალხო გმირი ევრანზე“ და სხვ.

1944 წლის 16 აპრილს „პრავდაში“ გამოქვეყნებულ უკვე მეორე წერილში დ. ზასლავესკი წერდა: „საკადის სახე შევიდა ჩვენი დიდი წინაპრების იმ მამაც სახელა გალერეაში, რომლებიც გვინათებენ საუკუნეთა სიღრმიდან, გვაკავშირებენ ისტორიულ სინამდვილესთან... ჩვენს თვალწინ ახლებურად დგება ნათელი სახე დიდი ქართველი მხედართმთავრისა“.

რეჟისორი მიხეილ ჭიაურელი გაზეთ „კომუნისტის“ 1942 წლის 9 სექტემბრის ნომერში წერდა: „გიორგი სააკაძის“ ცხოვრებისა და მოღვაწეობის კინოში ასახვას დიდი მნიშვნელობა აქვს. გარდა იმისა, რომ ჩვენ ვცნობით ქართველი ხალხის ისტორიის ერთ მნიშვნელოვან ეპოქას, მაყურებელი ნახავს დიდი წინაპრის გიორგი სააკაძის მამაცურ სახეს, რომელიც ალაფრთოვანებს ჩვენს სახელოვან მებრძოლებს მტერზე გამარჯვებისათვის“.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ფილმი „გიორგი სააკაძის“ შესახებ ამონაწერი დიდი სამამულო ომის მონაწილე ნათელა იობაძის წერილიდან, რომელიც აკ. ხორავას არქივში ინახება: „...რუსეთი ცეცხლის ალში იყო გახვეული. მართალია, ჩვენი ჯარები შეტევაზე იყვნენ გადასული და ფაშისტ გერმანელებს მიერეკებოდნენ საკუთარი ბუნაგისაკენ, მაგრამ ძალიან გვიჭირდა, უბრძოლველად ჩვენივე მიწის ერთ მტკაფელსაც არ გვითმობდნენ უბადრუკი ჰიტლერის დაქირავებულები. სწორედ ამ მომენტში, როდესაც თითქოს რაღაც გამამხნეველებს ველოდით, რომ ჩვენი ნაწილი, რომელშიაც ნევმსახურობდი, შეტევაზე გადასულიყო, პოლკში ხმა გავარდა, კინოსურათი „გიორგი სააკაძე“ უნდა გვაჩვენონო... მე ერთადერთი ქართველი ქალი ვიყავი მთელ პოლკში (ქალს ვამბობ, თორემ აბა რა ქალი ვიყავი, გამხდარი, სუსტი, პატარა გოგო). კინოს სანახავად ყველას უნდოდა წასვლა, ფრონტზე ხომ იშვიათად იყო ასეთი რამ. დაიწყო სურათი, ვნახე ჩემი მშობლიური მხარე, ჩემი მამაცი ხალხი, სამშობლოსათვის რომ სიცოცხლეს არ იშურებდა... ცრემლი დაპაღუპით ჩამომდიოდა... აი, დამთავრდა სურათი და მიუხედავად იმისა, რომ „დარბაზი“ განათდა, ადგომას არავინ ფიქრობდა. დავინახე, როგორ იწმენდნენ თვალებიდან ცრემლებს მეომრები... გამოემართნენ თუ არა გასასვლელისაკენ, ყველანი თვალებით მე დამეძებდნენ, მეალერსებოდნენ, ყველას უნდოდა რაღაც ეთქვა ჩემთვის. ბოლოს მოვიდა ჩემთან ასეულის მეთაური, უფროსი ლეიტენანტი ტიმოფევი და მითხრა: ნათელა, რა დამარცხებს იმ ხალხს, რომელსაც ასეთი წარსული აქვს, გიორგი სააკაძე ჩვენთვის მაგალითი იქნებაო“. (ლხცსა, ფ. 212, დოკუმენტი 228).

როგორც ცნობილია, „გიორგი სააკაძის“ პირველი სერია გამოვიდა 1942 წელს, მეორე — 1943 წელს. კინოფილმის

დიდი წარმატების გამო სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულმა კინემატოგრაფიის კომიტეტმა 1943 წლის 25 აგვისტოს ბრძანებით, მაღალი შეფასება მისცა თბილისის კინოსტუდიის შემოქმედებითი კოლექტივის ამ ნამუშევარს; განსაკუთრებით აღინიშნა დამდგმელი რეჟისორის მ. ჭიაურელის, სცენარის ავტორების ა. ანტონოვსკაიასა და ბ. ჩორნის, მსახიობების — ა. ხორავას, ვ. ანჯაფარიძის, ა. ვასაძის, ს. ზაქარაძის, ა. ომიადის, ს. ბაღაშვილის დიდი დამსახურება (იხ. ლხცსა, ფ. 52, ან. 2, საქ. 6, გვ. 2).

აკადემიკოსმა სიმონ ჯანაშიამ თქვა ამ კინოფილმის შესახებ: „ჭეშმარიტად აქტუალური თემა დამუშავებულია ისეთი ისტატობით, რომ ვიტყვი პირდაპირ, ჩვენ საქმე გვაქვს შედევრთან. მე დარწმუნებული ვარ სურათი ჩადგება საუკუნეთსო ისტორიული ფილმების რიცხვში და გზას გაიკვლევს მსოფლიო ეკრანისაკენ“ („კომუნისტი“, 1942 წ., 9 სექტემბერი).

დიდი სამამულო ომის წლებში, საქართველოს კინოსტუდიაში შექმნილი ნაწარმოებებიდან, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ს. დოლიძისა და დ. რონდელის მიერ გადაღებულ მუსიკალურ-მხატვრულ ფილმს „ჯურღაის ფარი“. სცენარის ავტორებმა: გ. ლეონიძემ, ს. დოლიძემ და დ. რონდელმა ამ ფილმს საფუძვლად დაუდეს ქართული ხალხური თქმულება ჯურღაის ფარზე. ლეგენდის მიხედვით, ეს ფარი ჰკიდია ალაზნის ველზე და ქართველთა ყოველი გასაჭირის ჟამს სამშობლოს დასაცავად აჟღერდება. ავტორებმა ეს ძველისძველი ლეგენდა სამამულო ომის პირობების შესაბამისად ამეტიყველეს. ფილმი, რომელიც გამსჭვალულია უდიდესი პატრიოტული და ინტერნაციონალური სულისკვეთებით, მაყურებელმა აღტაცებით მიიღო, „გიორგი სააკაძის“ მსგავსად, ისიც სახელმწიფო პრემიით დაჯილდოვდა. „ჯურღაის ფარი“ — ეს იყო დიდების ჰიმნი, „ნამდვილი პატრიოტიზმისა და საბჭოთა ხალხების შეურყეველი მეგობრობის მაღალი იდეებით გამსჭვალული ფილმი“ („პრავდა“).

ფილმის გმირები, — ფრონტის მოწინავე ხაზზე მიმავალი საბჭოთა მეომრები, — ისეთივე თავდადებითა და გმირული შემართებით იბრძოდნენ შემოსეული მტრის წინააღმდეგ, როგორც წარსულ საუკუნეებში ჯურღაი და მისი თანამემამულეები. „ჯურღაის ფარში“ მოქმედება, მუსიკა, სიმღერა და ცეკვა ერთი მთლიანი დრამატურგიული პოემია. მასში გამოყენებული ვოკალური, თუ ქორეოგრაფიული ნორმები, ხალხური თუ კლასიკური ნაწარმოებები, განუყოფელ ერთიანობაშია.

მიუხედავად მძიმე პირობებისა, ფილმი მაინც განსაზღვრულ დროს გამოვიდა ეკრანებზე. სურათში მონაწილეობდნენ დავით გამრეკელი, მედეა ჯაფარიძე, ნუცა მიქელაძე, ქეთო ჯაფარიძე, დავით ბადრიძე, გრიგოლ გრიგოლაშვილი, ვახტანგ ჭაბუკიანი და უკრაინელი მომღერლები — გრიშკო და ჩასტი.

ფილმთან დაკავშირებით გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციამ მოქმედი არმიიდან შემდეგი შინაარსის წერილი მიიღო:

„გთხოვთ საბრძოლო სალამი და ჩვენი გულითადი მადლობა გადასცეთ თბილისის კინოსტუდიის თანამშრომლებს იმ სიამოვნებისათვის, რაც ჩვენ დღეს განვიცადეთ. დღეს, 1944 წლის 26 ნოემბერს, ჩვენ ვნახეთ თბილისის კინოსტუდიის მიერ დადგმული კინოსურათი „ჯურღაის ფარი“.

ქალღმერთი ძნელია იმის გადმოცემა, რაც ჩვენ განვიცა-

დეთ, როდესაც სურათს ვუყურებდით. თავს ისე ვგრძნობდით, თითქოს ვყოფილიყავით ჩვენს მშობლიურ საქართველოში, თბილისში. ამ სურათმა მოგვაცნა ჩვენი სამშობლოს გმირული წარსული. ჩვენი წინაპრების ბრძოლები და გამარჯვებები.

ბევრი ტკბილი გრძნობა და მოგონება გაგვიღვიძა „ჯურ-ღაის ფარმა“ და თუმცა ჩვენ ახლა შორს ვართ, მაგრამ შორს აღარ არის ის დღე, როდესაც მტერს საბოლოოდ დავამარცხებთ და კვლავ მოვალთ საყვარელ მზიურ საქართველოში.

განსაკუთრებით მადლობა და საუკეთესო სურვილები გადაეცით მსახიობებს დავით გამრეკელს და ქეთო ჯაფარიძეს: ტკბილი სიმღერებისათვის. ძალიან გვენატრება ქეთო ჯაფარიძის მოსმენა, მაგრამ ჯერ უნდა ბოლომდე შევასრულოთ ჩვენი ვალი სამშობლოს წინაშე. აქ ჩვენთან არიან სხვა მოძნე რესპუბლიკების ხალხთა შვილები. მათაც ძლიერ მოეწონათ „ჯურღაის ფარი“...

საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დაცულ სხვა დოკუმენტთა შორის აღსანიშნავია სსრ კავშირის კინემატოგრაფიის მხატვრული კინოწარმოების სამმართველოს 1943 წლის 27 თებერვლის ბრძანება კინოფილმის — „ქართული კინოკონცერტი ფრონტს“ — წარმოებაში ჩაშვების შესახებ, რომლის რეჟისორებად დამტკიცებული არიან ს. დოლიძე და დ. რონდელი, განსაზღვრულია გადაღების დრო — 1943 წლის მარტი (ფ. 52, ან. 2 ტ. II, საქმე 7. გვ. 41). „ქართული კინოკონცერტი ფრონტს“ გ. ლეონიძის სცენარზე შექმნილი „ჯურღაის ფარის“ პირველი სახელწოდებაა...

„გიორგი სააკაძისა“ და „ჯურღაის ფარის“ გადაღებამდე, ჯერ კიდევ დიდი სამამულო ომის დასაწყისში, ქართულმა კინოსტუდიამ გამოუშვა მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმები: „ფორპოსტი“, „სადარაჯო ჯიხური“, „შავ მთებში“.

„ფორპოსტი“, რომლის სცენარი ეკუთვნით ი. პერესტიანსა და პ. მორსკოის (რეჟ. კ. მიქაბერიძე), გამოვიდა 1941 წელს. ფილმის იდეაა — „თითოეული სახლი ცხესიმავრეა. თითოეული საბჭოთა მოქალაქე მეომარია“. ფილმის შინაარსი ეხება ერთ-ერთი საბჭოთა სასაზღვრო ქალაქის მუზეუმს, მისი დირექტორის პატრიოტიზმს, ისტორიული ძეგლების დაცვას, წითელარმიელებისადმი დახმარებას...

დ. ანთაძისა და ა. ჯალიაშვილის მიერ ი. მოსაშვილისა და კ. ლორთქიფანიძის სცენარით შექმნილი კინოფილმი „სადარაჯო ჯიხურში“ (გამოვიდა 1941 წელს) მოსახლეობას მოუწოდებდა სიფხიზლისაკენ. ასეთივე პატრიოტულ მიზანს ისახავდა იმავე წელს გამოსული ნ. შენგელაიას ფილმი „შავ მთებში“.

მომდევნო პერიოდის სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმებიდან აღსანიშნავია გ. მდივნის სცენარის მიხედვით კ. პიპინაშვილის მიერ გადაღებული „ხიდი“. იგი პირველი ქართული სრულმეტრაჟიანი ფილმია დიდი სამამულო ომის თემაზე.

სამამულო ომის გმირულ ბრძოლებს, ქალაქისა და სოფლის მშრომელთა პატრიოტიზმს ეძღვნება კინოფილმები: „ის კვლავ დაბრუნდება“ (სცენარი ი. მოსაშვილისა და კ. ლორთქიფანიძის, რეჟ. ნ. შენგელაია და დ. ანთაძე, 1943 წ.), „ჭირვეული მეზობლები“ (სცენარი გ. მდივნისა, რეჟისორი შ. მანაგაძე, 1943 წ.),

ომის თემას ეხებოდა აგრეთვე კ. პიპინაშვილის მეორე ფილმი „ოქროს ბილიკი“ (1945 წ.).

ზემოთ მითითებულ ფილმებში მონაწილეობდნენ: ნ. ვან-ნაძე, გ. შავგულიძე, მ. ჯაფარიძე, ალ. ომიანი, ალ. ჟორჯოლიანი, შ. ღამბაშიძე, ც. წუწუნავა, დ. წეროძე, ლ. ასათიანი, კ. დაუშვილი, კ. ანდრონიკაშვილი და სხვები.

თბილისის კინოსტუდიამ ომის დროს თბილისში მყოფი რეჟისორების ვ. პეტროვის, ი. იანსკის, მ. ვოიტეხის, ი. ხეიფიცის... დადგმით სამამულო ომის თემაზე გამოუშვა აგრეთვე კინოსურათები: „წითელფლოტელი შალნოვი“, „უჩინარი იანი“, „მალახოვის ყორღანი“ და სხვა.

ამავე პერიოდს ეკუთვნის ქართული სტუდიის მიერ განხორციელებული ნახატი ფილმი „სამი მეგობარი“ (რეჟ. ვ. მუჯირი) და ქართულად დუბლირებული რუსული კინოსურათები: „დიადი მოქალაქე“, „სუვოროვი“, „ზოია“ და სხვა.

ქართველმა კინოდოკუმენტალისტებმა ჩვენი ქვეყნის დიდი განსაცდელის ჟამს ფირზე აღბეჭდეს ჩვენი ხალხის შრომისა და ბრძოლის გმირული მატრიანე, რომელშიც დამაჯერებლად აისახა ქართველი ხალხის, მისი შვილების სამკვდროსასიცოცხლო ბრძოლა, მათი თავდადებული შრომა და მამულო შვილობა.

ქართული კინოს მუშაკები პირადად მონაწილეობდნენ დიდ სამამულო ომში. მათ მუშაობა უხდებოდათ ფრონტის მოწინავე პოზიციებზე. თავიანთი მოვალეობის შესრულების დროს დაიღუპნენ: კინოოპერატორი ვლადიმერ კილასონიძე, კინორეჟისორი ვლადიმერ მიტროფანოვი, ოპერატორი ჭიჭიკო ძიძიგური.

ქართველი დოკუმენტალისტების მიერ შექმნილი ფილმებიდან აღსანიშნავია კინონარკვევი — „გერმანელთა ავანტიურის დასასრული კავკასიაში“.

ფილმი შექმნეს რეჟისორმა ირაკლი კანდელაკმა, ოპერატორებმა: გიორგი ასათიანმა, ლევან არზუმანოვმა, ოთარ დეკანოსიძემ, რომლებიც თან ახლდნენ კავკასიის გმირ დამცველებს ნალჩიკთან, არმავირთან, ქერჩთან, ფეოდოსიასთან, ნოვოროსიისკთან, ტამანთან, ჩრდილო კავკასიაში ბრძოლის დროს.

აი, რას წერდა ამ ფილმზე ლ. ი. ბრეჟნევი 1944 წელს ფრონტიდან საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს: „თქვენს მიერ მე-18 არმიაში გამოგზავნილი ქრონიკალურ-დოკუმენტური ფილმი „პიტლერული ავანტიურის დასასრული კავკასიაში“, თბილისის კინოსტუდიის ნაწარმოები. ამ თემაზე არსებული ფილმებიდან ყველაზე უფრო სრულად გვიჩვენებს გერმანელთა ურდოების განადგურებას ნოვოროსიისკთან და ტამანთან... არმიის პოლიტგანყოფილება მადლობას უცხადებს ამ საჭირო დოკუმენტური ფილმის შემქმნელ კოლექტივს (რეჟისორი კანდელაკი, ოპერატორები ლ. არზუმანოვი, გ. ასათიანი). ყოველი ასეთი ფილმი წვლილია ბრძოლისა და წყველ მტერზე საბოლოოდ გამარჯვების საქმეში“. (მლისფა, ფ. 14, ან 1, საქ. 13806, ფურ. 32).

შავი ზღვის მეზღვაურთა საბრძოლო ცხოვრებას გადმოგვცემენ ფილმები: „ომი ზღვაზე“, „ზღვის საგუშაგოზე“ და „სევასტოპოლის გმირები“ (რეჟისორი შ. ხომერიკი, ოპერატორები: ალ. აჯიბეგაშვილი, გ. უსინაშვილი, ლ. არზუმანოვი, ო. დეკანოსიძე, ა. ფილიპაშვილი, ვ. კილასონიძე); პიატიგორსკის განთავისუფლებისათვის ბრძოლას ეძღვნება რეჟისორ შ. ჩაგუნავასა და ოპერატორ ა. სემიონოვის შესანიშნავი დოკუმენტური ფილმი „ფაშისტ მხეცების კვალდაკვალ“,

რომელშიც თვალნათლივ მოსჩანს ნანგრევებად ქცეული ქალაქი, მ. ლერმონტოვის გაპარტახებული და დამწვარი მუზეუმი, გადამწვარი სასახლეები... დახოცილთა საფლავებთან ჭირისუფლების გოდება.

საბჭოთა მრავალეროვანი ხალხების საბრძოლო გმირობის ეპიზოდებს გადმოგვცემენ ფილმები: „ორჯონიკიძის მისადგომებთან“, „კავკასიის დაცვისათვის“, „შეტევა არმავირზე“, „ფრონტის ხაზზე“, რეჟისორ ვ. ვალიშვილის და ოპერატორ ვასო შანიძის მიერ კავკასიონის მისადგომებთან გადაღებული გენერალ-პოლკოვნიკ კ. ლესელიძის ბრძოლის ეპიზოდები, რომლებიც ლესელიძის სიკვდილის შემდეგ შევიდნენ მისი ხსოვნისადმი მიძღვნილ კინონარკვევში „სტალინური მხედართუფროსი“ (სცენარი კ. გოგოძის, რეჟისორი კ. გრძელიშვილი).

აღსანიშნავია აგრეთვე ომის უკანასკნელ ხანებში განხორციელებული რეჟისორ შ. ჩაგუნავას კინონარკვევი „გენერალ ჩანჩინაძის გვარდიელები“ (ოპერატორი გ. ასათიანი), ვლ. დვალისვილის მიერ აზოვის მეთევზეთა ცხოვრებისადმი მიძღვნილი ფილმი „პატრიოტი მეთევზენი“ და სხვ.

1943 წლის 9 მარტს პარტიის ჩრდილოეთ რუსეთის საოლქო კომიტეტიდან საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და კინოსტუდიის სახელზე გამოგზავნილ მადლობის წერილში ვკითხულობთ იმ დიდ აღფრთოვანებასა და კმაყოფილებას, რომელიც გამოუწვევია ჩრდილოეთ ოსეთის მშრომელებში ქრონიკალურ-დოკუმენტურ ფილმს „ორჯონიკიძის მისადგომებთან“ (ფონდი № 52, ან. 2, ტ. 2, საქმე 5, 147).

ხალხთა მეგობრობას, საქართველოს მშრომელთა გმირობას ზურგში და საწარმოთა და სამეურნეო მიღწევებს, ფრონტისა და ფრონტელთა ოჯახებისადმი დახმარების ეპიზოდებს გვიხატავენ მხატვრული კინონარკვევები: ვ. ვალიშვილის „პირველი საფრონტო გაზაფხული“ და „გორის ველი“, ალ. მამულაშვილის „რა გააკეთე სამშობლოს გამარჯვებისათვის?“, კ. გრძელიშვილის „დახმარება ფრონტელთა ოჯახს“ და „მტკიცე მეგობრობა“.

ქართველი ხალხის პატრიოტული სულისკვეთებითაა გამსჭვალული აგრეთვე დიდი სამამულო ომის პერიოდში ირ. კანდელაკის მიერ გადაღებული ფილმი „ქართველები ირანში“.

სამამულო ომის უმძიმეს პირობებში კინომუშაკთა თავდადებული შემოქმედებითი მუშაობა დიდად დააფასა საბჭოთა მთავრობამ და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 14 აპრილის ბრძანებულებით თბილისის კინოსტუდია დაჯილდოვდა ლენინის ორდენით.

ქრონიკალურ-დოკუმენტური ფილმების უშუალოდ ფრონტზე გადაღებისათვის სარდლობამ სხვადასხვა დროს ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა კინორეჟისორი ირ. კანდელაკი, ოპერატორები — გ. ასათიანი, ლ. არზუმანოვი, ვ. კილასონიძე, თ. დეკანოსიძე...

ამავე პერიოდში საბჭოთა კინემატოგრაფიის დარგში დიდი წარმატებისა და მაღალმხატვრული კინოსურათების გამოშვებისათვის დაჯილდოვდნენ: მ. ჭიაურელი, ვ. ანჯაფარიძე, ა. ხორავა, ს. ზაქარიაძე, ა. ბალანჩივაძე, ი. პერესტიანი, ა. დიდმელოვი, დ. რონდელი, კ. პიპინაშვილი...

დიდი სამამულო ომის წლებში მთელ საბჭოთა შემოქმედებით ინტელიგენციასთან ერთად ქართველმა კინემატოგრაფისტებმაც უდიდესი წვლილი შეიტანეს ფაშისტურ გერმანიასე გამარჯვების საქმეში.

1941 წელი. კონსერვატორიის მეორე კურსზე გადავდი. უკვე ვიგემე პირველი წარმატების სიხარული, გატაცებული ვარ სიმღერით, ვოცნებობ კონცერტებზე, სპექტაკლებზე, მომავალ საოპერო გმირებზე... ცხოვრება ვარდისფრად მესახება. და აი, ერთბაშად ჩვენი ქვეყნის მშვიდობიან ცას შავი ღრუბელი გადაეკრა. ბრძოლის ყიჟინამ, ქვემეხთა გუგუნმა, ყუმბარების ზათქმა უეცრად გააქრო ღიმილი, ოცნება, იმედი... გულისტკივილით ვეთხოვებოდი ომში მიმავალ თანაკურსელებს, შემომეცალნენ ტოლები, დაცარიელდა აუდიტორიები, ირგვლივ კი მრავალდებოდნენ ჰოსპიტლები, დაჭრილ მეომრებს გამხნელება და ნუგეში სჭიროდათ. სწორედ ეს დიდი მისია თავს იდო თბილისის კონსერვატორიამ, რომლის ხელმძღვანელობამ ერთბაშად დარაზმა შინ დარჩენილი ახალგაზრდები. სასწრაფოდ ჩამოყალიბდა სტუდენტთა საშემსრულებლო ბრიგადები, რომელთა აქტიური წევრი მეც ვიყავი, ეს ძალზე აღელვებდა ჩემს პედაგოგს პროფესორ ოლღა ბახუტაშვილ-შულგინას, რადგან დამწყები ვოკალისტის რეჟიმის დარღვევა სახიფათოდ მიიჩნედა.

დაიძაბა ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება. დილით ლექციები, შემდეგ გაკვეთილები პედაგოგებთან, ნაშუადღევს სახელდახელო კომკავშირული დაგალებები, რომელთა მიხედვითაც ზუსტად სამხედრო წესით, სრულდებოდა ბრიგადების მუშაობის განრიგი. ღამის საათებში კი—მორიგეობა ჩაბნელებულ ქუჩებში, რათა განგაშის შემთხვევაში სასწრაფოდ დავხმარებოდით მოსახლეობას.

ხშირად საშემსრულებლო ბრიგადები კონცერტებს მართავდნენ საქართველოს სხვადასხვა რაიონში. განსაკუთრებით დამამახსოვრდა „გასტროლები“ ლიკანის ევაკოპოსპიტალში, სადაც სტუდენტურ ბრიგადას ხელმძღვანელობდა გამოჩენილი კომპოზიტორი დიმიტრი არაყიშვილი. სწორედ მან შეადგინა ჩვენი საკონცერტო პროგრამა, რომელიც ხშირად დაჭრილთა ნება-სურვილის მიხედვით იცვლებოდა. ჩვენი ბრიგადა თავისი შემადგენლობით ინტერნაციონალური იყო. მასში გაერთიანდნენ მომღერალი ლ. არაქელოვი (შემდეგში თბილისის საოპერო თეატრის სოლისტი), ალმა-ატელი არტისტი კ. ბურდეროვი, მევიოლინე შ. მარადოვი (ამჟამად ვიოლინოების გამკეთებელი ოსტატი), მომღერლები ლ. ემილიანოვა (შემდეგში ბაქოს საოპერო თეატრის სოლისტი) და მ. კოზლოვსკაია (ამჟამად ნოტოსიბირსკის საოპერო თეატრის მომღერალი), ვიოლონჩელისტი სულხან ცინცაძე, მევიოლინე გივი ხატიაშვილი და მე. კონცერტმეისტერი იყო ირინა გლებოვა — შესანიშნავი მუსიკოსი, რომელმაც მრავალ მომღერალს დაულოცა გზა ხელოვნებაში. ჩვენი ბრიგადა ემსახურებოდა ლიკანის, ბორჯომის, წალვერის ევაკოპოსპიტლებს. ყოველდღე, ნა-

სამშობლოს დამცველთა მხარდამხარ

ნუსა
მიქელაძე

ხვერად მშვივრები, აღმა-დაღმა დაჯქროდით, ფრთხილად შევდიოდით დაჭრილთა პალატებში და მათ ყოველ სურვილს უყოყმანოდ ვასრულებდით. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა მომავალი კომპოზიტორი სულხან ცინცაძე, რომელიც თავის ჩელოზე ყველაფერს უკრავდა — კლასიკურ ნაწარმოებებს, პოპულარულ სიმღერებს, მელოდიებს კინოფილმებიდან. სწორედ აქ გამოამუშავა ს. ცინცაძემ იმპროვიზაციის ნიჭი, იგი ისე სწრაფად და თანაც თავისებურად ააწყობდა ხოლმე ნებისმიერ მელოდიას, რომ ყველა განცვიფრებაში მოჰყავდა. ამ იმპროვიზაციებში მონაწილეობას იღებდა ჩვენი ბრიგადის ყველა წევრი. სწორედ აქ დაიბადა ს. ცინცაძის ერთ-ერთი აღრინდელი ნაწარმოები — ინსტრუმენტული ტრიო (ვიოლინოს, ალტისა და ჩელოსათვის), აგებული ხალხური „საჭიდაოს“ მასალაზე. ამ დიდად ნიჭიერი კომპოზიტორის შემოქმედებით ცდებს თანაუგრძნობდა დიმიტრი არაყიშვილი, რომელიც სიამოვნებით უსმენდა მის იმპროვიზაციებსა და ეროვნული სულით გამსჭვალულ ნაწარმოებებს.



კონცერტების გარდა ჩვენი ბრიგადა სხვადასხვა სახის დავალებებსაც ასრულებდა. როგორც კი გავიგონებდით ზარის ხმას, ვცხადდებოდით მთავარ კორპუსთან, დაჭრილების ახალი ნაკადის მისაღებად, ვინაიდან ჰოსპიტალი სანიტრების ნაკლებობას განიცდიდა. დაჭრილი მეომრები საკაცეებით მიგვყავდა პალატებში. ეს ყველაზე მძიმე დავალება იყო, რადგან ჩვენი პიანისტებისა და ინსტრუმენტალისტების გასათუთებელი ხელები ვერ უძლებდნენ ასეთ დატვირთვას. ამიტომ თითო საკაცეზე ოთხი მუსიკოსი ნაწილდებოდა. ამას ჩვენ „ოთხი ხელით დაკვრას“ ვეძახდით.

დაჭრილები მოუთმენლად ელოდებოდნენ ჩვენს კონცერტებს, რომელსაც საღამოობით ვმართავდით ჰოსპიტლის კლუბში. რეპერტუარი ერთობ ჭრელი იყო. ძალაუნებურად ვარდევდით ყოველგვარ პროფესიულ ნორმებს. ეს რომ კონსერვატორიის პროფესორებს გაეგოთ, ვინ იცის რა მოხდებოდა. დ. არაყიშვილი კი სხვაგვარად უყურებდა ამას და თან გვამხნევებდა: „არა უშავს, ჩემო კარგებო! დაუკარით, რაც გინდათ. იმღერეთ, რასაც ითხოვენ დაჭრილები. ხომ ხედავთ ასეთი მუსიკაც საჭიროა“.

და აი, გამოთხოვების დღეც დადგა, ვღელავდით... უეცრად გაიღო ჰოსპიტლის ფანჯრები, საიდანაც გამოჩნდა ყვარჯნებზე დაკიდებული ზო-

ლიანი პიჟამოები. ასე გვემზვიდობებოდნენ სარეცელზე მიჯაჭვული დაჭრილები. მათი მეგობრები კი გვიხსნიდნენ: «Это с вами прощается Игорь, это — Михаил, это — Архип, Шакри» და ა. შ.

ისინი კი, ვისაც სიარული შეეძლო, უკლებლივ გამოვიდნენ ჩვენს გასაცვილებლად.

გვეთხოვებოდნენ სამამულო ომის ინვალიდები. ისინი იდგნენ მანამდე, სანამ ავტობუსი გაუჩინარდებოდა.

თბილისში ჩამოსვლისთანავე სწავლას შეგუდექით. მე კი ისევ მომწყვიტეს ჩემს თანატოლებს და ცნობილ მომღერლებთან ერთად დასავლეთში გამაგზავნეს. ამ ბრიგადას დავით ბადრიძე ხელმძღვანელობდა. გამოვდიოდით ოფიცერთა სახლში კვლავ მეომრების წინაშე. ისინი დიდხანს არ გვიშვებდნენ სცენიდან, კონცერტის შემდეგ კი გარს გვეხვეოდნენ, სამახსოვროდ ფოტოსურათებს გეტხოვდნენ.

ასე ვმოგზაურობდი სხვადასხვა ბრიგადასთან ერთად ომის დამთავრებამდე. უმეტესად გამოვდიოდით საოპერო სცენის გამოჩენილი ოსტატების გვერდით, რომელთა გვარებს მაღალი წოდებები ამშვენებდა, ჩემი გვარის გასწვრივ კი აფიშაზე ეწერა — „კონსერვატორიის სტუდენტი“. ბუნებრივია, რომ მეამაყებოდა ისეთ მომღერლებთან თანამშრომლობა, როგორც იყვნენ კიევის საოპერო თეატრიდან ჩამოსულები: კიპარენკო-დამანსკი, გუჟოვა, ჩასტი, გრიშკო, აგრეთვე ჩვენი სახელგანთქმული მომღერლები — ე. სოსაძე, ნ. ცოჰაია, დ. ანდლულაძე, დ. გამრეკელი, პ. ამირანაშვილი, ბ. კრავიშვილი და სხვები. ხელოვნების საქმეთა სამმართველო სულ ახალ-ახალ დონის ძიებებს გვთავაზობდა თავდაცვის ფონდისათვის სახსრების შესაგროვებლად. მიხაროდა, რომ მეც შემქონდა მცირედი წვლილი საბჭოთა ხალხის გმირულ ეპოპეაში.

ამავე პერიოდში გადაწყვიტე ქართველი და უკრაინელი მომღერლების გადაღება ფილმ-კონცენტრში „ჯურღალის ფარი“, რომელიც გამიხსენილი იყო ფრონტელებისათვის. რეჟისორებმა ს. დოლიძემ და დ. რონდელმა ფილმზე მუშაობისათვის მოიწვიეს ცნობილი მომღერლები: დ. ბადრიძე, ქ. ჯაფარიძე, დ. გამრეკელი, გ. გრიგოლაშვილი, გრიშკო და ჩასტი. ამ თანაგარსკვლავებში მეც აღმოვჩნდი. იმხანად ჩემი რეპერტუარი შეზღუდული იყო. დიდხანს ვეძებდი ფილმისთვის შესაფერის მუსიკალურ ნაწარმოებს. ჩემი პედაგოგის ო. ბახუტაშვილ-შულგინას არჩევანი შეჩერდა დ. არაყიშვილის რომანსზე „მე შენ გე-

ლი“, რომელიც თავისი შინაარსით ეხმიანებოდა ომში წასული ვაჟკაცების განწყობილებებს და თ. შავერზაშვილის რომანსზე „ლერწამი ხარ“, რომელიც დ. ბადრიძესთან ერთად უნდა მემღერა. ძალიან მინდოდა აგრეთვე სიმღერა შესანიშნავ მემღერალთან დ. გამრეკელთან ერთად და ჩემი სურვილი დ. არაყიშვილს გავანდე. სწორედ მან შემომთავაზა აბდულ-არაბისა და რუსუდანის დუეტი მისივე ოპერიდან „თქმულება შოთა რუსთაველზე“. ეს გადაწყვეტილება ერთხმად იყო მიღებული ფილმის დამდგმელთა მიერ.

ეს დიდებული დუეტი დ. არაყიშვილის უშუალო ხელმძღვანელობით შევისწავლე. ჩანაწერზე მუშაობდა დირიჟორი გ. კილაძე, რომელმაც მონიშნა აბდულ-არაბის არიოზოს გაერთიანება დუეტთან. მათ შორის არსებული მუსიკა მთლიანად ამოღებულ იქნა, რამაც დასაწყისში გული დასწყვიტა კომპოზიტორს, ხოლო როცა ჩანაწერს მოუსმინა, აღფრთოვანდა.

ფილმის გადაღება მიმდინარეობდა გორის რაიონში, ატენის ულამაზესი ბუნების ფონზე.

მარტივი იყო კინოფილმ „ჯურღის ფარის“ სიუჟეტი: ფრონტზე მიმავალი ჯარის ნაწილს ერთ-ერთ სოფელზე უნდა გაეგლო და იქ ცოტა ხანს შეესვენა. კოლმეურნეები ხილით გაუმასპინძლებდნენ მემომრებს. შემდეგ ისინი კვლავ განაგრძობდნენ გზას. მასობრივი სცენების გადასა-

ღებად ატენში მოიწვიეს ფრონტზე მიმავალი ჯარისკაცები. უნდა გენახათ, როგორ გვესიყვარულე-ბოდნენ ეს ახალგაზრდები.

ფილმმა-კონცერტმა „ჯურღის ფარმა“ გამოსვლისთანავე შემოიარა საბჭოთა ჯარის ნაწილები. მან უმაღლე მოიპოვა საერთო აღიარება. წერილებს ვიღებდით ფრონტიდან, ჯარისკაცები მადლობას გვიხდოდნენ, გამარჯვების რწმენას გამოსთქვამდნენ.

ომის დამლევს ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების წარმომადგენლები მოსკოვში მიავლინეს. დელეგაციის წევრებს შორის იყვნენ ცნობილი მუსიკოსები: ე. სოხაძე, ნ. ცომაია, დ. ანდლუაძე, დ. ბადრიძე, დ. გამრეკელი, პ. ამირანაშვილი, ბ. კრავიშვილი, გ. გოგიჩაძე. კონსერვატორიის სტუდენტებიდან კი — ლ. გოცირიძე და მე. დირიჟორები — ვ. ფალიაშვილი და ჯ. გოგიელი, ინსტრუმენტალისტები — გ. ბარნაბიშვილი და ბ. ჭიაურელი, მუსიკისმცოდნე პ. ხუჭუა, კონცერტმეისტერი დ. შვედოვი.

ეს იყო 1944 წელს. ჩვენი ჯარები უკვე გერმანიის ტერიტორიაზე იბრძვიან, საბჭოთა მიწა-წყალზე კი აღდგენითი სამუშაოები იწყება. თბილისიდან მოსკოვამდე გრძელი გზაა გასავლელი, ბაქოსა და სტალინგრადის გავლით. მატარებელი ნულა მიიზღაზნება, შვიდი დღე გრძელდება ეს მოგზაურობა. ჩვენ თვალწინ შემზარავი სურათია გადაშლილი — გადაბუკული ველ-მინდვრები. სიცოცხლის ნიშან-წყალი არ ამჩნევია არემარეს. სტალინგრადამდე არც ერთი სახლი არ შეგვხვდრია. ჩვენ ვისხედით პირველ მშვიდობიან მატარებელში, რომელიც უბრძოლველად მიიწვიდა წინ თბილისიდან მოსკოვისაკენ. ირგვლივ კი სივრცე დაფარულია წყობიდან გამოსული საბრძოლო იარაღით — აფეთქებული თვითმფრინავები, დამწვარი ტანკები, ტყვიამფრქვევები, ქვემეხები. სტალინგრადის სადგური სახელდახელოდაა შეფიცრული. ადრე კი აქ მშვენიერი ბაღი ყოფილა გაშენებული აუზით, რომელსაც პატარა ბიჭუნას ქანდაკება ამშვენებდა. ახლა კი სტალინგრადს შემორჩა მხოლოდ ტყვიებისაგან დაცხრილული ეს ქანდაკება, როგორც სიმბოლო ულმობლად შეწყვეტილი სიცოცხლისა.

როგორც იქნა, მოსკოვამდე მივალწვიეთ. უცნაურად გამოიყურებოდა საბჭოთა ქვეყნის დედაქალაქი. სახლები მწვანე და ყავისფერი საღებავებით იყო შეთხუპნული, რათა მთელი მოსკოვი ტყის ვეებერთელა მასივს დამსგავსებოდა. საცოდავად გამოიყურებოდა რუსად შეღებილი დიდი თეატრიც. ქუჩები სავსე იყო სამხედროებით.

მრავალი კონცერტი გავმართეთ სამხედრო ნაწილებში, ქარხნებში, კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში, ჩაიკოვსკის საკონცერტო დარბაზში, ყველგან მხურვალედ გვიღებდნენ. ომგადახდილი მსმენელი მადლობას გვიხდოდნენ, მაღალ შეფასებას აძლევდნენ ქართულ მუსიკალურ კულტურას, მის შესანიშნავ წარმომადგენლებს.

ავსტრია. მათუტაუზენში წამებული საბჭოთა მოქალაქეების ძეგლი.





ოთარ სეფიაშვილი

ორი ფოტოსურათი. დროის ორი დოკუმენტი. პირველი ამ რამდენიმე წლის წინ გამოქვეყნდა ჩვენს პრესაში და თავისი ღრმადამიანურობით უცებ მიიქცია ყურადღება, შემდეგ საყოველთაოდაც გახმაურდა, პრიზებიც დაიმსახურა საერთაშორისო გამოფენებზე. ფოტოზე გამოსახული იყო მოხუცი დედა, რომელიც შინმოსვლელი შვილის სურათს დასცქეროდა. ძველი იყო ფოტო, დედას რომ ეჭირა ხელში, ახალი იყო თვითონ დედას სურათი. სულ ცოტა, მეოთხედი საუკუნე იდგამათ შორის. დროს, რომლის ყოველ დღეს თუ საათს შვილის დაკარგვის გაუნელებელი მწუხარება ახლდა თან, უღმობლად დაედარა დედის ლამაზი სახე. მარად ჭაბუკი ჩანდა შვილი უკანასკნელ ფოტოზე... არაჩვეულებრივ მღელვარებას იწვევდა ერთ სურათზე შეხვედრილი დედის მწუხარება და პირნათელი ბიჭის ღიმილი. იგი საოცარი განზოგადების ძალას იძენდა და რაღაც ასოციაციით მეხსიერებაში ახმინებდა ლეონიძისეულ სტრიქონებს, სიმღერად რომ გავრცელდა ხალხში:

ღიმილის ბიჭი ვიყავი,
ბექზედ არწივი მესატა.
ცხრამეტი წლისა შევსრულდი,
ოცა არ გადამეხადა...

ეს სიტყვები ტიტრზე იწერება და ეპიგრაფად მიუძღვის სცენარისტ სულიკო ჟღენტისა და რეჟისორ რეზო ჩხეიძის მსატკრულ ფილმს.

სურათის გადაღება დაიწყო სხვა სახელწოდებით — „ეს რა ახალგაზრდობა მოდის!“ ახლა კი ჰქვია „ღიმილის ბიჭები“ და, რომ იტყვიან, საბედნიეროდაც. იშვიათია ჩვენს კინოში ხალხურ თქმასთან ასე მიახლოებული სათაური, ესოდენ რომ გადმოსცემდეს ნაწარმოების საერთო განწყობილებას, თანაც ასე შეესატყვისებოდეს მის მსატკრულ-სტილისტურ თავისებურებებს, მის ესთეტიკას.

ფილმის თემა ადამიანი და ომი. ამით იგი ერთგვარად განაგრძობს იმ შემოქმედებით ძიებასა და ხაზს, რომელიც სცენარისტმა და რეჟისორმა „ჯარისკაცის მამით“ დაიწყო. აქაც, ამ ფილმში, წინა რიგზე წამოწეულია ზნეობრივი პრობლემები. სურათი ყურადღებას იქცევს არა ომის გრანდიოზული ბატალიებითა და მათში დატრიალებული არაჩვეულებრივი ამბებით, არამედ თვით ომის „ჩვეულებრივი ყოფის“ სიმართლით, იმ ღრმად დანახული, თუმცა, შესაძლოა ნაკლებ ეფექტური დეტალებით, რომლებიც დამარწმუნებლად გვიხსნიან ომში ადამიანის გმირულ შემართებას, მისი ქცევის ჰუმანისტურ საწყისებს და შუქსა ჰფენენ დროის დიდ მოვლენებს.

ტიტრზე დაწერილი „ღიმილის ბიჭი ვიყავი...“ და შინა-

განად გამოთბარი მუსიკალური უვერტიურა თითქოს დასწყისიდანვე ერთგვარ ლირიკულ განწყობილებას გვიქმნის, ხოლო პირველი კადრებით ფილმში იჭრება ახალგაზრდული სიხალისე, იუმორი და ყოველგვარი გულღრმობისაგან გაწმენდილი ირონია. ისინი ჩვენს წარმოდგენაში რაღაცნაირად ვერ ეთვისებიან ომის ტრაგიკულ თემას. მაგრამ ფილმში არის ომის არაადამიანური, შემზარავი გრუხუნიც, სიცოცხლის მცელავი ტყვიის წინაშე შიშიც, თანშეზრდილი ძმაცაცების სიკვდილიც, ხალხიან მუსიკამაც თანდათან დაისადგურებს თავშეკავება, ხოლო ფინალში ტრაგიკული ნოტებიც აჟღერდება. მაგრამ ეს ყველაფერი ხდება უფრო გვიან, ჯერ კი...

ეკრანზეა ორმოციანი წლების დამდეგის თბილისელი ახალგაზრდობა თავისი ოცნებით, გატაცებით, უზრუნველობით; არის სკოლის დამთავრების სიხარული, მოწაფური, უბოროტო ანცობა, არის გოგონა და პირველი სიყვარული, სახლის სახურავიდან დანახული ვიწრო, პატარა ქუჩა, შენი ბავშვობის ნატერფალებს რომ ინახავს... ეს სცენები დადგმული და გათამაშებულია უშუალოდ, ნათელი იუმორის გრძნობით. სულ რაღაც ორიოდე ძუნწი მონასმით იკვეთება გმირთა ინდივიდუალური ნიშნები, თითქოსდა არაფრით გამორჩეულ მოქმედებაში ვლინდება დროისა და ღიმილის ბიჭების თავისებურებანი. დამდგმელი რეჟისორი წუთითაც არ ივიწყებს და არც მაყურებელი გამოჰყავს იმ შეგრძნებიდან, რომ ეს არის ორმოციანი წლები — დიდი და მრისხანე ომის კვირადალი, რომ გერმანულ ფაშიზმს შემართული აქვს სისხლიანი ტორი და წალეკვას უქადის ადამიანურობას, ცივილიზაციას, რომ უკვე იყო ვერნიკას ტრაგედია, სადღაც ისპობა ქალაქები, იხსცებიან ჩვენი ფილმის გმირთა თანატოლები...

ასეთი შეგრძნება მიღწეულია ყოველგვარ პათეტიკაზე მიუძღვებლად. არავითარი თავსმოხვეული და განგებ თვალსაცემი დეტალი, თითქოს ყველაფერი ჩვეულებრიობის ფარგლებში რჩება: გოგონა გაკვეთილს იზეპირებს, პაპა კი დაუტანტანებს — კაცს გულისყური რადიოსკენ მიუქცევია... საკლასო ოთახში ჩვეულებრივი ჟრიამულია, ირევიან გოგო-ბიჭები. ამ დროს თითქოს კინოკამერაც აფორიაქებულია, მოუსვენრად აწყდება ხან აქეთ, ხან იქით, გარეთ კი წვიმს და ცა გრუხუნებს. შემოდის მასწავლებელი, ყმაწვილები წყნარდებიან, მასწავლებელი იწყებს შეგონებას. გარეთ კი ისევ წვიმს, ისევ შეუჩერებლად გრუხუნებს ავბედიოდა... სკოლადამთავრებული გოგონები და ბიჭები ქუჩაში მიაბიჯებენ — გახარებულნი, თითქოს ტვირთაყრილნი. ქუჩაში ხეებს ბელავენ და უკან, კადრის სიღრმეში, ზედიზედ ეცემიან ძირს დიდი ტოტები. მერე ახალგაზრდებს გზას გადაუჭრის მეომართა ოცეული. ჩაივ-

ლიან ჯარისკაცები ყოველგვარი პარადულობის გარეშე — ჩვეულებრივად, სერიოზულად, ძალზე სერიოზულად... ეს მომენტები ისეა ჩართული ფილმის საერთო ქსოვილში, რომ განსაკუთრებულ ყურადღებას არ იპყრობენ, იმ წუთში კონკრეტულს თითქმის არაფერს გვაუწყებენ. მაგრამ მაყურებელს ქვეცნობიერად მაინც უჩნდება გაურკვეველი სიავის მოლოდინი. და მხოლოდ ბოლოს, როცა რეჟისორი შექმნის ამ გამჭოლი განწყობილების კულმინაციურ ეპიზოდს — კოშკიდან პარაშუტით ბიჭების სტომის სცენას, როცა ჭაბუკები სათითაოდ ძირს ცვივიან, თითქოს უფსკრულში მიექანებიანო, ხოლო ქვევით ამტყდარი გაუგებარი ჩოჩქოლის შემდეგ კოშკზე ამოიჭრება ვიღაც შუახნის კაცი და, სახეშეშლილი, ქოშინი და ძლივს წარმოთქვამს — ომი დაიწყო, მხოლოდ მაშინ ჩადგება ეს ეპიზოდები ერთ მხატვრულ მწკრივში, გაცნობიერდებიან და მთელი ძალით ხელს დარევენ მაყურებლის გულსა და გონებას, სულს აუფორიატებენ, შეძრავენ.

ასე იჭრება გმირული კომედიის სცენებში დროის ტრაგიზმის შეგრძნება შემდეგ ფილმის ავტორებს ტაქტით, ამ შეგრძნებით ფაქიზად მივყავართ უმძიმეს ეპიზოდამდე, სადაც ბიჭები იღუპებიან. ძნელად რომ ვინმე გულგრილი დარჩეს ამ ეპიზოდის ხილვისას, ყველაფერი ისევე ჩვეულებრივად ხდება, როგორც იყო სინამდვილეში და ყველაფერი ისევე მალღდება, როგორც უნდა ხდებოდეს ხელოვნებაში. ბიჭები სათითაოდ ამოდიან სანგრიდან; ერთიმეორის მიყოლებით მიდიან სასიკვდილოდ, მიდიან ხმამაღლა მღებლივ, მხოლოდ წამით მოიხედავენ და ღიმილს გვიტოვებენ... და თუ სწორია გამოთქმა, რომ ხელოვნების ნაწარმოების აღქმის პროცესი სხვა არა არის რა, თუ არა ასოციაციების თანმიმდევრული პროცესი, მაშინ გვჯერა, რომ სწორედ ამ საოცარი ტაქტით და დამაჯერებლობით ეკრანზე მოტანილმა ღიმილმა წარმოშვა სურათის ახალი სახელწოდება.

ფილმის ავტორთა მხატვრული ტაქტი და მოქალაქეობრივი გულისხმიერება ერთხელ კიდევ გამოვლინდება სურათის ფინალში, სადაც ისინი კვლავ გამოიწვევენ ღიმილს — ნათელი სევდით შეფერილს, ღიმილს, რომელიც ცრემლის მოწმენდასა ჰგავს. ფილმის გმირთაგან (იმ ექვსი თბილისელი

ღიმილის ბიჭისაგან) ერთი — გიორგი მიაღწევს ცოცხალი რაიხსტაგამდე. განადგურებული გერმანული ფაშიზმის ბუნაგის შეკვამლულ კედელზე იგი ცარცით წერს თანშეზრდილი ძმაცაცების სახელებს: ლევანი, თემური, მალხაზი, „ჭკუისკოლოფა“, ბადური, გიორგი. მაგრამ წამიერად დაფიქრდება. თითქოს ისევ იძალესო ღიმილის ბიჭებმა, თითქოს აქაც არ იშლიანო თავისას, და დამთმობი მეგობარი წაშლის თავის ნამდვილ სახელს — „გიორგი“ და მის მაგივრად მიაწერს ბიჭებისგან შერქმეულ „ბოლოკას“.

ამ ფილმში სათქმელი ნათქვამია ნათლად, გულწრფელი განცდით, ყოველგვარი მოდური კინოზმანებების გარეშე. ეს არ ნიშნავს, თითქოს იგი თანადროულ კინოში მიმდინარე პროცესების მიღმა იდგეს.

ომისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის თემა იქამდე იქნება მოუშლელი ჩვენი ხელოვნებისათვის, ვიდრე არსებობს ფაშიზმის აღორძინებისა და ახალი მსოფლიო ომის საფრთხე. ამიტომაც გვესახება „ღიმილის ბიჭები“ იმ ფილმად, რომელიც დროის ტკივილებს პასუხობს.

საოცარია, თითქმის ყველა, ვისაც კი რამე დაუწერია დასავლეთგერმანულ ფილმზე „ხიდი“, იხსენებს ერთ ფოტოს, უფრო სწორად — დოკუმენტურ კადრს, რომელიც პირველად ერვინ ლაიზერის ფილმ „Mein Kampf“-ში ვნახეთ: მეორე მსოფლიო ომის უკანასკნელი დღეები, ჰიტლერული რაიხის აგონია, ტოტალური მობილიზაცია. უკანასკნელი გაწვევის ჯარისკაცთა რიგებს ჩაუვლის ჰიტლერი. შავი ფარაჯის აწეული საყელოდან მოჩანს ნაცისტთა ფიურერის უკვე დამფრთხალი, დაბერებული, კანმოჩარული სახე. ჩაღმებული თვალებით შეცქერის თავის უკანასკნელ, უაზრო მსხვერპლთ. შეჩერდება ერთ, რომ იტყვიან — ტუჩებზე რძეშეუმშრალ ბიჭუნასთან, რომელსაც ბავშვურ სახეზე ჩამომხობია ჯარისკაცის უშველებელი მუზარადი. ჰიტლერს სახეზე გადაურბენს ღიმილის მსგავსი რაღაც, მექანიკური მოძრაობით ლოყავე ხელს მოუთათუნებს „ათასწლიანი რაიხის“ უკანასკნელ დამცველს... ამ დროს მართლა ისეთი შეგრძნება გინდებათ, თითქოს სიკვდილი შეეხოო სიცოცხლეს. ნაცისტი კინოტრონიკიორი კი გულისმომგებად აღბეჭდავს სიამაყით სახეგაბადრული მცირეწლოვანი ჯარისკაცის გაღიმებას.

ვინ არის ეს ბიჭუნა?

იქნებ ერთი იმ ექვსთაგან, უაზრო თავგამეტებით რომ იბრძოდა და იხოცებოდა უკვე „დუკარგულ პოზიციაზე“ ფილმში „ხიდი“; ერთი იმ მრავალმილიონთაგან, ვისაც იმთავითვე რასისტულ სიძულვილსა და კაცთა კვლის მხეცურ ჟინს უნერგავდა ფაშიზმის ორი სულიერი ბიბლია — ჰიტლერის „მაინ კამფი“ და როზენბერგის „XX საუკუნის მითი“; ვისგანაც იმასლა მოითხოვდნენ, რომ ყოფილიყო „ლონიერი, მოხერხებული, თანამასავით მოქნილი, სწრაფი, როგორც მწვეარი და გამძლე, ვითარცა კრუპის ფოლადი; ვისზეც ფიურერი ამბობდა — მინდა მათ თვალებში ჯეღური მხეცის ელვა გამოკართოდესო, ვის წინაშეც „მსოფლიო უნდა შემდრკალიყო“; ვისაც, სხვათა ქვეყნების დასალაშქრავად გამზადებულთ, ასეთი „სამახსოვრო ბარათებით“ მოძღვრავდნენ: „გერმანელია მსოფლიოს აბსოლუტური მეპატრონე... შენ გერმანელი ხარ და, როგორც გერმანელს შეეფერება, მოსპე ყოველივე ცოცხალი, რაც

კადრი ფილმიდან „ხიდი“.



წინ აღვიდგება. იფიქრე ყოველთვის ამაღლებულზე — ფიურერზე და გაიმარჯვებ. შენ არც ტყვია მოგეკარება და არც ხიშტი... ხვალ შენს წინაშე დაიჩოქებს მთელი მსოფლიო...“

ფილმში „ჩვეულებრივი ფაშიზმი“ არის დოკუმენტური კადრები: ბავშვებით სავსე სტადიონზე ღია ავტომობილით შემოდის ჰიტლერი... ამ დროს ტრიბუნებზე ბავშვებს თავიანთი სხეულით გამოჰყავთ სიტყვები — „ჩვენ შენ გეკუთვნი“... კადრშიღმა კი ფილმის ავტორი მწარედ იტყვის: „ბავშვებმა არ იციან, რომ სირცხვილია ეკუთვნოდე ვისმეს, თუნდაც ფიურერს“.

მაგრამ მათ სულში ყოველდღე, ყოველ საათს, ყოველ წუთს შეჰყავდათ ჰიტლერის „პერმანენტული ომების“ იდეა: — კაცობრიობა დიადი გახდა მუდმივი ომებით, მარადიულ მშვიდობაში კი დაიღუპებაო... ამ შხამით გათანგულები ისინი ფიცს დებდნენ სათაყვანებელი კერპის წინაშე. მოკლე და ლაკონური იყო ეს სავალდებულო ფიცი: „ერთგულებას ვეფიცები ადოლფ ჰიტლერს, პირადად მას და ყველა მეთაურს, რომელსაც იგი დამინიშნავს. ვფიცავ უყოყმანოდ შევასრულო მათი ყოველგვარი განკარგულება“. არც სიტყვა „გერმანია“, არცა „სამშობლო“ და „ხალხი“. მხოლოდ ფანატიკურად შეძახილი — „Steg heil!“ ფაქტიურად, ფიცს დებდნენ, რომ აღარ იქნებოდნენ ადამიანები, რომ ნებაყოფლობით უარს ამბობდნენ ადამიანის უფლებასა და მოვალეობაზე — აზროვნებაზე, ფიქრზე. ამიტომაც განუსჯელად იღებდნენ ჰიტლერის ნათქვამს: „მე ომს ვაწარმოებ ჩემებურად — სისხლისმღვრელ, შეუბრალებელ, სასტიკ ომს, რომელიც არ გამოარჩევს ქალებსა და კაცებს, დიდებსა და პატარებს. ომი — ეს მე ვარ! და ისევ ფანატიკურად შეძახილი: „Ein Volk, Ein Reich. Ein Führer!“

როცა უყურებთ კადრებს ფაშისტური კინოქრონიკებიდან, ისეთი წარმოდგენა გექმნებათ, თითქოს ისინი ჰიტლერის გამონათქვამების ცოცხალი ილუსტრაციები იყვნენ.

ჰიტლერი: „მასა ჰგავს ცხოველს, რომელიც თავის ინსტინქტებს ემორჩილება. იგი არ დაგიდევს ლოგიკასა და განსჯას. მასაზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლებელია მამინ, თუ იგი ფანატიკურია. მე აღვავსებ მას, რომ ჩემი პოლიტიკის იარაღად ვაქციო“.

ჰიტლერი: ჰიტლერი შემოდის მოედანზე. აღტყინებული ბრბო ღრიალით ხვდება თავის ფიურერს. მისკენა მიჰყვრებილი ათასობით აღვსებული თვალი, მისკენ გაშვერილია ათასობით ხელი. ყველა ცდილობს — თითის წვერით მაინც შეეხოს ზეკაცს, განგებისაგან „ღმერთად“ მოვლენილს ამქვეყნად. გრძობამოჭარბებულ ქალთა ისტერიკული ქვითინი. მასობრივი ფსიქოზი. თვითგვემის ექსტაზით შეპყრობილი, ქვენა გრძობებს აყოლილი ბრბოს ტორტმანი...

ისევ ჰიტლერის სიტყვები: „ერთხელ და სამუდამოდ ბოლო უნდა მოვეუდოთ იმას, რასაც საყოველთაო განათლებას უწოდებენ... საყოველთაო განათლება — შხამია, თანაც ყველაზე სახიფათო და გამხრწნელი“.

ისევ კინოქრონიკის კადრები: ბერლინის უნივერსიტეტის წინ, მოედანზე, კოცონი გიზგიზებს. ესესელებსა და შტურმელებს ჩირადდნები უპყრიათ ხელში. სტუდენტები: „ანტიგერმანული სულის წინააღმდეგ ბრძოლის“ სპეციალური რაზმის წევრებს, გამოაქვთ წიგნები და ცეცხლში ყრიან. სრულდება კიდევ ერთი ნაცისტური რიტუალი, სვასტიკიან ტრიბუნაზე

ქადაგად დავარდნილი გებელსის სოლო-პარტია და რაზმელთა გუნდური მოძახილი: „კლასობრივი ბრძოლისა და მატერიალიზმის წინააღმდეგ, ხალხის ერთობისათვის, ცხოვრების იდეალისტური წესისათვის ცეცხლს ვაძლევ...“ — და ასახელებენ რომელიმე გენიოსს. „დეკადანსისა და მორალური დაცემულობის წინააღმდეგ, ოჯახსა და სახელმწიფოში წესრიგისა და ზნეობრიობისათვის ცეცხლს ვაძლევ...“ — და ისევ ასახელებენ დიდ მწერალს თუ ფილოსოფოსს. წვავენ ტოლსტოისა და ვოლტერს, მაიაკოვსკისა და რომენ როლანს, ანატოლ ფრანსსა და ჯეკ ლონდონს, ჰაინესა და ფოიჰტვანგერს, თომას მანსა და ჰაინრიხ მანს, ბერტოლდ ბრეჰტს, რემარკს... ცეცხლს აძლევენ მარქსის, ენგელსის, ლენინის თხზულებებს. საუკუნეების მანძილზე დაგროვილ ადამიანის საფიქრალსა და ნაშემოქმედარს, მოაზროვნე კაცობრიობის სიბრძნეს, სიამაყეს

იქნებ ეს მართლაც „ყოფიერების კვლავ გაბარბაროსება“ იყო?! რა მწარედ ახდა ჰაინეს მიერ ასი წლის წინათ ნათქვამი: „იქ, სადაც წიგნებს წვავენ, მალე ადამიანებსაც დაწვავენ!“

უყურებთ გერმანული კინოქრონიკის ამ კადრებს და რწმუნდებით, რომ დოკუმენტებს მართლა შეუძლიათ სიმბოლომდე ამაღლდნენ. უნდოდათ თუ არა მათ გადამღებ ქრონიკორებს, ამ კადრებმა სულ სხვა აზრი და მნიშვნელობა შეიძინეს დროის, ისტორიის შუქზე. ახლა ეს კადრიც — ჰიტლერის შეხვედრა უცნობ მცირეწლოვან ჯარისკაცთან — წარმოგვიდგება ეროვნული ტრაგედიის მწარე სიმბოლოდ, იმ ეროვნული ტრაგედიისა, რადაც იქცა ფაშიზმი გერმანიისთვის.

ფილმი „ხიდი“, რომელშიც შეგვხარავს მოტყუებული ახალგაზრდობის უაზრო თავგანწირვის ტრაგიზმი, მთავრდება მოულოდნელი წარწერით: „ეს მოხდა 1945 წლის 25 აპრილს. ამბავი იმდენად უმნიშვნელო იყო, რომ სამხედრო ცნობებში მისი ხსენებაც კი არ ჩათვალეს საჭიროდ“.

სწორედ ეს „უმნიშვნელო ამბავი“ გამოხატა დასავლეთ-გერმანელმა მწერალმა მანფრედ გრეგორმა თავის პირველ რომანში „ხიდი“. ავტორისთვის ეს იყო თავისებური აღსარება, გულსტიკივითა და ღელვით ნათქვამი, ტრაგიკული აღსარება აფორიაქებული სულის იმ თაობისა, რომელიც „ომობანას“ ბავშვური თამაშიდან ნამდვილი ომის სისხლიან მორევი ჩათრეული აღმოჩნდა და დღემდე უპასუხოდ დარჩენია კითხვები: როგორ მოხდა ეს ყოველივე? რა ძალამ დარია ხელი მილიონობით ადამიანს, ვინ არის გამკითხავი?

ფილმის დამდგმელმა რეჟისორმა ბერნჰარდ ვიკიმ თითქოს ხელოვან-ისტორიკოსის თვალთ შეხედა რომანში აღწერილ ამბავს და მასში დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა მოიწადინა.

პატარა, პერიფერიული ქალაქის ხიდთან მომხდარი „უმნიშვნელო ამბავი“ ფილმში გერმანელი ხალხის ეროვნული ტრაგედიის სიმბოლურ გამოხატულებად იქცა. მასში გამჟღავნდა სვასტიკის ეპოქის სოციალური და ისტორიული ძირები. რეჟისორმა ლოკალურ სიუჟეტურ სიტუაციაში ძალზე ბევრის თქმა შესძლო სურათის გმირებზეც, მათ წარმომშობ დროზეც. კინონაწარმოები მკვეთრი ანტიფაშისტური მიმართულებისა და მებრძოლი ანტიმილიტარისტული სულიკვეთებისაა. სწორედ ეს გამოარჩევს „ხიდს“ ომის თემაზე შექმნილ სხვა დასავლეთგერმანული ფილმებისაგან.

ფაქტია: მესამე რაიხის განადგურებიდან ათი წელიც არ

გამომხდარიყო, რომ რაინსმილმა ეკრანებზე უკვე დაურიდებ-
ლა და გამოჩნდა ანტიისტორიზმით დაღდასმული, მილიტარის-
ტული განწყობილების ფილმები: „ათი ალმის ქვეშ“, „აფ-
რიკის ვარსკვლავი“, „თპერაცია ედელვაისი“, „იგი ჩემს გვერ-
დით მიდიოდა“, „გემ „ბისმარკის“ გამარჯვება და დაღუპვა“,
„ოფიცერთა ფაბრიკა“ და სხვ. თითქოს არაფერია საოცარი
იმაში, რომ ეს ფილმებიც წყველა-კრულვით იხსენებდნენ
ჰიტლერიზმსა და შმაგ ფიურერს. მაგრამ ნამდვილად საო-
ცარი და საგანგაშო ის არის, რომ ყოველი მათგანი ჯიუტად
იმეორებს ერთსა და იმავე მოტივს, ერთ და იგივე მითს იმის
გამო, რომ ყველაფრისთვის ბრალი ედებათ მხოლოდ ჰიტ-
ლერს და მის ფანატიკოს თანამზრახველებს... „ცივი ომის“
პროპაგანდასთან ხმაშეწყობილი კინო გამძლეობას სძენდა და
ამკვიდრებდა მითს, რომელიც თავის დროზე, ნიურნბერგში
ამაოდ მოიმარჯვეს თემიდასთვის თვალეში ფეტვის შესაფრ-
ქვევად... იყო ფილმები, რომლებიც აშკარად ხოტბას ასხამდ-
ნენ ფაშისტური არმიის დამპყრობლურ ომებს, ამხედრებულ
პრუსიულ სულს, ვერმანტის ჯარისკაცთა სიმედვრეს. რევან-
შიზმით სუნთქავდნენ ფილმები: „მავთულხლართები და კარ-
გი ამხანაგები“, „სამშობლოზე დარდი“, „ექიმი სტალინ-
გრადიდან“, „ემშაკი უკრავს ბალალაიკაზე“, „მონტე-კასინოს
მწვანე ეშმაკები“. ამ უკანასკნელს, ალბათ, თვით გებელსის
უწყებაც კი სიამოვნებით გზას დაულოცავდა ეკრანისკენ...
პრესა მოწმობს: „უნდა შესწრებოდეთ სიხარულის იმ ისტე-
რიკულ აფეთქებას, რომლითაც მაყურებლის ერთი ნაწილი
ცხმაურებოდა ფაშისტურ-მეკობრულ ფილმს „ათი დროშის
ქვეშ“; უნდა გაგეგონათ ფეხების თავაწყვეტილი ბაკუნი დარ-
ბაზში, როცა ფილმ „მონტე კასინოს მწვანე ეშმაკების“ ჩვე-
ნებისას ეკრანიდან მარშები ისმოდა; ეს ყველაფერი უნდა გე-
ნახათ და მოგესმინათ, რომ წარმოიდგინოთ, თუ რაოდენ სე-
რიოზულია ის საფრთხე, რომელსაც დასავლეთგერმანული კა-
ნო შეიცავს“.

ცხადია, ასეთ ვითარებაში ბერნჰარდ ვიკის პირუთვნელი
და მრისხანე ფილმის გამოჩენა სერიოზული მხატვრული და
პოლიტიკური მოვლენა იყო. „ხილში“ თითქოს საგანგებოდ
თავმოყრილი აღმოჩნდა ყველა პრობლემა, რომელთა დამუ-
შავებასაც ასე ერიდებოდა იმდროინდელი დასავლეთგერმანუ-
ლი კინო.

რეჟისორი ამბობდა: „მინდოდა უღირსად თავს დადგმული
გვირგვინი ამეგლიჯა ცრუ გმირობისათვის და მეჩვენებინა,
რომ ის, ვინც უსამართლო საქმისთვის იბრძვის, არასოდეს
ნამდვილი გმირი არ იქნება“... აი, რატომ უარყო მან რომა-
ნისეული მოქმედების რთული კომპოზიცია, ომისა და მშვი-
დობიანი დღეების სურათების ხშირი მონაცვლეობა და ფილ-
მი ააგო ისე, რომ წარმოედგინა მოტყუებული თაობის სუ-
ლიერი მდგომარეობა.

როგორ მოხვდა ხილთან ვერმანტის მუნდირებში გამოწ-
ყობილი შვიდი გერმანელი ბიჭუნა, იარაღსხმული შვიდი
თანასკოლელი მეგობარი?

ხალისით, მამისაგან ნაანდერძევი მოვალეობის გრძნობით
მიდის ფრონტზე იურგენ ბორჰერტი, რომლის გადაწყვეტი-
ლებასაც ამაყი დასტურის დუმილით ხვდება დედა — ვერ-
მანტის ოფიცრის ქვრივი... სიძულვილით გამიიხურავს მამი-
სეული სახლის კარს შტანდარტენფიურერის შვილი, ცხოვრე-
ბაზე ნაადრევად ხელჩაქნული, ცინიკოსი ვალტერ ფორსტი...

პატარა და გაუბედავი ზიგი ბერნჰარდი, მდაბიო მრეცხავი ქა-
ლის ნალოლიაგები შვილი, მიდის იმიტომ, რომ მიდის ყვე-
ლა... აქამდე კი იყო თითქოს უზრუნველი ბავშვობა: სკოლის
ეზოში ფეხბურთის თამაში, ინგლისური ენის გაკვეთილზე
„რომეო და ჯულიეტას“ თარგმანში გაჯიბრება, სახელაჭორ-
ფილი კლაუსი ჩუმიდ თვალს აპარებს ფრანკისკასკენ —
თავისი პირველი სიყვარულისკენ, შთაგონებით კითხულობს
ლექსს ჰანსი...

პირველი სიყვარული, პირველი ლექსი, გულის პირველი
ასიმღერება... ყველაფერი ნათელი და პირველი. ხვალ კი ომის
უღმობელობა ყოველივეს უკანასკნელს გახდის... ისინი ჩაბ-
მებიან თავიანთ პირველ უთანასწორო და უაზრო ბრძოლაში,
დაიხოცებიან ხილთან, რომლის დაცვასაც არავითარი მნიშვნე-
ლობა აღარა აქვს — არც სტრატეგიული, არც პატრიოტუ-
ლი. ფუტია მათი თავგანწირვა. სულ ერთია, მეორე დილით
ხიდი უნდა ააფეთქონ... ეს იცის ყველამ, იცის პოლოკენიკმა,
რომელიც ახალწვეულებს ათასწლიანი რაიხისათვის „გა-
დამწყვეტი“ ბრძოლისკენ მოუწოდებს; იცის მაიორმა ფრე-
ლიხმა, რომელსაც შვილი მოუკლეს ფრონტზე, იცის ფელდ-
ფებელმა და ამ ბიჭების მასწავლებელმა შტერნმაც... ისინი
თითქოს თავისებურად კიდევ ცდილობენ სულელურ სიკვ-
დილს მთარიდონ ყმაწვილები — უაზრობა იქნებოდა ომის
დასასრულს მათი მსხვერპლით, — ეუბნება მასწავლებელი
მაიორს. მაგრამ პასუხად გაიგონებს მწარე სიტყვებს:

„მე ვესაუბრე თქვენს მოწაფეებს. ისინი იდეალისტები არი-
ან. სჯერათ, რომ დიადი იდელებისთვის იბრძვიან. მათ სჯე-
რათ თქვენი ლექციების, ბატონო შტერნ“...

მაშინ იტყვის მასწავლებელი: „დიახ, მაგრამ ყველა იდე-
ალი — თავისუფლება, სამშობლო, გმირობა — ფალსიფიკა-
ტორთა ხელშია“... ამას ამბობს არა თავის აღსაზრდელთა გა-
საგონად, არამედ მათ ზურგს უკან.

თომას მანს ფაშისმის არსად, უწინარეს ყოვლისა, „ყველა
ცნების დამახინჯება“ მიაჩნდა. ნაცისტურ გერმანიაში ჰიტ-
ლერულ რეჟიმს ხალხის სულიერ რეგოლუციას უწოდებდნენ,
სისხლიან დიქტატურასა და ფაშისმს — სახალხო წყობილე-
ბას, სისასტიკესა და ძალადობას — ისტორიულ სამართლია-
ნობას, მორჩილებასა და ფიურერისადმი ფანატიკურ რწმენას
— პატრიოტიზმს, სხვათა რბევასა და შოვინიზმს — ეროვნულ
აღორძინებას... ბერნჰარდ ვიკი ფილმში ბრალს დებს
ყველას, ვისაც გამბედაობა არ ეყო და, თუნდაც უკანასკნელ
ჟამს, არ განუმარტა ბავშვებს ფაშისმის მიერ შებილწული და
დასახიჩრებული ცნებების ნამდვილი მნიშვნელობა...

იშვიათად გვინახავს ფილმი, რომელშიც ასე დაწვრილე-
ბით და მართლად, ესოდენ დაუზოგავი პირდაპირობით ყო-
ფილიყოს ნაჩვენები ომის შემზარავი სახე. თანშეზრდილი ამ-
ხანაგის დაღუპვა, სიკვდილთან პირველად შეფეთების ელდა,
ბავშვური ზღუქუნის, სისხლისაგან გახელება, უაზრო სისასტი-
კე, შიშამჯდარი თვალეები, ბრძოლის აზარტი, კვლისა და
ნგრევის ჟინი, სიკვდილის სიფითრე... წინ კი ხიდი — ნაც-
რისფერი ქვის უღმობელობა... ამ ნატურალისტური ეპიზო-
დების წინაშე თვით 30-იანი წლების გახმაურებული პაცი-
ფისტური ფილმებიც კი ფერმკრთალდებიან. ომის უაზრო,
დანაშაულებრივი, არაადამიანური ბუნების წარმოსახვით
„ხილს“ მხოლოდ რემარკის რომანის — „დასავლეთის ფრონ-
ტი უცვლელია“ — ლუის მაილსტონისეული ეკრანიზაცია თუ
გაუტოლდებოდა...

კადრი ფილმიდან „ლიმლის ბიჭები“.



ზოგიერთმა ფილმს „ნატურალისტური პოეტიკა“ უსაყვედურა. საოცარია, რადგან ფილმში აშკარად იგრძნობა, რომ რეჟისორი თავის მხატვრულ ჩანაფიქრშივე მიზნად ისახავდა ომის „დეჭეროიზაციას“. აკი თავად ამბობდა — მინდოდა ცრუ გმირობისათვის უღირსად თავს დადგმული გვირგვინი ამეგლიჯაო. „ხიდი“ პოლემიკურად უპირისპირდება იმ წლებების სხვა დასავლეთგერმანულ ფილმებში გატარებულ ომის რომანტიკას, პრუსიული მილიტარიზმის საუკუნეობრივ იდეალს — ომი ერის გაჯანსაღება და ღირსებააო... გავიხსენოთ ფილმის ეპიზოდები: ფელდფებელი, რომელსაც, სხვათა შორის, თავად გერმანელები დახვრეტენ რაღაც გაუგებრობის გამო, წასვლის წინ რაზმში უფროსად ტოვებს ერნსტს. იმიტომ კი არა, რომ ერნსტი ყველაზე უკეთესი ჯარისკაცია. უფრო იმისთვის, რომ მასში შეიცნობს ადამიანს, განსჯის უნარს. ვითომ შედრკა ერნსტი, როცა ბიჭებს შესთავაზა — დავიშალოთ, შინ წავიდეთო?... ასე იყო თუ ისე, ამხანაგებს „დეზერტირობისაგან“ გადაარჩენს იურგენი — შთამომავლობით სამხედრო, რომლისთვისაც ომი უმაღლესი მოვალეობაა. ის კისრულობს მეთაურობას. არ გვებრალება იგი, როდესაც ფაუსტპატრონით ამერიკული ტანკის მოსპობისას, კვდება. რეჟისორმა სიმამაცე უსამართლო ომში წარმოგვიდგინა როგორც პიროვნების ზნეობრივი, სულიერი თვითმსხვრევა. მასში „იარაღის ჩლუნგ ძალას შერწყმია ყოველივე, რაც კი ადამიანში პრიმიტიული, იმპულსური და დამანგრეველია“. ფილმში იურგენი და ვალტერი განასახიერებენ ფაშისტური მითებით გათანაგულ იმ უღმობელ, განუსჯელ და მოძალადე „ჭაბუკთა ელიტას“, რომელზეც კიტლერი ამბობდა: — ბავშვობიდანვე ნაცისტურ ფილოსოფიაში უნდა ჩავძიროთო.

ასე ეჭობიან სურათში თემები — „მოტყუებული თაობა“ და „ომი და ფაშიზმი“, რომელიც რეჟისორს ერთმანეთისაგან განუცალკევებელ მოვლენებად მიაჩნია. „ხიდის“ სწორედ ამ მხატვრული ისტორიზმის სიმადლეს ვერ გაუტოლდა ბევრი რამით შესანიშნავი მეორე დასავლეთგერმანული ფილმი

— რეჟისორ ფრანკ ვისბარის „ძალეზო, გინდათ მარად იცოცხლოთ?“ ამ ჰუმანისტური გრძნობების ტრაგიკულ ფილმში, რომელსაც საფუძვლად დაედო დასავლეთში გახმაურებული ორი წიგნი — ფრიც ვესის „სტალინგრადი — უკანასკნელ ვაზნამდე“ და ჰაინც შტერერის „უკანასკნელი წერილი სტალინგრადიდან“, სამწუხაროდ, დარღვეული აღმოჩნდა ომის კონკრეტულ-ისტორიული შინაარსი. მან ბოლომდე თვალი ვერ გაუსწორა სიმართლეს, ვერ თქვა, რომ მეორე მსოფლიო ომი, უწინარეს ყოვლისა, იყო კაცობრიობის განმათავისუფლებელი, ანტიფაშისტური ბრძოლა მიხაკისფერი ჭირის წინააღმდეგ.

ფილმ „ხიდის“ მამხილებელი პათოსი კი უშუალოდ მიმართულია გერმანული მილიტარიზმის, ფაშიზმის სულიერი და ფსიქოლოგიური საწყისების წინააღმდეგ. ამით იგი თავისებურად განაგრძობს პროგრესული გერმანული მწერლობისა და ხელოვნების იმ ტრადიციებს, რომლის მაგალითად, თუნდაც, ჰაინრიხ მანის „ერთგული ქვეშევრდომი“ და ამავე რომანის ვოლფგანგ შტაუდტესეული ეკრანიზაცია გამოდგებოდა.

რაოდენ პარადოქსალურადაც არ უნდა გვეჩვენოს, იმ შეიდათგან, რომლებიც მსხვერპლად ეწირებიან არავისთვის საჭირო ხიდის დაცვას, ჭეშმარიტად გმირული შემართებისა აღმოჩნდა ის, ვინც თითქოს წუთიერად შედრკა და ამხანაგებს შესთავაზა — შინ წავიდეთო. სწორედ ერნსტის შემართება მიაჩნია რეჟისორს ნამდვილ გმირობად, რადგან იგი ვლინდება არა ბრმა მხედრულ მოქმედებასა და ბრძანების განუსჯელ აღსრულებაში, არამედ აზროვნებაში, მომხდარი ამბისადმი ადამიანურ დამოკიდებულებაში. იგი ვერ მიატოვებს ამხანაგებს განსაცდელში, ვერ მიატოვებს მაშინაც, როცა ისინი დახოცილები არიან. ვერც ხიდს მიატოვებს.

რატომ?

გავიხსენეთ რა პირგამეხებით შეუძახებენ ის და ჰანსი ხიდის ასაფეთქებლად მოსულ გერმანულ მესანგრეებს: „გათორეთო! ეს ჩვენი ხიდია, ჩვენი ხიდია!“ ბიჭების გაშმაგებული სახეები და ჟრუანტელის მომგვრელი ღრიალი მოულოდნე-

ლად მიგასხედრებთ, რომ მათთვის ხიდი აღარ არის რაღაც უაზრო სტრატეგიული ობიექტი, რომ იგი ქვეულა სულ სხვად, —საკუთარი ჭირის თანაზიარ ერთადერთ სინამდვილედ, რომელიც შემორჩათ მათ ამ ერთ ჯოჯოხეთურ დამემსადმსხვრეული, მოტყუებული რწმენისა და ყალბი იდეალების სამყაროდან... და ისინი აღმართავენ იარაღს უკვე ამ ახალი ხიდის დასაცავად.. ერნსტიც კვდება. არა ამერიკელების, არამედ თავისიანების — გერმანელების ტყვიით განგმირული დაეცემა ხიდთან. ეს სიკვდილი ყველაზე ტრაგიკულია ამ სასტიკ და მრისხანე ფილმში ნანახ ყველა სიკვდილს შორის, ალბათ იმიტომ, რომ იგი ადამიანის სულში სიმართლის გაღვიძების მიჯნაზე ხდება.

ხიდი კი გადარჩენილია...

უეცარი გარინდება... ტკივილამდე საგრძნობი სიჩუმე და შარტოდ დარჩენილი ჰანსის ქეითინი...

სურათის ფინალში კი ისევ გამოჩნდება ხიდი, როგორც ამოუცნობი მომავლისაკენ მიპყრობილი მზერა...

ფილმის ლოკალურმა სიუჟეტურმა სიტუაციამ ისტორიული შინაარსი დაიტია. ნიურნბერგის პროცესზეც აღინიშნა ასეთი ფაქტი: „1945 წლის 27 აპრილს ჰიტლერთან თავშესაფარში მიიყვანეს პატარა ბიჭი, რომელსაც ჯარისკაცის სამსხედრო ფორმა ეცვა. მოახსენეს — ფაუსტპატრონით მტრის ტანკი დააზიანათ. ფიურერმა რკინის ჯვარი დაჰკიდა ბავშვს და ისეე გაგზავნა საბრძოლველად. ამით წაქეზებულმა ვაიდლინგმა ათი-თორმეტი წლის ბიჭებისაგან დივიზია შეადგინა და ბერლინის წრის გარდღევის რეპეტიცია გამართა. იმ ბავშვთა უმრავლესობა დაიღუპა. ცოცხლად გადარჩენილნი თავიანთ ამხანაგებს მარხავდნენ და ტიროდნენ...“

გაიხსენეთ წარწერა, რომლითაც მთავრდება ფილმი „ხიდი“:

„ეს მოხდა 1945 წლის 25 აპრილს. ამბავი იმდენად უმნიშვნელო იყო, რომ სამხედრო ცნობებში მისი ხსენებაც კი არ ჩათვალეს საჭიროდ“.

...ორი ფოტო: მოხუცი დედა, შინმოუსვლელი შვილის სურათს რომ დაჰყურებს დამწუხრებული და ჰიტლერის შესვედრა რაიპის მცირეწლოვან დამცველთან. პირველი — ჩვენი ადამიანებისადმი ომისგან მიყენებული დაუყუჩებელი ტკივილის ხატებად წარმომიდგება, მეორე — გერმანული ნაციზმის ამაზრზენი აგონიის დოკუმენტად... ეს ფოტოები ჩემს წარმოდგენაში როგორღაც დაუკავშირდა ორ მხატვრულ ფილმს ომზე: ქართულ — „დიმილის ბიჭებს“ და დასავლეთგერმანულ — „ხიდს“... ნუ აყვებით გულბრწყინლო ასოციაციებს, ნუ ვიგულისხმებთ, თითქოს ხიდის ერთ მხარეს ჩვენი დიმილის ბიჭები იდგნენ, ხოლო გაღმით — ფაშიზმის სისხლიანი დროის მსხვერპლნი.

ამჯერად არც ამ ფილმების, როგორც მხატვრული ნაწარმოებების, ერთმანეთთან შედარება იქნებოდა მართებული. და თუ მაინც ერთად ვახსენე, მხოლოდ იმიტომ, რომ ორივეს გმირები ერთი ასაკისანი არიან. იღუპებიან ჩვენებიც, ისინიც. მაგრამ სრულიად განსხვავებული საწყისებიდან მოდის მათი ბრძოლაც, თავგანწირვაც. და მაინც ორივე ფილმში გატარებულია ის აზრი, რომ არ არსებობს ნამდვილი გამირობა ამ ცნების ჰუმანისტური შინაარსის, ზნეობრივი, მორალური თუ სულიერი საყრდენების გარეშე, რომ სოციალური კატეგორიებია როგორც დიმილის ბიჭების გმირული შემართების ჰუმანიზმი, ისე ფილმ „ხიდის“ ჭაბუკთა სიმამაცის ანტიჰუმანიზმი, რომელიც განაპირობა ფაშიზმის დანაშაულებრივმა სინამდვილემ.

1939 წლის ნოემბრის ერთ ღრუბლიან დღეს, თვრამეტი წლის ბიჭებთან ერთად, სავალდებულო სამსახურის მოსახდელად გამიწვიეს, მაგრამ ომმა მოგვისწრო და ახლა სწორედ იმ ბიჭების ვაშო მტკიცეა გული. დაღუპულნი მალეღებენ, მთხოვენ, გავიხსენო მათი სახელები.

მეკვდები მანამდე რჩებიან ჩვენთან, სანამ მათ ვიგონებთ, სანამ ვფიქრობთ, რომ რაღაცით დავაღებულ ვართ მათგან. ისინი დღეს ჩვენთან არ არიან, მაგრამ თავის დროზე სხვებზე უკეთესება თუ არა, უარესები არაფრით არ იყვნენ. უბრალოდ, მათ არ გაუშაროლდა. ვინ იცის, ცოცხლები რომ დარჩენილიყვნენ, რა ადამიანები დადგებოდნენ ზოგჯერ მგონია, რომ სწორედ ისინი გვაკლია ჩემს კარგ, ჩემს ძვირფას თანამებრძოლ მეგობრებს, ვერის უბნის ჩვეულებრივ ბიჭებს. განსაკუთრებული გამირობა არ ჩაუდენიათ. უბრალოდ, ისინი სამშობლოსათვის იბრძოდნენ და თითქმის ყველა ომის დასაწყისშივე დაიღუპა.

ჩვენ ბევრნი ვიყავით. კიროვის ბაღი, სადაც ახლა კლათბურთის მოედანია, სავსე იყო თავდადებულნი, დაბნეული ბიჭებით, რომელთაც იმ წუთებში არ გვესმოდა სად გადაგვავლება ბედი, შემდეგ ჩავიარეთ ლენინის ქუჩა. ორივე ტროტუარზე სიბრძლით მოგვდედნენ ატირებული მშობლები, გაღიმებას რომ ცდილობდნენ ჩვენს გასამხნეებლად. შემდეგ ნავთლული, საბარგო ვაგონები, გამომშვიდობება და... ბევრნი წავედით, ძალზე ცოტა, ერთეულები დავბრუნდით. მათზე, დაღუპულ ბიჭებზე, არავის არაფერი დაუწერია. ალბათ იმიტომ, რომ თითქოს არაფერი განსაკუთრებული არც ჩაუდენიათ, გმირები არ ყოფილან, თუმცა განა სამშობლოსთვის სიკვდილი თავისვალ გამირობა არ არის?

დავასახელებ მხოლოდ იმათ, ვისთანაც ყველაზე ახლოს ვიყავი: ოთარ ჩაჩანიძე, მიშა გაბაშვილი, დათო ჯანდიერი, ვალიკო ზამთარაძე, ფარსადან ჩიქვილაძე, შურა კობიაშვილი, კაკო ჩხიკვაძე, მიშა ლიბრაძე, მიშა შუბაშუყელი, ალიოშა ქიშკიაშვილი... მათგან გადარჩა და შინ დაბრუნდა მხოლოდ ორი: ვალიკო და კაკო.

ამ ჩანაწერებს არავითარი ლიტერატურული პრეტენზიები არა აქვს, მათში ვერ იპოვით ჩემი ამხანაგების ქცევისა და მოქმედების აღწერას, მაგრამ ყველაფერი ის, რაც პირადად მე განმიცდია, განუცდიათ მათაც, განუცდია მთელ ჩვენს ქვეყანას. ყველაფერი ეს ერთი და იმავე თემის სხვადასხვა ვარიანტია. მხოლოდ ამიტომ ვეხმაურები ყურნალის რედაქციის თხოვნას და ვებღავ მკითხველს გავაცნო უაღრესად პირადული, მხოლოდ ჩემთვის დაწერილი სამი ნაწყვეტი ომისდროინდელი დღიურიდან.

1941 წლის 22 ივნისი.

დასავლეთის საზღვარი. დილით დაიწყო ომი. გაგვადვი-
და დაბომბვამ საზღვრის მისადგომებთან. სამმა გერმანულმა
თვითმფრინავმა ჩვენს ბანაკს ცეცხლი დაუშინა. თვითმფრი-
ნავებს შავი ჯვრები ეხატათ ფრთებზე. აი, ვწევართ სანგრებში,
ვიცდით. სადღაც, სულ ახლოს ისმის ქვემეხების ქუხილი.
ომი დაიწყო. საწყალი დედა!

და გინება დაგვიწყო: „იქ ხალხი იხოცება, თქვენ კი ძლიერ
მიბობლავთ“... ფეხს ავუჩქარეთ. ჩაგვირბინა ბავშვიანმა
ქალმა. შემდეგ ჩაგვიქროლა რამდენიმე ცხენმა. ცხელოდა.
ზურგზე ოფლი ღვარად ჩამომდიოდა. გაგვიჭირდა სირბილი.
გადავწყვიტეთ ყველაფერი ზედმეტი მოგვეშორებინა: ფარა-
ჯა, ზურგჩანთა, ყველაფერი, რისი მოშორებაც კი შეიძლე-
ბოდა, გარდა ნიჩბის, შაშხანის, ტყვიებისა და ხელყუმბარე-
ზისა.

23 ივნისი.

გუმინ საშინელი სისხლისმღვრელი ბრძოლა დავიწყეთ. ეს



მიხეილ თუმანიშვილი



22 ივნისი.

არაფერი ვიცით, არაფერი გვესმის. კავშირი გაწყვე-
ტილია. ყველანი დაბნეულები ვართ. შეიძლება ეს ჩვეულებ-
რივი სასაზღვრო კონფლიქტია? ახლახან გვეწვია ვიღაც უც-
ნობი გენერალი, ბატალიონის უფროსს ეძებდა და წავიდა
სადღაც — აღმოსავლეთით. თქვა, გერმანელები პარხაჩში
შეიჭრნენო. პარხაჩი გალიციის ყველა სოფელზე უღარიბესი
სასაზღვრო სოფელია. წინ ვიღაც ისვრის. განა საზღვარ-
თან ჩვენზე ახლოს არის ვინმე?

22 ივნისი.

დავმწყვრივდით და სირბილით გავუყვეით გზას პარხა-
ჩისკენ. გზაზე კოჭლობით ჩაიარა მესაზღვრემ, თოფს ეყრდ-
ნობოდა და სისხლის კვალს ტოვებდა. მესაზღვრე გაჩერდა

იყო პირველი ბრძოლა ჩემს სიცოცხლეში. სრულიად არ ვღე-
ლავდი, მხოლოდ სისხლი მაწვებოდა თავში და ძალიან
მწყუროდა. გადარბენის დროს ერთ ადგილას პირდაპირ გუ-
ბეში ჩავწექი და დაჭაობებული წყალი დავლიე. ერთი დედა-
ჩემს დაანახვა-მეთქი!

ორგვლივ გვამები ყრია, გვამებს ყვავები დასჩხავიან. გამ-
ყინავი ჩხავილი ხელს გვიშლის გამოვიცნოთ ტყვიის მიმარ-
თულება. ჩემს მახლობლად ყუმბარის ნამსხვრევები ცვივა,
კიდევ უფრო მაგრად ვეკვრი მიწას და სახეს ხელებით ვი-
ფარავ. გერმანელები ჩვენგან 100-150 მეტრზე არიან.

ღამის სიბნელით ვისარგებლეთ, რამდენიმე კილომეტრით
უკან დავისიეთ, ღრმა სანგრები ამოვთხარეთ და ჩავწექით.
დასმარება გვჭირდება. ღმერთო, მიშველე!

და აი, ვერც გუშინ მომკლეს. გერმანელები ძალიან ძლიერნი არიან, მაგრამ ჩვენ მაინც საზღვარზე ვდგავართ. ისევ გამოჩნდნენ ის წყეული თვითმფრინავები.

გერმანელები ბომბავენ სოფლებს და ისინი ორ-სამ საათში იღვებებიან პირისაგან მიწისა. რჩება მხოლოდ კვამლი და ტრუსის სუნი. ჩემგან მარცხნივ, ჰორიზონტთან, ბრიალა ცეცხლით იწვის ფიჭვნარი. ფიჭვების ტკაცუნი ათეულ კილომეტრზე ისმის. დაცარიელებულ, მიწასთან გასწორებულ სოფლებში შეშინებული ადამიანები დარბიან, თვალებს შეშლილივით აცეცებენ. ზოგი მათგანი ომით გაჩანაგებულ ეზოში აგდია. მშვიდობიანმა ადამიანებმა სამუდამო ძილით დაიძინეს. მათ არავისთვის არაფერი დაუშაგებიათ. ისევ იწყება ბრძოლა.

25 ივნისი.

გერმანელები, როგორც კი სოფელს დაიკავებენ, მაშინვე წამლავენ ჭებს. ხიდები ყველგან აფეთქებულია.

25 ივნისი.

წინ, ასე სამოცდაათ მეტრზე, მოსჩანან ადამიანთა პატარა ფიგურები. გვიახლოვდებიან. ვცდილობ მიზანში ამოვილო გერმანელები და შეუჩერებლად ვისვრი.

25 ივნისი, საღამო.

გერმანელებმა პურის ყანას ცეცხლი წაუკიდეს. ჩვენს წინ მრავალ კილომეტრზე ცეცხლის ზღვა გადაიშალა. ცეცხლი მოქანება ჩვენი სანგრებისკენ. რით გათავდება ყველაფერი ეს?

25 ივნისი, ღამე.

ჰორიზონტი ხანძარს მოუცავს. სროლამ იკლო, ბნელა. ვწერ ვარაუდით, ვერაფერს ვხედავ. ნერვები უკიდურესობამდე მაქვს დაძაბული.

26 ივნისი.

გუშინ ღამით დათო ჯანდიერი საწყობს წააწყდა. თაროებზე აღმოჩნდა მთელ-მთელი პურები და შედედებული რძის ქილები. ვჭამდით და ვცდილობდით დაგვევიწყებინა, რომ დილით ისევ დაგვიშენდნენ ნაღმებს.

29 ივნისი.

გუშინ საღამოს ვისარგებლეთ სიბნელით და რვა კილომეტრზე დავიხიეთ უკან. მშვიდობით საზღვარო! ჩავუარეთ დანგრეულ საგუშავოს. ტყის ხანძრის ფონზე მკაფიოდ იკვეთებოდა მისი გაშავებული ჩონჩხი. საწყენია, გერმანელები არ გვიტევენ, ჩვენ კი უკან დახევის ბრძანება მივიღეთ. ვილაყამ თქვა, გვერდს გვივლიანო. უამრავი ხალხი დავკარგეთ. სანიტრები ვერ ასწრებენ ყველა დაჭრილის ზურგში გაყვანას. ბევრი იქვე, ბრძოლის ველზე, კვდება.

1 ივლისი.

ვწერ ჯიბის ფარნის შუქზე. ირგვლივ მშრალი, დამსკდარმიწიანი სანგარი მარტყია. მგონი დღესაც ვერ მომკლეს. ამბობენ, ხვალ შეტევაზე გადავალთო. გერმანელები ძალიან ძლიერნი არიან.

ცაზე მოსჩანან ლამაზი, მოკიაფე ვარსკვლავები. მათი შუქი, ალბათ, მთაწმინდიდანაც მოსჩანს.

5 ივლისი.

ვიბრძვით ძველი ქალაქის — ლვოვის მისადგომებთან. შემოგვიტია ათამდე გერმანულმა ტანკმა და დაბლა, მდინარის პირას, ჩავვრეკა. იმათ, ვინც შიშის გამო სანგრებში დარჩნენ, ტანკები სრევენ, მუხლუხებით სანგრების თავზე ტრიალებენ, ადამიანებს ცოცხლად მარხავენ. სანგრებიდან ამოწვდილი ხელები მოსჩანს. ბატალიონის მეთაური დისციპლინის დამყარებას ცდილობს.

6 ივლისი.

ყუმბარის დიდი ნამსხვრევი ჩემი ჩექმის ქუსლს მოხვდა და მოგლიჯა. ყუმბარის გაციებული ნამსხვრევი ავიღე და სამახსოვროდ ვატარებ. ცოტა ზემოთ რომ მომხვედროდა?

7 ივლისი.

გზად გვხვდება ჩვენი დამწვარი თვითმფრინავების ჩონჩხები და ევაკუირებულთა უწყვეტი ნაკადი: ბავშვები, მოზრდილები, მოხუცები. ეს კიდევ ცალკე, სხვა სამყაროა.

9 ივლისი.

გერმანელთა მემამულეები მსუბუქი თვითმფრინავით ჩვენს ზურგში იჭრებიან და მამხალეებს გვიშენენ, პანიკას იწვევენ. ადამიანებს ჰგონიათ, ალყაში ვართო. ეს ამბავი სამხედრო ფერშალმა, პავლენკომ მიაბმო.

10 ივლისი.

ლეიტენანტი მალიში ტარნოპოლთან გერმანელ მოტოციკლეტისტებს ჩავარდნია ხელში. გერმანელებს დაუწყიათ ყვირილი: „რუსო, დაგვენბდიო!“ ლეიტენანტს მათთვის თურმე ხელყუმბარა უსვრია, მათსავე მოტოციკლეტზე დამჯდარა და თავის ნაწილში მისულა. აი მესმის!

12 ივლისი.

ყოველდღე უკან ვიხევთ და არ ვიცი, სადამდე დავიხევთ. არ გვყოფნის იარაღი, მტერი კი კბილებამდეა შეიარაღებული. ორჯერ შემოგვარტყეს გერმანელებმა ალყა და მხოლოდ დიდი მსხვერპლის ფასად დავუძვერით ხელიდან. მიგაბიჯებდით ერთი მიმართულებით, მაგრამ დანიშნულ პუნქტამდე ვერ ვაღწევდით და განზე ვუხვევდით, რადგან ქალაქები უკვე მტერს ჰქონდა დაკავებული. ასე გავიარეთ ლვოვი, ტარნოპოლი, სტარო-კონსტანტინოვკა და მრავალი სხვა ქალაქი. წითელარმიელები უარს ამბობდნენ უკან დახევაზე: „ამ სამარცხენო უკან დახევას, გაუთავებელი ბრძოლები ჯობიაო“. ზოგჯერ პოლკში 10-12 კაციღა რჩებოდა. ბევრი უგზოუკვლოდ დაიკარგა, ბევრი დაიღუპა. მოვდიოდით მშვირები, დაღლილები, საშინლად დაღლილები. აქამდე არ მესმის. როგორ მყოფნიდა თავხედობა, რომ სოფელში შესვლისას პური მეთხოვა. მაგრამ ვთხოულობდი და ბევრი მაძლევდა პურს, რძეს, კვერცხს.

ხუთი დღის წინ შევხვდი ბიჭებს: ოთარს, ვალიკოს, მიშა ლიბრაძეს. ახლა მივყვებით ალაღს, მტერი თითქოს არ სჩანს, მაგრამ ზოგჯერ გერმანელების დესანტი დაგვეცემა და სასწრაფოდ სანგრების თხრა და თავის დაცვა გვიხდება.

19 ივლისი.

არც გაზეთებს ვღებულობთ, არც წერილებს. უფროსებ-
მაც კი არ იციან ხეირიანად, რა ხდება, რა ხდება იქ, ზურგ-
ში. ვინმემ მაინც გვითხრას რამე. მწყურია, ყელი გამიშრა.
ნურწყვის გადაყლაპვა მიჭირს. წინ გზაა, გზა და მტკერი,
ირგვლივ კი გაწამებული ადამიანები, გაწამებული წითელარ-
ნიელები, გაწამებული კაპიტნები, გაწამებული გენერლები.

20 ივლისი.

გუშინ უკან ვიხვედით. შეღამებისას ტყეში შემხვდა ვი-
ღაც ანჯაფარიძე, აშოლტილი, მოხდენილი, ლამაზი ბიჭი.
დასაზვერავად გაეგზავნათ, ხელში დისკოიანი ტყვიამფრქვე-
ვი გჭირა, წელზე კი ხელყუმბარები ეკიდა. ისევე მოულოდ-
ლოდ გაქრა, როგორც გამოჩნდა.

21 ივლისი.

...მარცხნიდან ისმის ტანკების გრუხუნი. „პოლკში“ 14
ბერძოლია, გვაქვს შაშხანები და ერთი ხელის ტყვიამფრქ-
ვევი. ომის დაწყებიდან თითქმის თვე გავიდა.

23 ივლისი.

გზა! უკან დასახვევი გზა მძიმე ფიქრებს ბადებს. აი, გუ-
ბის პირას გდია კაცი. ეტყობა, მუცელში იყო დაჭრილი და
დიდხანს კვდებოდა, იტანჯებოდა. დიდხანს, კიდევ დიდხანს
ვდებდა აქ, ამ უზარმაზარი გუბის პირას, მანამდე, სანამ ეს
ადილი ღრმა ზურგად არ იქცევა. მაშინ კი ალბათ ვიღაცას
შეეცოდება მკვდარი ჯარისკაცი და დამარხავს.

24 ივლისი.

მშია. ბრძოლა და სიკვდილიც კი არაა ისე გამაწამებე-
ლი, როგორც შიმშილი. სადაა ახლა მიშა შუბაშუკელი?
მკვდარია თუ ცოცხალი? როცა ჩვენი ეზოდან ჩვენ ორნი
გარშე მივდიოდით, მისმა უფროსმა ძმამ, ვანომ კეთილად
დაბრუნება გვისურვა. დავბრუნდებით კი? სადაა ახლა მიშა
შუბაშუკელი?

26 ივლისი.

დილიდანვე ჩავებით ბრძოლაში. მიშა გაბაშვილთან ერ-
თად გადავირბინე შარაგზა, რომელსაც გერმანელები ცეცხლს
უმზუნდნენ და გზის პირას ბორცვის უკან ჩავწექით. გერმანე-
ლების გამოჩენას ველოდებოდით. უეცრად იქვე, ჩვენს გვერ-
დით, რამდენჯერმე გასკდა რაღაც. უკნიდან გვესროდნენ.
შეუხედე მიშას, სახე სისხლით ქონდა მოთხვრილი.

— მგონი, დამჭრეს, — მითხრა მან.

ხელი დავტაცე „პილოტკას“ და თავზე დავადე, ვცდი-
ლობდი სისხლი შემეჩერებინა. „პილოტკა“ იმ წამსვე სისხ-
ლით გაიჟინთა. საიდანღაც პატარა გოგო — სანიტარი
გალოცოდა. ვუთხარი, მარტო ვერ მოუვლი-მეთქი, ბევრს ნუ
დაპარაკობო, — მიყვირა და მიშა თხრილისკენ გავათრი-
ეთ. სანიტარმა გოგომ მიშას თავი შეუხვია, ბინტი მაშინ-
ვე გაიჟინთა სისხლით. მიშა გონს მოვიდა და თქვა: „ფეთ-
ქისაღი ტყვია მომხვდა“. შემდეგ იგი საბარგულით სანპუნქტ-
ში გაგვზავნეთ.

28 ივლისი, საღამო.

მოკლეს შურა კობიაშვილი.

გერმანელები თვითმფრინავებიდან პროკლამაციებს ყრი-
ან. ძალით ვიღებთ იმედი აქვთ, რომ აგიტაციას გაგვიწვევენ,

გვირჩევენ ტყვედ ჩაებარდეთ: „თქვენი ამხანაგები უკვე ჩვენს
მხარეზე არიან, მიბაძეთ მათ მაგალითს“. ქაღალდს ფურც-
ლებად კეცავენ, თითო-თითო ფურცელს ხევენ და წეკოს ახ-
ვევენ. ამბობენ, კარგად იწვისო. საწყალი შურა!

30 ივლისი.

გუშინ საღამოს იერიშზე გადავედით, გერმანელები სოფ-
ლიდან გავრეთ. მტერი გარბოდა.

31 ივლისი.

გამოგვიცხადეს, სოფელი უნდა დასტოვოთ, ისევ უკან
უნდა დაიხიოთ.

ლამაზმა გოგონამ, კომკავშირელმა კატიამ, რომელმაც
საშუალო სკოლა ომის დაწყების წინ დაამთავრა, არ იცის,
რა ქნას. დედა ჰყავს მძიმედ ავად. პოლკის ექიმმა კატიას
დედას რაღაც ფხვნილი მოუტანა. ექიმმა თქვა, ავადმყოფი
დიდხანს ვერ გაატანსო. კატია და დედამისი პატარა, შელე-
სილ ქოხში ცხოვრობენ.

მე და ჩაჩანიძე ვარწმუნებდით კატიას, — ზურგში გაქ-
ცულიყო და დროებით სადმე შეეფარებინა თავი. გულდასა-
წყვეტია, რომ ჩვენ თვითონ არავისი ხსნა არ შეგვიძლია.
ოთარი ცდილობდა ყველა გაემხიარულებინა, ხუმრობდა, კინ-
ტაურს ცეკვავდა.

1 აგვისტო.

ოთარ ჩაჩანიძე ავად გახდა. სახე გაუსივდა, წამდაუწუმ
თხოულობს ჩაის. ხმა დაირხა „ალყაში“ ვართო, ხალხი
მოგვემატა, გამოჩნდა უამრავი მანქანა, ხშირად გვხვდები-
ან გენერლები.

2 აგვისტო.

ოთარი ძალიან ცუდადაა, აციებს. სახეზე წითელმა
ლაქებმა დააყარა. გვემუდარება, მარტო არ დამტოვოთო. ფა-
რაჯას ვახურავ — იქნებ ცოტათი შეთბეს. ოთარი გამუდმე-
ბით კვნესის და ერთსა და იმავეს იმეორებს: „ვაიმე, დედიკო,
მიშველე დედიკო, ვაიმე დედიკო!“ მოვიყვანე სანიტარი. სა-
ნიტარმა თქვა „წითელ ქარს“ ჰგავს და მისი ევაკუაციაა სა-
ჭიროო.

2 აგვისტო (საღამო).

ოთარ ჩაჩანიძე ოთხთვალათი წაიყვანეს. სახე ისე ჰქონ-
და შეშუპებული, რომ თვალები აღარ უჩანდა. გზაში ალუბ-
ლებით სახვე ჯარისკაცის ქვაბურა გავატანე. ძალიან დამა-
ნაღვლიანა მისმა გაცილებამ. შევხვდებით კი ოდესმე ერთ-
მანეთს?

3 აგვისტო.

ისევ გავრეკეთ გერმანელები სოფლიდან. კატიას გვამი
მისივე ქოხის ღერეფანში ვიპოვეთ. ტანსაცმელი მთლიანად
შემოგლეჯილი ჰქონდა.

საღამოა. როგორ მინდა დავხუჭო თვალი და ყველაფე-
რი, რაც ირგვლივ მარტყია, საშინელ სიზმრად იქცეს, ხოლო
როცა გავიღვიძებ, ყველაფერი ისევე დამხვდეს, როგორც
ომამდე იყო. ამბობენ, გერმანელების ტანკები 60 კილომეტ-
რით ჩვენზე წინ არიანო.

4 აგვისტო.

გუშინ საღამოს, უფრო სწორად, ღამით ალყას თავი და-

ვალწიეთ, მაგრამ დღეს აღმოჩნდა, რომ ისევ უნდა ჩავებათ ბრძოლაში, ყველგან გერმანელებია.

4 აგვისტო. საღამო.

ეს-ესა მტრის თვითმფრინავებმა ჩვენი პოზიციები დაბომბეს. გერმანელები ბევრნი არიან, ჩვენ — ერთი მუჭა. მათ აქვთ საუკეთესო ტექნიკა, ჩვენ კი მხოლოდ — შაშხანები. ისინი გვიტყვენ, ჩვენ კი მუდამ „ტომარაში“ ვართ. მხოლოდ ის გვამხნევენ, რომ გვჯერა — სადაც არის თავდაცვითი ხაზი, სადაც ყველაფერი ბევრია და ყველა მოსაზრებულად მოქმედებს. მაგრამ, ეტყობა ეს ხაზი ძალზე შორსაა და აღარც გვჯერა, რომელიმე ჩვენგანი თუ იხილავს მას.

5 აგვისტო.

ამ დღით კორპუსის კომისარმა, გენერალმა კუსევიცკიმ მეთორები სკოლის წინ, მოედანზე შეგვყარა და გამოგვიცხადა ბრძანება ალყის გარღვევის შესახებ: „უნდა გავარღვიოთ ალყა და გავუფართოოთ გზები სხვა ქვეგანაყოფებს“ — გვითხრა მან.

ყველა გზა გაჭედლია. უზარმაზარი მანქანებითა და ქვემეხებით. გზები თითქმის ყოველ ნაბიჯზე შეკრულია. მივდივართ გარღვევაზე № 3 საბჭოთა მეურნეობისაკენ.

ფეხში დავიჭერი. ჯაჭვად გაბმულნი, პურის აღებულ ყანაზე გადავბოდით და ვისროდით. გერმანელები იქვე გვერდით იყვნენ. როდესაც ფეხში ტყვია მომხვდა, მახლობლად დათო ჯანდიერი აღმოჩნდა. მან ხელი მტაცა და იმ ტყისპირისაკენ წამათრია, საიდანაც შეტევა დავიწყეთ. გადაჭრილი ღეროები დანასავით მერტობოდა ტრილობაში. ძლივს მივობობავდით ხეებთან. დათომ ორთვალაზე დამსვა, ტრილობა სანიტარული პაკეტით შემისვია და თვითონვე წამიყვანა სოფელში. ფეხი ძალიან მტკიოდა... ახლა ვწევარ ჰოსპიტალში ქურაზე. აქ იმდენი ხალხია, რომ საწოლები არ გვყოფნის. წერა არ შემიძლია. თავქვე ვიპოვე წიგნი „მიკრობებზე მონადირენი“. ეს წიგნი დიდი ხნის წინათ, მოწაფეობის დროს მქონდა წაკითხული.

ვწევართ ჰოსპიტლად გადაკეთებულ სკოლაში. მოწყალეების დებმა, ახალგაზრდა ებრაელმა ქალმა და ვინიცელმა დედაბერმა ფეხი შემისვიეს. სანიტარმა შაშხანა და ტყვიები ჩამომართვა. არ მინდოდა მიმეცა, მაგრამ მითხრა: „შენ უკვე იომე, მომეცი შაშხანა, ასეთია ბრძანება“. გული დამწყდა და დავნადვლიანდი. ამბობდნენ, ჰოსპიტალს გერმანელები უახლოვდებიანო, ხანდახან ავტომატის კაკანიც კი მესმოდა, მაგრამ სად გაიქვევი ფეხში დაჭრილი?

6 აგვისტო.

დილაა. ეს წუთია ჰოსპიტალი საშინლად დაბომბეს. დაჭრილები ჭიანჭველებივით გაიფანტნენ აქეთ-იქით.

6 აგვისტო.

ვწევარ ხიდის ქვეშ, მილში. ღამეს აქ დაველოდები.

8 აგვისტო.

ხიდზე „ურას“ ძახილით გაირბინეს ვიღაცეებმა, ჩვენები იყვნენ. დიდი გაჭირვებით ვძლევ ტკივილს და მივსდევ მათ, ვცდილობ არ ჩამოვრჩე. ხალხთან სიახლოვე სიმხნევეს გმატებს. უცერად სიბნელიდან მესმის ყვირილი: „რუსს! რუსს!“ და თავს დაგვატყდა ცეცხლის საშინელი წვიმა. ისმის ყვირილი, ადამიანების ფეხის ხმა, კენესა, ბლავილი. სხვადასხვა

ფერის მამხალეები ავად შიშინებენ და ცაში იჭრებიან. მივრბივარ მარჯვნივ, ამ მხარეს რატომღაც ნაკლებია ხალხი.

მივცოცავდი, მივცოცავდი ჩემი ფიცრის დახმარებით. ერთხანს მიწაზე გაკრული ვიწეკი ჭვავის ყანაში, შემდეგ ისევ გავცოცდი, აქეთ-იქეთ ვიყურებოდი.

უცერად ტირიფის ძირას მოკლული წითელარმიელი დავინახე. მის გვერდით ხელყუმბარა ედო. ახლა არა მიშავდა რა, იარაღი მქონდა. შემდეგ წავაწყდი უცნაურ, რალცანირ ბრტყელ სანგრებს, სრულიად რომ არ ჰგავდა ჩვენსას. სანგრებში ეყარა სიგარეტის სხვადასხვაფერი კოლოფები. უცერად დავინახე ჩემსკენ მომავალი ორი გერმანელი. ისინი გვირილებში მოაბიჯებდნენ, მუხლებამდე რომ წვდებოდნენ. ერთმა მათგანმა იყვირა: „რუსს!“ — და ხელი ჩემსკენ გამოიშვირა. როდესაც იგი მომიახლოვდა, ხელყუმბარას რგოლი მოვაძვრე და ვესროლე. ყუმბარა არ აფეთქდა. გერმანელმა ამხანაგს რალც დაუძახა და ისიც ჩემსკენ გამოემართა. როცა ჩემი გასისხლიანებული ფეხი დაინახეს, ბორცვისკენ მიბიძგეს. მერე საბარგო მანქანა მოვიდა. გერმანელებმა ილღიებში ხელი მომკიდეს და მანქანის ძარაზე ამაგდეს. ტკივილისაგან გონება დავკარგე.

10 აგვისტო.

მეორე დღეა ეზოში ვწევარ დაჭრილ საბჭოთა მეომრებს შორის. იქვე გზაზე, ტყვედ ჩავარდნილ ჩვენს ამხანაგებს მიერეკვებიან. მიედინება გაწამებული ადამიანებისაგან შემდგარი უსასრულო კოლონა, ნაცრისფერი მასა სიკვდილისკენ მიბიჯებს. დმერთო, ნუთუ არ შეგიძლია შეაჩერო ეს უსამართლობა, ნუთუ ვერ უშველი ამ უბედურებას. უსასრულო ნაკადში ვეძებ ჩვენიანებს, ნაცნობ ადამიანებს. ჩამორჩენილებს გერმანელები უმოწყალოდ ხვრეტენ და გზაზე ტოვებენ.

14 აგვისტო.

დღეს დილით ოთხმა ზონზროხა გერმანელმა კონდახების ცემით გამოგვყარა გარეთ. ზოგიერთები ჩვენ თვითონ გამოვიყვანეთ, რადგან ფეხზე დგომა არ შეეძლოთ. ჩაგვსვეს დიდ საბარგო მანქანებში. ყოველ მანქანაში მძღოლის გვერდით ერთი შეიარაღებული გერმანელი იჯდა. მიგვიყვანეს ქალაქ უმანში და ქალაქგარეთ, დაჭრილებით სავსე ბარაკებში შეგვკეტეს.

16 აგვისტო.

ირგვლივ ორრიგად გვარტყია ეკლიანი მავთულხლართები. კუთხეებში საგუშაგო კომპები დგას. გარშემო სიბინძურეა. ვიღაც ავსტრიელმა ნარიდან წამომავდო, ხელში ცოცხი მომცა და ბარაკი დამაგვევინა. დაჭრილთა შორის რამდენიმე ჩვენი ექიმი და ფერშალია.

ექიმები და ფერშლები დღე და ღამე მუშაობენ, ცოცხლობენ გადაარჩინონ ასობით უბედური საბჭოთა მეომარი. ოპერაციას ზოგჯერ ჯიბის დანითა და მაკრატლით აკეთებენ. მართალია, ბევრ დაჭრილს ეხმარებიან, მაგრამ ყოველ დღე მაინც ათობით ჩვენიანი იხოცება.

24 აგვისტო.

ღედა, სადა ხარ, ღედა!

25 აგვისტო.

დავუმეგობრდი ვასკა ბადინსა და ილია ბუბარს. ილია თბილისელია, პუშკინის ქუჩაზე ცხოვრობდა. შევთანხმდით,

როგორც კი შემთხვევა მოგვეცემოდა, გავტყულებდით. აბა, როდემდე უნდა ვისხდეთ ასე და ვუყუროთ, როგორ კვდებიან ყოველ დღე ადამიანები?

28 აგვისტო.

ჩვენს ირგვლივ ახლა სამშობლოს მოღალატე პოლიციელები დაძრწიან და მბრძანებლობენ. ისინი აბუჩად იგდებენ ბაღს, სტუმრებს დაჭრილებს. ყოველ დილით ჩვენ „მუხუჭად დაჭრილებს“ გვრამზავენ, დარაზმულებს ეკლიანი ღობის მიღმა გაგვაქვს მკვდარი ამხანაგები და უზარმაზარ ორმოში ყვით. ყოველ დღე 15-20 კაცი გაგვაქვს და არავინ იცის, ვინ არიან ისინი, სადაურები.

1 სექტემბერი.

დღეს უმანში ებრაელები დაარბიეს. ამბობენ, რვასაც კაცზე მეტი მოკლესო. ამ ამბიდან რამდენიმე დღით ადრე ყველა ებრაელს სამკლავური ჩამოაცვეს იუდეველთა სვასტიკით. ალბათ იმიტომ, ადვილად რომ მიაგონონ.

2 სექტემბერი.

დღეს გერმანელები გვესტუმრნენ. დადიოდნენ ბარაკებში და კომუნისტებს ეძებდნენ. ეტყობა, ჩვენს შორისაც იყვნენ დასმუხლებლები. გაიყვანეს 20 კაცი, მიიყვანეს თხრილთან და დახვრიტეს. უნდა გავიქცე.

18 ოქტომბერი.


ჩემო ძვირფასო, საყვარელო სამშობლო! ნუთუ ვეღარასოდეს ვნახავ შენს ცასა და მზეს? არ შემიძლია უშენოდ ცხოვრება. გერმანელები გაჭკვიან, კიევი ავიღეთ, მალე ოდესასა და ხარკოვსაც ავიღებთო. სუნთქვა მიჭირს, რა დაგვესრთა!

20 ოქტომბერი.

როგორ გავიქცე? ირგვლივ ორრიგად გაბმული ეკლიანი ღობე გვარტყია, საგუშაგო კომუკებზე გუშაგები დგანან. მაგრამ არც დარჩენა შეიძლება. უნდა დავიძრა ფრონტისკენ, როგორმე უნდა მივადწიო ჩვენებამდე.

21 ოქტომბერი.

სამნი გავიქცით: ვასკა, ილია და მე. ახლა ქიხში ვსხედვართ, მაგიდასთან. ბანაკიდან უკვე შორსა ვართ. ყველაზე მსიერი პირველი ნაბიჯის გადადგმა იყო. მიუხედავად სიმაღლისა, შიდა ღობე სწრაფად გადავლახე. როცა ღობესა და ღობეს შორის აღმოვჩნდი, ძალიან შემეშინდა. პანიკით მოცული მეთრე ღობეს მივაწყდი, გადავძვერი ზედ და ჩავბტი. ფარჯა ეკლებს გამოედო და უსუსურად დავეკიდე ხევის თავზე. ვასკა, რომელიც თვალს მადევნებდა, ჩემთან მოვარდა და რაც ძალა და ღონე ჰქონდა მომჭაჩა. გავიქცით, წვიმდა, გუშაგები ფარდულს შეფარებოდნენ და ჩვენი გაქცევა არავის შეუმჩნევია. შეუჩერებლად გავიარეთ სამი სოფელი უმანიდან სამხრეთით. მოსახლეობა შინ არ გვიშვებდა. ბოლოს სოფელ გრუხდეკაში ერთმა ქალმა შეგვებრალა და შეგვიშვა. ახლა მაგიდასთან ვსხედვართ. დიასახლისს რუკა და სოფელს და შევადგინეთ ოდესისკენ მიმავალი გზის გეგმა. ეს ქალაქი მტერს ჯერ კიდევ არ დანებებოდა. ხვალ დილით უკვე იქნება გაწვეთ. ჩვენ ისევ ვიბრძობებით!



მხეილ თუმანიშვილი. 1941 წ.

26 ოქტომბერი.

გვიტხრეს, ოდესა დაეცაო. მივიღვართ აღმოსავლეთით. ვართ სადღაც კიროვოგრადის მახლობლად. დამეს ქოხებში ვათევთ, დღისით კი მივყვებით ისეთ გზებს, სადაც გერმანელები არ გვეგულება. ბევრი კეთილი ადამიანია ქვეყანაზე, გვეხმარებიან. სამხედრო ტანსაცმელი სამოქალაქოში გავცვალე. ვაწყდებით პოლიციელებსა და სამშობლოს გამყიდველებს. მივაბიჯებ დაუსრულებელ გზებზე და ვფიქრობ, ვფიქრობ და ვცდილობ ათას კითხვას გავცე პასუხი. ნუთუ წითელი არმია აღარ არსებობს, როგორც ამას პოლიციელები ამტკიცებენ? თუ ასეა, მაშინ ვინ იბრძვის როსტოვთან? არა, არა, შეუძლებელია, ეს არ უნდა მოხდეს. ზამთარი რალაცას შეცვლის. გერმანელი ურდოები ქარზე უსწრაფესად გაიქცევიან უკან.

7 ნოემბერი.

ზოგჯერ ისე გაივლის მთელი დღე, რომ ერთმანეთს სიტყვას არ ვეტყვით. დღეში 25-39 კილომეტრს გავდივართ. ამბობენ, დნეპრს მიღმა შეიძლება პარტიზანულ რაზმებს შეხვდეთო. წავაწყდებოდეთ მაინც. რა განსხვავებაა, სულ ერთი არ არის ფრონტზე იბრძობებ თუ პარტიზანულ რაზმთან ერთად.

24 ნოემბერი.

დნეპრი ვერხნენდებროვსკთან გადავცურეთ. ნაპირზე ვიპოვეთ „Вести с Советской родины“. ქალაქზე ეწერა: „პარტიზანებო და პარტიზანო ქალებო, საბჭოთა კავშირის მოქალაქეო, რომლებიც დროებით მტრის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე აღმოჩნდით, არაფერი არ დაუტოვოთ მტერს, ააფეთქეთ ხიდები, რკინიგზები, ელევატორები, მოშალეთ კავშირგაბმულობის ხაზები“ და ა. შ. ტექსტი შემდეგი სიტყ-

ვებით თავდებოდა: „მტერი განადგურებულ იქნება, გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება“. კვითხულობდით და ვტიროდით.

2 დეკემბერი.

ყოველ მხრიდან გვესმის აფეთქებების ხმა. ეს იმას ნიშნავს, რომ ფრონტთან ახლოს ვართ, მაგრამ ფრონტის ხაზის გადალახვა ძალზე ძნელია. ერთ ადგილას ეს ხაზი ჩვენგან თექვსმეტი კილომეტრითაა დაშორებული.

საშინლად ყინავს, ჩვენ კი საზაფხულო ხალათები და დახეული ჩექმები გვაცვია. ეს კია, ყურებიანი ქუდები გვახურავს.

5 დეკემბერი.

მთვრალი პოლიციელი „Вести с Советской родины“-ს ფურცელს აფრიალებდა და ყვიროდა: „გამარჯვება თქვენია, ქალაქები კი ჩვენი“. პოლიციელი ველურივით ბღაოდა და ხარხარებდა. პირუტყვი!

11 დეკემბერი.

ღმერთო, თუ არსებობ, მიშველე, თუნდაც საცოდავი დედაჩემის ხათრით!

12 დეკემბერი.

დიდხანს დაგხეტილობდით და ვცდილობდით ადგილობრივი მოსახლეობისაგან გაგვეგო, სად ჯობდა ფრონტის ხაზის გადალახვა. არავინ მოისურვა ჩვენთან დალაპარაკება. გადავწყვიტეთ გოლოდაევოსკენ დავძრულიყავით. დავდიოდით ფრონტის ხაზიდან ხუთი-ექვსი კილომეტრის მოშორებით. იმავე დამეს უნდა განგვეხორციელებინა ჩანაფიქრი და ამიტომ დასაძინებლად მინდორში დავრჩით. თივის ზვიინის ქვეშ ორმო ამოვთხარეთ და სამივენი ნადირებივით შიგ ჩავწექით. უნდა დავლოდებოდით მთვარის ჩასვლას. გარეთ ორმოცრადუსიანი ყინვაა. ორმოში კინალამ დავიხრჩვეთ. ფეხები და მთელი სხეული სიცივისაგან გაშეშებული გვექონდა, თავზე ჩვენების ყუმბარები გვივლიდა, რაც გვახარებდა. გერმანელები არსად ჩანდნენ, სანგრებში და მიწურებში იყვნენ ჩამძვრალნი. ფრთხილად მივიწვედით წინ, მივცოცავდით გაყინულ მინდორზე. მოსავლის ალების შემდეგ მზესუმზირას ღეროები შუბებივით ამოზიდულიყვნენ მიწიდან. თავს ორიონის თანავარსკვლავედი გვედგა. ჩვენს გვერდით გერმანულმა საბარგო მანქანამ ჩაიარა. ყოველმხრივ მოძრავი სინათლეები მოჩანდა. გავცალეთ მათ. უეცრად, სულ ახლოს გერმანული ლაპარაკი მოგვესმა. სირბილით დავიხიეთ უკან, მაგრამ ვიდაცამ ხელის ფანარი მოგვანათა, ხელი გვერა და გერმანელების მიწურში აღმოვჩნდით — წინა ხაზზე. ოფიცერმა კომენდანტს დაურეკა. მალე ბადრაგის თანხლებით სადღაც წავგიყვანეს. ალბათ დასახვრეტად მივყავართ, — გამოიღვა აზრმა, — რა ვიღონოთ? მიგვიყვანეს რომელიღაც შენობასთან, საბარგო მანქანაში ჩაგვსხეს და წავგიყვანეს. მორჩა, ან ბანაკში შეგვყრიან, ან დაგვხვრეტენ. როგორც შემდეგ გავიგეთ, ქალაქ სნეჟინში მიგვიყვანეს და სკოლის დიდ ოთახში შეგვყარეს. ცარიელი ოთახის იატაკი მოფენილი იყო წიგნების ყდებით. ყდებზე იწვა ნაცრისფერ ფარაჯაში გახვეული ოცამდე საბჭოთა ჯარისკაცი. მათ შორის ერთი ქართველი აღმოჩნდა, ვანო. მივირბინე მასთან, დავყარე კითხვები. მითხრა, ამ ცოტა ხნის წინათ გამიწვიეს ჯარში და ორი თვე იქნება, რაც თბილისიდან წამოვედიო. ძალიან გამეხარ-

და, რატომღაც ვკითხვობდი, ცირკის მშენებლობა თუ დაამთავრეს-მეთქი? მითხრა, ცირკის მშენებლობა დაამთავრეს და ჩვენ, ჯარისკაცებს, წარმოდგენა გვაჩვენესო. ასე ვისხედით დილამდე. იგი ახლა ხვრინავს, მე კი ვწერ.

15 დეკემბერი

მე და ვასკამ ფესხადგილის უკანა ფიცარი გამოვტეხეთ და გავიქეციეთ. ფესხადგილი ღრმა თოვლით სავეს ხევის პირას იდგა. ჩვენ ხევში ჩავვკრდით. გერმანელი გვესროდა, ვიდაც ყვიროდა. მივრბოდით ბუჩქებს შორის, მივრბოდით მთელი დღე. გზადაგზა, როცა ძალა გამომეცლებოდა, ვტიროდი, მაგრამ მაინც მივრბოდი.

20 დეკემბერი.

ჩექმებიდან თითები მომიჩანს, საშინლად ყინავს. მალე დადგება 1942 წელი. ეს მესამე ახალი წელია, შინ რომ არ ვხვდები. როგორ დავიდალე, როგორ დავიდალე! ერთ კაცს სადგისი და მახათი ვთხოვე და ახლა ვზივარ, ჩექმებს ვაკე-რებ.

1942 წლის 1 იანვარი.

გავიდა 1941 წელი, წვალებისა და ტანჯვის წელი. ამ საშინელი ყინვების დროს შეგვიფარა ერთმა გულკეთილმა, ხნიერმა ქალმა. მისგან დიდად ვართ დავალებული. გარეთ ისე ყინავს, რომ სუნთქვა ჭირს. მიწურების სახურავზე ღმუილით დაჰქრის ქარი, ყველაფერი თოვლითაა დაფარული — გზები, შენობები, ეზოები. მე კი ტანზე უსახელო მაისური, სიძველისაგან ფერდაკარგული ხალათი, კურტაკი და საზაფხულო გალიფე მაცვია, ხოლო კისერზე ჩვარი მაქვს შემოხვეული, რომელიც ყელსახვევის მაგივრობას მიწევს. ესაა მთელი ჩემი მორთულობა. ჩემი ამხანაგებიც ასევე არიან ჩემულნი. უკეთეს დღეში არც დიასახლისი — ხარიტონა ხოროშკოვა და მისი „სასახლე“ იყო.

დამეა. ჩემს წინ „მადაროს“ ლამპა ბუჭტავს. დადგა 1942 წელი. სადღაც შორს, მაღალი მთების მიღმა, ჩემი მშობლიური სახლის ოთახში, ძველმა კედლის საათმა თორმეტჯერ დარეკა და ქვეყანას ახალი წლის დადგომა აუწყა. აქ კი, სოფელ ევლოკიევკაში, ნახევრად დანგრეული ჰიდროსადგურის გვერდით, საბჭოთა თვითმფრინავმა ყუმბარები ჩამოყარა და დათოვლილი სივრცე იმედის მომცემი ხმაურით გააყრუა.

შეტიშვა

1943 წლის 22 ივლისი.

ვზივარ ყუმბარების ყუთზე და ვწერ. გოლოდაევომდე ორმოცდაათი კილომეტრილა დარჩა, ბოლოს და ბოლოს, და იწყო შეტიშვა. გოლოდაევო! არც ისე დიდი ხნის წინ მე აქ დავცოცავდი და ვცდილობდი ფრონტის ხაზი გადამელახა. ახლა კი ფრონტი მე თვითონა ვარ.

25 ივლისი.

მივაბიჯებთ გადარჩენილ ქუჩებზე, ჩავუარეთ ყუმბარებით დანგრეულ დრამატულ თეატრს. ირგვლივ ლურჯფარებიანი მანქანები გრუხუნობენ. ჩვენს გვერდით ჩამოიქცა ხუთსართულიანი სახლის კედელი. შენობა ხუხულასავით დაინგრა. ეს როსტოვია, პომპეა.

2 აგვისტო.

გამოაცხადეს განგაში. ვეთხოვებით ზოლოტორევეკას. ვაჰზავთ ცხენებს. დამით წინა ხაზზე მივალთ. ძალიან ცხელი დღე იყო, დამე კიდევ უფრო ცხელი იქნება. აბა, ტრუბადურო, ჩემო ძვირფასო ცხენო, არ მიღალატო!

4 აგვისტო.

ბრძოლაა. ყოველ მხრიდან ისვრიან. არ ვიცი, სად არიან ჩვენები და სად — გერმანელები. გავიყვანეთ ტელეფონის ხაზი მეთაურის სამეთვალყურეო პუნქტამდე. ახლა ვზივარ და ვწერ. წვერა სწორედ ბრძოლის დროს მიყვარს. მაშინ ყველაფერი ნამდვილი გამოდის. ტყვიამ ხელი გამიკაწრა. ინდივიდუალური პაკეტით ვიხვევ.

10 აგვისტო.

ჯერჯერობით სიჩუმეა. დილით გერმანელების ცეცხლს წავაწყვდით. 2-3-ჯერ გავმართეთ ბატარეა, გავსენით ცეცხლი, გავანადგურეთ გერმანელთა პატარა საგუმავოს გარნიზონი. ხელში ჩავიგდეთ უზარმაზარი საწყობი, სადაც ტანსაცმელი, ტელეფონის აპარატურა და კონსერვები იყო.

ტაგანროგის აღება პირდაპირი იერიშით ძალიან ძნელი აღმოჩნდა. ბევრი მეზღვაური დაეცა ამ ქალაქის კედლებთან. ამიტომ ჩვენმა სარდლობამ გადასწყვიტა მტრის თავდაცვაში ერთი ადგილი გაერღვია და გერმანელების ზურგში კაზაკთა კორპუსი შეეყვანა. დაგვაგაღეს მტრის ზურგის მოშლა, რის შემდეგაც გერმანელები უნდა გვეიძულებინა ტაგანროგიდან უკან დაეხიათ. აი, ამ საქმეს ვაკეთებთ ახლა. ჩუ, ტელეფონი რეკავს.

11 აგვისტო.

გერმანელები ახლა მეტნი არიან. კავშირის გაბმა ბრძოლის დროს, ტყვიების ზუსტუნში მომიხდა. რამდენჯერმე მავთული ყუმბარის ნამსხვრევმა გადაჭრა. საოცარია, მაგრამ არც ისე მეშინია მოზუსუნე ტყვიების. თუმცა რა არის საშიში, მოგხვდება და ყველაფერი გათავდება.

12 აგვისტო.

დამე შევიტყვეთ, რომ გერმანელების დიდი კოლონა უკან იხევდა, ყუმბარები დაეუშინეთ. გერმანელები ტაგანროგიდან იხევდნენ უკან, მაგრამ ისინი არც ისე ცოტანი აღმოჩნდნენ. როგორც გვეგონა. და, აი, დილიდან ვეწევით დამქანცველ ბრძოლას. ქვემეხებს სიმხურვალისაგან ლულები გაუწითლდა, ვასხამთ მდინარიდან მოტანილ წყალს, გერმანელები გვევრინან ნაღმებს ექვსლულიანი ნაღმსატყორცებიდან. ვქსოვთ და ვარდევთ კავშირგაბმულობის ქსელს, ნაღმებისა და ტყვიების ქვეშ გვიხდება დაზიანებული ხაზის აღდგენა, არტილერიისტებს ვშველით ქვემეხის ლულების წყლით გაცივებაში, ყუმბარების ზიდვაში, უკან დახევასა და წინ წაწევაში. ზოგი დაღეწილ გერმანულ მანქანებში ფათურობს. ერთ მანქანაში აღმოაჩინეს სხვადასხვა ფერის მამხალეები. ახლა მამხალეებს აქეთ-იქით უშვებენ და ბავშვებივით ხარობენ. ბატარეის უფროსი ყვირის, მოითხოვს, რომ შეწყვიტონ თამაში. ბრძოლის დასასრული ჯერ კიდევ გაურკვეველია, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ბედი არც ამჯერად გვიღალატებს და ჩვენ გავიმარჯვებთ.

14 აგვისტო.

გერმანელების ავიაცია მოსვენებას არ გვაძლევს. ხან ვიღებთ იმ დაწყვეტილ ბორცვს, ხან ვტოვებთ.

16 აგვისტო.

ცუდი დღეა. მძიმე ბრძოლა გადავიტანეთ. მოკლეს ჩემი ტრუბადური. რა სასაცილო იყო. გამხდარი, როსინანტივით გამხდარი და ძალიან, ძალიან საყვარელი. მშვიდობით, ჩემო ტრუბადურო! სანამ ცოცხალი ვარ, არ დამავიწყდები. ბრძოლაში კარგი მეგობარი იყავი, ცოტა გულუბრყვილო, მშვიდი და ცოტათი მშიშარა, ისეთი, როგორიც მე ვარ.

ავირჩიე სხვა ფაშატი, კოლომბინა დავარქვი. კოლომბინას ჯორივით გრძელი ყურები აქვს და ძალიან ლამაზი ქალური თვალები. ვაჭმევ შაქარს.

17 აგვისტო.

წერილი მივიღე დედისგან. მწერს: „ყოველ წუთს შენზე ვფიქრობ, შვილო. ჩვენი ბინის კედლებს რომ შეეძლოთ ჩემი დარდისა და ტანჯვის გამოხატვა, სისხლით დაიფარებოდნენ“...

18 აგვისტო.

ვასკას სიკვდილი სწრაფი და მოულოდნელი იყო. ვისვენებდით ღამის ბრძოლის შემდეგ. ვასკა ბაღში შევიდა, სკებიდან თაფლის მოსატანად. ცაზე გამოჩნდა ერთი გერმანული ხეინკელი. არავის მიუტყვევია ყურადღება. მუდამ ბლომად დაფრინავდნენ ხან აქ, ხან — იქ. ჩავვიფრინა, თითქოს არაფერი იყო, ერთადერთი ყუმბარა ჩამოავდო და გაქრა.

და აი, ვასკა წევს მიწაზე, ამქვეყნიდან წასული. ომობდილი. გული ჩამეგლიჯა, რამხელა გზა გავიარეთ ერთად, რამდენჯერ გავეჩეცით სიკვდილს, რა გეგმები არ დაგვიყვია სამერმისოდ. და აბა! ჯარისკაცის მოსახამში გავახვიე და დავასაფლავე. მისიანებს გავუგზავნი წერილს, დაიტირებენ.

28 აგვისტო.

დღეს ბატარეის პარტკომმა პისკოვმა მკითხა: პარტიაში რატომ არ შემოდიხარო?
— მიმიღებენ კი?

7 სექტემბერი.

ცას ცეცხლი ეკიდება, მთელი ცის კამარა ცეცხლის ზღვითაა მოცული. კატიუშები! სიხარულისაგან თვალზე ცრემლი მადგება. ეჰ, მაშინ საზღვარზე რომ ასეთი კატიუშები გვქონოდა!

13 სექტემბერი.

ვზივარ სკოლის მერხზე და ვწერ. ბევრი რამ მოხდა. გუშინ საღამოს საყვირმა ცხენების შეკაზმა გვიბრძანა. შევკაზმეთ და ველოდებით. ექვს საათზე გამოიძახეს მეთაურები. ვგრძნობთ, რომ რაღაც უჩვეულო ხდება. ოცი წუთის შემდეგ ჩვენსკენ მოქანებიან მეთაურები და მთელი შტაბი. დაგვამწკრივეს ესკადრონების მიხედვით, ბატარეები ცალკე გამოყვეს. ყველანი ველავთ. შუაში დგანან ბატალიონის მეთაური და მისი მოადგილე აგიტაციისა და პროპაგანდის

(გაგრძელება 88-ე გვერდზე).



მებღვაურები შეტევაზე

სამხელრო

ფოტოკაპოტიორის

აკივილან

ვიქტორ ჯეირანოვის
ფოტოები იბეჭდება პირველად



ნაღმტყორცნელები.

შემოდგომის სუსხიანი ქარი კვამლის ბოლქვებს ფანტავს. შეტევაზე გადადის საზღვაო ქვეითი ჯარი. შორს ყრუდ გაისმის ქვემეხების გრიალი...

1942 წლის მრისხანე დღეებია, სისხლისმღვრელი ბრძოლები ნოვოროსიისკთან, ტრაგიკულად დაღუპული დესანტი, თავგანწირული შერკინება „მცირე მიწაზე“.

ეს-ეს არის მოადგა ნაპირს ნავი, საიდანაც გადმოსხდნენ მებრძოლები, წინ მეთაური მიდის, დანარჩენები მას მიყვებიან. სურათი ძალზე დინამიკურია და საბრძოლო მოქმედების სიმართლითაა აღბეჭდილი.

გაზეთ „იზვესტიის“ კორესპონდენტი ვიქტორ ჯეირანოვი ომის პირველივე დღეებში წავიდა მოხალისედ ფრონტზე. გაზეთის რედაქცია სისტემატურად იღებდა ვ. ჯეირანოვის მიერ გამოგზავნილ ფოტოდოკუმენტებს. ისინი სხვადასხვა მხრიდან მოდიოდნენ: ნოვოროსიისკიდან, ქერჩიდან, ჩრდილო კავკასიიდან... განა მარტო „იზვესტია“, მის ფოტოებს ბეჭდავდა ამიერკავკასიის ფრონტული გაზეთებიც. ვ. ჯეირანოვი ხომ ამ გაზეთის მუდმივი კორესპონდენტიც იყო.

ვ. ჯეირანოვის ფოტოობიექტივი იჭერდა ყალაფერ საყურადღებოს, მნიშვნელოვანს. მღელვარედ, სიყვარულით აცქერდებოდა მეომართა სახე-



დესანტი



დაბრუნება განთავისუფლებულ პიატიგორსკში.



სავალალო დასასრული.



ებს. ომის საშინელებებს იგი გულისტკივილითა და მტრისადმი დაუფარავი სიძულვილით ასახავდა...

1942 წელს ვოლგაზე აზვირთდა სამართლიანი შურისძიების მრისხანე ტალღა — აზვირთდა და დაიძრა ფაშისტური ურდოების გასანადგურებლად. ყველა ფრონტზე გაისმა მისი გამოძახილი და ჩრდილო კავკასიასაც მოაღწია. ცხარე ბრძოლები მიდიოდა პიატიგორსკის მისადგომებთან. ზედიზედ სთმოხდა პოზიციებს ხერხემალგადამსხვრეული მტერი.

მაშუკის მთის მისადგომები. ახლახან გაიარეს აქ ჩვენმა რაზმებმა. დათოვლილ მინდორზე საფლავთა რიგებია დაჭიმული. ეს მტრის საფლავებია, მტრისა, სულ ცოტა ხნის წინათ დალურსმული ჩექმებით რომ თელავდა ყველაფერს ირგვლივ.

განთავისუფლებულ ქალაქში წითელი არმიის ქვეგანაყოფებთან ერთად ბრუნდება მოსახლეობა. გაუბედავი ღიმილი აღბეჭდილა ქალების სახეებზე, რამდენი მწუხარება და გაჭირვება გადაიტანეს მათ. აი ისინიც, მათი განმათავისუფლებლები, სანგრებში გაუხეშებული, გარუჯული სახეებით...

ასე იწყებოდა გამარჯვება!

დარგში — ბირიუკოვი, ჩვენ კი ირგვლივ ვახვევივართ. აღ-
ვლევებულმა ბატალიონის მეთაურმა გვითხრა: „გერმანელებმა
გადასწყვიტეს ბოლო მოუღონ კორპუსს და მთელ ძალებს
ჩვენს ირგვლივ მოუყარეს თავი. ჩვენი ამოცანაა დავასწროთ.
წინ, გვარდიელებო!“ — იყვირა მან. შემდეგ სიტყვა აიღო
ბირიუკოვმა და გვითხრა: სახუშარო საქმე არაა, ბევრი შეიძ-
ლება სიცოცხლეს გამოესალმოს, ამიტომ ვისაც კი სურს პარ-
ტიის რიგებში შესვლა, ახლავე უნდა გააფორმოს დოკუმენ-
ტები, ხოლო ის, ვინც უკან დაბრუნდება, უკვე კომუნისტი
იქნებაო. იქვე აღმოჩნდნენ რეკომენდაციის მოცემის მსურ-
ველნიც. თვით ბირიუკოვმა, პისკოვმა და ოტორინმა დიდი
სითბოთი და სიყვარულით მომცეს რეკომენდაცია. ძალიან გა-
ხარებული ვიყავი.

ჩემ ეშვებოდა: ალვის ხეების გრძელი ჩრდილები გზას
კვეთდნენ. ბრძოლა როგორღაც უცებ დაიწყო, ისე მოულოდ-
ნელად, თითქოს ჩვენ და გერმანელები ერთმანეთის გვერდით
ვიმყოფებოდით და ნიშანს ველოდით, რომ ერთმანეთს ვცე-
მოდით. ბორცვს შრახნელი დაეყარეს. ცვიოდა ყუმბარის
ნამსხვრევები, ტყვიები. მახსოვს, როგორ გაიშალნენ ქვემეხე-
ბი და პირდაპირ დამიხვნებთ ესროდნენ ტანკებს, როგორ და-
იჭრა ბატალიონის მეთაური, როგორ გადაიყვანეს იგი ბორცვს
მიღმა და სანიტარულ მოტოციკლში ჩასვეს. შემდეგ მოვახ-
ტით ცხენებს და მივქროდით რომელიღაც ღარტაფისკენ.
მთელი ღამე გრძელდებოდა დაუნდობელი და დამქანცველი
ბრძოლა.

ახლა მთელ ოცეულს, უფრო სწორად იმათ, ვინც ოცეულ-
ში დარჩა, სძინავს თივის ფარდულში, ჭერიდან წყალი ჩა-
მოდის, ირგვლივ ყველაფერი ტალახიანია. ვზივარ ტელე-
ფონთან და ზოგჯერ ვპასუხობ შტაბის ტელეფონისტის
მწვიდ კითხვასზე:

— თქვენთან ყველაფერი რიგზეა?

— ყველაფერი რიგზეა! — ვუბნები და თავადაც არ ვი-
ცი რიგზეა თუ არა ჩვენთან ყველაფერი. ჩვენ დავამარცხეთ
გერმანელები თუ პირიქით. ალბათ, იქ, შტაბში, იციან. ნამ-
დვილი კი ისაა, რომ ათი კაციდან, რომელთაც პარტიამ
მიღების განცხადება შეიტანეს, რვა უკან აღარ დაბრუნებუ-
ლა.

18 სექტემბერი.

დღეს პარტიურიში გამომიძახეს და უახლოეს ზურგში
გამგზავნეს. ეს თურმე სულ სხვა სამყაროა. ვიღაც მკაცრმა
ტიპმა ჩვენი ანკეტები შეავსო. შემდეგ შეშინებულმა, უსახურ-
მა პატარა კაცმა პარტიულიეთისთვის ფოტოსურათები გადა-
გვიღო.

ზურგში ყოფნა სამოთხეში ყოფნას უდრის. წინა ხაზიდან
პირველად მოხვდი აქ. ნადავლი, ნადავლი, ნადავლი. წინა
ხაზზე არასოდეს არ მინახავს ნადავლი, აქ კი ყოველ ნაბიჯ-
ზე ნადავლს ხედავ. დავესწარით ჩამოსული მსახიობების
კონცერტს. ისინი რაღაცას ასრულებდნენ, მე ვერაფერი გავი-
გე, რადგან შორს ვიჯექი. მსახიობები, ეტყობა, ფიქრობდ-
ნენ, წინა ხაზზე ვართო. ვუსმენდით სიმებიან და სასულე
ორკესტრებს. სასულე ორკესტრის სოლისტები სამხედროები
იყვნენ, ახალი, ლამაზი ტანსაცმელი ეცვათ და მკერდი ორ-
დენებით ჰქონდათ დამშვენებული. გამოველაპარაკე ერთ-ერთ
მათგანს. შემომჩივლა, ქანცი მძვრება, ყოველ დღე კონ-
ცერტებს ვმართავთო. აი, სადამდე მიდის ადამიანის უმადუ-
რება!

25 ოქტომბერი.

დღეს, ერთი თვის შესვენების შემდეგ, ისევ ვებმებით
ბრძოლაში. ქალაქ მელიტოპოლიდან ორი კილომეტრით
ვართ დაშორებული. გვერდით ყირიმია. ბრძოლაში უკვე კო-
მუნისტის სახელით ვებმები. მთავარია მეტი სულიერი სიმხ-
ნევე, გამბედაობა, მოხერხებულობა, რაც შეეხება რწმენას,
რწმენა არ მაკლია.

26 ოქტომბერი.

მთელი ღამე მივაჭენებდით ცხენებს. დილით მოწინააღმ-
დეგეს მივაღვეით. თითქმის უბრძოლველად ავიღეთ ჯერ ერ-
თი, მერე მეორე დასახლებული პუნქტი. კოლონებად დაწყო-
ბილი ჯარი თივის ზვინებს შორის მიაბიჯებს. ირგვლივ მხო-
ლოდ მინდვრებია. ახლა უკვე უამრავი იარაღი გვაქვს, ახა-
ლი ტექნიკა: ტანკები, კატრუშები, თვითმფრინავები, ქვემეხე-
ბი და ასე შემდეგ. ბევრი ტყვე ჩავიგდეთ ხელთ. სალამოს
ჯგუფ-ჯგუფად გამოჩნდნენ ჯგრიანი თვითმფრინავები. მე-
ლიტოპოლის გზაზე მიიკლავნება ტყვე გერმანელთა კოლო-
ნა. ჩვენთან ერთად ბრუნდებიან ევაკუირებულითა ოჯახები.
მათ შორის ბევრი ბავშვია. სიხარულით გვხვდებიან, გვესალ-
მებიან, გვეკონიან.

28 ოქტომბერი.

ჩემს ამხანაგებზე ვფიქრობ. სად არიან, ცოცხლები არიან
თუ მკვდრები, სადაა ოთარ ჩაჩანიძე, გადარჩა თუ არა, სა-
დაა ვალიკო ზამთარაძე, დათო ჯანდიერი, მიშა გაბაშვილი,
სად არიან ფარსადან ჩიქვილაძე და ალიოშა ქიშიშვილი, და
საერთოდ სადა ვართ ჩვენ ყველანი? სხვადასხვა მხარეს გა-
დაგვისროლა ომმა. სადაა ჩემი მეზობელი მიშა შუბაშუკე-
ლი? ღამეა, სიჩუმეა, ომიც კი არ იგრძნობა.

30 ოქტომბერი.

მიწა გუგუნებს. მტერი გააფთრებით გვეწინააღმდეგება.
კახოკამდე 30 კილომეტრია დარჩა. მოსვენებას არ გვაძ-
ლევენ ხეინკელები, მესერშმიტები, იუნკერსები. გამუდმებით
ბომბავენ ჩვენს პოზიციებს. უკიდურესი, საშინელი დაძაბუ-
ლობისაგან თავი მტკიცა. ყოველი მხრიდან ისმის ქვემეხების
სროლის ხმა — აღმოსავლეთიდან, დასავლეთიდან, ჩრდილო-
ეთიდან და სამხრეთიდან. ავიაცია რომ არა, თავს უფრო
კარგად ვიგრძნობდით. საშინელია საავიაციო ბომბები, რო-
მელთაც „ჩემოდნებს“ ვეძახით. გვაცრუებს მათი წივილი და
ტყვიამფრქვევის გამანადგურებელი კაკანი.

1 ნოემბერი.

საღამოვდებოდა. მოგვესმა ბრძანება: „ცხენებზე!“ წამსვე
გავედით რომელიღაც გზაზე. ჩვენს გვერდით მოგრუხუნებენ
ტ-34 ტანკები, მოტორიზებული ნაწილები, ტრანსპორტიო-
რები, მეთაურთა მანქანები. მათ შორის მივაბიჯებთ ჩვენ.
მხედრები და საბრალო ფეხოსნები, სწორედ ისინი, ვისაც
ომში ყველაზე მეტი ჯაფა ადგას. ეს იყო ადამიანთა სხეუ-
ლების, ცხენების, მანქანების ნაკადი, რომელიც წინ მიიწვი-
და.

ხშირად სიბნელიდან, გზის ორივე მხარეს, გვესმოდა
მტრის ტყვიამფრქვევების კაკანი, კოლონებს თავზე უვლიდა
მგეზავი ტყვიებისა და ყუმბარების მანათობელი ზოლები. ის-
ინი სიბნელეს აპობდნენ და ყრუდ ეცემოდნენ უსასრულო
ველზე. ირგვლივ ფეთქდებოდნენ ყუმბარები. — ერთი წუ-

თით რომ გამოეჭყიტა მზეს, დავინახავდით, რომ მტრის გვერდით ვიყავით. ჩვენი ტანკები თავიანთ ქვემეხებს ხან აქეთ, ხან იქეთ აბრუნებდნენ და მტრის საცეცხლე წერტილებს სპობდნენ.

ცხენებითა და ადალით ოცი კილომეტრი გავიარეთ, ბოლოს აუცილებელი შეიქმნა ცხენების აღვირით ტარება. თვალწინ ისე ჩაგვიარა განთქმულმა „თურქის ციხემ“, თითქოს გაცურდაო. გავედით პერეკობთან. ახლა დილაა, მგონი შევძლებთ დასვენებას.

დილით გვეგონა, ყველაზე ძნელი ბრძოლები უკან მოვიტოვეთ, მაგრამ ომი სულ სხვა რამეს გვიმზადებდა. ჩვენი ტანკები გზატკეცილზე გავიდნენ, გაჩერდნენ და ახალ ბრძანებას ელოდნენ. უეცრად ცეცხლი დაგვიშინა გერმანულმა ჯავშნოსანმა მატარებელმა.

ცხენები, ოთხთვალეები, დიდი ამერიკული საბარგო მანქანები ველზე გაიჭრნენ, ცდილობდნენ თავი დაეღწიათ ჯავშნოსანი მატარებლის გამანადგურებელი ცეცხლისათვის. ჩვენ სწრაფად ჩავწექით სანგრებში. საბედნიეროდ, ამ ადგილას დაგვხვდა ჯერ კიდევ სამოქალაქო ომის დროს ამოთხრილი, სარეველა ბალახით დაფარული სანგრები და სამალავები. დაიწყო ბრძოლა, საშინელი ბრძოლა.

შემდეგ ცაში გუნდ-გუნდად გამოჩნდნენ მტრის თვითმფრინავები. ყოველი ცოცხალი არსება ცდილობდა მიწაში ჩამძვრალიყო, ჩამძვრალიყო ბალახთან, ყვავილებთან, ეკლებთან, ადამიანებთან, ცხენებთან, მანქანებთან, დამწვარ ტანკებთან ერთად. შესაძლებლობა რომ ყოფილიყო, მათთან ერთად გაცეცლებოდა აქაურობას. თვითმფრინავების ამაზრუნენი გუნდი, საშინელი გველივით რომ იკლაკნებოდა, წივილით, კივილით, სტვენით, გრუნუნით და ცეცხლით მოჰქროდა მიწისკენ. ათობით ხეინკელები, ასობით იუნკერსები, ხოლო უფრო ზემოთ მესერშიტიები დაძრწოდნენ და მიწაზე სიკვდილს აფრქვევდნენ. მანქანების მთელი ეს ხროვა თავს ესხმოდა სუსტ, ყოველ ორმოში, ყოველ თხრილში, მიწის ყოველ ნაოჭში ჩამალულ ადამიანს. ისინი კი არ დაფრინავდნენ, სულს ხდიდნენ ყოველივე ცოცხალს. ხოლო როცა ყუმბარები შემოეღეოდნენ და მომდევნო გუნდი ჯერ კიდევ არ იყო მოფრენილი, ეს ჯოჯოხეთური მანქანები დაფრინავდნენ ჩვენს თავზე და თვალებით თითქმის მიწას ეხებოდნენ. თვალნათლივ ხედავ მათ მუცლებზე დახატულ ყვითელ, შავ და წითელ ლაქებს. ისინი ქანცს გვაცლიან, მოქმედებენ ფსიქიკაზე, ცდილობენ სულიერად გავგუტებონ. ხოლო როცა თავს გვანებებენ, მოდის ახალი გუნდი და მიწაზე ისევ ცვივა ტონობით ნამსხვრევები, ტყვიამფრქვევის ტყვიების ნაკადი და ისმის ამ ავაზაკური მანქანების საშინელი გუგუნნი.

ერთი თვითმფრინავი ჩამოაგდეს. იგი საკუთარ ყუმბარებზე აფეთქდა, გზაზე კი გრძელდება დუელი მტრის ჯავშნოსანი მატარებელსა და ჩვენს ტანკებს შორის.

ცაზე გამოჩნდნენ ვარსკვლავები. გრძელი, უსასრულო დღე დასრულდა. სადღაც, ჰორიზონტის მახლობლად, გამოჩნდა მთვარის მომცრო ნამგალი. ვწერ სრულ სიბნელეში, მაგრამ რა სასიამოვნოა ეს სიბნელე. ირგვლივ სიმშვიდე სუფევს. მოვიდა კაპიტანი ბირიუკოვი, შეგვყარა კომუნისტები და გვითხრა: „გადავწყვიტეთ ვიბრძოლოთ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე, ან უნდა დაიხოცოთ, ანდა დაკავებული პოზიციები შევინარჩუნოთ, რადიოთი გადმოგვეცეს, რომ ჩვენსკენ დასახმარებლად მოდის კორპუსი, რომლის შეჰადგენლობაში ტანკებიც არიან“. გვითხრა და წავიდა. ჩვენ კი ვფიქრობთ და

შევცქერით ვარსკვლავებს. ფიქრები ტვინს კაწრავენ, დაფრინავენ ჰაერში, დაფრინავენ ფრთხილად, უხმოდ, რადგან ეშინიათ დაარღვიონ ამ წყნარი ღამის, შეიძლება სიცოცხლეში უკანასკნელი ღამის მყუდროება.

კატიუშები, კატიუშები, ო, ძვირფასებო! ჰაერს აპობს მკვდრეთით აღმდგარი ცეცხლის ნაკადები. თითქოს ზღაპარში ვარ, ირგვლივ ცეცხლის ზღვაა, ცას ცეცხლი ეკიდება და ეს ცეცხლი ჩვენს თავებს ზემოთ მტრისკენ მიედინება. კატიუშა, საყვარელო, ძვირფასო! ადამიანები ამოძვრნენ სანგრებიდან, ბზარებიდან, სამალავებიდან, ამოძვრდნენ, აყვირდნენ, სიმღერა წამოიწყეს: „Выходила на берег Катюша“. ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, თითქოს ყველა დაიხოცა, რომ პერეკობის ყელზე ცოცხლები მხოლოდ მე და ჩემი ჯარისკაცები დავრჩით, ახლა კი თითქოს ყველა აღსდგა მკვდრეთით, ყველა წელში გამართული დგას, შეჰყურებს ცის გამაპობელი ცეცხლის გრიგალს და ყვირის: „კატიუშა!“

2 ნოემბერი.

ცაში ისევ დაძრწიან თვითმფრინავები. დილით დაიწყო იგივე, რაც გუშინ გადავიტანეთ, მაგრამ ცოტათი მაინც უკეთ ვგრძნობთ თავს. გუშინ ვისროდით უმისამართოდ, სხვათა შორის, გაგვყავდა კავშირგაბმულობის ხაზი, ვძვრებოდით მიწაში, ვკვდებოდით შიშისა და თვითმფრინავებიდან ჩამოყრილი ყუმბარებისაგან. გუშინ იყო მხოლოდ სანგარი, ჰაერი და მტერი. დამით, კატიუშების ცეცხლის შემდეგ დავიარეთ სანგრები, გავერკვიეთ ვითარებაში და მივხვდი, რომ შენი სანგრის გარდა, არსებობს კიდევ თავდაცვის ხაზი, წესრიგი, გეგმა. ჩვენმა მეზენიტებმა ცეცხლი გახსნეს. ცაში ხან აქ, ხან იქ ისმის ჩვენი გამანადგურებელი თვითმფრინავებისა და „ილების“ გუგუნნი. ახლა მარტო მტრის თვითმფრინავები კი არ დაძრწოდნენ ცაში, არამედ ჩვენი გმირი მფრინავებიც დაქროდნენ. მოწმე ვიყავით საშინელი ბრძოლისა, იუნკერების გაცოფებულ გუნდში რამდენჯერმე შეიჭრნენ წითელვარსკვლავიანი „ლა-5“ თვითმფრინავები. მათ მტრის თვითმფრინავები გაფანტეს. ზოგი მათგანი მიწას ასკვდებოდა, ზოგი კი გარბოდა.

3 ნოემბერი.

ძილი, მინდა ძილი და მეტი არაფერი.

6 ნოემბერი.

ვსხედვართ ქოხებში, ვისვენებთ, ვიშორებთ ჭუჭყს, ვიპარსავთ პირს, ადამიანთა სახეებზე ღიმილი გამოვრთა, გავცოცხლდით. მაგრამ ყველაფერს თანამიმდევრულად მოვყვებით.

მზე ზღვაში ეშვებოდა. გერმანელებმა გრანდიოზული არტომომზადება დაიწყეს. რამდენიმე ხნის შემდეგ მეთვალთვალებმა შეგვატყობინეს, რომ ხედავენ ჯაჭვად გაბმულ, ჩვენსკენ მომავალ გერმანელებს. მალე გერმანელები ბორცვს გამოსცდნენ. ბევრნი, ძალიან ბევრნი იყვნენ. მოდიოდნენ წელში გამართულნი, სასაფხულო მუნდირებში გამოწყობილნი. ისე მოდიოდნენ, თითქოს პარადზე იყვნენ. მთელი მინდვრის გაყოლებით მოსჩანდა ერთი გრძელი ჯაჭვი, პირველ ჯაჭვს უკან მოჰყვებოდა მეორე, მეორეს — მესამე და ასე შემდეგ მოდიოდნენ მშვიდად, თავდაჯერებულად, თითქოს დარწმუნებული იყვნენ, რომ ადვილად აიღებდნენ ჩვენს სანგრებს. მათ უკან გამოჩნდნენ ტანკები, რომლებიც ჩვენს პოზიციებს ცეცხლს უშენდნენ.

მეხსიერებაში ამოტივტივდა ბავშვობის დროინდელი მოგონებები, კადრები კინოფილმიდან „ჩაპაევი“. ეს იყო ფსიქური შემოტევა. ყველა გაირინდა, ჩვენი მხრიდან სროლა შეწყდა. სანგრებში სიჩუმე ჩამოწვა. გაფაციცებით ვეშაადებოდით ბრძოლისთვის, ვამოწმებდით იარაღს. ჯარისკაცებმა ჩამოიხსნეს ხელყუმბარები, ერთმანეთს გაუნაწილეს ტყვიები.

გერმანელები გვიახლოვდებიან. წელში გამართულნი სირბილით წამოვიდნენ ჩვენსკენ. ნერვები უკიდურესობამდე მაქვს დაძაბული, მინდა ვიყვირო, მაგრამ დაყვირება არ შეიძლება. ბრძოლა ჩვენ დავიწყეთ. არტილერიისტებმა ცეცხლი დაუშინეს „ვეფხვებს“. ტანკებმა ფეხოსნებს გამოუსწრეს და ჩვენსკენ წამოვიდნენ. წამდაუწუმ წყდება კავშირი, გვესვრიან პირდაპირი დამიზნებით. დაიწყო დუელი. ორი აფეთქებული ქვემეხი ცაში აიჭრა. რამდენიმე ტანკს ცეცხლი მოეკიდა. ასე ახლო მანძილიდან სროლა სახუმარო საქმე არაა. თითქმის ყველა გასროლა მიზანს ხვდება. ვხედავ, — ერთი ტანკი ზურგიდან გვივლის. ყველაფერი მავიწყდება, ნერვებმოშლილი ფეხზე ვდგები და ბატალიონის მეთაურისკენ გავრბივარ, მავიწყდება ყველა წესი, უგულვებლყოფ ყოველგვარ სიფრთხილეს. „ტანკები, ტანკები!“ — ვყვირივარ და ქანც-გაწყვეტილი ბატალიონის მეთაურის წინ ვეცემი, რადგან ას მეტრზე მეტი გამოვირბინე. ბატალიონის მეთაურმა და არტილერიისტებმა ძლივს მოასწრეს ქვემეხების შებრუნება და გასროლა. ტანკს ცეცხლი მოეკიდა და ჩაჩუმადა.

გერმანელები კი სულ უფრო უახლოვდებიან ჩვენს სანგრებს. უეცრად გაისმა ძლიერი „ურა!“, რამაც იქაურობა შესძრა. „ურამ“ თავზე გადაუქროლა პოზიციებს, გაიჭრა სანგრებიდან, გავარდა ველზე და ეცა შემინებულ გერმანელებს. ჩვენს სანგრებთან ყველაფერი აირ-დაირია. ახალგაზრდა მე-ავტომატე, რომელსაც ტყვიები გამოელია, კეტივით იქნედა ავტომატს. დაიწყო ხიშტებით, ხელყუმბარებით, წარმოიდგინეთ, ხმლებით ბრძოლაც კი. ისროდნენ ყოველი მხრიდან, ფეთქდებოდა ხელყუმბარები, ზოგჯერ ნამსხვრევები თავისიანებსაც კი ცელავდა. ერთადერთი ქვემეხი შრაპნელს ისროდა და ყველაფერ ამას თავზე უვლიდა მემორული ყიჟინა — „ურა!“ ვილაც პოლკოვნიკი გერმანელ ჯარისკაცს ლითონის მუხარადს ურტყამდა, სანამ ტყვიით თავი არ გაუხვრიტეს და არ წაიქცა. უამრავი ხალხი ტრიალებს სიბნელეში, ირგვლივ ბრძოლა, სროლა, ყვირილი და კვნესაა. გვერდით სანგარში რადისტები შეუჩერებლად გადასცემენ მორზე სპარატი: „ტი-ტა-ტა, ტი-ტა-ტა-ტი...“ გერმანელებმა პანიკურად დაიხიეს უკან.

ბრძოლა თანდათან მიწყნარდა, ცოცხლად დარჩენილი გერმანელები ბორცვს მიღმა, თავიანთი პოზიციებისაკენ გარბიან, სწორედ იქითკენ, საიდანაც ამ ცოტა ხნის წინათ ასე სახეიმოდ, უშიშრად და თავმომწონედ დაიძრნენ ჩვენსკენ.

შეწყდა ბრძოლა. მხოლოდ აქა-იქ უფრო ინერციით, შეიძლება საჭიროების მიხედვითაც კი, ისმის ცალკეული ავტომატის კაკანი.

რამდენიმე საათის შემდეგ მოვიდა ბრძანება. უკან დაგვეხია, „თურქის ციხის“ მიღმა გავსულიყავით და ჩვენი სანგრები დასახმარებლად მოსული ახალი ნაწილებისათვის დაგვეთმო. მივაბიჯებდით სივიჟემდე დაღლილები, უცხენებოდ, უქვემეხებოდ. მხოლოდ ერთ ქვემეხს მოათრევდა ძლივძლივობით სასწაულით გადარჩენილი ორი საბარგო ცხენი. ხშირად ფეხით რაღაც რბილს ვედებთ. ეს ადამიანებისა და ცხენების გვამებია. განსაკუთრებით ბევრი გვამი ეყარა „თურ-

ქის ციხის“ გასასვლელში.

გზად დიდი ჯარი და ტექნიკა მოედინებოდა. ჩაიგრუსუნეს ძლევამოსილმა ტანკებმა, მძიმე არტილერიამ, კატიუშებმა. კატიუშებს მხიარული შეძახილებით შეეხვდით, მივესალმეთ ისე, როგორც ქანცგაწყვეტილებს შეგვეძლო. ბრძოლა მოვიგეთ!

10 ნოემბერი.

აი, უკვე ორი დღეა სადღესასწაულო განწყობილებით ვცხოვრობთ. ირგვლივ მღერიან, ცეკვავენ, ქორწინდებიან. ასეთი ქორწილები ხანმოკლეა, მაგრამ მკვდრეთით აღმდგარისთვის დიდი ბედნიერება მოაქვს. გუშინ დიდხანს ვაკვირდებოდი ამგვარ დროსტარებას. ადამიანები გახელებით ცეკვავდნენ, მაგრამ რა ეშველებათ იმათ, იქ რომ დარჩნენ?

დაბრუნება

1944 წლის 6 მაისი.

მატარებელი ნელა მიცოცავს, ბორბლები რახრახებენ. 1939 წლის 19 ნოემბერს მე და ჩემი ამხანაგები ამავე ბაქო-თბილისის გზით წავედით ჯარში. ეს იყო დიდი, დიდი ხნის წინათ.

ირგვლივ უცხო ადამიანები მახვევია. როგორც კი ბაქოს გამოვცდით, ფანჯარასთან გაჩერდი და ველოდი, თვალმოუწყვეტლად ველოდი, როდის გამოჩნდებოდა ფუნიკულიორის სინათლები. დიდი დრო გავიდა, მაგრამ ამდაგვარი არაფერი ჩანდა.

შემდეგ ვილაცამ რაღაც დაიძახა, ყველა ერთად აყვირდა, მგზავრები ფანჯრებს მიაწყდნენ და თავები გარეთ გაჰყვეს სადღაც შორს, გაურკვეველი კონტურების მიხედვით ვიცანი ჩემი მშობლიური, საყვარელი ქალაქი.

ღამეა. ბაქანზე ბნელა. გავედი სადგურის მოედანზე. გავყვი ქუჩას. გაჩერდა ტრამვაი. რატომღაც არ ჩავჯექი, ფეხით გავუყვი. მივაბიჯებდი შუა ქუჩაში და ვცდილობდი მეცნოს სახლები. ყველაფერი რაღაცნაირი პატარა, სათამაშოს მაგვარი მეჩვენებოდა.

და აი, მივაღექი ბელინსკის ქუჩის ასახვევს. მივყვიბი აღმართს. ფეხები თავისთავად, მექანიკურად მივაბიჯებენ, რატომღაც არ ჩქარობენ. გული დამძიმებული მაქვს. შევჩერდი ბებიაჩემის სახლთან, შემდეგ განვაგრძე გზა, შემოვუარე კუთხეს და აი, სიბნელეში დგას ჩემი სახლი, რომელიც ასჯერ მინახავს სიზმარში, სახლი, სადაც ბავშვობა გავატარე, სახლი, რომელიც ფრონტზე ჩემი სამშობლოს სიმბოლო იყო.

ფრთხილად, სულმოუთქმელად მივაღექი ფანჯარას. მივაყურადე. მესმის ვილაცების ხმა. თავბრუ დამეხვა. გონს რომ მოვსულიყავი, ქუჩაში დავიწყე სიარული. შემოვიარე მთელი უბანი, ყველა ქუჩა, სადაც სიყმაწვილე გამიტარებია და გამუდმებით ვფიქრობდი, ვფიქრობდი, მაგრამ თვითონ არ ვიცოდი რაზე. შემდეგ ფრთხილად შევედი ეზოში, ერთხანს კართან ვიდექი, ბოლოს გაგებდე და დავაკაკუნე.



შუქურა ინასარიძე

სამამულო ომის წლებში საქართველოში ხელოვნების მოღვაწეთა 54 მუდმივი საფრონტო ბრიგადა მოქმედებდა. კინომუშაკები შემოქმედებითი მივლინებებით მიდიოდნენ ფრონტზე. ქმნიდნენ სამამულო ომის ამსახველ ცოცხალ მატრიანეს.

ომისდროინდელმა კინოტრონიკამ შემოგვინახა მეტად საინტერესო დოკუმენტები. თვალი გადავავლოთ რამდენიმე კინოეპიზოდს.

— დედა-სამშობლო საფრონტშია, ხალხმა იარადი აისხა. ქალაქ თბილისის ერთ-ერთ ნაწილში მშრომელთა სამხედრო სწავლება მიმდინარეობს. ხიშტი ბრძოლის ტექნიკას ეუფლებიან რუსთაველის თეატრის მსახიობები: აკაკი ვასაძე და ემანუელ აფხაიძე. საღამოს ისინი აქედან პირდაპირ სპექტაკლზე მიდიან. დღეს თეატრის სცენაზე აკაკი ვასაძე ლეგენდარულ გმირს კიკვიძეს წარმოადგენს და გამარჯვების რწმენით აღანთებს ათასობით მაყურებელს.

— მხატვარმა უჩა ჯაფარიძემ ეს-ეს არის დაამთავრა თავისი სამუშაო დღე. იგი ახლა სხვა სამუშაოზე მიეშურება. საქართველოს რემედისის ცენტრალურ კომიტეტში მებრძოლებისთვის გასაგზავნად თამბაქოს სათუთად ახვევენ მისი ხელეობი.

— მსახიობთა საკონცერტო ბრიგადა № 3771 ევაკოპოსპიტალს ეწვია. კონცერტის შემდეგ დაჭრილთა საწოლებთან აგრძელებენ საუბარს თამარ ჭავჭავაძე, ვერიკო ანჯაფარიძე, ვ. ბრაგინი.

— ყირიმის ფრონტზე ერთ-ერთ ნაწილში ქართველი მებრძოლების წინაშე გამოდის საკონცერტო ბრიგადა, რომელსაც აკაკი ხორავა ხელმძღვანელობს. გაბრწყინებული სახეებით შეჭყურებენ მებრძოლები აკაკი ხორავას, ოლღა დოლიძეს, ქართული ცეკვის ოსტატებს.

— 242-ე ქართული დივიზიის მებრძოლების წინაშე გამოდის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი პეტრე ამირანაშვილი.

— კავკასიონის მთის ძირას დაბანაკებულ მებრძოლებს სტუმრად სწვევია საკონცერტო ბრიგადა, ისმის ფალიაშვილის ოპერა „დაისის“ მომხიბ-

ლავი მელოდიები, სრულდება ცეკვა „ქართული“.

მეომართა წინაშე გამოდიან მხატვრული სიტყვის ოსტატი სურენ ქოჩარაიანი და მომღერალი ალექსანდროვიჩი.

სამამულო ომის წლებში დიდი როლი ითამაშა მის. ჭიაურელის ფილმმა „გიორგი სააკაძე“.

თუ როგორ ემოციურ ზეგავლენას ახდენდა ეს ფილმი და აკაკი ხორავასა და ვერიკო ანჯაფარიძის უბადლო ოსტატობა, ამაზე მეტყველებს ფრონტელი ჯარისკაცების მიერ გამოგზავნილი აურაცხელი სამადლობელი წერილი. „დედი, შენთვის ვიბრძოლებ ომში“ — სწერდნენ ვერიკო-რუსუდანს ბრძოლის ველიდან.

კინოტრონიკამ შემოგვინახა სიუჟეტი, სადაც ასახულია მ. ჭიაურელის, აკ. ხორავასა და ვ. ანჯაფარიძის სახელმწიფო პრემიებით დაჯილდოება. სინქრონულ ჩანაწერში, რომელიც ფილმს ახლავს, ვერიკო მადლობას უხდის სამშობლოს, ხალხს, პარტიას: „...ჭეშმარიტად საამაყო ესოდენ დიდი შეფასება... დიდია ბედნიერებაც. ამ მრისხანე დღეებში, როცა მთელი ქვეყანა, მთელი საბჭოთა ხალხი სამკვდრო-სასიცოცხლო ომს აწარმოებს ფაშისტთა ურდოებთან, ხელოვნებაც ბასრი იარაღია მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში... საბჭოთა ხელოვნება, პატრიოტიზმის მაღალი გრძნობით ანათებს მილიონთა გულს, რაზმავს ადამიანებს, ჩვენი ღირსების და თავისუფლების დასაცავად, საამაყო ამ დიად ეპოქაში ცხოვრება. ჯილდო გვავალებს კიდევ უფრო მეტი მგზნებარებით, მეტი ენერგიით ვიბრძოლოთ მაღალ-მხატვრული სახეების შესაქმნელად, ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ ჩვენს მიერ შექმნილმა სახეებმა მტრისადმი სიძულვილით აღანთოს მაყურებელი, ჩანერგოს მათში სამშობლოსადმი უბადლო სიყვარული და ერთგულება“.

საბჭოთა საქართველოს მხატვრები თავდაუზოგავად ემსახურებოდნენ ჩვენი ქვეყნის დაცვის საქმეს.

— ომის თემაზე მუშაობენ საქართველოს დამსახურებული მხატვრები: ელ. ახვლედიანი, ი. ვეფხვაძე, მაზიაშვილი, ლ. გუდიაშვილი. კი-




ემანუელ აფხაიძე და აკაკი ვასაძე
სამხედრო სწავლების დროს.
1941 წ.

ნოკამერას მამა და შვილი მოსე და ირაკლი თოიძეების სახელოსნოში გადაყვართ. პროფესორი მ. თოიძე რჩევა-დარიგებას აძლევს ირაკლის, რომელიც მუშაობს მხატვრულ ტილოზე „ფაშისტების მიერ მშვიდობიანი მოსახლეობის აწიოკება“. გვერდით უკვე დასრულებული ტილოა „ტანია სახრჩობელაზე“. მოსე თოიძე ამთავრებს თავის შესანიშნავ ნამუშევარს „წერილი ფრონტიდან“.

ასე იწყება და მთავრდება ამ ოჯახში თითოეული დღე, ტყვიასავით მიზანსწრაფულია თითოე-

ლადო გულიაშვილი მუშაობისას.
1941 წ.



ული ნახატი, პლაკატი, რომელიც მთელ საბჭოთა ხალხს მოუწოდებდა: „დედა-სამშობლო გვედახის!“

— ხელოვნება მტრის გასაგმირავად — ასე ეწოდება კინოსიუჟეტს, რომელიც მოგვითხრობს 1942 წლის ივლისში თბილისის სამხატვრო გალერეაში მოწყობილ მხატვართა დიდ გამოფენაზე. გამოფენაზე, რომელიც სამამულო ომისადმი იყო მიძღვნილი, წარმოდგენილი იყო საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის, კრასნოდარის, ორჯონიკიძის, მაჰაჩყალის მხატვართა 176 სურათი. გამოფენაში მონაწილეობდნენ აგრეთვე მოსკოველი, ხარკოველი და კიეველი მხატვრები, რომლებიც იმჟამად თბილისში ცხოვრობდნენ.

გამოფენაზე წარმოდგენილი სურათის თემა ერთი იყო: საბჭოთა ხალხის მტკიცე გადაწყვეტილება — გაანადგუროს პირსისხლიანი ფაშისმი. საბჭოთა მხატვრები დამაჯერებლობით ასახავდნენ ბატალურ სცენებს.

ეს ნახატები დიდ ემოციურ ზეგავლენას ახდენდნენ დამთვალეიერებლებზე. დიდხანს ჩერდებოდნენ ფრონტზე მიმავალი ჯარისკაცები ი. თოიძის „ტანია“-სთან, თითქოს შურისძიების ფიცს აძლევდნენ ქალიშვილს. გამოფენაზე ირ. თოიძის 4 ტილო იყო წარმოდგენილი: „ტანია“, „პიტლერელ მძარცველთა არმია“, „არ გაგვეცმს“, „ფაშისტი მკვლელები ვერ დაიმალებიან“; აგრეთვე: მ. თოიძის „წერილი ფრონტიდან“, უ. ჯაფარიძის „დაჭრილის მოწოდება“, ი. ვეფხვადის „ფაშისტთა მხეცობა“, გ. გულიასაშვილის „მწვერაგები“, შ. მეტრეველის „ბავშვები ატყობინებენ წითელარმიელს მტრის პარაშუტისტის დაშვებას“, ტ. მაღალაძის „ალექსანდრე წურწუმის პორტრეტი“, კ. ხუციშვილის „ტანკების შეკეთება“, კ. სანაძის „მედიცინის და“, ულიანოვის „პარტიზანები საფარში“, გ. გურჯიანის „ფაშისტთა ხომალდების განადგურება“, ნ. ნალბანდიანის „წერილი ფრონტიდან“, დ. ნალბანდიანისა და ე. ისაბეგიანის „ფაშისტთა განადგურება მოსკოვთან“, ს. არაქელიანის, ო. ზარდარიანისა და მ. ტირატურიანის „ლენინგრადის დასაცავად“, ალიევას — სამამულო ომის გმირის სუპრუნის პორტრეტი, მირზა-ზადეს — სამამულო ომის გმირის ნადიროვის პორტრეტი, კრუტკოვის „ქვეითი ჯარის შეტევა“ და სხვა.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ვ. ნოსკოვის, ა. ციმაკურიძის, კ. ნესხის, ი. გრაბარის, ლ. ფეინბერგის, ვ. ვოვჩენკოს, დ. გონეცის და სხვათა მხატვრული ტილოები.

კინოკადრები მოგვითხრობენ იმ დიდ ემოციურ ზეგავლენაზე, რასაც გამოფენა დამთვალეიერებლებზე ახდენდა: აქ იყვნენ ჯარისკაცები, ოფიცრები, ფრონტზე მიწავალი მედიცინის დები, ღამის ცვლაში მიმავალი მუშები, დიასახლისები, პიონერები. ყველას ერთი გრძნობა ამოძრავებდა — შური ეძია მტერზე.

- ვასკოვი — ზემდეგი.
- ჩეტივერტაკი გალინა.
- გურვიჩი სონია.
- ბრიჩინა ლიზა.
- კომელკოვა უენია.
- ოსიანიჩა რიტა.
- კირიანოვა ზოია.
- კატია.
- მაიორი.
- მარია — დიასახლისი.
- პოლინა — მეზობელი ქალი.
- სონიას მამა.
- სონიას დედა.
- ლიზას მამა.
- მონადორე.
- უენიას დედა.
- ოსიანიჩი.
- გერმანელი ჯარისკაცები.



ბანთიალი კი კი

წყნარი იცის...

ინსცენირება ი. ლუბიმოვისა და ბ. ზლატოლინისა.

სცენა ცარიელია. უკანა დეკორაციული კედელი ძველი, გაცვეთილი ბრუზენტისაა. შუაში სატვირთო მანქანის ძარა დგას. აწერია ნომერი: 08-16-05. ბნელა. მეგაფონით ისმის ტელეფონისტი ქალიშვილის ხმა.

ქალიშვილი. „ფიჭვი“ ვარ, „ფიჭვი“ ვარ. მესამე მისმენს? ელაპარაკეთ მეჩვიდმეტეს! ელაპარაკეთ მეჩვიდმეტეს! (სინათლის წრეში მარჯვნივ გამოჩნდება მაიორი, ყურმილი უჭირავს.)

ვასკოვი. (მეგაფონით). ამხანაგო მესამე, უმსგავსო და კიდევ უარესი ამბებია. ძალიან უწესოდ იქცევიან, თავი აგარაკზე ჰგონიან.

მაიორი. გეტყობა, ისევ წერილობითი პატაკის გამოცხობას აპირებ. ბოლოს და ბოლოს, კომენდანტი ხარ, თუ წერას ატანილი მწერლუკანა?! უთაური ჩხაპნისთვის ხომ მოვარტყეს რამდენიმე საყვედური? შენსას მაინც არ იშლი?

ვასკოვი. სასმელს ეძალებიან, ამხანაგო მესამე, ქალებსაც... სულ ერთად ქეიფობენ, ხელიხელგადახვეულები. არ ვიცი, ეს ქალებიც ამდენ არაყს საიდან შოულობენ? მგონი, კოდოების ბზუილიდანაც კი ხდიან. ისეთი ხალხი გამომიგზავნეთ, სასმელს რომ არ ეძალება... არც — ქალებს... ასე ვთქვათ, ქალთა სქესის საკითხშიც რომ მოწესრიგებულია.

მაიორი. ესე იგი, საჭურისები?

ვასკოვი. ჩემგან ჭკუა არ გესწავლებათ.

მაიორი. მთხოვე, გამომიცვალეო და ათიოდე დღის წინათ ახალი ხალხი გამოგიგზავნე. მეტი რა ვქნა?

ვასკოვი. ამხანაგო მაიორო, ყველაფერი უარესად მეორდება: ეგ ახალი ჯარისკაცები სამი დღე-ღამე ძილის გუდას ბერავდნენ, მერე ძილით დანაყრებულებმა აქაურობა და-ზვერეს და მეოთხე დღეს ისევ აირია მონასტერი. სულ ქეიფობენ და ქეიფობენ. რას არ იგონებენ: ხან ამის დაბადების დღეაო, ხან — იმისიო.

მაიორი. ზემდეგო ვასკოვ, კიდევ მოგაკერებ საყვედურს! (ყურმილი დაანარცხა და ძარას მიაშურა). კომენდანტი კი არა, ვილაც მწერლუკანაა, მჩხაპნელი. კეთილი, ვას-

კოვ, ისეთებს გამოგიგზავნი, შენ რომ გინდა: სასმელს რომ არ ეძალებიან და, ასე ვთქვათ, ქალთა სქესის საკითხშიც რომ მოწესრიგებული არიან ყოველნაირად, მაგრამ თუ ამათაც ვერ მოუვლი, ყველაფერი შენს თავს დააბრალე, მე თვითონ მოგივლი: (ძარის უკანა კედელი ჩამოგვცა. მაყურებელთა დარბაზიდან მანქანისკენ გამოეშურნენ გოგოები).

ზოია (მეთაურობს). ათეულო სდექ! ერთი, ორი! (მაიორი გადის.) მანქანაზე! (გოგოები მანქანაზე ჟრიაშულით აცვივდნენ. ისმის სიმღერა: „უტრო კრასიტ ნეჟიმ ცვეტომ“... ისმის თვითმფრინავის გუგუნი).

რიტა. ჩენია.

ლიზა. არ არის ჩენი.

გალინა. თქვენ სანამ გოგრაზე ყუმბარა არ მოგხვდებათ, ვერ გაიგებთ, ვისია. (გუგუნებს მანქანა) სონია, მოხალისედ წამოხვედი?

სონია. ჰო. შენ, გალინა?

გალინა. მეც მოხალისე ვარ.

ლიზა (დააკვირდა). კი, მაგრამ, რამდენი წლისა ხარ?

გალინა. ოცდახუთში ვარ დაბადებული, მაგრამ განვაცხადე, ოცდასამში-მეთქი.

სონია. ესე იგი, იცრუე?

გალინა. მე, იცით, დედასთან შეთანხმებით. დედაჩემი ექიმი. დედაშენი?

სონია. დედაჩემი? (ამოიოხრებს). არ ვიცი, როგორ გითხრა... (შუქი თანდათან გაფერმკრთალდა და ჩამოხვდებოდა. კვლავ აინთო სინათლე. გოგოები ძარაში სხედან დარბაზისკენ ზურგმუკეულები. ისმის უტოსოვის სიმღერა: „ნოჩ კოროტკა“... ბნელდება და ინთება. გოგოები ძარადან ხტებიან.)

ზოია. ათეულო, ერთ მწკრივად მოეწყვე! სწორდი! სმენა! (სცენის სიღრმიდან შუაგულისკენ მოდის ვასკოვი, გოგოების დანახვისას შეჩერდება.)

ვასკოვი. ვაი, დედასა! მაშასადამე, ასეთი არამსმეული ხალხი გამომიძებნეს ჩემდა საჭიროდ?!

ზოია (ხელს აუღებს). ამხანაგო ზემდეგო! საზენიტო-მეტყვიამფრქვევეთა ცალკე ბატალიონის მეხუთე ასეულის მესამე ოცეულის პირველი ათეული თქვენს განკარგულებაში გა-

მოცხადდა ობიექტის დასაცავად. მოგახსენებთ ოცმეთაურის თანაშემწე სერჟანტი კირიანოვა. (გოგოები კვლავ მწკრივში დგანან.)

ვასკოვი. გაუმარჯოს ამხანაგ მებრძოლებს!

გოგოები. გაუ!

ვასკოვი. თავისუფლად! მე ვარ ამ ობიექტის კომენდანტი და დღეიდან თქვენი უფროსი მეთაურიც — ზემდევი ვასკოვი, ფედოტე ევგრაფის ძე. შეკითხვები გაქვთ?

რიტა. სად ვიცხოვრებთ?

სონია. აქ ფოსტა თუ არის?

კატია. აბანოს დღე თუ გვექნება და როდის?

ზოია. მეზობლები თუ გყავს ახლომასლო? ვთქვათ, ასეული ან...

ვასკოვი (შეკითხვების მოსმენისას თითებს ხრიდა, ახლა კი ცალ-ცალკე შლის, აქაოდა, არც ერთ შეკითხვაზე პასუხის გაცემა არ დამავიწყდესო.) გპასუხობთ: დაიძინებთ ფარდულში — ერთი, თქვენი საველე ფოსტა მე ვიქნები — ორი, აბანოს დღე ყოველ შაბათს — სამი, მეზობლები მხოლოდ ცხრა მთის გადაღმა გყავს — ოთხი. ესაა სულ.

გალინა. საჭმელ-სასმელი?

ვასკოვი. კვება წესდების თანახმად — დღეში სამჯერ. შეკითხვები ჯვარდასმულია. ისმინეთ განკარგულება! ჩემდამი დაქვემდებარებული ობიექტის განლაგებიდან ჩემს უნებართვოდ ერთ ნაბიჯსაც არსად გაადგამთ!

გალინა. კენკრის საკრეფადაც არა? ვთქვათ, ჟოლო თუ მოგიზინდა, ან — მარწყვი?

ვასკოვი. ჯერ არც ჟოლოა მწიფე, არც — მარწყვი.

ზოია. მჟაუნას მოსაკრეფად რომ წავიდეთ? დამატებით თუ არაფერი მოვადულ-მოვაკვარახტინეთ, ძალიან გაგვიჭირდება, ამხანაგო ზემდეგო, სულ ჩამოვფხავდებით. თანაც ზოგიერთს იქნებ ემტავებოდეს კიდევ და... (სიცილია.)

ვასკოვი. შეწყდეს! მოშალეთ სიცილი! იმ ნაკადულს ხედავთ? სახელობრ, იმ საფლობსა და დელეს არ გასცილებით.

სონია. ამხანაგო ზემდეგო, ბიბლიოთეკა გაქვთ?

გალინა. აი, იმისთვის სად ვიართთ, მეფე რომ თავის ფეხით დადის?

ლიზა (წამლერებით). გაღმა გაიქეციო!

კატია. ტყისკენ გაიქეციო.

სონია (წამლერებით). ტყეში მხეცი თუ არ შეგჭამს, თვითონ გახდები მხეციო.

ლიზა. ჰოდა, ვირბნეთ აქეთ-იქით. მაგრამ ვაი ჩვენს გაჭირვებას, ახლომასლო ბუჩქებიც არსადაა. (გოგოები იცინიან.)

ვასკოვი. სიცილი! არ ვარგა! ლაპარაკი! ყველაფერს გაგიკეთებთ, კვლავინდებურად, წესდების გათვალისწინებით. დაიშალეთ! (გოგოები ადგილს იკავებენ მანქანის ძარაზე. ვასკოვი კიდევ ხურავს, შემდეგ შემას აპობს. შემოდის მარია და შემას აგროვებს.) მეშინია, ცუდი არაფერი წამოგროვო, საძრახისად არ მოვიქცე... ყველაფრის მეშინია. მათთან დაუკაკუნებლად შესვლაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

პოლინა. (შემოდის). ო, რა თავდაუზოგავად მუშაობ, ფედოტე ევგრაფი. ახლა სულ კი ნუ დააკლავ თავს! ხომ ხედავ, ერთი მამაკაციდა დაგვრჩი, საჯიმედ და სანაშენოდ... ბუღალავით.

ვასკოვი. ერთობ ოცო-ბოცო ბოდიალი იცი ხოლმე, შე

თავქარიანო დედაკაცო. ეჰ, პოლინა ეგოროვნა, საყელო მაინც შეიკარი. გულმკერდი უჭიშკრო ეზოსავით მოგიღვლია, ეგ შენი ლამაზი საუნჯე ახლად გამომცხვარი ფუნთუშებივით ღობეზე გადმოგიწყვიდა და ყველას ახარებ...
პოლინა. ამიერიდან შენ კარდაკარ უნდა იარო, მწყემსივით. შვიდიოდე დღეს ერთ კომლს მოემსახურები, შვიდიოდე დღეს — მეორეს. შენი გამოყენების ამბავზე ასე მოვითათბირეთ ქალებმა. (კისკისებს.)

მარია. სინდის-ნამუსი მთლად ნუ დაკარგე, პოლინა.

ვასკოვი. შენ ჯარისკაცის ცოლი ხარ და იმნაირქალაბა არ გეკადრება. სათანადოდ მოქცევა გმართებს.

პოლინა. ომია, ფედოტე ევგრაფი, ყველაფერი გვეპატიება, ჯარისკაცებსაც და ჯარისკაცის ცოლებსაც. (ხითხითებს და შაირების სიმღერით მიდის.)

ვასკოვი. (მარტო). ეს ვინ ეშმაკი შემომიჩნდა? ლამის უთოკოდ დამახრჩოს. გავასახლებდი აქედან, მაგრამ ჩემი ხელქვეითი რომ არაა? არადა, აქ სამოქალაქო ხელისუფლებაც არაფინაა ამჟამად. ეს საკითხი იმ მყვირაალა მაიორთან საუბრისას უცებ ამომიფრინდა თავიდან, თითქოს ქარმა წამართვაო, და ვეღარ შევეუთანხმე. (შემას აპობს.) ფიქრისთვის ამაზე ხელსაყრელი არაფერი არსებობს, შემას რომ აპობ. მერედა, რამდენი საფიქრალი დამიგროვდა — სამიოდე კუმეტრისა მაინც... და ყველა საფიქრალი განსაკუთრებულად გასარკვევია, სრულიად ცალ-ცალკე.

მარია. მოსულან ცის ახალი დამცველები.

ვასკოვი. კი, მოვიდნენ. მადლობა ღმერთს, უმეთაუროდ. ორხელისუფლებიანობაზე ცუდი არაფერია.

მარია. რა გიხარია, ჯერ არ აცლი?

ვასკოვი. ჰო, ომის დამთავრებამდე სიხარული ნაადრევია. (გოგოები თეთრეულს მანქანის კიდეზე ფენენ, თან მღერინან.) ეს რა გამოგიფენიათ? ახლავე მოაშორეთ აქაურობას! მტერს აჩვენებ, აგერ ვართ და დაგვობმეო?! ესაა თქვენი შენიღბვა?

ზოია (უცებ მოიგონებს). ამის თაობაზე ბრძანება არსებობს. არ მოგსვლიათ?

ვასკოვი. რა ბრძანება?

ზოია. სათანადო. იმ ბრძანებაში შავით თეთრზე წერია: ქალთა სქესის სამხედრო მოსამსახურეებს თეთრეულის გაფენის უფლება ეძლევა უკლებლივ ყველა ფრონტზეო. ეს, პირიქით, შენიღბვას ემსახურებაო.

ვასკოვი (გაშორდება ზოიას). დაგწიხლოთ ეშმაკმა! რა გაუძლებს ამ გოგოების ნაირნაირ ტლინკაობას! რაც არ უნდა ურჩიო, მოჰყვებიან ხითხითს და გაზაფხულზე თუ მოაღეს პირი, შემოდგომამდე აღარ მომუწავენ.

ზოია. გოგოებო, მზის აბაზანების მისაღებად გაეფინეთ! (ძარას გვერდითი კედლები ჩამოუკეცეს, გაშიშვლდნენ და გაგორდნენ. სცენის სიღრმიდან მოაბოტებს ვასკოვი. შიშველ გოგოებს რომ გადააწყდება, მხარს აუქცევს, განზე ვადგება და მათკენ არც იყურება.)

ვასკოვი. ზრდილობისთვის მაინც აწივლებულიყვენ, აქაოდა... ისეც რა ვუთხრა მაგათ სირცხვილს! გართხმულან ბრუნეტზე და განაბულან მზეზე მიფიცებული ხვლიკებივით. დროს არ აცდნენ, მზის აბაზანებს იღებენ. მე კი, მათი დამნახავი, ისე გამოვიძურწე, თითქოს სხვის ბაღჩა-ბაღში მექურდოს და გამოვპარულიყო.

ზოი ა. გოგოებო, ჩვენი ზემდეგი, მგონი, დაბრმავდა.
რიტ ა. ნეტავი ამდენს რას დახეტილობს აქეთ-იქით,
შინ ვერ დაეტევა?

სონი ა. მოუსვენარია და რა ქნას.

გალინ ა. მაგის გერიდებათ? საკმაოდ ბებრუცუნაა უკვე.
ლიზ ა. რას ამბობ, ჯერ რა დროს მაგის ბებრუცუნობა!

გალინ ა. აბა, რა არის? უკვე ოცდათორმეტი წლისაა.
წარმოგიდგენია?

ლიზ ა. დიდი ამბავი! შენ რა, ოცდათორმეტისა უკვე
ბებრუხანა იქნები. აბა, წარმოიდგინე!

გალინ ა. რა დიდი წარმოდგენა ამას უნდა. ჩავიცვამ
გრძელ, ძალიან გრძელ კაბას. თმას დავიხუჭუჭებ ნაირნაირად
და დავიმშვენებ დიადებით.

ზოი ა. რით დაიმშვენებს?

სონი ა. არ იცი, დიადემა რა არის? სამკაულია ძვირ-
ფასი, ჯიდა.

გალინ ა. დედა დამპირდა, დიადემას გაჩუქებო.

რიტ ა. ადექით! მეცადინეობისთვის მოემზადეთ!

მარი ა. ფედოტე ევგრაფიჩი, ისე გაფაციცებით ჩაჰყუ-
რებთ მიწას, თითქოს მთელი თქვენი ავლადიდება აქ დაგკარგ-
ვოდეთ. ნუ გეხატებათ მაგ გოგოების, ნურც ერიდებით. ეგე-
ნი შენ ერთმანეთში დაგცინიან: მოხუციაო. ჰო, ასე მოგნათ-
ლეს. ჰოდა, შენც სათანადოდ დაიჭირე თავი, ჭაბუკურად.

ვასკოვი. ჯარისკაცებს ზემდეგი მუდამ ხანდაზმული
ეჩვენებათ, მობერებული, მის ნამდვილ ასაკზე უფროსი. მე ხომ
არ ვეძახი ჩემს თავს ბერიკაცს, ისინი მეძახიან. თუ თავი მო-
რიდებულად მიჭირავს, ასეც უნდა იყოს, საჭიროა. მე მათი
უფროსი ვარ.

მაიორი (გამოჩნდა სინათლის წრეში). „ფიჭვი“! მესა-
მე ვარ. დამაკავშირე მეჩვიდმეტეს.

ქალიშვილი (მეგაფონით.) მეჩვიდმეტე, ელაპარაკე
მესამეს.

ვასკოვი. (ყურმილს აიღებს.) მეჩვიდმეტე გისმენთ.

მაიორი. ვასკოვი, რა ამბებია შენკენ? დამყარდა წეს-
რიგი?

ვასკოვი. კი, მოწესრიგდა, ამხანაგო მაიორო.

მაიორი. მერე, ხმაში რატომ ვერ გატყობ მხნეობას?

ვასკოვი. (წამოიყვირებს.) სრული წესრიგია-მეთქი,
ვიმეორებ.

მაიორი. ჰოდა, ასე. მასხადამე, აღარავის უჩივი.

ვასკოვი. ეჰ, აღარავის ვუჩივი... შეკითხვა კი მაქვს.

მაიორი შეკითხვა? შეკითხვები მომაცარე რამდენიც
გინდა.

ვასკოვი. იქნებ ნითხრათ, რაიმე ინსტრუქცია თუ არ-
სებობს ქალთა სქესის სამხედრო მოსამსახურეთა თაობაზე.
ჩვენს წესდებაში ამ საკითხზე კრინტი არსადაა დაძრული.

მაიორი. ეს უკვე შენს ინიციატივაზეა დამოკიდებული.
ვასკოვი. დამოუკიდებლად უნდა იმოქმედო, გაიგე? მაინც ის-
ეთს რას გიშავებენ?

ვასკოვი. დაშავებით ჯერჯერობით არაფერს. მთავარი,
რა თქმა უნდა, დისციპლინაა და იცავენ... დიხსაც არამსმელი
ხალხია. ადგილობრივ მცხოვრებლებსაც არ ესიყვარულეებიან.
ეს ჭემმარტად ასეა, მაგრამ... შინაგანი წესრიგი აკლიათ...
წესდების არც ერთ მუხლს არ იცავენ სათანადოდ... აქაოდა...

მაიორი. არ ვარგისარ, ვასკოვი.

ვასკოვი. ნამდვილად, ამხანაგო მაიორო.

მაიორი. გაბედულად იმოქმედე, ფრთები არწივივით
გაშალე. გამოფხიზლდი, თვალი კარგად გაახილე. (ყურმი-
ლი დადო).

ვასკოვი. არის თვალი კარგად გაახილო!.. (ამოიხ-
რებს.) იიპ! გამომინახეს წესიერი ხალხი, არამსმელი! ვაი,
ჩემს მოსწრებას!

მარი ა. ფედოტე ევგრაფიჩი, უფრო დარბაისლურად მოი-
ქეცით, ერთობ ბევრ მზრუნველობას იჩენთ: შეშას უჩეხავთ,
წყალს უშიდავთ. ეგენი შენზე ღონივრები და ჯანმრთელები
არიან. ვერ ხედავ, გულმკერდი მთებივით წამოუშვერიათ. (უკ-
რავს ბალალაიკა.)

ვასკოვი. ეგ, ჩემო კარგო, ისეთი მთებია, ნაღმის ერთ-
მა პატარა კბილმერხურა ნამსხვრევმა რომ უკბინოს, უმაღვე
წარმოატყვევს მიწაზე. ჰოდა, მეცოდება. ამ გოგოებს რა შე-
უძლიათ? ისედაც უნდა გავუფრთხილდეთ, ესენი ხომ მომავა-
ლი დედები არიან, დედები, მარია ნიკიფოროვნა, ასე რომ...
(სცენის სიღრმეში ოსიანინა გოგოებს ამწკრივებს და მბრძა-
ნებლობს.) მკაცრი ქალიშვილია, ჯერ გაცინებული არ მინა-
ხავს. ზოგჯერ ტუჩებზე ოდნავ შეუთამაშდება ღიმილი, თვა-
ლები კი კვლავინდებური სერიოზულობით შემოგცქერიათ.

მარი ა. ქვრივია. უკვე ქალია ყოველნაირად, ასე რომ,
შეგიძლია თამამად გაეთამაშ-გაეარშიყო.

ვასკოვი. გითხრა რამე? ვიცი, მაინც ვერ დაგარწმუნ-
ებ. შენ უკვე ეჭვიანობ. (ჯირკს ამსხვრევს ნაჯახით).

რიტ ა. ათეულო, დადექ! სწორდი! სმენა! ლუდა, ვერა,
კატია — საყარაულოდ გამწესებთ. გუშაგთა გამრიგებელი
ვერა იქნება.

ვასკოვი. (ცალკე). ჰმ! ესაა მეთაურის ბრძანება? ყა-
რაულის გამწესება მთელი სიმკაცრით უნდა მოხდეს, წესდე-
ბის სრული დაცვით. ეს სამხედრო წესდების აბუჩად აგდებაა.
მე მევალება აღკვეთა, მაგრამ როგორ?

რიტ ა. კატიას ტყვიამფრქვევთან ნუ აგუშავებ, სიბნე-
ლის ეშინია.

ვასკოვი. ამხანაგო სერჟანტო, ეგ რა მეთაურის ბრძა-
ნებაა? რატომ არ იცავ წესდებას?

ზოი ა. ასე მოქცევის უფლება, ამხანაგო ზემდეგო, თვი-
თონ სარდალმა მოგვცა პირადად.

ვასკოვი (აღშფოთებით). გუშაგი ხელშეუხებელი პი-
როვნებაა, ეს არ უნდა დაგავიწყდეთ! (ისმის თვითმფრინავის
გუგუნი. ვასკოვი მაღლა იყურება).

ზოი ა. გუნდი საზენიტო ტყვიამფრქვევთან!

ვასკოვი. საჭაერო თავდასხმა! მოსახლეობა — სა-
ფარში! (იწყება ღამის ბრძოლა. პროექტორი ჩაბნელებულ
დარბაზში აფათურებს შუქს.)

რიტას ხმა. პირველი ამოიღეთ მიზანში!.. გოგოებო,
პირველს დაუმიზნეთ!..

ზოიას ხმა. პირველ „მესერშიმის“ ესროლეთ! მიზა-
ნი — თვითმფრინავის ორი სილუეტით წინ! ცეცხლი! (გა-
მოჩნდა მიწათხრილის საფარი. ვასკოვსა და მოსახლეობას აქ
შეუფარებიათ თავი.)

ვასკოვი (ბრძოლას უთვალთვალებს). მფრინავი და-
აბრმავეთ! შუქით დააბრმავეთ! ეჰ, თქვე ვაიმეომრებო!..

ზოი ა. მეორე „მესერშიტს“ ესროლეთ! მიზანი — თვითმფრინავის ორი სილუეტით წინ! ცეცხლი! (ბნელა. ბრძოლა გრძელდება. უცებ განათდა. შემოვიდა ვასკოვი) გოგოებო, სმენა!

ვასკოვი. თავისუფლად. (ამოიღო ბარათი.) გურვიჩი სონია.

სონია. ვარ.

ვასკოვი ჯარისკაცო გურვიჩი, ჩაიბარე ბარათი.

სონია. (შეცბა). მე ჩავიბარო? (უკან დაიხია.) მე რატომ?

ვასკოვიჩი. აბა, შენი ბარათი სხვას მივცე?

სონია. ჩემია? ვინ მწერს?

ვასკოვი (ამოიხრება). მიმოწერის საიდუმლოს კანონი დარაჯობს. ომის დროს სხვისი წერილების კითხვის უფლება მხოლოდ სამხედრო ცენზურასა აქვს. მე მხოლოდ კომენდანტი ვარ. გაგარკვიე თუ ვერა?

სონია. შეუძლებელია?! (დაბნეული ჩაჯდა.)

ვასკოვი. შეუძლებელი უდახე შენ, როცა საველე ფოსტაში ამის თაობაზე სათანადო მითითებაც კი აქვთ გაშანშალებული.

სონია. მე მაგაზე არ ვამბობ. (გამოართვა ბარათი.) გმადლობთ!

ვასკოვი (უკმაყოფილოდ მიდის). ჰმ! „შეუძლებელია!“ რა არის შეუძლებელი, როცა ყველგან და ყველაფრისთვის არსებობს ბრძანებები და განკარგულებები! (გავიდა. სონია ბარათს კითხულობს. სხვები უყურებენ.)

რიტა. შინიდანაა? (სონია კვლავ ჩუმად კითხულობს.)

ზოი ა. რათ? მხურვალე საღამო ღრმა ზურგიდანო? (ღუმილია.)

გალინა. (ჩურჩულით). იმისგანაა, ხომ? ხომ იმისგანაა?

სონია. ჰო. უცნაურია, არა?

რიტა. არაფერიც არ არის უცნაური. ბედნიერებაა.

ლიზა. (მორიდებით). წაგვიკითხე, რა!

სონია. კეთილი. (კითხულობს.)

„რა დამავიწყებს იმ საღამოს, იმ მწუხრის ზეცას. ო, ვფიქრობ ხშირად, ის საღამო იყო თუ არა. ფერმკრთალი ზეცა განთიადის დახანძრა ცეცხლმა და ლამპიონებს ყვითელ შუქად გადაუარა.“

ზოი ა. ბარათი ლექსად გამოგიგზავნა?

სონია. არა. ეს ბლოკის ლექსია. (პაუზა.) მეც ის საღამო არასოდეს დამავიწყდება, თითქოს იყო და არა იყო რა. ლექციებზე მე და ის ერთად ვისხედით, მერე ერთხელ სამხატვრო თეატრშიც ერთად წავედით, ქანდარის ბილეთები ავიღეთ.. ბოლოს პარკშიც მიმიპატიჟა...

გალინა. საცეკვაოდ?

სონია. არა, პოეზიის საღამოზე. ჰოდა, მერეც ვსეირნობდით ხოლმე, დიდხანს, ძალიან დიდხანს. ბევრსაც ვსაუბრობდით.

ლიზა. რაზე?

სონია. ლექსებზე, მუსიკაზე... (პაუზა.)

გალინა. მერე? ბოლოს რა მოხდა? ყველაფერმა უკონცნულად ჩაიარა? ჰა? ერთმანეთს არ აკოცეთ? ჰა?

ზოი ა. ერთხელ მაინც არ წაიკოცნავეთ? (პაუზა.)

სონია. ბლოკის ლექსების წიგნი მაჩუქა და წავიდა ფრონტზე მოხალისედ. ჰოდა, აგერ მომნახა ახლა. ლაზარეთში წევს დაჭრილი. საინტერესოა, ვისი წყალობით მომავნო?

ზოი ა. მოგავნო, თორემ... ეტყობა, ლაზარეთში მოწყენილობამ შეაწუხა და თავს იქცევს ბიჭი.

რიტა. შენ თუ ყველაფერს დამცინავი გესლი არ გადაასხი, ისე სიცოცხლე არ შეგიძლია. (სონიას) ამას არ დაუჯერო, ტყუილების გულაა. იმას დაუჯერე!

სონია. (ჩუმად). კი, მისი მე ნამდვილად მჯერა. (დალამდა. უკრავს გარმონი.)

ვასკოვი. ეჰ, დიდი ცოდვა კი არის, მე რომ თითქმის გაუნათლებელ კაცად დავრჩი. არა, წერა-კითხვა კი ვიცი, ოთხი კლასის ფარგლებში ანგარიშიც მეხერხება, მაგრამ მაინც მეტი სჯობდა. იცოცხლე, მე ვისწავლიდი, ვინ დაგაცალა, თორემ... სწორედ იმ მეოთხე კლასის დამთავრებისას მამა დათვმა ტორებით დამიბეგვა. აუჰ, რამდენს იცინებენ გოგოები, ეს რომ გაიგონ? ალბათ, დათვი მხოლოდ სამხეცის გალიაში უნახავთ... ფედოტე ვასკოვ, შენ უღრანი ტყიდან გამოვარდნილი ნადირი ხარ, მოგათვინიერეს და, აი, კომენდანტადაც კი დაგვფეს! ვითომ პატარა ამბავია ეს? აი, ეს გოგოები, თუმცა რიგითი ჯარისკაცები არიან, ერთი მოუსმინე, ყოველ წუთში რა აკერიათ ენაზე: მეცნიერებაო, გათვლა-გაზომვაო, კვადრატებო, ირიბკუთხეო, ბლაგვეკუთხეო... საუბარზე ვატყობ, შვიდ კლასზე ნაკლები არავის ექნება დამთავრებული, ზოგსაც — ცხრა. ოთხი გამოვაკლოთ ცხრას, დაგვრჩება ხუთი. რა მივიღეთ? ორჯერ მეტად გამისწრეს განათლებით. მერედა, ვინაა დამნაშავე? ის რეგენი დათვი? ეჰ, რაც არის, არის, თურმე ასეც შეიძლება ცხოვრება. ამ ჩემი არასრული ოთხი კლასის ცოდნით პოლკის სკოლა დავამთავრე? დავამთავრე. ათ წელიწადში ზემდეგობას მივალწიე? მივალწიე. (გარმონი წყნარად უკრავს.) ამ სახით ვისარალე რამე? არაფერი. აი, სხვა მხრივ კი არ გამიმართლა ცხოვრებამ. ჩემმა ბედ-იღბალმა პატარ-პატარა აღმები აქეთ-იქით დამისვა, ყველა ქვემეხი პირდაპირი დამიზნებით მე მომიშვირა და უბედურების ჭურვები ზედიზედ მხეთქა. ქედი მაინც ვერ მომასრევინა. ფინეთის ომამდე საგარნიზონო ლაზარეთის ექთანი შევირთე, ვერცხლის წყალივით დაუდგრომელი დიაცი. ცეკვა-თამაში, სიმღერა და ეს (ყელთან წკიპურტს მიირტყამს) ყველაფერს ერჩია, სხვაზე არც არაფერზე ფიქრობდა. თუმცა, ვაჟი კი გამიჩინა, იგორი, იგორ ფედოტის ძე ვასკოვი. ამ დროს ფინეთთან ომი ატყდა. მე ფრონტზე გამგზავნეს. შინ ორი მედლით მკერდდამშვენებული დავბრუნდი. პირველად უბედობამ მაშინ მთხლიშა მუშტში. ვიდრე მე იქ თოვლში ვფორთხავდი, ჩემი ცოლი აქ საბოლოოდ წასულა ხელიდან და პოლკის ვეტქიმთან ერთად სამხრეთისკენ გაუწვივა. (უკრავს გარმონი.) უმაღლე გავყარე. ბიჭი სასამართლოს განჩინებით გამოვითხოვე და დედაჩემს მივაბარე. ერთ წელიწადში გარდამეცვალა. (ამოიკვნესებს). იმ დღიდან მხოლოდ სამჯერ გავიღიმე. გავუღიმე გენერალს, მკერდზე ორდენი რომ დამაბნია, ქირურგს — ბეჭიდან ყუმბარის ნამსხვრევი რომ ამომაცალა და, აი, შენ — მარია ნიკიფოროვნა, ასეთი მიმხვედრი, გულითადი ქალი რომ ხარ...

მარი ა. აქ მართო რას აკეთებ?

ვასკოვი. ვზივარ.

მარი ა. წავიღეთ შინ. (გაუყვანენ გზას.)

ვასკოვი. სწორედ იმ ყუმბარის ნამსხვრევის წყალობით მომანდეს ამ უზნის კომენდანტობა. მყვირალა მაიორმა რამდენიმე საყვედური მოხლიშა, მაგრამ მაინცდამაინც ძალიან არ შევეუწუხებოვარ აქაურ სამსახურს... აქამდე არ შევეუწუხებოვარ, მშვიდად ვიყავი, ახლა კი... (ბნელდება და ნათდება. დარბაზში მოაბიჯებენ მაიორი და ჟენია. ვასკოვი მაიორს დაინახავს და გამოეჭიმება.) სმენა! ამხანაგო მაიორო...

მაიორი. თავისუფლად! თქვენ ჯანსაღი კოლექტივი გყავთ, მარგარიტა სტეპანოვნა. მოგესხენებათ, ქალი ფრონტზე, ასე ვთქვათ, ერთობ დაძაბული ყურადღების ობიექტია, ბევრი უთვალთვალეს სხვანაირად. ჰოდა, ყველა ვერ ინარჩუნებს ზნეობრივ სისპეტაკეს. მებრძოლო კომელკოვა, ზურგისაკენ! მარგარიტა სტეპანოვნა! შტაბის მეთაურთაგანმა, სხვათა შორის, ცოლშვილიანმა, ერთი გოგო ვითომ დობილად შეიჩვია და... გაიგო რა ეს სამხედრო საბჭოს წევრთაგანმა, იმ შენს პოლკოვნიკს რიგიან-პირიანად ტყავი გააძრო, მე კი მიბრძანა, გოგო სხვაგან განამწყვდეთ. მებრძოლო კომელკოვა. ზურგისაკენ! კარგ კოლექტივში გადაიყვანეო, არა?

ჟენია. ზუსტად ასე იყო.
მაიორი. ჰოდა, ჯანსაღი კოლექტივისაკენ ნაბიჯით იარ!

რიტა. ვიბარებ (მაიორს გააცვილებს და მობრუნდება.)
ჟენია. დღეიდან მებრძოლი კომელკოვა თქვენს განკარგულებაშია... (რიტა და ჟენია ძარაზე აღიან).

რიტა. სახელი შენი?
ჟენია. ევგენია, ჟენია, ჟენკა. შენ რომელიც მოგეხასიათოს, ის დამიძახე.

მაიორი. ბედნიერად, გოგოებო! (ვასკოვს). ჰო, ვასკოვ, შენ, მგონი, კიდევ გინდოდა რაღაცის თქმა?

ვასკოვი. არაფერი. (უცებ ნაღვლიანად.) ფრონტის წინა ხაზზე გამგზავნეთ, ამხანაგო მაიორო. მე ხომ მზვერავი ვარ.

მაიორი. როცა ექიმები ნებას დაგრთავენ, რატომაც არა — შენი საყვედურებით ბატალიონთან ერთად გაგიშვებ ფრონტზე. ისე, იცოდე, ვასკოვ, ომში ყველას თავისი ადგილი აქვს. როგორა გყავს გარნიზონი, ჰა?

ვასკოვი. აკი მოგახსენეთ, არ სვამენ. ეჰ! (დანაღვლიანდა.)

მაიორი. ყოჩაღ, ვასკოვ! ესე იგი, წესრიგი დაგიმყარებია.

ვასკოვი (ისევ სევდიანად). დიახ, დავამყარე წესრიგი. (ანაზღად გაფიცდება.) ა, აქამდე ამომივიდა (ყელთან მიიტანს ხელს) მაგათი დისციპლინა, ამხანაგო მაიორო. ყოველ ნაბიჯზე არღვევენ სამხედრო წესრიგს.

მაიორი. მერე, მაგის წამალი მე გასწავლო? გაესაუბრე, აუხსენი.

ვასკოვი. არის! (დაფიქრდება.) არის, ამხანაგო მაიორო! (მაიორი მაყურებელთა დარბაზიდან გადის. ბნელდება. ისმის ხმამაღალი სიმღერა: „ოი, ლიული“.)

ზოია. აბა, ისე, როგორც ტანვარჯიშის დროს! გააკეთეთ — ერთი! გააკეთეთ ორი! გააკეთეთ — სამი! (გოგოები ძარის კედლებს ასწევენ. იგი აბანოდ იქცევა. აბანო ორთქლში იხვევა.)

გალინა. ოი, ჟენკა, ნამდვილი ფერია ხარ?!

სონია. ჟენკა, რა გამოჭვირვალე კანი გაქვს, პირდაპირ ანათებ?!

ლიზა. ჟენკა, შენ სადმე დიდ ბალში ქანდაკებად უნდა იდგე!

გალინა. ჟენკა, შენ შეგიძლია ასევე იარო, მაგ მკერდზე არც არაფერი აიკრა.

ლიზა. შენი ადგილი, გოგო, მუზეუმშია, შუშის ქვეშ. შავ ხავერდზე.

ზოია. მართლაც, რა ბედნიერი ქალი ხარ! აფსუსი არაა, ესეთი ტანი ჯარისკაცის ტანსაცმელში იყოს გახვეული? მე რომ შენს ადგილას ვიყო, სული გამძვრებოდა... აბა, გოგოებო, უფრო გაახურეთ ორთქლი! თუ დაწვავა, დაწვა იყოს!

ჟენია. გოგოებო, შეხედეთ ჩეტვერტაკი როგორ გავსეხე. უცებ გამოიხედა თვალში, მიმჭკნარი ძუძუები კი ჯიშინიანი სოკოებივით ამოებურცა, თორემ დაბანცალებდა უშნო ხზოსავით.

გალინა. სცენისთვის ხარ გაჩენილი, ჟენკა.

ჟენია. მე ახლა ისედაც საომარ მოქმედებათა სცენაზე ვარ გამოსული.

ზოია. აფსუს, რა ქალი სცდება! არა?

რიტა. იცოცხლეთ, ლამაზია, მაგრამ... ხშირად სწორედ ლამაზი ქალი არ არის ბედნიერი.

ზოია.. შენს თავს გულისხმობ?

ვასკოვი. საჭაერო თავდასხმას! მოსახლეობა — საფარში! (შუშის საგანგაშო საყვირი, ისმის ყვირილი. გოგოები ძარას წინანდებურად დგამენ. ნათდება.) ნუ გემინიათ, ეს ცრუ განგაშია! (კვლავ დაბნელდა და განათდა. შემოდის ვასკოვი, ხელში გაზეთი უჭირავს.)

ზოია. გოგოებო, სმენა!

ვასკოვი. თავისუფლად! მოისმინეთ პოლიტსაუბარი.

ჟენია. რა?

ვასკოვი. (მკაცრად). პოლიტიკური საუბარი.

ზოია. გასაგებია. გოგოებო, დასხედით.

ვასკოვი. (გაზეთს გაშლის). გაგარკვევთ, რა მდგომარეობაა 1942 წლის 28 მაისის მიხედვით. მიუხედავად მოწინააღმდეგის გააფთრებული წინააღმდეგობისა, ჩვენი ჯარი სარკოვის უბანზე წარმატებით აგრძელებს იერიშს. აქედან დასკვნა: არც ისე საშინელია ეშმაკი, როგორც გვიხატავენ. სხვანაირად რომ ვთქვათ: არც ისე წვიმს, როგორც ჰქუხს. მოკლედ: მტერი არც ისე ძლიერია... (განგაშის ხმას მოჰყვება თვითმფრინავების გუგუნია).

ზოია (წამოხტა). გუნდი ტყვიამფრქვევთან!..

ვასკოვი. საჭაერო თავდასხმას! მოსახლეობა — საფარში!.. (სიბნელეში ისმის თვითმფრინავის ღმუილი და ბრძოლის ხმა.)

ზოიას ხმა. ესროლეთ მეწინავე „მესერშიტს“... მიზანი წინ დაიჭირეთ ერთ-ნახევარი თვითმფრინავის სილუეტით!.. ცეცხლი!.. (ისვრიან.)

რიტას ხმა. ვაზნები, გოგოებო, ვაზნები!.. (ნათდება მოსახლეობის საფარი.)

ვასკოვი. ამხანაგო მოსახლეობა! დახარე თავი! წაიკუსე!

პოლინა. (გაანჩხლებით). „წაიკუსეო!“ დედაკაცებში გაჩაჩხულ-გაფარჩხულა, დაუჭერია ხელში გაზეთი და მბრძანებლობს აქ: „წაიკუსეო!“ თუ ვაჟკაცი ხარ, წადი და იქ იმბრძანებლე!

მარია. პოლინა, დაჭრილი იყო ეს საცოდავი... ხომ იცი, რომ დაჭრილი იყო...

პოლინა. გოგოები იქ მოხბენ, ეს კი აქ გაზეთს გვიმ-
რიალებს!..

ვასკოვი. ომში, პოლინა ეგოროვნა, ყველას ცალ-ცალ-
კე თავისი ადგილი აქვს. მე ვიცი, სადაც უნდა ვიყო... შენ კი,
შენ, გირჩევენია, თავს მოუარო! ამ გოგოების მოსვლამდე რა
ამბავში იყავი? ყოველდამე ახალი ჯარისკაცი დაგიდიოდა
შინ, დაბადების დღეს თვეში ცხრაჯერ იხდიდი...

პოლინა. ეგ შენი ჭკუის საკითხავი არაა!

ვასკოვი. ვაი შენს პატრონს უბედურს! (ბრძოლა
გრძელდება.)

ზოიას ხმა. ესროლე, რიტა!.. ესროლე, რაღას უც-
დი?..

გალინას ხმა. (შისმორული). გოგოებო, მარცხნი-
დან „მესერშიტი“ გვიტევს... მარცხნიდან!.. შეაბრუნეთ ლუ-
ლა!

რიტას ხმა. ვაზნები გვითავდება! ლიზა!..

ზოია. არ გაუშვით ეგ ფაშისტი ვიგინდარა!.. მიზანი წინ
ერთი თვითმფრინავის სილუეტით!.. ცეცხლი!.. (მიდამო ჩა-
მოგდებული თვითმფრინავის აფეთქების გრგვინვამ დააყრუა.
აფეთქების შუქი სცენაზეც შემოიჭრა. გოგოები აღფრთოვა-
ნებით აჟრიაბულდნენ. ჩამოვცა სიჩუმე. ამ სიჩუმეში ისმის გა-
ლინას სლუკუნე.)

ლიზა. რა დაგემართა, გოგო? რა გატირებს?

გალინა. არაფერი... თითი დავიწევე...

ვასკოვი. (შემოდის, კვლავ გაზეთი უჭირავს). დღეს
უკვე სწორი ტაქტიკით იბრძოდით. ქება და დიდება თქვენ!
(გაზეთს გაშლის.) გავაგრძელოთ. ჰოდა, იმას ვამბობდი...

ზოია. წადი, შენი!.. ჰო, წადი, იცი, სად?

ვასკოვი. (უცებ სხაპასხუპით.) ვიცი, ვიცი, კირიანო-
ვა. შენ მანდ იჯექი, დაისვენე... (ბნელდება. უკრავს გარმონი.
გოგოები მღერაინ. ისინი ძარის ორივე მხარეს ისე სხედან,
რომ მთელი სცენა უჭირავთ განდაგან.)

ზოია. გოგოებო, არაფერმა გაცთუნოთ, ამ ჩვენს კო-
მენდანტს, სხვებს რომ ჭკუას არიგებდა, ნამდვილად ვიცი,
თვითონ უკვე დაენგრა თავისი ზნეობის ციხე-სიმაგრე.

გალინა. დაენგრა? როგორ დაენგრა?

ზოია. თავისი დიასახლისის თვალწარმტაც სიტურფე-
სილამაზეს ვეღარ გაუძლო და მის ლოგინზე წაიქცა.

ლიზა (გაცხარდა). ტყუილია ეგ, ტყუილი! ჩმახავ რა-
ღაცას!

ზოია. შეჰყვარებია, გოგოებო! ჩვენი ბრიჩკინა სიყვა-
რულის მახეში გაბმულა, სამხედრო კომენდანტი შეჰყვარებია!

სონია. საბრალო ლიზა. (ყველა იცინის. ლიზა ატირ-
და და ძარაზე ავიდა.)

რიტა. (ზოიას). რასაც დედაკაცები ჭორაობენ, ყველა-
ფერი ჩვენთან კი არ უნდა მოათრიო.

ზოია. შენ ვის ასწავლი ჭკუას? რა დიდად მოგაქვს თა-
ვი! გამომიჩნდა ესეც გმირის ქვრივი!..

რიტა. (ლიზას). სულელო, ისეთი რა გითხრა? ყველა-
ფერი გულთან კი არ უნდა მიიტანო! ცხოვრება არ უნდა გა-
ირთულო, გესმის, არ უნდა გაირთულო!

ლიზა. ჩემსავით უბრალოდ და მარტივად ვის უცხოე-
რია? სახლი საშინლად მიყრუებულ ადგილას გვედგა, სამხედ-
როები კორდონს რომ ეძახიან, მგლების ყმუილის მეტი არა -

ფერი მესმოდა. დედა ძალიან ავადმყოფობდა და ბოლომდე
ვერ ვისწავლე. მთელი ოჯახის მეურნეობა მე მეზარა... ზოგ-
ჯერ საქმეს რომ მოვრჩებოდი, სულ ვფიქრობდი, ვოცნებობ-
დი, ვნატრობდი, რაღაცას ველოდი. მწამდა, ხვალ თუ ზეგ
ბედნიერება კარზე მომადგებოდა. ახლა დავიძინებ და რომ
გავიღვიძებ, იგი კარში ჩამომდგარი დამხვდება-მეთქი. ერთ-
ხელ გავიღვიძებ და რას ვხედავ: ქალაქიდან ახალგაზრდა სტუ-
მარი გვწვევია. კარში ჩამომდგარმა თეთრი კბილები შემო-
მანათა. (პაუზა.) აი, მეუბნები, მარტივად უნდა იცხოვროთ.
ვცადე მე ეგ შენი მარტივი ცხოვრება. თვითონაც ვერ გამიგია
აქამდე, რამ მიბიძგა... ერთხელ, როცა დაწვა, მე თვითონ მი-
ვედი იმ სტუმართან: ლოგინს გაგისწორებ-მეთქი. მარტოდ-
მარტო ძილი მოგეწყინაო? — მკითხა. გულახდილად მივუგე:
მომეწყინა-მეთქი. როგორადაც არ უნდა მოგეწყინოს, სისუ-
ლელე მაინც არ უნდა ჩაიღინოთ, მითხრა. დილით კი წავიდა.
აი, მხოლოდ ეს ბარათი დამიტოვა. (ამოიღო პატარა ფურცე-
ლი, კითხულობს.) „შენ უნდა ისწავლო, ლიზა. მაგ ტყეში
სულ გაველურდები. აგვისტოში მეწვიე. საერთო საცხოვრებ-
ლიან ტექნიკუმში მოგაწყობ“. ივნისში კი ომი დაიწყო...

გალინა. მომაწვივინ!

ზოია. ისეთს გაგილაწუნებ მაგ ტურებში! (ვასკოვი სა-
ლამურს უკრავს.)

ლიზა. კარგად უკრავთ, ფედოტე ევგრაფინ.

რიტა. ასე სხვადასხვანაირ ჰანგს რანაირად ახმატები-
ლებთ?

ვასკოვი. ერთი საფშუტუნო გავაკეთე ჩემით და მხატვ-
რული თვითმოქმედების დათვალიერებაში ჩავები, სიგელი-
თაც კი დამაჯილდოეს. (გალინა ძარაზე ავა და მღერის: „ი
პოკა ზა ტუმანამი...“)

ჟენია. გალკა, რა განზე გადექი? ჩაერთე ჩვენს ამ-
ბებში. აი, ის როგორ იყო, ის...

გალინა. ჩვეულებრივ, მომიახლოვდა და მითხრა: ნება
მიბოძეთ, გაგეცნოთ. მერე კი — მე გახლავართ ცნობილი
პოლარული...

კატია. დათვიო?

გალინა. არა, მფრინავიო...

ზოია. კრენკელი?

ჟენია. ფრენკელი.

გალინა. არა, სხვა. ჰოდა, მეუბნება: უშენოდ სიცოცხ-
ლე აღარ შემიძლიათ.

ზოია. უმაღლე ასე აბრიალდა?

გალინა. ჰო, ისე აღევჩნო...

ზოია. მერე, შენ რა უთხარი?

გალინა. შეუძლებელია, მომავლის გეგმით ვარ გა-
დატვირთული-მეთქი.

ზოია. მერე, იმან რა გითხრა?

გალინა. იმან მითხრა... მოდი, ჩუმად ისა ვქნათო... და-
ვოჯახ... უფრო სწორად, ხელი მოვაწეროთო. თორემო, ქარ-
ბუქში უნდა ვიფრინო და ვაითუ იმ პოლარულ ღამეებში
მთლიანად შემომეყინოსო...

ზოია. ის ცეცხლოვანი სიყვარულიო?

გალინა. არა, თვითმფრინავიო.

ზოია. მერე, შენ რა უთხარი?

გალინა. მე რა, ძალიან შემებრაღა. მის საცოდაობას
ვეღად გავუძელი და... დავთანხმე.

ზოია. უმამაცესი გოგო ხარ, გალკა. აი, შენ ხომ ექიმი
დედა გყავს, უმაღლე ყველაფერს გაიგებს და...

კ ა ტ ი ა. გაიყინება.
გ ა ლ ი ნ ა. დედაჩემო, თქვენისთანებისგან განსხვავებით, ინტელიგენტური ქალია.

რ ი ტ ა. დაიძინეთ! თუ კიდევ გავიგონე ეგ სულელური ლაპარაკი, საგუშაგოზე გაგყინავთ! (გოგოები წყნარად მღერიან: „ი პოკა ზა ტუმანამი...“)

ზ თ ი ა. რიტუხა, რას ერჩი? შეიქციონ თავი გოგოებმა ლაქლაქით, რა უშავს?

რ ი ტ ა. თუ ნამდვილად შეიყვარებენ ვინმეს, კრინტს არ დავძრავ. რაც შეეხება ბნელ კუთხეებში ჩუმ-ჩუმად ძრომიასა და სხვანაირ ამბებს, არა მწამს.

ზ თ ი ა. ჰოდა, შენც იმის მაგალითი გვაჩვენე, რაც გწამს.
რ ი ტ ა. თავის დროზე აკი ვაჩვენე! ჩემი კლასიდან პირველი გავთხოვდი. თონდ, ვილაცას კი არ გავყვევი, არამედ წითელ მეთაურს, თანაც მესაზღვრეს. ჩემზე ბედნიერი ქვეყნად არავინ იყო. (გოგოები მღერიან). საგუშაგო უბანმა უშალვე ქალთა საბჭოში ამირჩია. მერე ყველა წრეში ჩამწერეს წლის თავზე ვაჟი მეყოლა, ალბერტი, ალიკა. (ბნელდება).

კ ა ტ ი ა. რა წყვილია! ვაიმე, მეშინია! (ყველანი მანქანაზე ავიდნენ).

რ ი ტ ა. ერთი წლის შემდეგ ომი დაიწყო. ჯერ კიდევ მანისში ალიკა ჩემმა მშობლებმა წაიყვანეს. ამ მხრივ თავისუფალი ვიყავი და შემეძლო სხვისი ბავშვის გადარჩენაზე მეზრუნა. დღედაღამ შორეული სროლის ხმა მესმოდა. საგუშაგო ცოცხლობდა და ამ ხმასთან ერთად ცოცხლობდა ჩემი იმედი: ქმარი ცოცხალი მყავს-მეთქი. მწამდა: მესაზღვრეები ჩვენი ჯარის მიშველებამდე მტერს გაუშკლავდებიან და მერე ერთიანი ძალით დარტყმას დარტყმითვე უპასუხებენ-მეთქი. დღეები დღეებს მისდევდნენ, მაშველი ძალა კი არ ჩანდა. მეჩვიდმეტე დღეს საგუშაგო დადუმდა. ერთი მესაზღვრე ალყას სასწაულით გადაურჩა და მომისამძიმრა: შენი ქმარი მეორე დღეს დაიღუპა. ზურგში უნდა გაგისტუმროთო, მითხრეს, მე კი ფრონტზე გაგზავნა მოვითხოვე. გულისხმიერად მომექცნენ. ქმრის მაგივრად ჩავდექი მწყობრში. ბევრი საპასუხისმგებლო საქმე მომანდეს. თავის მოსაფხანადაც არ მეცალა. ყველაფერმა ამან ჩემი ჭირვარამი დამავიწყა. (პაუზა.)

შ ე ნ ი ა. მეც მარტო დავრჩი. და-ძმა და დედა ტყვია-მფრქვევით მომიცელეს.

რ ი ტ ა. ბრძოლის ცეცხლში მოჭყვევით?

შ ე ნ ი ა. გერმანელები მეთაურთა ოჯახის ყველა წევრს იჭრდნენ და ხვრეტდნენ! ჩემიანებიც ტყვიამფრქვევის წინ დააყენეს. მე ერთმა ესტონელმა ქალმა მოპირდაპირე სახლში დამმალა და ყველაფერი ჩემი თვალით ვნახე, ყველაფერი. ჩემი დაიკო ბოლოს დაეცა. ცოცხალი არ გადარჩესო და კიდევ დააყარეს ტყვიებო...

რ ი ტ ა. ესე იგი, გერმანელებთან შენც გქონია ანგარიში გასასწორებელი. მე ჯერ მტრის თვითმფრინავის ჩამოგდება ვერ მოვახერხე. აი, პარაშუტით გადმომხტარი გერმანელი კი დავცხრილე... მერე მთელი ღამე ვცახცახებდი. (ჩუმად.) შენ ერთი იმ პოლკოვნიკის ამბავი მითხარი. ეს როგორ ჩაიღინე? რანაირად გაბედე?

შ ე ნ ი ა. რა ვიცი, ჩავიღინე კი და... ახლავე გამიმართავ აღმზრდელით საუბარს თუ... მერე, დაძინების საყვირს რომ დაუკრავენ?.. თვითონაც ვერ გამიგია, როგორ გავბედე. ვკითხე: ლუჟინ, გიყვარვარ-მეთქი? მიყვარხარ და მერე როგორო, მითხრა. შენი გულისთვის თუნდაც ცოლ-შვილს მივატოვებო. მე კითხვა შევუბრუნე: ლუჟინ, რისთვის გიყვარვარ-მეთქი?

მომიგო: იმისთვის, რომ შენ შენკა ხარ, ჩვეულებრივი უბრალო შენკაო. სტყუი-მეთქი, მივახალე, ძალიან კარგად იცი, ცოლ-შვილის მიტოვების უფლებას რომ არასოდეს მოგცემ და ამისთვის გიყვარვარ-მეთქი.

რ ი ტ ა. კარგია, აქ რომ გადმოგვიყვანეს, ქალაქთან ახლო.

შ ე ნ ი ა. რითია კარგი? (რიტა ყურში ჩასჩურჩულებს). უი, დედა?! გაგიჟდი?! პატრულს გადაწყდები და დაიღუპები.

რ ი ტ ა. მეტი აღარაფერი მითხრა. არ იცი, შენკა, რა იღბლიანი ვარ. მხოლოდ იმის მეშინია, ვასკოვმა არ გამიგოს. საყვედურების კორიანტელში გამხვევს, ტკუის სწავლებით შუაზე გამხერხავს. მოკლედ: სიცოცხლეს შემაძულებს.

შ ე ნ ი ა. ფრთხილად იარე, რიტკა, თავი არ წააგო. (რიტა აბგას აიკიდებს და მიდის.)

ზ თ ი ა. ეტყობა, ვილაც გაიჩინა ქალაქში ამ ამბარტავანმა გოგომ. ასე სჯობია, იქნებ ცოტა მოლბეს. (სადაც მოგუგუნებს თვითმფრინავი. ზვიდან ეშვება თექვსმეტი გერმანელი. ისინი მანქანის ძარას შვიდ ფარად (ლასტად) დაშლიან. ისმის რადიოს ხმა — ჰიტლერი ლაპარაკობს. გერმანელები გადიან. ცარიელაბიანი რიტა უკან ბრუნდება. ფარები (ლასტები) „ტყედ“ იქცევა.)

რ ი ტ ა. ყველაზე მეტად ეს მიყვარს — დაბრუნება. პატრულთან შეხვედრის ყოველგვარი საფრთხე ჩავლილია. მოდიხარ და ოცნებობ: კიდევ როდის გავიპაროთ. (შეჩერდა და სიჩუმეს მიაყურა. ნათდება.) განთიადი კი აქ წყნარი იცის, ძალიან წყნარი... (ჯიბის ფარანი ანათებს ფარს (ხეს), რომელსაც რიტა მიეფარა. რიტა იმალება, მერე ვასკოვისკენ გარბის.) ამხანაგო ზემდეგო, ამხანაგო ზემდეგო!..

მ ა რ ი ა. რა მოხდა?

ვ ა ს კ ო ვ ი. (შიშველი ფეხები წულეებში წაუყრია, აცვია მხოლოდ შარვალი და პერანგი.) რა ამბავია?

რ ი ტ ა. ტყეში გერმანელები არიან.

ვ ა ს კ ო ვ ი. ოჰო! კი, მაგრამ, ვინ გაცნობა?

რ ი ტ ა. თვითონ ვნახე, ორნი არიან. სანიღბავი ლაბადა-კარგები მოუსხამთ, ავტომატები უჭირავთ... და რაღაც ბარგიც მოაქვთ.

ვ ა ს კ ო ვ ი. აქ მომიცადე.

მ ა რ ი ა. რათ? რათ, ფედოტე ევგრაფინ?

ვ ა ს კ ო ვ ი. არაფერია. (გაეშურა ჩასაცმელად.) თქვენ არ გეხებათ. გამოდის ჩაცმული.) გამოაცხადეთ საბრძოლო განგაში! რაზმმა იარაღი აისხას! კირიანოვას დამიძახეთ! სირბილით!

რ ი ტ ა. იარაღი აისხით! იარაღი აისხით! (ისმის განგაშის ხმა. ყველა გარბი-გამორბის.) ათეულო, დადექ!

ვ ა ს კ ო ვ ი. (ტელეფონთან). „ფიჭვი!“ „ფიჭვი!“.. „უუჰ, დედა! ან სძინავს, ან ხაზია დაზიანებული. „ფიჭვი!“.. „ფიჭვი!“..

ქ ა ლ ი შ ვ ი ლ ი. „ფიჭვი“ გისმენთ! „ფიჭვი“ გისმენთ!

ვ ა ს კ ო ვ ი. მეჩვიდმეტე ვარ. სასწრაფოდ დამაკავშირე მესამესთან! საგანგებო შემთხვევაა. მაიორის ხმა. ვასკოვი ხარ? რამ შეგაწუხა?

ვ ა ს კ ო ვ ი. ჩემი უბნის ტყეში გერმანელები არიან. დღეს აღმოაჩინეს ორნი არიან!

მ ა ი ო რ ი. ვინ აღმოაჩინა?

ვ ა ს კ ო ვ ი. უმცროსმა სერჟანტმა ოსიანინამ. განგაში უკვე გამოვაცხადე... ტყის გაჩხრეკა-გაწმენდას ვაპირებ.

მ ა ი ო რ ი. ნუ აჩქარდები, ვასკოვ. ცეცხლი გიკივია, თუ რა? ჯერ დავფიქრდეთ, ავწონ-დავწონოთ. უბანი რომ დაუცველად დავტოვოთ, არც ამისთვის გვაკოცებენ შუბლზე, რანაირები არიან ის შენი გერმანელები?

ვ ა ს კ ო ვ ი. სანიღბავი ლაბადა-კარვეები ახურავთ და ავტომატები უჭირავთო. ნაღდად დაწვევრვაა.

მ ა ი ო რ ი. დაწვევრვა? მერედა, შენთან რა უნდა დაწვევრონ? დიასახლისთან ჩასკვნილს რომ გძინავს? რამ დავამუნჯა, ყმაწვილო? ამდენს რას ფიქრობ?

ვ ა ს კ ო ვ ი. რას ვფიქრობ და... ამხანაგო უფროსო, ხაფანგში უნდა გავაბათ... სანამ შორს გაგვექცევიან, ცოცხლად უნდა დავიჭიროთ.

მ ა ი ო რ ი. აზრიანად გიფიქრია. რაზმიდან ხუთი კაცი გამოყავი და ცხელ კვალს გაჰყევი.

ვ ა ს კ ო ვ ი. არის, ამხანაგო მეთაურო, ცხელ კვალს გავეკიდო... დაგეშილი მეძებარივით!

მ ა ი ო რ ი. „ფიჭვი!“ „ფიჭვი!“ მეორესთან დამაკავშირე. ჩვენთან საგანგებო შემთხვევაა... (მაიორი უჩინარდება.).

ზ ო ი ა. ათეულო, სწორდი! სმენა! ამხანაგო ზემდეგო, რაზმი მოწყობილია!

ვ ა ს კ ო ვ ი. (დარბაზისკენ). მერედა, რა რაზმი და რა მწყობრია, აღარ იკითხავთ?! ერთს თმა ფაფარივით გაუშლია, მეორეს თავში რაღაც ქაღალდები ჩაუხლართავს. ო, რა მეომრები მყავს! გაწმინდე ახლა ამისთანებით ტყე, სდიე ავტომატთან გერმანელებს დასაჭერად და მერე რით? თუ სადმე ძველი შამხანები ჰქონდათ, შემორჩენილი, ჩვენ შემოგვაჩერეს ხელში: წამლად ერთი ახალი თოფ-იარაღი არ გამოიმეტეს ო, რა დღეში ჩაგვყარეს ფაშისტებმა?! ჩვენი გოგოები ქმრების მაგივრად სამღარიან შამხანებს ჩაახუტეს. თავისუფლად, ბიჭებო! ბოდიში, გოგოებო! ოსიანინა, ამოარჩიე სამი ადამიანი.

რ ი ტ ა. ვეგენია, გალინა, ლიზავეტა! (სამივე გამოვიდა მწყობრიდან.)

ვ ა ს კ ო ვ ი. ოსიანინა, ნუ აჩქარდები. გერმანელების დასაჭერად მივდივართ, სათევზაოდ კი არა, სროლა მაინც თუ აციან?..

რ ი ტ ა. იციან.

ვ ა ს კ ო ვ ი. ჰო, მართლა! იქნებ გერმანულიც იცის ვინმემ?

ს ო ნ ი ა. მე ვიცი.

ვ ა ს კ ო ვ ი. ვინა ხარ შენ: რას მიქვია — მე ვიცი? მომახსენე, როგორც წესდება მოითხოვს!

ს ო ნ ი ა. მოგახსენებთ მებრძოლი გურვიჩი, მე ვიცი გერმანული.

ვ ა ს კ ო ვ ი. ო, ჰო, ჰო, ჰო! ეს მომწონს. იმათებურად როგორ იქნება — ხელები მაღლა?

ს ო ნ ი ა. ჰენდე ჰოს!

ვ ა ს კ ო ვ ი. ზუსტია, აბა, შემოგვიერთდი! ეს ხუთი ჩემთან დარჩება, დანარჩენები დაიშალეთ! (ხუთი გოგოს გარდა ყველა გავიდა.) ვივარაუდოთ, რომ მივდივართ ორიოდე დღით. წამოიღებთ მშრალ ულუფას და კაცზე ოცდახუთ-ოცდახუთ ვაზნას. საწვავს მოიმარაგებთ... მაშასადამე, კარგად დანაყრდებით. ფეხზე ადამიანურად ჩაიცვით და ყოველნაირად მოწესრიგდით. ყველაფრისთვის ორმოცი წუთი მომიცია. კირიანოვა და ოსიანინა, თქვენ მჭირდებით. (გოგოები ეშვადღებინა. ვასკოვი, რიტა და ზოია მარცხენა ფართან შეჯგუფდნენ.)

ბიან. ვასკოვი რუკას გაშლის.) მაშასადამე, ამ გზასთან შემომოგხვდნენ?

რ ი ტ ა. აი, აქ. (თითს დაადებს). მერე გვერდით ჩამიარეს და შარაგზის მიმართულებით წავიდნენ.

ვ ა ს კ ო ვ ი. შარაგზისკენ? მოიცა, მოიცა! დილის ოთხ საათზე ტყეში რა გესაქმებოდა?

რ ი ტ ა. ალბათ, მესაქმებოდა. ღამით ადამიანს არაფერი ესაქმება?

ვ ა ს კ ო ვ ი. ღამითაც ესაქმება და... კი, მაგრამ... იმ საჭიროებისთვის მე ხომ თვითონ ჩემი ხელით დაგიდგით ის... საჭირო ქოხ-მახი? იქნებ ძალიან პატარაა და ვერ ეტყვიან? ო, რა აშკარად მატყუებენ!

ზ ო ი ა. ამხანაგო ზემდეგო, მოგეხსენებათ, არის შეკითხვა, რომელზეც ქალს შეუძლია არ გიპასუხოთ.

ვ ა ს კ ო ვ ი. არ არსებობს აქ ქალი! არიან მხოლოდ რიგითი მებრძოლები და მეთაურები, გასაგებია? გაგანია ომია და ვიდრე ომი არ დამთავრებულა, ყველანი საშუალო სქესისანი უნდა ვიყოთ..

ზ ო ი ა. აი, თურმე შენს ლოგინში ერთმანეთზე ბიხუტე-ბული ორი ბალიში რატომ ძეხს: ძილის დროს ორი თავი გიჩნდება თუ ეს ერთი თავი ისე გისივდება, რომ ერთ ბალიშზე ველად გეტევა? იქნებ ძილში ის შენი ორი თავი ეხვევა ერთმანეთს და კოცნის? ანდა, იქნებ ამიტომაცაა შენს ლოგინში სხვაც რომ გიწვინია ხოლმე გამთბობად, ამხანაგო საშუალო სქესის ზემდეგო?

ვ ა ს კ ო ვ ი. ჭამის დროს ლაპარაკი არ ვარგა. ხვრიპეთ! თოხლეთ! წვნიანს ნუ აციებთ!.. მაშ, შენ ამბობ, შარაგზისკენ გაუტყეოსო?

რ ი ტ ა. შარაგზის მიმართულებით წავიდნენ-მეთქი.

ვ ა ს კ ო ვ ი. შარაგზაზე რა ეშმაკებს დაეძებენ ნეტავი? იქ, ჯერ კიდევ ფინეთთან ომის დროს ორივე მხრიდან ხეები გადმოაწვინეს და გზა ჩახერგეს. ის ხერგი ეგრევე მოახრჩობთ ცოცხლად. არა, ამხანაგო უმცროსო მეთაურებო, მათ გული შარაგზისაკენ არ მიუწევდათ... თქვენ ნუ სცდებით! ხვრიპეთ! თოხლეთ! კარგად დაპურმარილდით. შენ ამბობ, ბარგიც მიჰქონდათო?

რ ი ტ ა. რაღაც მძიმე ეჭირათ, ერთობ ფაქიზად და გულმოდგინედ შეფუთული.

ვ ა ს კ ო ვ ი. გუმანი მიჭრის, ასაფეთქებელ მასალას მიათრევდნენ, ტოლს. თუ ასეა, ისინი შარაგზისკენ სულაც არ მიდიოდნენ, არამედ გეზი ლიანდაგისკენ ეჭირათ. მაშასადამე, კიროვის რკინიგზისაკენ.

ზ ო ი ა. კიროვის რკინიგზა აქედან ერთობ შორსაა.

ვ ა ს კ ო ვ ი. სამაგიეროდ, ტყით ივლიან. ტყე კი აქ ისე უბედურადაა გაზრდილი, ორი კაცი რას მიქვია, მთელი არმია გაივლის შეუმჩნევლად.

რ ი ტ ა. თუ ასეა, რკინიგზის დაცვას უნდა შევატყობინოთ.

ვ ა ს კ ო ვ ი. კირიანოვა აცნობებს. მე ყოველ საღამოს ვპატაკობ ცხრის ნახევარზე. მქვია — მეჩვიდმეტე. შენ ჭამე, ჭამე, ოსიანინა. მთელი დღე ჭანჭრობში მოგიწევს სიარული, ასე რომ... მომაგრდი.

რ ი ტ ა. დადექ! (გოგოები გამწკრივდნენ.)

ვ ა ს კ ო ვ ი. სწორდით! სმენა! გაიხადეთ ჩექმები! ყველამ! ეს რაა, თხელ წინდებზე შემოიცივი? შენ ეს ფეხსახვევი თავშალივით რომ მოგიფუთნია, პატარაზე გაივლი თუ არა,

ფეხები გადაგელიტება და ბებერები გაგიჩნდება. ასე ჩაც-
მული ჩექმებით დიდხანს ვერ იბრძოლებთ. აი, ოსიანინას
სწორად შემოუხვევია. თქვენც ასე შემოიხვეით. გაჩვენებთ
სამ ილეთად. ერთი — ასე, მეორე — ასე, მესამე — ასე. ბო-
ლოს კი ვისწორებთ. გაიმეორეთ! (გაიმეორეს.) ადექით. მო-
ეწყით! განემარტავ: მოწინააღმდეგის არ შეგეშინდეთ. იგი
ჩვენს ზურგში მიიპარება, მაშასადამე, თვითონ ეშინია ჩვენი.
მაგრამ ახლოს კი არ მოუშვათ. რატომ? იმიტომ, რომ მტერი
თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული, ღონიერი და ოქლაქი
მამაკაცია, თანაც ხელჩართული ბრძოლისთვის საგანგებოდ
მომზადებული. ვთქვათ და, უცებ მტერი თქვენს გვერდით
აღმოჩნდა, როგორ მოიქცევით? როგორ და, უმჯობესია, კურ-
დღელივით გაინაბოთ, ოღონდ, ღმერთმა დაგიფაროთ და, მე-
რე უცებ კურდღელივით არ უნდა დაფრთხეთ და გაიქცეთ...
თორემ ავტომატსაც ეს უნდა, გაქცეულს უკეთ ახვედრებს
ტყვიას. ივლით მხოლოდ წყვილ-წყვილად. გზაში ერთმანეთს
არ ჩამორჩებით და არც ილაპარაკებთ. ვთქვათ, გზაზე გახვე-
დით. როგორ მოიქცევით? არც ეს იცით?

ჟ ე ნ ი ა. ვიცით. ერთი მარცხნივ გაჰყვება, მეორე — მარ-
ჯენივ.

ვ ა ს კ ო ვ ი. ვაზუსტებ: შეუმჩნევლად. ვიმოდრავებთ ასე-
თი განრჩივით: წინ ივლის მეწინავეთა სადაზვერვო რაზმი უმ-
ცროსი სერჟანტისა და ბრიჩკინას შემადგენლობით, შემდეგ,
ასიოდ მეტრში — ძირითადი ბირთვი: მე და... (რაზმს გა-
ხედ-გამოხედა.) მთარგმნელი. ასევე ასი მეტრის დაშორებით
ჩვენ მოგვეყვება ბოლო წყვილი: მებრძოლი კომელკოვა და მე-
ბრძოლი ჩეტვერტაკი. მტრის აღმოჩენის, ან რაიმე გაუგებ-
რობის შემთხვევაში... ჰო, მართლა! ნადირის ან თუნდაც
ფრინველის ხმის მიბაძვა თუ შეუძლია ვინმეს? (გოგოები ახ-
ითხითდნენ.) სერიოზულად გეკითხებით. ტყეში ერთმანეთს
ჩვენი გაძახილ-გამოძახილით ვერაფერს ვანიშნებთ. გერმანე-
ლები უყურობენ კი არ არიან.

ს ო ნ ი ა. (მორიდებით). მე ვბაძავ... ოღონდ მე მხოლოდ
ვირივით ყროყინი შემიძლია. აი, ასე. (აყროყინდა.)

ვ ა ს კ ო ვ ი. (უკმაყოფილოდ). გაჩუმდი. ამ მხარეში ვი-
რის სახსენებელი არსადაა, არ ჯიშობს. რაკი ასეა, მოდით გა-
რეული იხვის ყიპყიპ-კრიახი ვისწავლოთ. (ბაძავს გარეულ
იხვს. გოგოები იცინიან.) არ ვარგა! შეწყდეს! სიცილი! ასე
მამალი იხვი უხმობს დედას. აბა, თქვენც სცადეთ! (გოგოე-
ბი ბაძავენ კრიახს). მოშალეთ! გეყოფათ! შეჩერდით! ო, ჰო,
ჰო, ჰო! მოშალეთ-მეთქი! მე ის კი არ მითქვამს... კმარა! მიე-
დივართ ვიპის ტბაზე. აი, ამას დააკვირდით. (ვასკოვმა რუკა
მუხლზე გაიშალა. გოგოები რუკას შემოეჯარნენ.) თუ გერმა-
ნელები რკინიგზისკენ მიიპარებიან, უეჭველად ამ ტბასთან გა-
ივლიან. მოკლე გზა კი მათ არ იციან. მაშასადამე, ჩვენ მი-
ვასწრებთ. მთავრად გზით იმ ადგილამდე ოციოდე კილომეტრია
— სადილობამდე მივალთ. ამხანაგო მებრძოლებო, ყველაფერი
გაიგეთ?

გ ო გ ო ე ბ ი. გავიგეთ.

ვ ა ს კ ო ვ ი. უმცროსმა სერჟანტმა ოსიანინამ შეამოწმოს
საბრძოლო და სასურსათო საგზლის მარაგი და მებრძოლთა
მზადყოფნა. ახლა დაიშალეთ და სალაშქროდ მოემზადეთ!
(ყველა გავიდა. თვალკრემლიანი მარია ვასკოვს მოუხვია.)

მ ა რ ი ა. თავს გაუფრთხილდი, ფედოტ ევგრაფიჩ! გოგო-
ებსაც გაუფრთხილდი... შორს მიდიხართ, რძე მაინც დაგე-
ლიათ.. (ტირის.)

ზ ო ი ა. აბა, რიტუხა, მშვიდობით!

რ ი ტ ა. გმადლობ, კირიანოვა!
ზ ო ი ა. კირიანოვა, კირიანოვა! რაც თვრამეტისა გავხდი,
სულ კირიანოვას მეძახიან, მე კი ზოია ვარ, ზოიჩკა! მენატ-
რება ზოია დამიძახონ, გესმით!

ვ ა ს კ ო ვ ი. ეჰ, ქალებო, დედაკაცებო, დიაცებო! რა უბე-
დური ხალხი ვართ, რა საწყალი. აი, ჩვენთვის, მამაკაცების-
თვისაც კი ეს ოხერი ომი ათასი ჯანაბა-ჯალხანაა, ჯოჯოხე-
თის უთვალავი მუგუზალია, თქვენთვის ხომ სულ... ნუ ტირი,
კრემლს ნუ გამატან გზაზე! არ გამაგონო სლუკუნი! გეყოფა
მოთქმა! ზეგ დავბრუნდები! დიდი-დიდი ოთხშაბათამდე და-
მაგვიანდეს... (გოგოებს აბგები აუკიდებითა და შაშხანებით
დაუჭერიათ ხელში.)

რ ი ტ ა. დადექ! (გამწკრივდნენ.) ამხანაგო ზემდეგო,
რაზმი მზადაა!

ვ ა ს კ ო ვ ი. თოფები მხარზე ჩამოიკიდეთ. მარჯენივ. ერთ-
მანეთს ასე შევეხმიანებით: ერთი დაკრიახება ნიშნავს —
ყურადღება მომაქციეთო, ორი დაკრიახება — მოწინააღმდე-
გეს ვხედავო, სამი დაკრიახება — ყველანი ჩემთანო. (თვი-
თონაც კრიახებს, შემდეგ კი მკაცრად ბრძანებს.) მეწინავე
სადაზვერვო ჯგუფო, ნაბიჯით იარ! (გოგოები ტყისკენ მი-
დიან. ისმის ტრაგიკული მუსიკალური აკორდი. ფარებთან
ლანდებივით გამოჩნდებიან გერმანელები და გაუჩინარდებიან.
ჩიტები ჭიკჭიკებენ. ირხევა ფარები, იგი ტყის შრიალს გვა-
გონებს. მარცხენა საფარიდან გამოვა ვასკოვი, გამოჰყვება
გურვირი.) დააკვირდი, ეს უცხოური ფეხსაცმლის კვალია.
ოღნავ ემჩნევა, მაინც ვატყობ, ორმოცდაოთხი ნომერი ფეხი-
საა. მიაბიჯებს ორმეტრიანი აყლაყულა, ექვს ფუთზე მძიმე
და გულმოდგინედ ცდილობს, კვალი არ დატოვოს. ასეთ მე-
ლაკულა ოქლაქთან შეხვედრას ეხუმრები? ხედავ, ტბის შე-
მოვლით მიდიან. აი, კიდევ კვალი. ასე თუ იარეს, კარგა დიდ-
ხანს იბორიალებენ, ორმოცი კილომეტრის გავლა მაინც დას-
ჭირდებათ... ირბინონ, ირბინონ ენაგადმოგდებულებმა...
(გურვირის ეტყობა, დაილალა.) მამიკო და დედიკო ცოცხლები
გყავს, თუ ობოლი ხარ?

ს ო ნ ი ა. ობოლი? აციტ, მგონი, ობოლი ვარ.

ვ ა ს კ ო ვ ი. თვითონვე გეპარება ეჭვი?

ს ო ნ ი ა. ახლა დარწმუნებით ვის შეუძლია რაიმეს თქმა!

ვ ა ს კ ო ვ ი. შენ რამ დაგაეჭვა?

ს ო ნ ი ა. ჩემი დედ-მამა მინსკში ცხოვრობს. მე მოსკოვ-
ში ვსწავლობდი. გამოცდებისთვის რომ ვემზადებოდი, ომი
დაიწყო და...

ვ ა ს კ ო ვ ი. არაფერი ამბავი არ იცი?

ს ო ნ ი ა. აბა, საიდან?

ვ ა ს კ ო ვ ი. ჰო... ებრაელი დედ-მამა გყავს?

ს ო ნ ი ა. ეს კიდევ საკითხავია?

ვ ა ს კ ო ვ ი. (განაწყენებული). საკითხავი რომ არ იყოს,
არც საკითხავი.

ს ო ნ ი ა. იქნებ უკვე გაგვექცნენ და ჩვენ...

ვ ა ს კ ო ვ ი. ეჰ, ქანცაწყვეტილ ბელურას ჰგავხარ. ძნე-
ლია შენთვის ომის ამხელა ჭირ-ვარამის პატარა მხრებით
თრევა. ეჰ, მე მისი!.. ვინც ომი მოიგონა!

ს ო ნ ი ა. ამხანაგო ზემდეგო, ნუ მერიდებით, შეიგინეთ,
შეიგინეთ! ვიცი, მამაკაცი როცა იგინება, გული უხალვათ-
დება.

ვ ა ს კ ო ვ ი. (გაუღიმებს, მერე თითქმის თავისთვის). ეჰ,
მართლაც როგორ მეშველავათებოდა ახლა, ამ ომის მომგონის-
თვის მთელი ქვეყნიერების გასაგონად ერთი გემრიელად რომ

შემეგინებია და ყველა ოხერი ამ ცხრასართულიანი გინების ხვაშვი ჩამემარხა. მაგრამ გოგოების მერიდება და გინების მაგვირად სულელივით ვიღიმები ხოლმე... აბა, მეომარო გურვიჩ, დაიკრიახე სამჯერ.

სონია. რატომ?

ვასკოვი. საბრძოლო მზადყოფნა შევამოწმოთ. ჰა! ჩემი ნასწავლი კრიახი ხომ არ დაგავიწყდა?

სონია. რა დამავიწყებდა? (სამჯერ დაიკრიახებს. გოგოები მოირბენენ.)

რიტა. მოხდა რამე?

ვასკოვი. რამე რომ მომხდარიყო, თქვენ უკვე მიქელ-გაბრიელის სტუმრები იქნებოდით საიქიმოში... კუდები ხბოებივით ცაში აგობზეკივით და დაკუნტრუშობით თქვენს ნებაზე. ხომ არ დაიღალეთ?

ჟენია. ეგლა გვაკლია.

ვასკოვი. კეთილი და პატიოსანი. აბა, მომიყევით. გზა-დაგზა რა შენიშნეთ? ოღონდ, რიგრიგობით, გოგოებო, ყველა ერთად არ იქნება. (ჩამოუვლის ფარებს, რომლის წინაც გოგოები დგანან. ნაჯახით ჭრის ჯოხებს და გოგოებს ჩამოურიგებს.)

რიტა. მე ისეთი არაფერი შემიმჩნევია. მოსახვევში ხეს ტოტი ჰქონდა ჩამოტეხილი, ეს იყო და ეს.

ვასკოვი. ყოჩაღ! სწორად შეგინიშნავს. (ჟენიას.) აბა, კუდში მომავალი მებრძოლი კომელკოვა რას გვეტყვის?

ჟენია. მე აღამიანის ხელშენახები არაფერი შემხვედრია.

ლიზა. ბუჩქებიდან ცვარ-ნამია ჩამოფერთხილი. გზის მარჯვნივ ისევ ჰკილია, მარცხნივ კი დარხეულია.

ვასკოვი. აი თვალი! ყოჩაღ, მებრძოლო ბრიჩინა, მა-დლობას გიცხადებ! იცით, კიდეც რა იყო გზაზე? რეზინის-ბირიანი გერმანული ბათინკის ორი კვალი. ასეთ ბათინკებს ისინი დესანტის ხალხს აცმევენ. ფეხისწვერების მიმართულე-ბით თუ განვსჯით, ჭაობის ირგვლივ დაბორილებენ იტრატუ-ნონ და იბორილონ. ჩვენ კი გზას ამ ჭაობზე გადავჭრით პირდაპირ. კარგა ხანია ერთი საიდუმლო ბილიკი ვიცი. წინ მე გაგიძღვებით, მერე თქვენ ერთად მომყევით, ოღონდ ერთი-მეორის კვალდაკვალ. აქ მარჯვნივაც და მარცხნივაც ჭანჭრო-ბია. თუ ფეხი გადაგიცდათ, „ვია დედას“ დაძახებასაც ვერ მოასწრებთ, ისე ჩაგყლაპავთ. ფეხის დასადგმელ ადგილს ჯერ ფინით მოსინჯავთ. გაქვთ შეკითხვა?

ჟენია. მე მაქვს.

ვასკოვი. მებრძოლ კომელკოვას ვუსმენ.

ჟენია. ფინით მოსინჯვა რას ნიშნავს? ჯერ ფონი ვი-პოგოთ?

ვასკოვი. (მკაცრად). აქ ჭაობის ფონზე არა გვაქვს ლაპარაკი. აი, ხელში რა გიჭირავს?

ჟენია. ხელკეტი, ლატანი, ხალა, ჭოგრი... არ ვიცი კი-დეც რა ჰქვია ასეთ ჯოხს?

ვასკოვი. სწორედ მაგ ხელკეტსა ჰქვია ფინი. გაგარ-ვეთ თუ ვერა?

ჟენია. ახლა მივხვდი. დალი გყვარებით ძალიან.

ვასკოვი. ვინ დალი? რა დალი?

ჟენია. არსებობს ასეთი წიგნი — დალის ლექსიკონი. ლექსიკონი გაგიგიათ, რა არის? სასაუბროსმაგვარი წიგნი. მეცნიერმა დალმა შეადგინა.

რიტა. ეგგენია, ენად ნუ გაიკრიფე! რა დროს შაყირა!

ვასკოვი. კარგია, კვლავ მასხრობის გუნებაზე რომ ხარ, ამხანაგო კომელკოვა. წინ სახიფათო გზა გვიძევს და იმ გზას რომ გავივლით, მერე ვნახოთ, რა ხუმრობის გუნებაზეც დამრჩები. აბა, გამოტყდით, ვინ უფრო ღონიერი ხართ?

ლიზა. გამოსატყები რა გვჭირს? არ გვეტყობა?

ვასკოვი. მებრძოლი ბრიჩინა წამოიღებს მთარგმნე-ლის ჩანთას.

სონია. რატომ ვითომ?

ვასკოვი. იმიტომ, რომ... მეთაურთან შეპასულება არ შეიძლება. კომელკოვა, შენ წითელარმიელი ჩეტვერტაკის ჩან-თას წამოიღებ.

ჟენია. გალკა, ჩანთას შამხანაც მოაყოლე.

ვასკოვი. ზედმეტი ლაპარაკი! რაც ვითხრეს, ის გაა-კეთე! პირადი იარაღი ყველამ თვითონ უნდა ატაროს. აბა, ჩურჩულ-ტუტუნი არ იყოს! ჯარში მოჩურჩულეს ხიშტს უყ-რიან გულ-ბოყვში. ჩვენი შემდგომი მოძრაობის განრიგი ასე-თი იქნება: მე მეწინავედ ვივლი, მომყვებიან გურვიჩი, ბრიჩ-კინა, კომელკოვა და ჩეტვერტაკი. უმცროსი სერჟანტი ოსი-ანინა ჩამკეტი იქნება. შეკითხვა გაქვთ?

გალინა. ღრმია იქ?..

ჟენია. ჩეტვერტაკს აინტერესებს... ხომ ხედავთ, რა ქონდარაა, მაგისტვის პატარა გუბეც კი ზღვაა.

ვასკოვი. ადგილ-ადგილ მე შემომწვდება, აი... მოკ-ლედი, ჩემზე რა გასაზომია, ბოდიში... თქვენ კი, მამასადამე, წელამდე შემომწვდებათ. შამხანებს გაუფრთხილდით. ღმერ-თი იყოს თქვენი მფარველი! წავედით! (ქმნიან შთაბეჭდილე-ბას, რომ ღრმა ჭაობში მიაბოტებენ. ფარები ეშვება. გოგოე-ბი ფარებზე დგებიან და ჯოხებს იქნევენ. ფარები ნელა ირხე-ვა, თითქმის ჭაობის ზედაპირი ტყამპალით ადი-ჩამოდისო.)

გალინა. ამხანაგო ზემდეგო!.. ამხანაგო ზემდეგო!..

ვასკოვი. გაგიწყალდეთ ეშმაკები! ნუ ჩერდებით! ნუ ჩერდებით-მეთქი! ჭაობი ჩაგითრევთ და შეგიწოვთ!

გალინა. ამხანაგო ზემდეგო, ქვესენლიდან ვილაც მო-მეჭიდა და ჩექმას მხდის. აი, გამადრო კიდეც. (ჟენია გვერდ-ზე გადაიხარა.)

ვასკოვი. რას შვები? ფეხი არ მოიცვალ!

ჟენია. მივეშველები-მეთქი...

ვასკოვი. შეჩერდი! უკან დახევა არ შეიძლება. ცოტაც და პატარა ხმელეთს მივადგებით და იმ კუნძულზე დავისვ-ნებთ. იპოვე ჩექმა?

გალინა. ვერა. ახლა მეც მექაჩება ძირს. ამხანაგო ზემ-დეგო, რა ვუყო ახლა მე იმ ჩექმას?

ვასკოვი. მოეშვი! სულ ერთია, ველარ იპოვი. წინ!.. ნუ შეჩერდებით, კვალკადაც კი მომყევით! ერთმანეთს არ ჩამორ-ჩეთ! (თავისთვის.) ოღონდ არ შემომინდნენ და პანიკა არ ამიტეხონ, სხვას არაფერს ვჩივი. ჭაობში პანიკა და სიკვდი-ლი ერთია. დინჯად, აუღელვებლად, მშვიდად. ა, აგერ მა-გარი მიწაა, შევისვენოთ ცოტა. (ფარები ბრტყლად დალაგდ-ნენ, გოგოები ზედ დაეფხვებენ.) გაწამდით, ამხანაგო მებრ-ძოლებო?

ჟენია. მეტი არა!

ლიზა. ქანცი გაგვეძვრა.

ვასკოვი. ჰოდა, მოითქვით სული. იქით უფრო იოლია გზა: ხმელ არყისხესთან მივლასლასდებით და — მორჩა! შა-ბაში!

რიტა. ახლა ხელ-პირის დაბანაც არ გვაწყენდა.

ვასკოვი. ამ ჭაობს იქით მდინარის ტოტია — დედის ცრემლივით წმინდა და კამკამა. ტყეცაა. იქ ბანაობაც შეგიძლიათ.

გალინა. ჭაობმა ჩექმა რომ წამართვა, მერე ფეხსახვევიც დამტყუა. აი, თითი სულ გამიღურჯა.

ვასკოვი. როგორმე მოგიკვარახჭინებთ წულას. ოღონდ იქ, ჭაობს რომ გავცდებით. მოითმენ?

გალინა. ჩემი ნებაა, არ მოვითმინო?!

ჟენია. ფეთხუმი და ჩლაჩუნა ხარ, გალკა. როცა ფეხის ამოწევა გინდოდა, ჯერ თითები ჩახმახზე უნდა შეგეყენებინა, ზევით აგეყინა და ჭაობი ვეღარც ჩექმას წაგართმევდა, ვეღარც ფეხსახვევს დაგტყუებდა.

გალინა. მაღლა ვყინჩავდი თითებს, განა არ ვყინჩავდი, სწორედ რომ ძველი კაჟიანი თოფის ჩახმახივით ვაყენებდი ფეხზე, მაინც წამართვა ორივე.

სონია. მცევა, გოგოებო.

ჟენია. ჩვენ არ გვცივა? მე სულ სველი ვარ, აი, იქამდე...

რიტა. შენზე სველი მე ვარ. ერთგან ფეხი გადამიცდა და წყალში იხვივით ჩაჯექი. (ყველამ გაიცინა.)

ვასკოვი (თავისთვის.) კარგია, რომ იცინიან. სიცილი ახლა წამალია. ღმერთო, ოღონდ ნუ გაცივდებიან და... ყინულივით იყო წყალი. აბა, ამხანაგო მეომრებო, დაიჭირეთ თქვენ-თქვენი ხელკეტი და მომყევით. ახლა მდინარისკენ წავალთ. იქ დავიბანთ და გავთბებით კიდევ. მოემზადეთ. წავედით. (ფარები ისევ ადი-ჩამოდიან.)

გალინა. აქ წურბელა არ იქნება?

ვასკოვი. ეს უბედურის ერთი წყალია, შიგ სიცოცხლის ნატამალი არაა. (უცებ ბუყბუყი გაისმა. გოგოებმა შიშით შეჰკვივლეს — ვაიო!) ნუ გეშინიათ, ეს ჭაობის გაზი ბუყბუყებს. ჩვენ გავაღვიძეთ და ავაბუყბუყეთ. მოხუცებისგან გამიგონია, ჭაობის ადგილის დედა სწორედ ასეთ ადგილას ცხოვრობსო, მაშასადამე, როგაპი, ალქაჯი, ავსული... თქვენ, რაც გინდათ, ის დაუძახეთ. (ფარები „ტყედა“ იქცნენ.)

ჟენია. ვაშა! გოგოებო, შეხედეთ, ნამდვილი პლაჟია, ოქროსქვიშიანი ნაპირი! (ზურგჩანთებს მიყრის.)

ვასკოვი. შეწყდეს! მოეშვი! სმენა! (გულმოსულად.) ეჰ, თქვე ვაიმეომრებო! შაშხანები ქვიშაში როგორ მიყარეთ? თოფები ხეზე უნდა მიაყუდოთ. გასაგებია? ორმოც წუთს გაძლევთ, დაიბანეთ და მოწესრიგდით. მე ეგერ, ხმის მოსაწვდენ მანძილზე, ბურჩებს ამოვეფარები. თუ რამე ისეთი დაინახოთ, უმაღვე დამიძახეთ.

რიტა. არის, ამხანაგო ზემდეგო!

ვასკოვი. ჰოდა, ასე. ზუსტად ორმოც წუთში ყველა მზად დამხვდეს: ჩაცმულ-დახურული და გაწკრივლებულ-გაქათათებული. (ფარს მიეფარება. გოგოები გამოდიან. შემდეგ ერთმანეთს ადგილს უცვლიან.)

ხმები: ოი, რას შვები, ჟენია?! ჟენია, არ გაბედო!.. შორს მაინც ნუ შესცურავ!..

რიტას ხმა. ეგვენია, გამოდი ნაპირზე! ამოდი ახლავე!..

ჟენიას ხმა. წინ, მხოლოდ წინ!

ვასკოვი. უყურე შენ, ბანაობენ კიდევ?! (ვასკოვმა ჩაიცივა, ქამარი მოიჭირა და გასძახა.) ამხანაგო მებრძოლებო, მზადა ხართ?

გალინა. ცოტაც გვაცალეთ. ახლავე, ახლავე! (გამოჩნდნენ გოგოები).

რიტა. მობრძანდით! შეიძლება უკვე!

ვასკოვი. რა არის ეს? ჩინით უფროსს მიხმობენ — „შეიძლებაო“. კარგად რომ ჩაუფიქრდეს კაცი, ეს ხომ წესდების დაცინვაა რაღაცნაირად? მაშასადამე, ძალი პატრონს ვეღარა სცნობს? (ქალიშვილებს.) ამხანაგო მებრძოლებო, მოწესრიგდით?

ლიზა. მოვწესრიგდით, ამხანაგო ზემდეგო. ეგვენია ვაჟ-კაცურად იბანავა კიდევ.

ვასკოვი. ყოჩაღ, კომელკოვა! ამ ყინვასავით წყალში არ გაითოშე?

ჟენია. რომ ვთქვა: გავითოშე-მეთქი, გამათობოს აქ ვინმე თუ?

ვასკოვი. ჰა, ჰა, ჰა! ენა კი არა, ფინური დანა გიდევს პირში. (ჩეტვერტაკს მისცა არყისხის ქერქისგან ამოსხმული ქალამან-წულა.) მებრძოლო ჩეტვერტაკ, ჩაიცვი? კარგად მოგერგო?

გალინა (გაივლ-გამოივლის, დაჰყურებს). კარგზე უკეთესად, ამხანაგო ზემდეგო. გამაღობ!

ვასკოვი. საათ-ნახევარი კიდევ უნდა ვაბაგუნოთ ფეხები. ახლა გათბობაც მოგიხდებათ. აბა, მომყევით სირბილით! (გარბიან. ისმის სიმღერა. „ტო ნე ტუჩი, გროზოვიე ოლა-კა...“) უფრო სწრაფად! უფრო სწრაფად, რომ მიწამ ზანზარი დაიწყოს, თბილი ქარი ამოუშვას და გავიშროთ არა მარტო კაბები, სხვა რამე-რუმეც. (ისევ გარბიან და კვლავ ისმის სიმღერა.)

ჟენია. სიწყნარეა. თითქოს დედამიწას სძინავს და ლამაზ სიზმარს ხედავსო.

ვასკოვი. აქ სადღაც განდგეილი ცხოვრობდა, ლეგონტს ეძახდნენ. სიჩუმეს და სიმყუდროვეს ეძებდა თურმე.

სონია. მყუდროება და სიჩუმე იმდენი უნდა, აქ რომ არის.

ვასკოვი (პოზიციას ირჩევს). ამ უბანში თუ განვლაგდებით, ძალიან მოხერხებული პოზიცია გვექნება. ჩემი ვარაუდით, გერმანელები აქ ოთხიოდე საათში გვეწვივიან.

ლიზა. ამხანაგო ზემდეგო, ნება გვიბოძეთ, მანამდე წავიმზარეულეთ.

ვასკოვი. გაძლევთ ნებას. ოღონდ ცეცხლი უკვამლოდ უნდა დაანთოთ. თუ კვამლი შევამჩნიე, ავიღებ იმ თქვენს კარდალებს და შეჭამანდს უმაღვე ცეცხლზე დავაპირქვავებ. გარკვევით თუ ვერა?

ლიზა. გასაგებია ყოველნაირად.

ვასკოვი. არა, ამხანაგო მებრძოლო, ვერ ვხედავ მე თქვენს გარკვეულობას. გარკვეული იქნებით, როცა ნაჯახს მომთხოვთ ზეხმელი ხის მოსაჭრელად. ისეთი წამოაქციეთ, ჯერ ხავსი რომ არ მოჰკიდებია. აი, ნაჯახს რომ შემოჰკრავთ, სულ წკრიალი დაიწყოს. ასეთი ხე კვამლს არ აუშვებს, სამაგიეროდ, მთლიანად დანაკვერცხლდება. (სონია კარდალითურთ ვასკოვის ფართან მივა, ცენტრში. შეექცევიან.) რატომ უკაკუნებ კოვზს ტყუილად, ამხანაგო მთარგმნელო? მე რა, შენი აღუა ბავშვი ვარ, თვითონ რომ არ ჭამ და უკეთეს ნაჭრებს ჩემკენ ალაგებ? პირიქით უნდა მოვიქცეთ, აბა, ჯარისკაცურად მოუქნიე ღრანჭი, ხვავრიელად ჭამე, ბარაქიანი ლუკმებით, როგორც ნამდვილ მებრძოლს სჩვევია.

სო ნ ი ა. მე ყოველთვის ბარაქიანად ვჭამ.
ვასკო ვ ი. გეტყობა. გასაფხულის ჭიკყავივით ხარ ჩა-
მომხმარი.

სო ნ ი ა. ასეთი აგებულება მაქვს.

ვასკო ვ ი. აგებულება? აბა, ერთი ბრიჩინას შეხედე!
განა ისეთივე აგებულების არაა, როგორც ჩვენ, ყველანი? მაგ-
რამ რა ფერხორციანია, რა საამოა საცქერლად! მებრძოლო
ბრიჩინა! (ლიზა საფარიდან გამოვიდა.) ერთი შენს გახა-
რებას, ჩაი მოგვიდუღე. ა, გზაზე წითელი მოცვის ფოთლები
მივაგროვე.

ლიზა. უარს როგორ გეტყვით. ძალიან მიყვარს ჩაის
მოდულება.

ვასკო ვ ი. მარტო ჩაის მოდულება? (თვალი გააყოლა.
თავისთვის.) კარგი ვინმეა. ვერ გავარჩევ, მხრები უფრო ფარ-
თო აქვს თუ... ქვედა ნაწილი. სახნავ-სათესი მინდორივითაა,
მაგარი და ჯანიანი. (სონიას) რიგიან-პირიანად დანაყრდი,
მებრძოლო გურვიჩი! ნიჩაბივით ამოსდე ხოლმე კოვზი! ჯარის-
კაცურად იპურმარილე! ჰო, ასე. ახლა კი ისმინეთ საბრძოლო
ბრძანება: (გოგოები უმალვე წამოიმართნენ.) მოწინააღმდეგე,
რომლის ძალას შეადგენს კბილებამდე შეიარაღებული ორი
ფრიცი, შემოიჭრა ვიპის ტბის რაიონში. მისი მიზანია, იდუ-
მლად გაძვრეს კიროვის რკინიგზაზე და ამხანაგ სტალინის სა-
ხელობის თეთრზღვა-ბალტიის არხზე. ჩვენს ექვსკაციან რაზმს
დაევალა დაიკავოს თავდაცვის ხაზი სინიუხინის მთაგრეხილ-
ზე და ორივე ფრიცი დაატყვეოს. მარცხნივ, ჩვენს მეზობლა-
დაა ვიპის ტბა, მარჯვნივ — ლეგონტის ტბა. მე გადავწყვი-
ტე მტრებს ძირითად პოზიციაზე დავხვდეთ და ცეცხლის გაუხს-
ნელად შევთავაზო: ტყვედ ჩაგვბარდით-მეთქი. თუ წინააღმ-
დეგობას გაგვიწვევენ, ერთი მივასიკვდილოთ, მეორე კი, რა-
დაც არ უნდა დაგვიჯდეს, ცოცხლად ჩავიგდოთ ხელში. მთე-
ლი ჩვენი ქონება სათადარიგო პოზიციაზე დავტოვოთ და
მებრძოლი ჩეტვერტაკი დავუყენოთ დარაჯად. საბრძოლო მო-
ქმედებაში ერთად ჩაებმება მთელი რაზმი. საბრძოლო ოპერა-
ციის დამთავრებამდე ჩემს მოადგილედ ვინჩნავ უმცროს სერ-
ჟანტ ოსიანინას. ხოლო თუ იგი მწყობრიდან გამოვა, ოსიანი-
ნას ადგილს დაიტყვოს მებრძოლი გურვიჩი. შეკითხვები გაქვთ?

გალინა. მე თადარიგში რატომ გადამისროლეთ?

ვასკო ვ ი. ეგ არაარსებითი შეკითხვაა, ამხანაგო მებრ-
ძოლო. გიბრძანეს, შეასრულე.

რიტა. შენ ჩვენი რეზერვი ხარ, გალკა... მარაგი.

ჟენია. შეკითხვები აღარაა, ყველაფერი გარკვეულია.

ვასკო ვ ი. ჰოდა, თუ გარკვეულია, გთხოვთ პოზიციაზე.
(ყველა გაუჩინარდა). თავგებივით ჩაწეკით და გაისუსეთ. პი-
რველი მე შევეხმიანები.

სო ნ ი ა (თავს წამოყოფს). გერმანულად?

ვასკო ვ ი. რუსულად. თუ ვერ გაიგებენ, მერე შენ უთ-
არგმნი. გაგარკვევით თუ ვერა? თუ ბრძოლის დროსაც ასე აყინ-
ჩავთ თავს და გამოიშტიმებით ხოლმე, იცოდეთ, ახლომახლო
ლაზარეთი არსადაა, არც დედიკოა. გერმანელებთან მებრძო-
ლება შორიდან სჯობია. ვიდრე თქვენ სამღარიანი სროლას
მოახერხებთ, მტერი ავტომატით დაგცხრილავთ. ამიტომ კა-
ტეგორიულად გიბრძანებთ შეუხმნევილად წოლას. ვიდრე მე
არ დავიძახებ: „ცეცხლი-მეთქი!“, განაბულები იქნებით. თო-
რემ სულაც არ მივიღებ მხედველობაში, ქალები რომ ხართ
და... (ხელი ჩაიქნია.) კმარა. ინსტრუქტაჟს მოვრჩით. (ვას-
კოვი ცენტრალურ ფართან წასთვლემს.)

რიტა. ფედოტე ევგრაფინ.

ვასკო ვ ი. გერმანელები...

რიტა. სად?

ვასკო ვ ი. უჰ, ალქაჯის კერძები! მომელანდნენ!

რიტა. ცოტა წაიძინეთ, ფედოტე ევგრაფინ. ახლავე მო-
გიტანთ ფარაჯას.

ვასკო ვ ი. არა, არა ოსიანინა. დალილს ცოტა ჩამოე-
ლიმა. ერთს მოეწვევ და გამოფხვნილდები. (მივიდა კომეღ-
კოვას ფართან. ჟენია დგას და თმას ივარცხნის.) შედებილი
გაქვს, ხომ?

ჟენია. არა, არ ვიღებავ, ასეთი ფერისა მაქვს. ძალიან
ვარ გაჩეჩილი, არა?

ვასკო ვ ი. იიჰ, რა უშავს, ვინ გიყურებს აქ...

ჟენია. არ გეგონოთ, რომ მე... იქ ჩემს მაგივრადაც ლი-
ზა ბრიჩინა ზეერავს... ჩემზე უფრო უჭრის თვალი.

ვასკო ვ ი. კეთილი, კეთილი, მოისაქმიანე. (თუთუნს
შეახვევს.) დალაზვროს ალქაჯმა, ისევ ეს სიტყვა წამომიხტა
ენაზე: მოისაქმიანე-მეთქი. გოგოსთვის ასე არ უნდა მეთქვა,
მაგრამ რა ვქნა? ეს სიტყვა წესდებაში ასე სწერია, მეც გულ-
ზე სამუდამოდ დამეებჭადა და... ვეღარაფრით ვცვლი. დათვი
ხარ, ვასკოვ, უღრანი ტყის დათვი.



ქენია. ამხანაგო ზემდეგო, ცოლიანი ხართ თუ?..
ვასკოვი. კი, ცოლნათხოვი ვარ, მებრძოლო კომუნ-
კოვა.

ქენია. მერე, სად არის ის თქვენი ცოლი?

ვასკოვი. სად უნდა იყოს? შინაა.

ქენია. შვილები გყავთ?

ვასკოვი. შვილები?(ოხრავს) მყავდა ბიჭუნა.

ქენია. აღარ გყავს? (ვასკოვი თავს გადააქნევს.) მო-
გიკვდა?

ვასკოვი. ზედ ომის წინ.

ქენია. რამ მოკლა?

ვასკოვი. ეჰ!.. დედამ ვერ მოუარა და... (მუსიკალური
აქცენტი. ვასკოვი ოსიანიანასთან მიდის.) შენთან რა ამბებია,
ოსიანიანი?

რიტა. ახალი არაფერი, ამხანაგო ზემდეგო.

ვასკოვი. თვალთვალი და ისევ თვალთვალი (მუსიკა-
ლური აქცენტი. მიდის გურვირთან.)

სონია (კითხულობს წიგნს).

„ჩვენს მშობელ იმ ურუ წლებს და შავ გზებს, ვერანს,
ჯიუტად გვაფიწებებს შიში და ელდა,
მინც ვერ ვიფიწებთ იმ დრო-ჟამს, ვერა,
ჩვენ, შვილნი რუსეთის საშინელ წელთა.
იმ წლების ხანძართა შემოგვრჩა ფერფლი,
რადაც უაზრობა თუ რადაც იმედი,
დღე თავისუფლების თუ ომის ცრემლი
გვიკრთის სახეებზე სისხლიან სხივებით.“

ვასკოვი. ოჰო?! ვის უკითხავ?!
სონია. არავის. ისე, ჩემთვის.

ვასკოვი. კი, მაგრამ... შენს თავს უკითხავ ასე ხმამალ-
ლა?

სონია. ეს ხომ ლექსია?!

ვასკოვი. ჰოო... (გამოართვა წიგნი.) რა თხელია?

ხელყუმბარის ტყორცნის დებულებასავითაა... თანაც წვრილი
ასოებით დაბეჭდილი... თვალებს გაიფუჭებ.

სონია. ჯერ არ ბნელა, ამხანაგო ზემდეგო.

ვასკოვი. ეს ისე, სხვათა შორის. ქვებზე წოლას კი ნამ-
დვილად მოერიდე. ქვა მალე ცვიდება. მერე ისე გამოგწოვს
სითბოს, ვერც გაიგებ. აი, ფარაჯა დაიფინე.

სონია. კეთილი, ამხანაგო ზემდეგო.. გმადლობ.

ვასკოვი. ისე, ხმამალა კითხვასაც მოერიდე. საღამო-
თბით აქაური ჰაერი ნოტიოვდება და იბლანტება... აი, გან-
თიადი კი აქ წყნარი იცის. ამიტომ პატარა ჩქამიც კი ხუთი-
ოდე კილომეტრზე ისმის. წიგნში ყურება კარგია, მაგრამ არე-
მარესაც ნუ მოაკლებ თვალს, მებრძოლო გურვირ. (მიდის
ბრიჩინასთან.) გონიერი და ფხიანი გოგოა, ცხოვრების გა-
მოცდილებაც არ აკლია. ბრიჩინა, სადაური ხარ?

ლიზა. ბრიანსკის მხარიდან გახლავართ, ამხანაგო ზემ-
დეგო.

ვასკოვი. კოლმეურნეობაში მუშაობდი?

ლიზა. ვმუშაობდი. უფრო კი მეტყევე მამას ვეხმარე-
ბოდი. ჩვენთვის საგანგებოდ ამენებულ სახლში ვცხოვრობ-
დით, კორდონზე, ტყეში.

ვასკოვი. ამიტომ კრიახებ ასე კარგად გარეული ის-
ვივით. არაფერი შეგიმჩნევია?

ლიზა. ჯერჯერობით სიწყნარა.

ვასკოვი. (წაუმღერებს).

„ლიზა, ლიზა, ლიზავეტა,
რად არ მითვლი სალამს ნეტავ?
ბედმა რატომ გამიმეტა?
რად დამტოვა ასე კენტად?...“

ასე მღერიან ხოლმე ჩვენში.

ლიზა. ჩვენში კი... სხვანაირად. (წაუმღერებს.)

„ლიზა, ლიზა, ლიზავეტა,
რად მიუვარხარ ასე ნეტავ?...“

სცენა მოზარდ მაყურებელთა ქა-
რთული თეატრის სპექტაკლიდან
„განთიადი კი აქ წყნარი იცის“.



სცენა ბათუმის ი. ჭავჭავაძის სა-
ხელობის თეატრის სპექტაკლიდან
„განთიადი კი აქ წყნარი იცის“

ვასკოვი. (შეაჩერებს). მერე ერთად ვიმღერებთ მე და შენ, ლიზავეტა. აი, შევასრულებთ საბრძოლო დავალებას და ისე შეხმატკბილებულად ავგალობდებით...

ლიზა. აბა, დაიფიცე!

ვასკოვი. მე რაკი ვთქვი, უკვე ფიცია. (ქუდი შეისწორა, წავიდა.)

ლიზა. ამხანაგო ზემდეგო, იცოდეთ, თქვენს დაფიცებულ სიტყვას არ უღალატოთ, თორემ... ერთი როგორმე შენი თავი შემატყუებინა ტყეში და მერე ვნახავთ, ვინ აჯობებს, მე თუ ის შენი შემხიზნებელი მარია. (ვასკოვი ჩეტვერტაკს მიუახლოვდება. გალინა ფართან ზის დაბამბულ ქურთუკში შემაღული.)

ვასკოვი. ბედურასავით მობუზულხარ, ამხანაგო მეომარო.

გალინა. ცივა. (ვასკოვმა ხელის მოკიდება დაუპირა. გალინამ ცივად მოიშორა მისი ხელი და შემცბარმა უკან დაიხია.)

ვასკოვი. ეს რა სისულელე გაიფიქრე? მე აქ შენს მოსატაცებლად კი არ მოვსულვარ?! ღმერთო ჩემო, რამ დაგაფრთხო? შუბლი მაჩვენე, შუბლი. ჰო, სიცხე გაქვს, ამხანაგო მეომარო. ვერ გრძნობ? (მათარას ამოიღებს, ხუფს მოხსნის.) ასე დაღვევ თუ წყლით გაგიზავო?

გალინა. რა არის?

ვასკოვი. მიქსტურა, მაშასადამე წამალი. სპირტია, სპირტი! სუნმა მაინც არ შეგიღიჭინა ცხვირში?

გალინა. აჰ, არა, არა! მე და სპირტი? არადა, არა!

ვასკოვი. გიბრძანებ, დალიე! კრინტის დაუძრავად!

გალინა. ბოლოს და ბოლოს, რას გადამეკიდეთ? ყველაფერი ბრძანებით ხომ არ შეიძლება?! მე ექიმი დედა მყავს. სპირტი მავნებელიაო, გამიგია.

ვასკოვი. დედაშენი არ ვიცე მე. აქ არაა დედაშენი. ახლა აქ არიან გერმანელები, არის ომი და ვარ მე... დედაშენი კი არსადაა. აი, ვინც ომს გადაურჩება, დედა იმას ეყოლება და მოუვლის.

გალინა (დაღვეს. უმაღლე ხველება აუტყდება). ვაი, დედა!.. აი, თავი... რაღაცნაირად დამიტრიალდა, თითქოს სადღაც ციბრუტივით გამირბისო...

ვასკოვი. ნუ გეშინია, ხვალ დაეწევი. (თავის ქურთუკს დააფარებს.)

გალინა. უქურთუკოდ არ შეგცივდება?

ვასკოვი. ჩემი ნუ გედარდება, ცხენივით ჯანმრთელი ვარ. შენ კი უნდა გამოჯანმრთელდე... ძალიან გეხვეწები, გთხოვ, გემუდარები: გამოკეთდი! (რიტასთან დაბრუნდა, თავის პოზიციაზე.)

რიტა. იქნებ ტყუილად ვყურყუტებთ აქ, ჰა?

ვასკოვი. შესაძლოა. თუ ჯირკები ფრიცებად მოგვლანდა, რა თქმა უნდა...

რიტა. ცოტა მაინც წაიძინეთ, ამხანაგო ზემდეგო. განათიადზე გაგაღვიძებთ.

ვასკოვი. რა დროს ჩემი ძილია, ოსიანინა?! გერმანელები თუ ხელიდან გაგვისხლტნენ, ჩვენები მარადიულ ძილს მომისჯიან, კი.

რიტა. ფედოტე ევგრაფიჩ, იქნებ ახლა იმ წყეულებს სძინავთ? ჩვენ კი...

ვასკოვი. სძინავთ?

რიტა. ისინი ადამიანები არ არიან თუ?! თვითონ არ

გვითხარით, სინიუხინის მთაგრეხილი ერთადერთი ხელსაყრელი გზაა რკინიგზისკენ? იქამდე კი, ჰაუ, რამდენია სასიარულო!...

ვასკოვი. მოიცა, მოიცა, ოსიანინა! ორმოცდაათ კილომეტრზე ნაკლები ნამდვილად არ იქნება, მეტი—კი. ისიც უცხო მიწა-წყალზე, როცა ყოველი ბუჩქი გაფრთხოვს, ჰა? მიხვდი, ხომ? ჰოდა, მართლაც შესაძლოა, სადმე თავისუფლად წაკოტრიალდნენ და დაიძინეს... მზის ამოსვლამდე არც გაიღვიძებენ.

რიტა. ჰოდა, თქვენც დაისვენეთ მზის ამოსვლამდე. მე გაგაღვიძებო.

ვასკოვი. ეჰ, ახლა მე რა დამაძინებს, ამხანაგო ოსიანინა, მარგარიტა... რა ჰქვია მამაშენს?

რიტა. მხოლოდ რიტა დამაძინებთ, ფედოტე ევგრაფიჩ.

ვასკოვი. ხომ არ გაგვებოლებინა, ამხანაგო რიტა?

რიტა. არ ვეწევი.

ვასკოვი. ჰო, ის, ვარაუდი, რომ ისინიც ადამიანები არიან, როგორღაც ვერ გავითვალისწინე. შენ სწორედ რომ დროულად შემახსენე — ისინი უეჭველად წაუძინებდნენ. შენც წადი და დაისვენე, რიტა. წადი.

რიტა. არც მე მეძინება.

ვასკოვი. წამოწევი მაინც, ფეხები დაასვენე. ალბათ, სულ გიბუუსი, ბევრ სიარულს მიუჩვეველი რომ ხარ.

რიტა. პირიქით. ეგ ჩვეულება არ მაკლია...

ვასკოვი. ჩუმად! (მიაყურადებს.) გესმის?

რიტა. (ჩურჩულით.) ჩიტები აფრთხილდნენ და აჭიკჭიკდნენ?

ვასკოვი. თეთრგვერდა კაჭკაჭები შეშფოთებით ჩხავიან. მაშასადამე, ვიღაც მოდის. რაღა ვიღაც — სტუმრები. აბა, ოსიანინა, დაოთხდი და მებრძოლები წამოშალე! სწრაფად, მაგრამ შეუმჩნევლად, ჩიტმაც რომ ვერ გაიღვიძოს.

რიტა. (ფარს ამოფარებული ითვლის). ერთი, ორი... სამი, ოთხი...

სონია. სამი, ოთხი, ხუთი...

ლიზა. ექვსი, შვიდი...

გალინა. რვა, ცხრა, ათი, თერთმეტი, თორმეტი...

ჟენია. ცამეტი, თოთხმეტი, თხუთმეტი, თექვსმეტი... (გოგონები ფარებს მიღმა მიიმალებიან. მუსიკალური აქცენტით. საფარებიდან გამოვლენ გერმანელები და უმაღლე მიიმალებიან. ფარები „სანგრებად“ ლაგდება.)

სონია. თექვსმეტნი არიან, ამხანაგო ზემდეგო.

ვასკოვი. ჯერჯერობით ფორთხვით მოგვიწევს სიარული. ბრიჩინას მიხმეთ. ფორთხვით, ამხანაგო მთარგმნელო, ფორთხვით!..

ლიზა. (მოფორთხდა). ამხანაგო ზემდეგო! ამხანაგო ზემდეგო!

ვასკოვი. ნუ ხვნიში, გამხიარულდი, ბრიჩინა. თექვსმეტნი რომ არიან, ეს უკეთესიცაა, გესმის? უკან დასაბრუნებელი გზა კარგად გახსოვს?

ლიზა. ჰო.

ვასკოვი. მადროვე, ლიზავეტა, ნუ აცუნდრუკდები. მთავარია ჭაობის გატოპვა, გესმის? პირველ ორიენტირად არყის ხე მოინიშნე, არყის ხიდან — პატარა კუნძულზე მდგარი ორი ფიჭვი.

ლიზა. ჰო.

ვასკოვი. იქ სული მოითქვი, შეისვენე, მაშინვე წუ
შეებმები ჭაობს. ფიჭვიდან გეზი დამწვარი კუნძისკენ დაი-
ჭირე... ჩინებულად ჩანს, გასოსვს?

ლიზა. ჰო.

ვასკოვი. კირიანოვას მოახსენებ მდგომარეობას. ჩვენ
აქ ფრიცებს ცოტა შევაჯანჯღარებთ და გზა-კვლასაც ავუბ-
ნევთ. მაგრამ, მოგესხენებათ, დიდხანს კი ვერ გაუძლებთ.

ლიზა. ჰო.

ვასკოვი. შაშხანა, აბგა, ფარაჯა და აღჭურვილობა—
ყველაფერი აქ დატოვე. მჩატედ გაუტეე. ჭაობთან საბჯენი
ჯოხი არ დაგავიწყდეს, ფინი.

ლიზა. ჰო, გაეციე...

ვასკოვი. გაუტეე, ლიზავეტა მამაშენოვნა, გაუტეე.
ეჰჰ!.. ახლა მარტო იმის მეშინია, ჩემი გოგოები დაბნეულო-
ბას არ მიმიხვდნენ რაღაცნაირად. (თითოეულ გოგოს
ფორთხვით მიუტანს პურს და მსუქან ლორს.) მაშასადამე,
თქვენსმეტნი არიან. თქვენსმეტი ავტომატი — ეს უკვე დიდი
ძალაა, პირისპირ ვერ შეაჩერებ. ბრიჩკინამ შინ თავის დრო-
ზეც რომ მიაღწიოს, მშველელი დაღამებამდე მაინც ვერ მო-
გვისწრებს. ხოლო თუ ბრძოლაში ახლავე ჩაებმებით, დაღა-
მებამდე ჩვენ ვერ გაუძლებთ.

რიტა. აბა, დაწვევით და არხეინად ვუყუროთ, ცხვირწინ
როგორ გაგვივლიან?

ვასკოვი. არა. მთაგრეხილზე მათი გადაშვება ყოვლად
შუუძლებელია. რამენაირად გზა-კვალი უნდა ავუბნოთ. ფრი-
ცები აქ საბრძოლველად არ შემომძვრალან. ტყის ტყვრში მი-
იბარებიან ქურდულად. მაშასადამე, საჭიროა, გერმანელებმა
ჩვენ აშკარად დაგვინახონ, ჩვენ კი ვითომ ისინი არც შეგ-
ვიმჩინევა. მაგრამ რა ვაჩვენო იმ ოხრებს? ოთხი გოგო და
პირადად ჩემი თავი? ვთქვათ, ერთხანს შეყოვნდნენ... მერე,
დაზვერვას რომ გამოგზავნიან და გაიგებენ, ხუთზე მეტი რომ
არა ვართ? მაშინ რაღა ვქნათ? ალყაში მოგვაქცევენ და ისე
დაგვფატრავენ დანებით, თითო ტყვიის გასროლასაც ვერ
მოვასწრებთ... ჰო, თუ სხვა არაფერი ვიღონეთ, ასე იქნება.
მოემზადეთ!... (წვერს იპარსავს.) ერთობ ცუდ დღეში ვართ,
გოგოებო.

რიტა. ამხანაგო ზემდეგო, ვთქვათ, ისინი ტყისმჭრე-
ლებს რომ გადააპროდნენ?..

ვასკოვი. ვინ ტყისმჭრელებს? ომია, ძვირფასო, ტყეე-
ბი ცარიელია.

რიტა. წარმოვიდგინოთ, რომ არიან აქ ტყისმჭრელები.
ისინი ხომ ცალცალკე ბრიგადებად მუშაობენ ხოლმე და, თუ
ბიჭი ხარ, ამ უღრანში ეძებენ ისინი. ჰოდა, არც გერმანელები
დაუწყებენ ძებნას.

გალინა. მართალია, არაფრის გულისთვის არ დაუწ-
ყებენ ძებნას.

ჟენია. არავინ იცის, რამდენი კაცი ჭრის ტყეს, ვინ სა-
დაა, ან — ერთმანეთთან რა კავშირი აქვთ.

სონია. ჰოდა, შეგვიძლია, ჩვენ ტყისმჭრელებად მოვა-
ჩვენოთ თავი.

ვასკოვი. თქვენ ჩემი გოგოები კი არა, არწივები ხართ.
მიგიხვდით, ყველაფერს მიგიხვდით. ტყის შუაგულში მებრ-
ძოლები ჩეტვერტაკი და გურვიჩი დიდკვამლიან კოცონებს
აავიზივებენ. ჩვენ ავხმურდებით: მოვრთავთ ყვირილს,
ჯღავილს, კვიილს ისე, რომ ტყე აზანზარდეს. ტანზე არაფე-
რი შეირჩინოთ, რაც თქვენს ჯარისკაცობას გამოამჟღავნებს

ოსიანინა, შენ ტყეში აქეთ-იქით ირბენ, როგორც ლანდი,
და აქაურობას ხმაურით აიკლებ. მე და კომელკოვა მარცხენა
უბანს დავიპყრობთ, სადაც ყველაზე ადვილი და მათთვის
ხელსაყრელი გადმოსასვლელია. თუ ფრიცები მდინარეზე
გადმოსვლას დააპირებენ, წყალში სამოდეს ჩაძალდება არ
გამიჭირდება. ამასობაში თქვენ აქაურობას გაეცლებით.

სონია. მოდიან, ამხანაგო ზემდეგო.

ვასკოვი. ადგილებზე! ტყეში ისე ირბინეთ, რომ მტერ-
მა მხოლოდ აქა-იქ მოგვრათ თვალი, ერთ ლანდზე. თან მთე-
ლი ხმით იღრიალეთ. (ყვირის) აბა, დასცხეთ, გოგოებო!
ცოცხლად! მარჯვედ! ააზანზარეთ მთა-ბარი! ე, ჰე, ჰე! დაე,
გაიგონონ! გაიგონონ! (მუსიკალური აქცენტი. „ტყედ“ ქვე-
ული ფარები ირხევა. გოგოები ვითომ ხერხით ჭრიან ხეებს,
თან გაჰყვირიან. მერე სიჩუმე ჩამოწვება.)

ჟენია. იქნებ გაბრუნდნენ?

ვასკოვი. გამადიდებელი შუშები კი არ მიდგას თვა-
ლებში... (უცებ) უუჰ, უხსენებლები!.. ორი მოდის... ეს დაზ-
ვერვაა. ყველაფერი წყალში ჩაგვეყარა. (ნაგანი მოიმარჯვა.)
ჰე, კომელკოვა, გოგოებთან გაჰკურცხლე! გადაეცი, უკან დაი-
ხიონ! (ჟენია ვასკოვსა და ფარს მიღმა დადგება და ბრაზიანად
იხდის გიმნასტურას. დაინახა ვასკოვმა.) შეჩერდი! შე-
ჩერდი!

ჟენია (ყვირის). რაია! ვერა! დაისვენეთ! წამოდით, ვი-
ბანაოთ! (საფარიდან გამოვა და მღერის: „რასცვეტალი იაბ-
ლონი ი გრუში...“) გოგოებო, რატომ არ ბანაობთ! ივანესაც
დაუძახეთ! დაე, გაგრილდეს! ჰეი, ვანიჩკა, სადა ხარ? (მღე-
რის. ფარების წინ ხან მომღერალი ჟენია ჩნდება, ხანაც გერ-
მანელები მიმოდინ.)

ვასკოვი. ე, ჰე, ჰე! მოვდივარ! მოვდივარ! ახლავე
მოვალთ, ახლავე! დაგვიცადე, დაგვიცადე! ჰე, სადა ხარ? ქა-
ლაქიდან შეგვატყობინეს, მანქანები მალე თქვენთან გაჩნდე-
ბიანო. გეყოფა მზეზე გაფიცება!.. კომელკოვა, მოშორდი
აქაურობას, აღარ შემიძლია! ყოველ წუთში მგონია, გესვრი-
ან და მოგკლავენ. გეხვეწები, გაიქციე აქედან, გაიქციე! შენი
ნებით არ გაიქციევი და... აი, შიშველს დაგტოვებ და გამოგა-
ჭენებ ხალხში. (აიტაცა მისი ტანსაცმელი.) აბა, დამეწიე!
ახლა ჩაიცივი და მოეშვი ცეცხლთან თამაშს, მოეშვი!

სონია. გაბრუნდნენ... უკან გაბრუნდნენ ფრიცები. ღურ-
ბინდით დავინახე...

რიტა. (ხმაჩახლეჩილი). იცით, სონია გურვიჩის კაბა გა-
მოეწვა.

ჟენია. შენ რაღა მოგივიდა, რიტა? ასე რამ ჩაგისლიჩა
ხმა?

გალინა. ოჰ, ჟენია, ჟენკა, რა მარჯვედ გააცურე ფრი-
ცები?!

ვასკოვი. ესეც ასე. გადავრჩით, გოგოებო, გადავრჩით!
ისინი უკვე ვეღარსად წაგვივლენ, თუ, მაშასადამე, ბრიჩკინა
ჩვენს ამბავს დროულად მიიტანს.

რიტა (ხმაჩახლეჩილი). მიიტანს... მარდი გოგოა, ქა-
რივით მარდი.

ვასკოვი. ჰოდა, მოდით, ცოტ-ცოტა გადავკრათ.
ბრიჩკინას მარდი ფეხებისა და თქვენი ნათელი გონების სად-

დგერძელო იყოს, გოგოებო! (მუსიკალური აქცენტი. ფარები „ჭაობად“ იქცა. ლიზა ჭაობში მიაბოტებს. აი, გადაუტყდა ფინი და ლიზამ შეჰყვირა: „მიშველეთ!“ სინათლემ მარჯვნივ გადაინაცვლა. აქ არიან გოგოები და ვასკოვი.) თითქოს ვი-
ლაცამ დაგვიძახაო?!

სონია. რა უცარი სიწყნარე ჩამოდგა?! (მუსიკის ხმა-
ში ლიზას შეძახილი იჭრება: „მიშველეთ! მიშველეთ! მიშვე-
ლეთ!“ ამას მოსდევს გარმონის ხმა და ლიზას მოგონებანი).

ლიზა. მთელი სიცოცხლე ბედნიერებას ველოდი.

ლიზას მამა. ეჰ, შვილო, გვიკვდება დედაშენი...

ლიზა. მე მაინც ბედნიერებას ველოდი... ველოდი... ჩემმა
დობილებმა რა ხანია სკოლა დაამთავრეს, ზოგი უმაღლესში
შევიდა, ზოგი გათხოვდა. მე კი კვლავ ავადმყოფ დედას და
ოჯახს ვუვლიდი. სადილს ვხარშავდი, ვრეცხავდი, ვხეხავდი
და კვლავინდებურად სამზარეულოში ვტრიალებდი, თან ყო-
ველ მომავალ დღეს სასობით ველოდი: ბედნიერებას მომი-
ტანს-მეთქი.

მამა (შემოიყვანს მონადირე ვაჟკაცს). ეს სანადიროდ
ჩამოვიდა ქალაქიდან, შევბულებას ჩვენთან გაატარებს. მაგ-
რამ მომაკვდავი დედაშენი გვიწევს აგერ და... სტუმარი სად-
ღა დავაძინოთ? ქოხში? თივაზე?

ლიზა. მე მაინც ველოდი, მაინც სულ ველოდი.

მამა (მონადირეს). მოიცა, მადროვე, გეთაყვა. ესე იგი,
ცხოვრება ტყესა ჰგავს და გამოსზირვა-გაწმენდა სჭირდება
ხოლმე, არა? მაცალე. ეს ზეხმელიო, ეს ფულუროიანიო, არა?

მონადირე. დიახ, გასუფთავება-გაწმენდა უნდა ხოლ-
მე, როგორც ყანას სჭირდება სარეველასგან გამარგვლა.

მამა. ტყის გამოსზირვა-გასუფთავება ჩვენთვის, მეტყე-
ვეთათვის, გასაგებია, მაგრამ როცა ეს ეხება ცხოვრებას?!
ვთქვათ, თუ ცოცხალი არსება, თბილისისხლიანი, დარბის და
ხმასაც იღებს, მაშინ?..

მონადირე. მაგალითად, მგელი?

მამა. მგელი? თუნდაც მგელი, შენ რას გიშლის? თუ
გიშლის, რითი?

მონადირე. (იღიმება). კბილები აქვს.

მამა. მერედა, რატომაა იგი დამნაშავე? რაკი მგლად
დაიბადა? ესაა მისი დანაშაული? არა, გეთაყვა, ეს ჩვენ მოვ-
ნათლეთ დამნაშავედ. ისე მოვნათლეთ დამნაშავედ, თვითონ
იმას არც არაფერი ვკითხეთ. პატიოსნებაა ეს?

მონადირე. იცით, რას გეტყვით? მგელი სხვაა, პატი-
ოსნება — სხვა. ეს ორი რამ ერთ მცნებაში შეუთავსებელია.

მამა. შეუთავსებელია?.. აი, მგელი და კურდღელიც შეუ-
თავსებელია? მაცალე, გეთაყვა!.. აი, შენებურად გავარიგოთ.
ნაბრძანები გვაქვს, მგლები მოსახლეობის მტრებად მივიჩნი-
ოთ. ჰო, შენებურად გავარიგოთ-მეთქი. ჰოდა, ვთქვათ, ერთ
მშვენიერ დღეს, აღსდგა მთელი ხალხი და მთელ ქვეყანაში
მგლის სახსენებელი გაწყვიტა, მთელ ქვეყანაში. რა მოხდება?

მონადირე. (იღიმება). ტყეში სხვა ნადირი ბლომად
გვეყოლება, ესე იგი, სხვა ნადირი გავვიმრავლებთ.

მამა. პირიქით, შეგვიმცირდება, შეგვიმცირდება, გეს-
მის? ნადირმა უნდა ირბინოს, რომ გაძლიერდეს, არ მოიმი-
ვაროს. ხოლო რომ ირბინოს, უნდა ეშინოდეს, უნდა უფრო-
ხოდეს: თუ არ გავიქვევი, შემიჭამენო. შენ გინდა ცხოვრებაში
ყველა ერთმანეთს ჰგავდეს, ყველა ერთნაირი თარგისა იყოს?
მხოლოდ ერთფეროვნება გამეფდეს? მერედა, რისთვის? სიმ-
შვიდისა და ნებივრობისთვის? რას მოიტანს ეს? უმგლებოდ

კურდღლები გასუქდებიან, გაზარმაცდებიან, გაუსაქმურდები-
ან და აღარ გამრავლდებიან. ჰოდა, რა ვქნათ? შიშის აღსა-
ზევებლად ჩვენი მგლები მოვაშენოთ ისევე თუ საზღვარგარე-
თიდან შევისყიდოთ?

მონადირე. შენ, შემთხვევით, თავის დროზე ხომ არ
გაგაკულაკვს?

მამა. რა მქონდა გასაკულაკებელი? ამ ორი მუშტის,
ცოლისა და ქალიშვილის მეტი არაფერი მებადა. ჩემი გან-
კულაკება იმათ რა ხელს მისცემდა?

მონადირე. იმათ?!

მამა. ვთქვათ, ჩვენებს... მე მგელი არ გახლავართ, გე-
თაყვა, კურდღელი ვარ.

მონადირე. ერთობ მოურიდებელ-მოუფრთხილებელი
მამა გყავს, ლიზა.

ლიზა. მამაჩემი წითელი პარტიზანია.

მონადირე. ვიცით.

ლიზა. ყოველ ალიონზე სტუმარი სადღაც იკარგებოდა
და შინ მხოლოდ საღამოზე ბრუნდებოდა, მშვიდი და დაღ-
ლილი. (მონადირეს.) რა მოგდით? ნადირობიდან მუდამ ხელ-
ცარიელი რატომ ბრუნდებით?

მონადირე. ბედი არ მწყალობს.

ლიზა. მხოლოდ ხორცი ჩამოყარეთ. ესაა თქვენი დასვენ-
ება?

მონადირე. დიახ. ესაა საუკეთესო დასვენება. სამწუ-
ხაროდ, ჟამი დასვენებისა დამიმთავრდა. ხვალ მივემგზავ-
რები.

ლიზა. ხვალ?

მონადირე. ჰო, განთიადზე. აი, რამდენი ვინადირე
და ერთიც ვერაფერი მოვინადირე. სასაცილოა, არა?

ლიზა. ეჰ, სასაცილოა. ცუდად გიგიათ ლოგინი, გაგის-
წორებთ.

მონადირე. იყოს ასე. რაღას უდგახარ, წადი, დაი-
ძინე... (პაუზა.) მოგეწყინა მარტოდმარტო?

ლიზა. მომეწყინა... მომეწყინა მარტოდმარტო. გაგის-
წორებთ ლოგინს!..

მონადირე. წადი. სისულელე არ უნდა ჩაიდინო თუნ-
დაც მოწყენილობით შეწუხებულმა. წადი, დაიძინე. (ამთქან-
რებს.) მოსვენება მინდა. ხვალ ალიონზე ვარ წასასვლელი.

მამა. ეგ ჩვენი სტუმარი დიდი კაცი ყოფილა. ჩვენთვის,
აი, შაქარი მოაცემინა, თანაც მთელი სამი კილო. რა ხანია,
ჩვენი სოფლის მალაჩიაში შაქარი წამალადაც აღარ მინახავს.
(ლიზას ფურცელს აწვდის.) გამომართვი.

ლიზა. (კითხულობს). „შენ უნდა ისწავლო, ლიზა. მაგ
ტყეში სულ გაველურდები. აგვისტოში მეწვიე. საერთო საც-
ხოვრებლიან ტექნიკუმში მოგაწყობ.“ ამ პატარა ბარათს მეა-
თასედ ვკითხულობდი და ველოდი, სულ ველოდი ხვალინდელ
დღეს. იცით, რა, მე ვასკოვიც მომეწონა, ძალიან მომეწონა..
(მღერის.)

„ლიზა, ლიზა, ლიზავეტა, რად არ მითვლი სალამს ნეტავ?
ბედმა რატომ გამიმეტა? რად დამტოვა ასე კენტად?“

(ყვირის.) მიშველეთ!.. (ისმის ქორალი. ფარები შემოტრი-
ალებს. ფარის წინ დადგება ყველა. მღერიათ: „ია რასც-
ველ, კაკ მაკოვ ცვეტ...“ ნათდება.)

ვასკოვი. საღამოზე თუ არა, ღამით მაინც მოგვისწ-

რებს მაშველი ძალა. იმ ხალხს გერმანელების კვალზე მივუშვებ, გოგოებს კი აქაურობას განვარიდებ, რაც შეიძლება შორს, — გინება რომ ვერ გაიგონონ. აქ უეჭველად ხელჩართული ბრძოლა გაიმართება და... ჯარისკაცური გინებაც... დაბაკუნობენ და ხვნეშიან ჩემი გოგოები. აი, ოდეკოლონის სუნიც კი მცემს. კიდევ კარგი, გერმანელებში მონადირე არავინ ურევია, თორემ... (გამოჩნდნენ გოგოები.)

რიტა. გოგოები მოვედით.

ვასკოვი. მომყევით კვალდაკვალ. გაჩერდები, გაჩერდით; დავწვივები, დაწვივით. გერმანელებთან დამალობანას თამაში — თითქმის სიკვდილთან თამაშია.

რიტა. ვაი?! ფედოტ ევგრაფიჩი, ძვირფასო, საყვარელო, თუთუნის ქისა დამავიწყდა!

ვასკოვი. უუპ, თქვე!.. სისხლში გაქვთ ქალებს გულმავიწყობა, ალქაჯმა შეგინჯდრიოთ ეგ გონება. ეპ, რაც იყო, იყო... თუთუნი ჯანდაბას, ქისა მენანება, ნაჩუქარი იყო. შემთხვევით, ჩემი გულანაბადიც ხომ არ დაგავიწყდათ?

რიტა. რა?

ვასკოვი. ჩემი ტომარა, სანივთე ზურგჩანთა?

რიტა. წამოვიღეთ.

სონია. მე მოვიტან! ვიცო, ის ქისა სადაც დევს. (გარბის.)

ვასკოვი. მებრძოლო გურვიჩი, სად გარბიხარ? დაბრუნდი, ამხანაგო მთარგმნელო! (მუსიკალური აქცენტი. საფარიდან გამოდის გერმანელი. იმავე საფარიდან გამოდის სონია და ანაზღად გადააწყდება გერმანელს. გერმანელი დანას ჩასცემს. სონია შეპყვირებს. სინათლე მარჯვნივ გადაინაცვლებს. აქ არიან გოგოები და ვასკოვი.) თითქოს გურვიჩმა დაგვიძახაო?!

რიტა. არა, მოგვეყურა.

ვასკოვი. ეპ, წაფლავუნდნენ ჩქებები!.. (მუსიკა. იღვიძებს სონიას მოგონება. შემობრუნდა ორი ფარი — გამოჩნდა სონიას დედ-მამა.)

სონია. ჩვენს ოჯახში ჩქემას საერთოდ არავინ იცვამდა, სამოქალაქო ოჯახი გვექონდა. აი, მამაჩემი ხომ ხალხში გასული იყო, ისიც არ იცოდა, სხვები როგორ იცვამდნენ ჩქემას.

სონიას მამა. სონიას მთელი ბავშვობის განმავლობაში გულს უწყალებდა კართან ჩამოკიდებული ზარის მოუსვენარი ზრიალი. იმ კარს მიმაგრებული ჰქონდა სპილენძის ფირფიტა: „მედიცინის დოქტორი სოლომონ მარკოზის ძე გურვიჩი“. დღედაღამ, ზამთარ-ზაფხულ, ყოველნაირ ამინდში რეკავდა ზარი... ყოველნაირ ამინდში... ყოველნაირ ამინდში...

სონია. მამას ხელით მიჰქონდა პატარა ჩემოჯანი...

მამა. და ყოველნაირ ამინდში მიდიოდა ფეხით, რადგან ეტლით მგზავრობა ძალიან ძვირი უჯდებოდა. მობრუნდებოდა შინ და მერე ჭლექის, ანგინისა და ციებ-ცხელების ამბებს ჰყვებოდა წყნარად...

სონია.

„ჩვენს მშრომელ იმ ყრუ წლებს და შავ გზებს, ვერანს, ჭიუტად გვავიწყებს შიში და ელდა, მაინც ვერ ვივიწყებთ იმ დრო-ჟამს, ვერა, ჩვენ, შვილინ რუსეთის საშინელ წელთა...“

სონიას დედა. ასე მეორდებოდა ყოველდღე...

მამა. ასე მეორდებოდა ყოველდღე.

დედა. ძალიან დიდი ოჯახი გვექონდა, მაგრამ მტკიცე, გულითადი, ერთსულოვანი: ბავშვები, ძმისწულები, დისწულები, ბებია, გაუთხოვარი და, კიდევ ვიღაც შორეული ნათესავი ქალი... ცალ-ცალკე ძილი არ გვღირსებია, ერთსაწოლზე ორ-სამ კაცს გვეძინა.

ვასკოვი. შენი დედ-მამა ებრაელები არიან?

სონია. ეს კიდევ საკითხავია?.. (ავტომატის სროლის ხმა. ორი ფარი შეტრიალდება და დაფარავს სონიას დედ-მამას.) უნივერსიტეტში ჩემი უფროსი დების გამონაცვალ-გადაკეთებული კაბები მეცვა... ისეც ცოტა ხანს, მხოლოდ ერთ წელიწადს, მერე ჯარისკაცად გამომაწყვეს და ორი ნომრით დიდი ჩქემა ჩამაცვეს... ფლავუნა ჩქემა.

ვასკოვი. ეპ, წაფლავუნდნენ ჩქემები!

სონია. ჩვენს ოჯახში ჩქემას საერთოდ არავინ იცვამდა. სამოქალაქო ოჯახი გვექონდა. აი, მამაჩემი ხომ ხალხში გასული იყო, ისიც არ იცოდა, სხვები როგორ იცვამდნენ ჩქემას...

„იმ წლების ხანძართა შემოგვრჩა ფერფლი, რაღაც უაზრობა და რაღაც იმედო, დღე თავისუფლების თუ ომის ცრემლი გვიკრთის სახეებზე სისხლიან სხივებით...“

ვასკოვი. ვის უკითხავ? ასე ხმამაღლა კითხვას მოერიდე. სადამობით აქაური ჰაერი ნოტიოვდება და იბლანტება... აი, განთიადი კი აქ წყნარი იცის... წიგნში ყურება კარგია, მაგრამ არემარესაც ნუ მოაკლებ თვალს, მებრძოლო გურვიჩი, არემარესაც ნუ მოაკლებ თვალს! (ტრაგიკული აქცენტი. შემობრუნდა ფარები. აქ არის ყველა გოგო ვასკოვთან ერთად. მღერიან: „კოვდა ბუდემ ბოლშაია“..) კომელკოვა, მომყევო! დანარჩენებმა აქ მომიცადონ... (გურვიჩთან მივიდა.) დაუდევრად ჩაურტყამს, დაუდევრად. აი, რატომაც მოგისწორია დაყვირება... ჰო, იმიტომაც მოგისწორია წამოყვირება, რომ დარტყმა მამაკაცს მოსაკლავად გამოუშობავს. ქალის გულამდე პირველ დარტყმას ვერ მიუღწევია, მაღალ მკერდს დაუბრკოლებია. (საყელოს გაუსწორებს და ღილებს შეუკრავს.) ცოტა ხანს აქვე იწვი, სონია... კომელკოვა, ქვითინისთვის გეცალია?! მომყევი. ისინი სადღაც აქვე იქნებიან, დავეწიოთ და მერე მე ვიცო... თქვენ მე კრინტსაც არ დაგაძრევიანებთ, კრინტსაც. ა, ისინი... (მუსიკალური აქცენტი.) შენია, აქვე დარჩი და დაიმაღლე. გვერდით ჩამოგივლიან. როცა მე იხვივით დავიკრიახებ, ყურადღების მისაქცევად რაიმე აახმაურე. თუნდაც კონდახი დაარტყი რამეს, მერე, შენსკენ რომ შემობრუნდებიან, უმაღლე ისევ გაინახე. გამიგე?

შენია. გავიგე.

ვასკოვი. მაშასადამე, იხვივით რომ დავიკრიახებ, მანამდე — არა. (ისმის კრიახი, მერე კონდახის დარტყმის ხმა. ვასკოვი ერთ გერმანელს მოკლავს დაუკვენსებლად და უმაღლე მეორეს შეეჭიდება. კომელკოვა ფარს მიღმა კლავს გერმანელს.) ყოჩაღ, კომელკოვა!.. გიცხადებ მაღლობას!.. (შენია მოიხარა, ეტყობა, ცუდად გახდა.) აი, ხედავ, შენია, ორი მოაკლდათ უკვე... ორით ნაკლები არიან...

შენია. მომშორდით!

ვასკოვი. პირველი ხელჩართული ბრძოლა ყოველთვის ცუდად მოქმედებს, შენია. უნდა მიეჩვიო, გული გაიქვაო. ამნაირ ამბებს ძალგულოვანი მამაკაცებიც კი საშინლად გა-

ნიცდიან, სანამ თავის სინდის-ნამუსს ახალ ყალობს არ შეუ-
გუებენ, შენ კი ქალი ხარ — მომავალი დედა. (ბრაზიანად.)
ყველა დანაშაული, ყველა ცოდვა მათვე ეკისრებათ! ყველა-
ფერზე ისინი აგებენ პასუხს. ჩვენ მხოლოდ ანგარიშს ვუსწო-
რებთ! (გერმანელის ჯიბიდან ამოაძრობს თავის სათუთუნე
ქისას.) ხედავ? ამის მოტანა არ დააცალეს ჩემამდე სონიას.
ჰე, გეყოფა ამდენი განცდები! შეიგნე ერთი რამ: ისინი არც
ადამიანები არიან, არც — მხეცები, ფაშისტები არიან. ჰოდა,
ეს ამბავი სათანადოდ განსაჯე. გოგოებს თვითონ მიაგნებ თუ
გამოგყვე?

ქენია. მივაგნებ.

ვასკოვი. ჰოდა, გაუტე. ყველანი აქ მომგვარე. (მუ-
სიკალური აქცენტი. ვასკოვი სონიასთან მიდის.)

გალინა. (მოვიდა.) სონია! სონიაააა!!!

რიტა. (მწარედ.) კვილი არ იყოს!.. არც ისტერიკა!..

ვასკოვი. აბა, მოუარეთ, როგორც წესი და რიგია.

რიტა. ხუთებზე სწავლობდა, მუდამ ხუთებზე სწავლობ-
და — სკოლაშიც, უნივერსიტეტშიც.

ვასკოვი. ლექსებსაც ჩინებულად კითხულობდა... მთა-
ვარი მაინც სხვაა... სონია დედა უნდა გამხდარიყო, ჰყოლოდა
შვილები, მერე იმ შვილებს — შვილიშვილები, შვილიშვი-
ლებს კიდევ — ბაღიშვილები. ახლა კი ეს ბუდე მოიშალა,
სიცოცხლის ერთი გზა-ბილიკი გაწყდა... გერმანელმა დანით
გადაჭრა ეს ბილიკი, ბუდე დაანგრია... აიყვანეთ ხელში.
(ფარი, რომელზეც სონია წევს, ნელა ეშვება.) მოიცათ (ოსი-
ანინას) ფეხები დაუჭირე!

რიტა. რატომ?

ვასკოვი. რომ გეუბნებიან, დაუჭირე. აქ კი არა, მუხ-
ლებთან. (ჩექმას ხდის.)

რიტა. რას სჩადიხართ? არ გაბედოთ! რატომ ხდით?

ვასკოვი. აბა, რა ვქნათ? აგერ მებრძოლი ფეხშიშველა
გყავს...

გალინა. არა! არა! არა!!!

ვასკოვი. აქ სალოლიავოდ არ გვცალია, ქალიშვილე-
ბო... ცოცხლებზე უნდა ვიზრუნოთ, ცოცხლად დარჩენილებს
მოვუაროთ... ჩემი ბრალი არ არის, ომი მხოლოდ ასეთი კანო-
ნებით რომ გვამარაგებს. დაიჭი, ოსიანინა (მკაცრად.) დაი-
ჭი-მეთქი! გიბრძანებ! მაგრად დაიჭირე! (ჩეტვერტაკს.) ჰა,
ჩაიცვი! უგანცდებოდ, ნერვების აუშლელად! ცრემლი არ და-
მანახო! ჩქარა! გერმანელები არ მოგიცდიან! (მუსიკალური აქ-
ცენტი. ფარზე მწოლარე სონია დაბლა ეშვება, შემდეგ ცა-
რიელი ფარი მაღლა მიიწევს.) რუკაზე მოვინიშნოთ ეს ად-
გილი. ომის შემდეგ ძეგლს დაუდგამთ. (რუკაზე ჯვარი დას-
ვა.) მებრძოლო ჩეტვერტაკ, რაღას უყურებ?! რატომ არ ჩა-
კიცვამს ჩექმა?!

გალინა (ზის). არა, არა, არა! ასე არ შეიძლება! ეს
ცუდია, მავნე. მე ექიმი დედა მყავს და ვიცი...

რიტა. (უყვირის). გეყოფა სიცრუე! შენ დედა არცა
გყავს და არც გყოლია! მიგდებული ხარ! უპატრონო ბავშვთა
სახლში გაზრდილი! ჰოდა, ნუ თხზავ აქ ნაირნაირ ზღაპარს!..

ქენია. ასე არ შეიძლება, არ შეიძლება! ერთმანეთს ასე
ღვარძლიანად არ უნდა მოვექცეთ, თორემ გერმანელი ფაშის-
ტემივით გაგბოროტდებით, აფთრებად და ცოფიან ძაღლებად
ვიქცევით! (მუსიკალური აქცენტი.)

ვასკოვი. კინკლაობისთვის გვცალია? წასვლის დროა.
(რიტას.) ავტომატი გისროლია ოდესმე?

რიტა. მხოლოდ ჩვენი ავტომატით.

ვასკოვი. ახლა ფრიცის ავტომატი დაიჭირე. გუმანი
მიჭრის, ამასაც უცებ აითვისებ და მოიხმარ. ერთად ნუ გაისვ-
რი ბევრ ტყვიას, ლულას მაღლა იტაცებს, ტყვიებს ამოდ
გაგიფრენს ცაში. (ავტომატის ერთჯერადი სროლა.) იმ ბუჩ-
ქებს ესროლოთ! (მუსიკალური აქცენტი. კვლავ ავტომატის
ჯერი. აფეთქების ხმა.) ეჰ, დალახვროს ეშმაკმა, გაიჭედა!

რიტა. ხელახლა გატენე სავაზნე. მანამდე მე დაგიცავ.
(ისვრიან. გალინა ჩაჯდა და ყურებზე ხელები მიიფარა.
მყუდროებაა. გალინა ტირის.)

ვასკოვი. ესეც ასე. მოვიგერიეთ. ახლა ათიოდე წუთით
წამოწოლა მომნათლავდა, მხოლოდ ათიოდე წუთით, მაგრამ...

რიტა. კომუნისტი ხართ, ამხანაგო ზემდეგო?

ვასკოვი. ბოლშევიკური პარტიის წევრი.

რიტა. ვთხოვთ, ჩვენს კომკავშირულ კრებას უთავმჯდო-
მარეთ.

ვასკოვი. კრებას? (გალინა ტირის.)

ქენია. სიმხდალე უნდა დავსაჯოთ.

ვასკოვი. აი, თურმე რა?! ოსიანინა, გმადლობ იმ ერ-
თი წამისთვის, ბრძოლაში რომ მაჩუქე. ადამიანი ასეთ წამს
რომ გაჩუქებს, არყით ისე უნდა დაათრო, სიკვდილამდე არ
გამოფხიზლდეს. თანაც სულ ამ წამის სადღეგრძელო უნდა
სვა. კრება ახლა პირდაპირ მისწრებაა. მაშასადამე, შესანიშ-
ნავ ღონისძიებას ჩავატარებთ, ამხანაგ ჩეტვერტაკს დაბნეუ-
ლობის გამოვლინებისათვის განვსჯით და ოქმსაც შევადგენთ,
არა? ფრიცები კი ამ ოქმზე თავის რეზოლუციას დაგვიდებენ.
მერე ივარგებს? არ ივარგებს. ამიტომ მე, როგორც ზემდეგი
და როგორც კომუნისტი, ამჟამად ყოველგვარ კრებას ვაუქმებ
და მოგახსენებთ, რა მდგომარეობაა ირგვლივ. გერმანელებმა
მდელოზე ბლომად დატოვეს სისხლი და ისევე ტყეს შეეხიზ-
ნენ, ცამეტნი. ეს პირველი საკითხი. მეორე — ავტომატის
ტყვიები მეღვევა. ერთი მჭიდვდა დამრჩა. შენ, ოსიანინა?

რიტა. მთელ-ნახევარი.

ვასკოვი. ჰოდა, ასე. რაც შეეხება სიმხდალეს, იგი არ
ყოფილა. სიმხდალე, გოგოებო, მხოლოდ მეორე ბრძოლაში
მქდავანდება. ჩვენ მხოლოდ დაბნეულობის მოწმე გაუხდით, რაც
გამოუცდებლობამ გამოიწვია. (გალინას.) ხომ ასეა, ამხანაგო
მებრძოლო?

გალინა. ასეა.

ვასკოვი. ჰოდა, თუ ასეა, ვბრძანებ: ახლავე მოიწმინ-
დე ეგ ცრემლები და ცინგლი!

გალინა (ტირის). მაშველი ხალხი კი მაინც არა ჩანს
და არა.

ვასკოვი. მოვლენ. ომი ის კი არაა, ტყვიით ვინ ვის
აჯობებს და ძირს დასცემს, ომში მთავარია — ჭკუით ვინ ვის
დაამარცხებს. დაზვერვაზე გამომყვება მებრძოლი ჩეტვერტა-
კი. მომყვი! (ფართან გერმანელია. ავტომატის ჯერი.) დაჭ-
რილს ზურგში მიაჭედეს ტყვიები, მაშასადამე, ასეთი კანონი
აქვთ. (აფურთხებს). ადამიანს ცხოველისგან ბევრი კი არა-
ფერი, ერთი რამ ანსხვავებს — შეგნებით იცის, ადამიანი
ვარო. თუ ეს შეგნება აკლია — მხეცია, პირუტყვია. ორფეხა
და ორხელა ნადირია, სხვა არაფერი. ჰოდა, უნდა ურტყა და
ურტყა, სანამ ბუნაგში არ შეძვრება. მერე იქაც უნდა ურტყა,

სანამ არ მოაგონდება, ოდესღაც ადამიანი ვიყავით. (გალინა თრთის.) პავლე კორჩაგინის ამბავი წაგიკითხავს? (გალინა თავს დაუქნევს.) მასადაძამე, წაგიკითხავს, მე კი, როგორც ახლა შენ გიყურებ, ისე მინახავს. საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების წარჩინებულები მოსკოვში წაგიყვანეს. ვნახეთ მავზოლეუმი, ნაირგვარი სასასლე, მუზეუმი და კორჩაგინსაც შეგვახვედრეს. ამ დიდი თანამდებობის ადამიანს თავი ძალიან უბრალოდ ეჭირა. გულთბილად გვესაუბრა, დაგვსვა და ჩაიც მოგვართვა. გვეკითხა: ბიჭებო, ჯარში სამსახური ხომ არ გიჭირთო?..

გალინა. რატომ მატყუებთ, რატომ? კორჩაგინს ხომ დამბლა დაცვა?! ვიხედავ თქვენ მელაპარაკებოდით, პავლე კორჩაგინი სულაც არ არის, ნიკოლოზ ოსტროვსკია. ოსტროვსკი კი დაბრმავდა და გაუნძრევლად იწვა. მთელი ტექნიკუმის სახელით წერილიც კი გაუგზავნეთ ოსტროვსკის.

ვასკოვი. მართლა? მაშინ, იქნებ სხვა კორჩაგინი გაგვაცნეს?! ანდა, იქნებ შემეშალა?! გვითხრეს კი: ეს ამხანაგი კორჩაგინიაო. (აქცენტი.) ბუჩქებში ჩაწევი და გაინახე. (ფართან გერმანელები გამოჩნდნენ. ვასკოვი და გალინა ფარებს უკან დაიმაღლნენ, მერე ადგილები გაცვალეს.) ოღონდაც არ შეგვამჩნიონ, ოღონდაც გვერდით ჩავვიარონ, ზურგი მოგვიშვირონ, მერე ვუჩვენებ სერს!.. (გერმანელები კვლავ ფარების უკან მიიმაღლნენ. გალინა უცებ გამოსტა.)

გალინა. (თავზარდაცემული.) დედა!... (აქცენტი გერმანელებს გამოაქვთ სანთელი და ზეწარი. გალინას ზეწარი გადააფარეს.) დედა!.. არა მყავდა მე დედა, არა! უპატრონო ბავშვთა სახლში ვიზრდებოდი. ბიჭებო, მოჩვენებას ვგავარ? იცით, მონასტრის ეზოში ბერებმა განძი დამარხეს. მე სოლისტი მომღერალი ვარ, გრძელი კაბა მაცვია. (ხელებს დირიჟორივით იქნევს და მღერის: „ტო ნე ტუჩი, გროზოვიე ობლაკა...“) ვაი, დედა!.. აი, თავი რალაცნაირად დამიტრიალდა, თითქოს სადღაც გამიბრბისო... მომკლეს, მომკლეს... მე ოცდახუთში დავიბადე, ოცდახუთში... რატომ მომკლეს, რატომ?! დედა!.. (ავტომატის ჯერი. ფარი, რომელზეც გალინა წევს, დატრიალდა. აქცენტი. სიჩუმე. ფარების წინ გაწვივდა ხუთივე გოგო. სიმღერა: „მატუშკა, მატუშკა, ჩტო ვო პოლე პილნო...“)

ვასკოვი (გამოდის საფარიდან. დაინახა ბრიჩინას გატეხილი ფინი.) მასადაძამე, ბრიჩინას ვერ მიუღწევია შინ... მაშველი ძალა როგორღა მოვიდოდა? ეეპ!

„ლიზა, ლიზა, ლიზავეტა, რად არ მიივლი სალამს ნეტავ?“

ბედმა რატომ გამიძეტა? რად დამტოვა ასე კენტად?..“

(მიწაზე დაემხო.) ორი გოგონაღა დამრჩა, ორი! მართალია ყველაზე ფხიანი და გონიერი, მაგრამ მაინც ორი. სხვა რაღა დამრჩა? არაფერი? არა, ტყუილია! მთელი ქვეყანა დამრჩა! დიდზე დიდი, თვალუწვდენელი სამშობლო! ჩემს ზურგსუკან დგას ეს თვალუწვდენელი სამშობლო და დღეს მე ვარ მისი უკანასკნელი შვილი... მე უნდა დავიცვა იგი და გადავარჩინო... (უკანა ფარებიდან გამოვლენ რიტა და ჟენია — სველენი და დაღლილები. მივარდებიან ვასკოვს, ტირილით ეხვევიან.)

რიტა. ფედოტე ევგრაფი! ფედოტე ევგრაფი!.. ამხანაგო შემდეგო!..

ვასკოვი. ნამეტანიც ნუ გადაირევით ახლა. მე ვარ, ჰო, მე. ჩემი გოგოები, ჩემი გოგოები! თითო ლუკმა მაინც თუ ჭამეთ რამე? ცოტა მაინც თუ წაიძინეთ, თვალი თუ მოატყუეთ?

ჟენია. ან ძილი ვის ახსოვდა, ან — ჭამა. არაფერიც არ გვინდოდა, ამხანაგო შემდეგო.

ვასკოვი. მე რაღა თქვენი შემდეგი ვარ, ჩემო ჩიტებო, ჩემო დაიკოებო?! ძმა ვარ, უფროსი ძმა. ჰოდა, დამიძახეთ ფედოტე. ანდა — ფედია, როგორც დედაჩემი მეძახდა.

ჟენია. გალკა სადღაა?

ვასკოვი. თქვენი ამხანაგები გმირულად დაიღუპნენ გალინა ჩეტვერტაკი ტყვიით განგმირეს, ლიზა ბრიჩინა ჭაობმა ჩაყლაპა. ასეა: სამი დავკარგეთ უკვე ასეა, ჰო. სამაგიეროდ, ერთი დღე და დამეა ორი ტბის შუა ვართ და მტერს ნუა-კვალს ვუბნევთ. ერთი დღე და დამეა! მაშველი აღარ მოგივია, გერმანელები კი მოდიან. ეპ, რაც არის, არის! მოდით, ჩვენი დობილების მოსაგონარი შევსვათ. (მათარას ამოცლებს, ჯერ თვითონ დალევს, მერე გოგოებსაც ასმევს.) მაღლე ისევ ბრძოლაში ჩავებმებით. იქნებ უკანასკნელ ბრძოლაშიც... უკან დასახევი გზა აღარა გვაქვს.

ჟენია. ნუ გემინია, ფედოტე, მოვიგერიებთ, ვერ დაგვამარცხებენ.

ვასკოვი. ფედია დამიძახეთ-მეთქი, უფრო მეთბილება. დიდი ვერაფერი სახელია, მაგრამ ასე მქვია და... დამიძახეთ ასე, როგორც არის... აბა, მოემზადეთ! (ვასკოვი და გოგოები ეარებზე წვეებიან დარბაზისკენ პირმოქვეულნი. მუსიკალური აქცენტი. ფარები მათთან ერთად მიიწევენ მაღლა და თითქმის ვერტიკალურად დგება. ავტომატები დარბაზისკენ მოუჭვრიათ. ავტომატების სროლის ხმა ძლიერდება. ბრძოლა. რიტა შეჰყვირებს და თავის ფარზე დაეცემა. ფარი ბრუნავს. ვასკოვი და ჟენია უმაღვე მასთან გაჩნდებიან. სიწყინარეა.)

ჟენია. რიტა...

ვასკოვი. ჩერებო! რაც შეიძლება ბევრი! აბრეშუმი არა, ჩითი იყოს და სუფთა! (ავტომატის ძლიერი ჯერი.) ჟენია, ფრიცები გაიტყუე იქით! (ჟენია თავის ფართან მიირბენს. ისურის. ისინიც ესვრიან.)

ჟენია (თავის ფარზე ეცემა). რა უგუნურად, რა ბრმად... რა უაზროდ... (მეორე ფარისკენ გადაფორთხდა. ავტომატის ჯერი. ჟენია ფარს ჩაეხვია. ფარი მასთან ერთად აიწევეს და ვერტიკალურად დადგება, მერე გვერდით შემობრუნდება. ფარის ერთ მხარეს ჟენია დგას, მეორე მხარეს — დედამისი.)

დედა. ჟენია, შვილო, სულ ნუ აიწყვიტე! ხან სროლას სწავლობ, ხან ცხენს დააჯირითებ, ხანაც მთელი დამე ცეკვავ... ასე არ შეიძლება... ხალხი...

ჟენია. ხალხს პირს ვერ აუკრავ, დედა! ილაყბოს, რაც მოეპრიანება!

დედა. ჟენკა, გარეულ ღორებზე სანადიროდ წაპყვები მანაშენს?

ჟენია. წაყვები, დედა. ტახებს დავხოცავ! (ფარი შებრუნდა.)

დედა. მითხრეს: ჟენია რამდენჯერმე პოლკოვნიკ ლუქინთან მოსერიწე ვნახეთო. ლუქინს ცოლ-შვილი ჰყავს, შვილო... ჰოდა, არ შეიძლება!..

ჟენია. ძალიან არ მჭირდება, ეგ თქვენი ვიღაც ლუქინი!.. ლუქინ, მიშველე!.. გადამარჩინე, ლუქინ! ლუქინ, სადა ხარ? ო, რა უგუნურებაა, ცხრამეტი წლისამ დალიო სული... რა სისულელეა!.. (ავტომატის ჯერი. ტრაგიკული აქცენტი. შემობრუნდა ფარები. ვასკოვი და ყველა გოგო თავთავის ფართან დგას. სიმღერა „ნე კუკუი გორკო, კუკუშკა...“ აქცენტი. ფარები შებრუნდება. ცენტრალურ ფარზე რიტა წევს.)

რიტა. დავიჯერო, შენის ერთი ტყვია მოერია და უცებ მოკვდა?

ვასკოვი. არა, ორჯერ დაჭრეს და წაქცეულს კიდევ დააყარეს ტყვიები. ეს არის ომი, რიტა, ეს. ვერ დაგვამარცხეს, გესმის, ვერ დაგვამარცხეს! აი, მე ცოცხალი ვარ ჯერჯერობით... ჯერ არ წავექცეულვარ...

რიტა. (დაჭრილ ხელზე უყურებს). გტკივა?

ვასკოვი. დაჭრილი ხელი არა, აქ მტკივა, აქ! (მკერდზე მიიდებს ხელს.) დასაღუპავად გაგიმეტეთ, ხუთივე გაგწირეთ, ხუთივე, მერედა, რისთვის? ათიოდე ფრიცისთვის?

რიტა. ნუ იტყვი აგრე. გგონია. ჩვენ არ გვესმის?.. ომია...

ვასკოვი. სანამ ომია, გასაგებია. მერე? როცა ომი გაივლის და მშვიდობა დამყარდება? მაშინაც გასაგები იქნება, რატომ და რისთვის დაიხტეთ? რატომ გადავწყვიტე იმ მუდრეგი ფრიცების მთაგრეხილზე არგადაშვება, რა მოხდებოდა ვითომ? ასე რატომ მოვიქეცი? რა ვუპასუხო, როცა მეტყვიან: ეჭ, მამაკაცებო, მამაკაცებო, ჩვენი დედები ტყვიებისგან როგორ ვერ დაიცავითო, ომს როგორ ვერ მოარიდეთო? საპატარძლო გოგოები სიკვდილთან როგორ დააქორწინეთო? ისინი გასწირე და შენ საღსალამათი გადარჩით? თავი ვიმართლო, კიროვის რკინიგზას და თეთრი ზღვის არხს ვიცავდი-მეთქი?

რიტა. აგრე ნუ იტყვი, ფედოტე. სამშობლო ამ არხით არც იწყება, არც თავდება. ჩვენ სამშობლოს ვიცავთ უპირველესად, სამშობლოს, მერე კი — არხს.

ვასკოვი. ვიდრე მიდამოს დავხვევრავ, იწევი, გაიგე? (ნაგანს აძლევს.) ჰა! მართალია, ორი ვაზნაღა შემორჩა, მაინც იმედია...

რიტა. მოიცა... გახსოვს, მე გერმანელებს როგორ გადავეყარე? თქვენ, ალბათ, რა არ იფიქრეთ... მე კი თითქმის ყოველდამ დედაჩემთან მივიპარებოდი ქალაქში. შვილი მყავს იქ, სამი წლის ბიჭუნა, ალიკა. დედა მძიმე ავადმყოფია, მამა უგზოუკვლოდ დამეკარგა.

ვასკოვი. ნუ გეშინია, რიტა, მიგიხვდი ყველაფერს. ორივეს ვუპატრონებ. დამშვიდდი...

რიტა. გმადლობ... ახლა უკანასკნელ თხოვნასაც თუ შემისრულებ...

ვასკოვი. არა.

რიტა. სულ ერთია, ვედარ გადავრჩები. უაზრობაა ჩემი ცოცხლად დატოვება. მხოლოდ დავიტანჯები, ვეწამები, გავჯახირდები... მაკოცე!...

ვასკოვი. აქაურობას დავხვევრავ... მალე დავბრუნდები და წაგიყვან, ღამით უკვე შინ ვიქნებით. (კოცნის).

რიტა. (წვერზე უსვამს ხელს). ეკლები ამოგვლია. წაღი ახლა!.. თუმცა, ჯერ ტოტები დამაყარე. (ვასკოვი დაუშვებს ფარს, რომელზეც რიტა წევს, ზედ ტოტებს დააწყობს და მიდის. ტრაგიკული აქცენტი. შემობრუნდება ფარი, რომელზეც რიტა იწვა. ამჟამად მასზე ჰკიდია წითელი პატეფონი, რომელიც უკრავს, აგრეთვე რიტას და ოსიანინის საქორწილო ფოტოსურათი. ლეიტენანტი ოსიანინი ფარის შახლობლად დგას. მეორე ფართან გამოჩნდება თეთრკოფტიანი რიტა. იგი საქორწილოდ ირთვება. პირველ რეპლიკებს ფარის მიღმიდან ამბობს.)

ოსიანინი. გახსოვს, პატარა წერილი რომ გამოგიგზავნე?..

რიტა. მახსოვს. სამაგიეროდ, მე დიდი ბარათი მოგწერე...

ოსიანინი. ის გახსოვს, ხელის მოსაწერად მამის ბიუროში რომ მივედი და უარი გვტკიცეს?..

რიტა. რა დამაგიწყებს. იქ ბიუროკრატები ისხდნენ და... მე მომახალეს უარი რეგისტრაციაზე: ჯერ თვრამეტი წელი არ შეგსრულებიაო...

ოსიანინი. მაგრამ ჩვენ ქალაქის კომუნდანტთან მივედი, მერე მშობლებთანაც და მაინც ჩვენი გავიტანეთ...

რიტა. სკოლის საღამოც ხომ გახსოვს? შემთხვევით ერთმანეთის გვერდით მოხვდით და გუგულებივით წყნარად ვისხედით, მხოლოდ წინ ვიყურებოდით, არამარტო ერთიმეორის შეხედვის, განძრევისაც კი გვეშინოდა. მერე ფანტის თამაში გააჩაღა ყველამ, ვალსის ცეკვაც...

ოსიანინი. მე და შენც ვიცეკვეთ ერთად. (უკრავს პატეფონი. ქალ-ვაჟი ერთმანეთს მისჩერებია. ისმის ორი გასროლა. ისინი ფარებს უკან მიიმაღლებიან. ტრაგიკული აქცენტი. ფარების წინ ჩამწკრივდებიან ვასკოვი და ხუთივე გოგო. სიმღერა: „თი, ნე რასტიოტ ტრავა ზიმოიუ, პოლივია, ნე პოლივია...“ ტრაგიკული აქცენტი. ყველა ფარს სცენის შუაგულში მოაქურებენ გერმანელები, „ქოხმასხ“ გააკეთებენ და შიგ შეიმაღლებიან. ავტომატიმარჯვებული ვასკოვი „ქოხში“ შეიჭრება. ავტომატი ძლიერად ისვრის).

ვასკოვის ხმა. ძირს დაფერთხეთ! დაფერთხეთ ძირს!.. ჩაიქოლეთ! დაიწიხლეთ! (ავტომატის ჯერი). გეგონათ დაგვამარცხეთ, ხომ? ხუთი გოგო, მხოლოდ ხუთი გოგო დაგხვდათ გზაზე, მაგრამ ვერ გაუხვედით, ვერ გაუძვერით! აქ ჩაძაღლებით, ყველანი აქ ჩაძაღლებით! (ავტომატის ჯერი.) ჩვენმა უფროსობამ რომ დაგინდოთ, მე მაინც ჩაგაძაღლებთ, ყველას ჩაგაძაღლებთ, მე თვითონ, მე! ჰენდე ჰოხ, მერე, თუნდაც გამასამართლონ! დამსაჯონ, მკაცრად დამსაჯონ! (ტრაგიკული აქცენტი. ფარები „ტყეღ“ იქცა. გოგოები ფარების წინ აღიმართნენ. რადიოთი ვალსს უკრავენ: „ს ბერიოზ ნე სლიშენ, ნევესომ...“ ფარები ნელა ტრიალებს, თითქოს ცეკვა დაიწყესო. ვასკოვი ფარების გასწვრივ ტირილათ მიაბიჯებს. გოგოები ფარებთან ერთად ტრიალებენ, მერე სცენის სიღრმეში იკარგებიან. ცარიელ სცენაზე კი კვლავ ტრიალებენ „მოცეკვავე ფარები“. საღდაც შორს გოგოები წყნარად მღერიან: „ს ბერიოზ ნე სლიშენ, ნევესომ სლეტაეტ ჟოლტიი ლისტ“... ინთება შუქი).

დასასრული

თარგმანი აკაკი გეწაძისა და ლილი აზაიაძისა.

ქ რ ო ნ ი კ ა

ქრონიკის მასალები ამოკრებილია გაზეთ „კომუნისტის“ 1941-1945 წლების ნომრებიდან.

ამ დღეებში თბილისის თეატრები დაამთავრებენ სეზონს, რის შემდეგ მსახიობები შვებულებაში უნდა წავიდნენ. მაგრამ თეატრების მუშაკები უარს აცხადებენ შვებულების გამოყენებაზე. მათ მოსთხოვეს ხელოვნების საქმეთა სამმართველოს გამოიყენონ ისინი თავდაცვისათვის. ხელოვნების საქმეთა სამმართველომ გადასწყვიტა გახსნას მედიცინის დების კურსები თბილისის თეატრებში მომუშავე ქალთათვის.

29. 6. 41.

თბილისის კინოსტუდიაში შესდგა შემოქმედებით მუშაკთა თათბირი, რომელმაც ერთხმად მოიწონა სტუდიის სამხატვრო ხელმძღვანელის მ. ჭიაურელის წინადადება თავდაცვის თემებზე მოკლემეტრაჟიანი ფილმების გამოშვების შესახებ. კინოსტუდიის მოწოდებას სწრაფად გამოეხმაურნენ მწერლები და კინოდრამატურგები. სტუდიამ უკვე მიიღო შემდგომი სიუჟეტები სცენარებისათვის: ი. მოსაშვილი და კ. ლორთქიფანიძე — რკინიგზელთა ბრძოლა ჩვენი ქვეყნის თავდაცვის გაძლიერებისათვის; დ. შენგელაია და სამსონია — მოსახლეობის ენთუზიაზმი მობილიზაციის ჩატარებისას; ალ. ქუთათელი — სოციალური და ნაციონალური ჩაგვრა ფაშიზმის მიერ დაპყრობილ ქვეყ-

ნებში: კ. კალაძე — საბჭოთა სამხედრო მარშისიმღერა ინსცენირება, რომელიც გვიჩვენებს წითელი არმიის სიძლიერეს, რ. ქორქია — ინტერვენტების განადგურება სამოქალაქო ომში (მთავარი გმირია კიკვიძე).

მოკლემეტრაჟიანი ფილმების სცენარებზე მუშაობენ აგრეთვე: ს. კლდიაშვილი. გრ. ჩიქოვანი, რ. გვეტაძე, რეჟ. ს. დოლიძე, ს. სულაკაური, ი. ვაკელი, ს. მთვარაძე, თბილისში მყოფი რუსი მწერლები რ. ივნივი, ლეონილოვი და სხვ.

ახალი სცენარებით ფილმების გადაღება ამ დღეებში დაიწყება, გადაღებებზე იმუშავენ რეჟისორები ნ. შენგელაია, ს. დოლიძე, ნ. პიპინაშვილი და სხვ. მოკლემეტრაჟიანი ფილმები 2-3 კვირის განმავლობაში უნდა გამოვიდეს.

გაცხოველებით მუშაობს მ. ჭიაურელი პატრიოტულ ფილმზე „გიორგი



ი. თოიძე.

დედასამშობლო გვეძახის.

საკაძე“, რომლის, რაც შეიძლება მახლობელ ვადებში, გამოსაშვებად მიღებულია ყოველგვარი ზომები.

2. 7. 41.

ამ დღეებში შესდგა საქართველოს ხელოვნების მუშაკთა კავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც შეაჯამა ხელოვნების მუშაკთა ერთი თვის მუშაობა სამამულო ომის პირობებში. სამამულო ომში ხელოვნების მუშაკთა ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა ანხ. ი. გვი-

ნჩიძემ, წითელი არმიის კონცერტებითა და სპექტაკლებით მომსახურების შესახებ — ნ. შესტოვმა. სიტყვები წარმოთქვეს შ. ღამბაშიძემ, ფილადიანმა, ნ. მარშაკმა, მ. კილაძემ, ხუნდაძემ, პახიშენკომ, კ. შახ-აზიზოვმა, ა. ვასაძემ, ვ. ანჯაფარიძემ, პ. კანდელაკმა და ლორის-მელიქოვმა.

მოხსენებებიდან და სიტყვებიდან გამოიკვია, რომ თბილისის თეატრებმა, მხატვრებმა და კომპოზიტორებმა სწრაფად გარდაჭმენს მუშაობა და შეუფარდეს იგი სამამულო ომის პირობებს. ხელოვნების მუშაკთა მთელი მუშაობა იქითკენ არის მიმართული, რომ კიდევ უფრო გააღვივოს საბჭოთა ხალხის სიმულღილი ვერაგი მტრის მიმართ და კაპლიეროს სიყვარული სამშობლოსადმი. ამ მიზანს ემსახურება ახალი რეპერტუარი, ძირითადად აგებული თავდაცვის თემებზე და სპე-

მოსკოვი. წითელი მოედანი. 1941 წლის 7 ნოემბერი.

ციალური კონცერტები და სპექტაკლები, რომლებიც წითელი არმიის კულტურული მომსახურებისათვის იმართება. ომის პირველ თვეში უკვე 300-ზე მეტი უფასო კონცერტი და სპექტაკლი მოეწყო თბილისში წითელი არმიის ნაწილებისათვის. სერიოზული თავდაცვითი მუშაობა ჩატარდა თვით თეატრებში.

1. 8. 41.

● **საპარტიველო**ს სახელმწიფო ფილარმონია დიდ მუშაობას ეწევა წითელი არმიის ნაწილებისა და თბილისის რაიონის მშრომელთა მომსახურებისათვის.

წითელი არმიის ნაწილებისათვის რამდენიმე სიმფონიური კონცერტი გაიმართა.

საზაფხულო სეზონის განმავლობაში საზაფხულო თეატრში და საქვილარმონიის ღია ესტრადაზე მოეწყო სიმფონიური და კამერული კონცერტები, რომლებშიც მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ საუკეთესო სოლისტებმა. გამოვიდნენ სსრ კავშირის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო დიდი აკადემიური თეატრის სოლისტები დ. ბადრიძე, ვ. დავიძოვა, დ. მექედლიძე და სხვ...

(საქდესი).

24. 8. 41.

● **მარჯანიშვილი** ის თეატრმა 1941-42 წლის სეზონი გახსნა 10 სექტემბერს კ. ფინისა და მ. გუსის ისტორიული პიესით „ბერლინის გასაღები“.

პიესა დასდგა და მხატვრულად გააფორმა რეჟისორმა ვ. ყუშიტაშვილმა. მთავარ როლებს ასრულებენ: პ. კობახიძე (პორუჩიკი კარტაშვიცი), ს. ზაქარაძე (ფრიდრიხი), ს. უორჟოლიანი (შლეზვიგი), ს. თაყაიშვილი (ლუიზა), კ. კვანტალიანი (შულცი), მ. ქორელი (ბრისტინა), ა. გომელაუ-

რი (ივანოვი), შ. გოცირელი (გერსკე) და სხვ...

12. 9. 41.

● **მარჯანიშვილი** ის თეატრმა განაახლა კ. მარჯანიშვილის ცნობილი დადგმა — ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყარო“. ამ პიესამ სამოქალაქო ომების პერიოდში დიდი როლი ითამაშა. წითელი არმიის ნაწილები, აღფრთოვანებული ლოპე დე ვეგას ცეცხლოვანი სიტყვებით კოტე მარჯანიშვილის დიდი ხელოვნებით, სპექტაკლიდან პირდაპირ წინა პოზიციებზე მიდიოდნენ, მტარვალებისადმი უსაზღვრო სიძულველით ანთებული. ჩვენშიც დიდი როლი ითამაშა ამ პიესამ. ქართული საბჭოთა თეატრის ისტორია მჭიდროდ არის დაკავშირებული კოტე მარჯანიშვილის მიერ რუსთაველის თეატრში „ცხვრის წყაროს“ პირველ დადგმასთან.

სამამულო ომის დღეებში ეს სპექტაკლი, რომელშიც ასახულია დაუნდობელი ბრძოლა ტირანის, მტარვალის წინააღმდეგ, უდერს როგორც მოწოდება ფაშისტ კაცობიების მოსასპობად..

სპექტაკლი აღადგინა ვ. გოძიაშვილმა.

9. 10. 41.

● **საპარტიველო**ს საბჭოთა მხატვრების სურათების გალერეაში გაიხსნა სამამულო ომისადმი მიძღვნილი გამოფენა, გამოფენის შესასვლელთან არის ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის წითელი არმიის საოლქო სახლის სატირის ფანჯარა — მხატვარ ლორის-მელიქოვის და მ. ვაღბოლსკისა. ორ დარბაზში არის 67 ტილო ზეთით შესრულებული, გრაფიკული ნახატი ისტორიულ და თავდაცვით თემატიკაზე..

10. 10. 41.

● **საპარტიველო**ს კომპოზიტორებმა დიდი შემოქმედებითი მუშაობა



სცენა შ. რუსთაველის სახელობის თეატრის სპექტაკლიდან „კიკვიძე“. კიკვიძე — აკ. ვასაძე. 1941 წ.



მოსე და ირაკლი თოიძეები მუშაობის დროს. 1942 წ.



მსახიობი ოლღა დოლიძე ფრონტზე გამართული კონცერტის დროს. 1942 წ.



სამამულო ომისადმი მიძღვნილ გამოფენაზე თბილისის სამხატვრო გალერეაში. 1942 წ.

გაშალეს თავდაცვის თე-
მაზე ახალ სიმფონიურ
ნაწარმოებთა შესაქმნე-
ლად. კომპოზიტორი კ.
მეღვინეთ-უხუცესი სწერს
მეხუთე „სამხედრო“ სიმ-
ფონიას, შ. აზმაიფარაშვი-
ლი — სიმფონიურ პოე-
მას, ნ. ნარიშკინი —
ორატორიას, დ. სლიანო-
ვა — ვოკალურ სიმფო-
ნიურ ნაწარმოებს „წინ“,
თ. შავერზაშვილი —
მარშს სიმფონიური ორ-
კესტრისათვის.

შ. თაქთაქიშვილმა და-
წერა სიმღერათა ციკლი
— „საბჭოთა მწვერავი“,
ლ. კრუტიკოვმა — ციკ-
ლი სიმღერებისა „ომის
დღეებში“, შ. მშველიძემ
— სიმფონიური სურათი
თავდაცვით თემაზე.

ო. ბარამიშვილი წერს
სიმფონიურ პოემას მ.
გორკის „გრიგალას“ მი-
ხედვით, დ. არაყიშვილი
ამთავრებს თავის მეორე
სიმფონიას.

2. 11. 41.

● **ლადო მისნიშვი-**
ლის სახელობის ქუთაი-
სის სახელმწიფო თეატრი
5 ნოემბერს პრემიერად
უჩვენებს ახალგაზრდა
დრამატურგის ვ. დარასე-
ლის პიესას — „კიკვიძე“.
სპექტაკლს დგამს რესპუბ-
ლიკის სახალხო არტისტი
ორდენოსანი დოდო ან-
თაძე. დივიზიის ლეგენ-
დარული მეთაურის ვასილ
კიკვიძის როლს შეასრუ-
ლებს მსახიობი დ. კასრა-
ძე. პიესაში მთავარ რო-
ლებს ასრულებენ რესპუბ-
ლიკის სახალხო არტისტი
იუზა ზარდალიშვილი და
რესპუბლიკის დამსახურე-
ბული არტისტი ცაცა ამი-
რეჯიბი...

4. 11. 41.

● **თავდაცვის** ფონ-
დის გასაძლიერებლად
საქ. ალკ თბილისის ორ-
განიზაციის სტალინის სა-
ხელობის რაიკომი 17
ნოემბერს მარჯანიშვილის
სახელობის თეატრში
აწყობს ანტიფაშისტურ
სადამოს.

სადამოში მონაწილეო-
ბენ მწერლები: შალვა
დადიანი, გ. ლეონიძე, ს.
ჩიქოვანი, ი. გრიშაშვი-
ლი, ალ. აბაშელი, სანდ-
რო ეული, გ. ქუჩიშვილი,
ს. თავაძე, ვ. გაბესკირია,
ვ. სერებრიაკოვი, რუს-
თაველის სახელობის თეა-
ტრის მსახიობები: ო. დო-
ლიძე, თ. ბაქრაძე, ჯავა-
ხიშვილი, დ. ესებუა, ფა-
ლიაშვილის სახელობის
ოპერისა და ბალეტის სა-
ხელმწიფო თეატრის მსა-
ხიობი მ. ყვარელაშვილი,
მარჯანიშვილის სახელო-
ბის თეატრის მსახიობები:
ნიკო გოცირიძე და ვ.
გოძიაშვილი, მუსიკალური
კომედიის თეატრის მსა-
ხიობები: ი. იანვარიშვილი,
სალარიძე, ინგილო, ეპშ-
ტინი, პოდოსოვი, თბი-
ლისის სახ. ცირკიდან რა-
შკოვსკი და სკალოვი.

მთელი შემოსავალი
შეტანილი იქნება თავდა-
ცვის ფონდში.

16. 11. 41.

● **თბილისის** რუსთა-
ველის სახელობის სახელ-
მწიფო თეატრის კომპა-
ზიტორული ორგანიზაციის
ინიციატივით 24 ნოემ-
ბერს რუსთაველის სახე-
ლობის თეატრი დადგამს
ბ. ლავრენცის პიესას
„რღვევა“. დადგმა ა. ვასა-
ძისა.

მთავარ როლებს ასრუ-
ლებენ სსრ კავშირის სა-
ხალხო არტისტები ა. ვა-
საძე და ა. ღორაძე. საქა-
რთველოს სსრ სახალხო
არტისტი გ. დავითაშვილი,
დამსახურებული არტის-
ტები — ნ. დავითაშვილი,
ემ. აფხაიძე, მ. ჩიხლაძე;
ორდენოსანი მსახიობები
ზაქრაძე, სალარიძე, ჯაჭა-
ნაშვილი, მსახიობები ა.
აფხაიძე, ფ. ქანტურია.

წარმოდგენის მთელი
შემოსავალი ჩარიცხული
იქნება საქართველოს კო-
მპაზიტორის სახელობის სა-
ტანკო და სატორპედო
კატერების კოლონების
მშენებლობის ფონდში.

21. 11. 41.

● 1 დეკემბერს თბი-
ლისის საოპერო თეატრ-

ში შესდგება დიდი კონცე-
რტი მოსკოვის სამხატვრო
თეატრის მსახიობების
ვ. ი. კაჩალავის, გ. მ. თა-
რხანოვის, უკრაინის სსრ
სახალხო არტისტი კიპარე-
ნკო-დამანსკის და სხვ.
მონაწილეობით...

28. 11. 41.

● **საქმილარმონი**
აწყობს სსრკ სახალხო
არტისტი ვ. ი. ნემიროვიჩ-
დანჩენკოს შეხვედრას
თბილისის საზოგადოებრი-
ობასთან.

საბჭოთა თეატრის უდი-
დესი ოსტატი და გამოჩე-
ნილი მოღვაწე სსრკ სა-
ხალხო არტისტი ვ. ი. ნე-
მიროვიჩ-დანჩენკო, რო-
მელმაც ბავშვობა და ყრმო-
ბა გაატარა თბილისში,
შეხვედრაზე ისაუბრებს
მის პირველ თეატრალურ
შთაბეჭდილებებზე...

ვ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენ-
კოსთან შეხვედრა შესდ-
გება რუსთაველის თეატ-
რის საკონცერტო დარბაზ-
ში კვირას, 7 დეკემბერს,
სადამოს მთელი შემოსა-
ვალი გადაეცემა თავდაც-
ვის ფონდს.

4. 12. 41.

● **საპარტველოს** სახ-
კომსაბჭოსთან არსებულმა
ხელოვნების საქმეთა სამ-
მართველომ დააკმაყოფი-
ლა რუსთაველის თეატრის
შუამდგომლობა, რომ სსრკ
სახალხო არტისტმა ვ. ი.
ნემიროვიჩ-დანჩენკომ მო-
ნაწილეობა მიიღოს რუს-
თაველის თეატრის შემოქ-
მედების ცხოვრებაში.
ვ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკო
მონაწილეობას მიიღებს
რუსთაველის თეატრის
სარეჟისორო კოლეგიის
მუშაობაში და უხელმძღ-
ვანელებს ერთ-ერთ დამ-
დგმელ ჯგუფს.

6. 12. 41.

● **თბილისის** ხელოვ-
ნების მუშაკები ამზადე-
ბენ საჩუქრებს წითელი
არმიისათვის. ორშაბათს,
29 დეკემბერს, თბილისის
ყველა თეატრში ეწყობა
კონცერტები და სპექტაკ-
ლები, რომელთა მთელი

შემოსავალი მოხმარდება
საჩუქრების შექმნას.

რუსთაველის თეატრში
შესდგება დიდი კონცერ-
ტი, რომელშიც მონაწი-
ლეობას მიიღებენ: სსრკ
სახალხო არტისტები კაჩა-
ლოვი, თარხანოვი, კლიმო-
ვი, რიუოვა, ვასაძე, რსფსრ
სახალხო არტისტი შევ-
ჩენკო, უკრაინის სახალხო
არტისტები. კიპარენკო-
დამანსკი და გუფოვა, რეს-
პუბლიკის დამსახურებუ-
ლი არტისტები: ნ. ხარაძე,
ე. აფხაიძე, ვ. ლიტვინენ-
კო, ესტრადის მსახიობთა
საკავშირო კონკურსის
ლაურეატი ო. დოლიძე,
მსახიობები დ. მჭედლიძე,
ს. ჯავახიძე, გ. სალარიძე,
ო. მაჩაბელი, როიალის
პარტიას შედასრულებენ მ.
ანდრონიკოვა და ლ. გა-
ლუცკაია. პროგრამის წამ-
ყვანია საქართველოს სა-
ხალხო არტისტი გ. დავი-
თაშვილი.

საოპერო თეატრში შე-
სდგება სიმფონიური კო-
ნცერტი, მარჯანიშვილის
თეატრი დასდგამს „მკაცრ
ქალიშვილებს“, გრიბოე-
დოვისა — „ლიბოვ ია-
როვას“.

28. 12. 41.

● **საქმილარმონი** ჩა-
მოაყალიბა სიმფონიუ-
რი ორკესტრი, რომელიც
შესდგება 90 კაცისაგან.
დირიჟორებად მიწვეული
არიან გაუკი, სტოლტერმა-
ნი, სტასევიჩი, კილაძე,
აზმაიფარაშვილი, დიმიტ-
რიადი და სხვ. სიმფონი-
ური ორკესტრის კონცერ-
ტები სისტემატურად მო-
ეწყობა კონსერვატორიის
ახალ დარბაზში.

11. 1. 42.

● **საპარტველოს** სიმ-
ღერისა და ცეკვის ანსამ-
ბლმა სამამულო ომის და-
წყების პირველ თვეებ-
შივე გარდაქმნა თავისი
მუშაობა. ღია კონცერტე-
ბთან ერთად ანსამბლი
სისტემატურად აწყობდა
და აწყობს საშეფო კონ-
ცერტებს სავადმყოფოებ-
სა და ჭარის ნაწილებში,
რომლებიც მაღალ შეფა-

სებას აძლევენ ანსამბლის მუშაობას.

ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელმა და მთავარმა დირიჟორმა, ორდენოსანმა კომპოზიტორმა გ. კოკელაძემ ხალხური სიმღერების საუკეთესო ნიმუშები გადაამუშავა ანსამბლისათვის, შექმნა ფოლკლორზე აგებული სინტერესო ინსცენირებანი, რომლებსაც ანსამბლი წარმატებით ასრულებს.

რეპერტუარშია ხალხური სიმღერები, ცეკვები, საბჭოთა კომპოზიტორების მიერ სამამულო ომის თემაზე დაწერილი და კლასიკოსთა მუსიკალური ნაწარმოებები...

27. 6. 42.

● **ჭუშთისი** („კომ-ის“ საკ. კორ.). 1 ივლისს ლადო მესხიშვილის სახელობის ქუთაისის თეატრმა მაყურებელს უჩვენა მიმდინარე სეზონის უკანასკნელი პრემიერა — დ. ერისთავის დრამა „სამშობლო“, რომელშიც გადმოცემულია თავისუფლებისმოყვარე ქართველი ხალხის შეუპოვარი ბრძოლა უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ.

სპექტაკლი დადგა თეატრის ხელმძღვანელმა საქ. სსრ სახალხო არტისტმა ორდენოსანმა დოდო ანთაძემ, მხატვრობა ეკუთვნის ი. იაქაშვილს, მუსიკა — საქ. სსრ ხელ. დამს. მოღვაწეს კომპოზიტორ თ. ვახვახიშვილს.

მთავარ როლებს ასრულებენ საქ. სსრ დამს. არტისტი ა. მურუსიძე (სვიმონ ლეონიძე), ვ. მეგრელიშვილი (ლევან ხიმშიაშვილი), შ. პირველი (შაპ-აბასი), მ. გელაშვილი (ფაიშოში), საქ. სსრ დამს. არტ. ც. ამირეჯიბი (დედაკაცი), თ. ღვინიაშვილი (ქეთევანი), საქ. სსრ დამს. არტ. ვ. ჩიკვაძე (გოგია დიკვანი).

3. 7. 42.

● 12 ივლისს თბილისის სამხატვრო გალერეაში გაიხსნა სამამულო

ომისადმი მიძღვნილი დიდი სამხატვრო გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილია საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის, კრასნოდარის, ორჯონიკიძის, მახაჩკალის მხატვრების 176 სურათი, გამოფენაში მონაწილეობენ აგრეთვე მოსკოველი, ხარკოველი და კიეველი მხატვრები, რომლებიც ამჟამად თბილისში ცხოვრობენ...

...ოსტატურად შესრულებული სურათები გვიჩვენებენ იმ საზინელებას, რაც მოაქვს ფაშიზმს ჩვენი ქვეყნისათვის...

გამოფენა, რომელიც 12 და 13 ივლისს დიდძალმა ხალხმა დაათვალიერა, თბილისში დარჩება ერთ თვეს, რის შემდეგ გაიგზავნება მახაჩკალაში, შემდეგ ორჯონიკიძესა და კრასნოდარში.

14. 7. 42.

● **6 აბგინსტოს** რუსთაველის თეატრში დაიწყო ლენინგრადის კომედიის თეატრის გასტროლები ა. გლადკოვის გირჩული კომედით „დიდების აღზრდილი“. ეს პიესა აგვიწერს რუსი ხალხის გირჩულ ბრძოლას ნაპოლეონის წინააღმდეგ, სპექტაკლი წარმატებით ჩატარდა და მაყურებელმა გულთბილი შეხვედრა მოუწყო დასს.

ლენინგრადის კომედიის თეატრი 7 წელია არსებობს. ამ ხნის განმავლობაში მან სინტერესო სპექტაკლები შექმნა... და დიდი წარმატებით სარგებლობს...

თეატრი თბილისის მაყურებელს უჩვენებს თავის რვა საუკეთესო დღეებს...

სპექტაკლებს დიდძალი ხალხი ესწრება.

8. 8. 42.

● **თბილისის** კინოსტუდიამ უკვე დამატარა დიდი ისტორიული ფილმის „გიორგი სააკაძის“ პირველი სერიის გადაღება. ფილმი დასდგა სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა მის. ჭიაურელმა,

სცენარი ეკუთვნის სახელმწიფო პრემიის ლაურეატს ა. ანტონოვსკაიას და ბ. ჩორნის. ფილმის სამეცნიერო კონსულტანტია პროფ. ნ. ბერძენიშვილი.

ფილმისათვის მუსიკა დაწერა ა. ბალანჩივაძემ. მხატვრობა ეკუთვნის მირზაშვილსა და გოცირიძეს, კოსტიუმების ესკიზები — თ. აბაკელიას.

ფილმის გადაღებაზე მუშაობდა კოლექტივი: რეჟისორები შ. გელეჯანიშვილი და ნ. სანოვი, მთავარი ოპერატორი ორდენოსანი დიდიმლოვი, ხმის ოპერატორები დოლიძე და ლომიძე, ასისტენტები მოშიაშვილი, უშუქუნაძე, ანჯაფარიძე და დოლენკო.

ფილმში თამაშობენ მსახიობები: ა. ხორავა (გ. სააკაძე), ვ. ანჯაფარიძე (რუსუდანი), ს. ჯაქარიაძე (შადიმანი), ს. ბალაშვილი (ლუარსაბი), ა. ვასაძე (შაპ-აბასი), ლიანა ასათიანი (თეკლე) და სხვ.

ქართულ ვარიანტთან ერთად კინოსტუდიამ დაამზადა ფილმის რუსული ვარიანტიც... რუსული ვარიანტის გახმოვანებაზე მიწვეული იყვნენ კახლოვი, კლიმოვი, სამოილოვი, ლიუბიმოვ-ლანსკოი, ბ. მესხიშვილი და სხვ.

4. 9. 42.

● **სამპრთველოს** საბჭოთა მხატვრების კავშირმა 30 მაისს აღნიშნა 25 წლისთავი ნიკო ფიროსმანაშვილის გარდაცვალებიდან, სამხატვრო გალერეაში შესდგა სხდომა, რომელიც გახსნა ლ. გუდიაშვილმა, მოხსენებით „ფიროსმანაშვილის ადგილი ქართულ მხატვრობაში“ გამოვიდა ლ. ესაკია, რომელმაც ილაპარაკა ნ. ფიროსმანაშვილის შემოქმედების ხალხურობაზე, თემატიკაზე, მხატვრის თავისებურ ტექნიკაზე, გ. ლეონიძემ წაიკითხა ნაწყვეტები თავისი დღიურებიდან, რომლებშიც მოყვანილია ფიროსმანაშვილის მომსწრეთა ნაამბობი მხატვრის ცხოვრებაზე.

სიტყვებით გამოვიდნენ: დ. ჯანელიძე, ვ. სოკოლი, უ. ჯაფარიძე, კ. ზდანევიჩი, გ. ზაზაშვილი და ლ. გუდიაშვილი... დასასრულ ვ. ანჯაფარიძემ და ი. გრიშაშვილმა წაიკითხეს ლექსები ფიროსმანაშვილისა და ძველი თბილისის შესახებ.

1. 6. 43.

● **გორი** („კომუნისტის“ საკ. კორ.). გორის სახელმწიფო თეატრმა სეზონის უკანასკნელ დადგამად მაყურებელს უჩვენა ი. ვსევოლოუსკისა და დ. რუნდენის გმირული დრამა „მეცარი დღეები“ (თარგმანი გრ. ნუცუბიძის). პიესა ასახავს ლენინგრადის გმირული დაცვის ერთ ეპიზოდს, ავტორები გვიხატავენ ლენინგრადელთა თავდადებულ ბრძოლას ფაშისტ ყაჩაღთა ურობების წინააღმდეგ.


შ. ჩუბინიძე.

8. 8. 43.

● **მოსკოვი**, („კომუნისტის“ საკ. კორ.). „კრასნაია ზვესდას“ კორესპონდენტი მოქმედი არმიიდან იუწყება, რომ საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მსახიობთა ბრიგადა გამოსვლებს აწყობს ნ. შენაერთის ნაწილებში. ბრიგადამ 70-ზე მეტი კონცერტი გამართა ნაწილებში. იგი ფრონტელთა სასურველი სტუმარია. მებრძოლები და ოფიცრები დიდი ქებით იხსენიებენ ბრიგადის გამოსვლებს.

13. 2. 44.

● **თბილისის** გამოსასვლელ დღეს რუსთაველის თეატრის მთელი კოლექტივი საჩუქრებით ეწვია საშეფო ჰოსპიტალს. გარდა შემოქმედებითი მუშაკებისა აქ იყვნენ თეატრის ზეინკლები, მკერავები, დამლაგებლები, პარიკმახერები, მღებავები, ელექტრომონტორები, პიანინოს ამწყობები. თეატრის კოლექტივმა, რომელიც ბრიგადებად იყო დაყოფილი, მთელი ეს დღე გვიან სა-



აკაკი ხორავა ფრონტზე გამართული კონცერტის დროს, 1942 წ.



მსახიობთა საკონცერტო ბრიგადა მ. ტარხანოვის, თ. ჭავჭავაძის, ვ. ანჯაფარიძის, ვ. პრაგინის შემადგენლობით ევაკოპოსპიტალში. 1942 წ.



მხატვარი უჩა ჯაფარიძე (მარჯვნიდან პირველი) რემედსელებს ეხმარება მებრძოლებისათვის გასაგზავნი თამბაქოს შეფუთვაში. 1942 წ.

დამომდე საშეფო ჰოსპიტალში გაატარა.

ბრიგადებმა, რომელთაც ხელმძღვანელობდნენ სსრ კავშირის სახალხო არტისტები ა. ხორავა და ა. ვასაძე, საქ. სსრ სახალხო არტისტები დ. მუჯავა, ე. აფხაძე, თეატრის დირექტორი პ. მურდულია, დაქრილ მებრძოლებს დაურიგეს საჩუქრები...

შეკეთებულ იქნა 50 საწოლი, მსახიობმა ქალებმა დაალაგეს და დაასუფთავეს ორი კორპუსი, შეკერეს 62 ცალი ხალათი, 15 ლეიბი, 40 ცალი ნაბღის ფოსტლები, დაჰკერეს და დააუთოვეს 20 ცალი ზეწარი, საზაფხულო საბნები. ელექტრომონტიორებმა შეამოწმეს ჰოსპიტლის ელექტროგაყვანილობა, დურგლებმა შეაკეთეს კლუბის იატაკი, გააკეთეს 2 ფარდა და მრავალი სხვა სამუშაო იქნა შესრულებული.

მსახიობთა ერთმა ჯგუფმა გამოუშვა ამ დღისადმი მიძღვნილი კედლის გაზეთის სპეციალური ნომერი.

მსახიობ ქალთა ჯგუფმა ა. თოიძის, ე კედისა და ნ. ლაფაჩის შემადგენლობით პალატებში ჩაატარა მხატვრული კითხვა.

სალამოს, როცა ბრიგადებმა მუშაობა დაამთავრეს, თეატრის შემოქმედებითი ძალების მონაწილეობით გაიმართა კონცერტი. კონცერტის წინ დაჭრილმა მებრძოლებმა სიტყვები წარმოსთქვეს. მათ მადლობა გადაუხადეს თეატრის კოლექტივს მზრუნველობისათვის და პირობა დასდეს, რომ გაჯანსაღების შემდეგ გაორკეცებული ძალით იბრძოლებენ საზიზღარი მტრის — გერმანელი ფაშისტი ბარბაროსების წინააღმდეგ.

კონცერტში მონაწილეობა მიიღეს რესპუბლიკის სახალხო არტისტმა თამარ ჭავჭავაძემ, დამსახურებულმა მსახიობებმა გ. სალარაძემ და ს. ჯაფარიძემ, ნ. ვ. ალექსი-მესხიშვილმა, ო. დოლიძემ, ა. კუპრაშვილმა, თეატრის კვარ-

ტეტმა ალიოშინის ხელმძღვანელობით.

ღამის 11 საათზე დამთავრდა „მებრძოლის დღე“ საშეფო ჰოსპიტალში.

12. 3. 44.

● **მოსკოვი.** ჩაიკოვსკის სახელობის დარბაზში შესდგა ქართული მუსიკის მორიგი კონცერტი, სრულიად-საკავშირო ორკესტრმა ახალგაზრდა დირიჟორების — ჯემალ გოციელისა და ვახტანგ ფალიაშვილის ხელმძღვანელობით შეასრულა ფალიაშვილის, არაყიშვილის, ვანო გოციელის ოპერების ნაწყვეტები, ანდრია ბლანჩივადის სიმფონიური პოემა — კრწანისის ბრძოლა, აზმაიფარაშვილის, ტუსკიას ნაწარმოებთა ნაწყვეტები. მაყურებლებმა გულთბილად მიიღეს ახალგაზრდა დირიჟორები, აგრეთვე კონცერტში გამოსული თბილისის ოპერის მსახიობები ე. სოხაძე, დ. ანდლუაძე, პ. ამირანაშვილი, დ. მჭედლიძე, ბ. კრავიშვილი. შესვენების დროს შესდგა შეხვედრა თბილისის ოპერის სოლისტების, კომპოზიტორებისა და დირიჟორებისა გვარდიის გენერალ-ლეიტენანტ ჩანჩიბაძესთან, რომელიც დარბაზში იმყოფებოდა. ჩანჩიბაძემ, რომელსაც კონცერტის მონაწილენი სიხარულით შეეგებნენ, მიულოცა მათ და შემდგომი წარმატება უსურვა.

გუშინ მოხდა მეგობრული შეხვედრა მოსკოვში მყოფ ქართველ პოეტთა და მწერალთა ჯგუფისა გვარდიის გენერალ-ლეიტენანტ ჩანჩიბაძესთან. ჩანჩიბაძემ უამბო შეარებილთ უირიმისა და სევასტოპოლის განთავისუფლების ისტორიულ დღეებზე. პოეტებმა და მწერლებმა ალიო მანაშვილმა, კონსტანტინე გამსახურდიამ და სხვებმა ილაპარაკეს თავიანთი მუშაობის შესახებ. გაუზარეს დამსწრეთ თავიანთი შემოქმედებითი შთანაფიქრი.

4. 6. 44.

● რუსთაველის თეატრი. სეზონი გაიხსნება 1 სექტემბერს ს. კლდიაშვილის პიესით „ირმის ხევი“. სეზონში თეატრი დასდგამს „მეფე ლირს“, ოსტროვსკის კომედიას „ზოგჯერ ბრძენიც კი შესცდება“, შ. დადიანის პიესას კავკასიის გმირული დაცვის თემაზე „შარავანდედი“. აღდგენილი იქნება „ოტელო“ და „არსენა“.

სეზონის განმავლობაში თეატრის რეპერტუარში იქნება: „სირანო დე ბერჟერაკი“, „უდანაშაულოდ დამნაშავენი“, „სამშობლო“, „ლალატი“, „ოლეკო დუნდინი“, „კიკვიძე“, „კრწანისის გმირები“ და „სპატარძლო აფიშით“.

● მარჯანიშვილის თეატრი. თეატრი დასდგამს მ. ჯავახიშვილის „უამთაბერის ასულს“, სამსონიას „ბაგრატიონს“, ოსტროვსკის „უმზითვოს“ და ი. ვაკელის „თამარ მეფეს“. კაპიტალურად აღადგენს პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერს“ და შ. დადიანის „ჩატეხილ ხიდს“.

სეზონი გაიხსნება 10 სექტემბერს...
27. 8. 44.

● თბილისის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრი საგასტროლოდ იყო ქუთაისში. წარმოდგენები დიდი წარმატებით მიდიოდა. თეატრის დარბაზი მაყურებელს ვერ იტევდა.
თეატრმა ქუთაისის მა-

ყურებელს უჩვენა 8 დადგმა.. სულ დაიდგა 54 გემიანი და 4 გემის გარეშე წარმოდგენა. აქედან 2 წარმოდგენა ფრონტელთა ოჯახების დახმარების ფონდის გასაძლიერებლად.
3. 9. 44.

● 29 დეკემბერს დამთავრდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების საბჭოთა მუსიკის დეკადის მონაწილეთა შემოქმედებითი კონფერენცია, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის გამოჩენილმა კომპოზიტორებმა, მუსიკის მცოდნეებმა, დირიჟორებმა.
1. 1. 45.

● მოსკოვი 19 თებერვალი (საკდესი). 18 თებერვალს მოსკოვის კონსერვატორიის დიდ დარბაზში წელს პირველად გაიმართა ქართული მუსიკის კონცერტი. პროგრამა შესდგებოდა იმ ნაწარმოებებისაგან, რომლებმაც მაღალი შეფასება მიიღეს ამასწინათ თბილისში ჩატარებულ ამიერკავკასიის რესპუბლიკების საბჭოთა მუსიკის დეკადზე. მოსკოვის კონცერტებში მონაწილეობის მისაღებად დედაქალაქში ჩამოვიდა გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორებისა და მსახიობების ჯგუფი.

გუშინდელ კონცერტში ცენტრალური ადგილი დაიკავა ა. ბალანჩივაძის ახალმა სიმფონიამ, რომელიც დიდი ოსტატობით შეასრულა სსრ კავშირის სახელმწიფო სიმფონიურმა ორკესტრმა, დირიჟორობდა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე შ. აზმაიფარაშვილი.

მოსკოველები გაეცნენ აგრეთვე კომპოზიტორ ა. მაჭავარიანის ახალ ნაწარმოებს — კონცერტს ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის; სოლისტად გამოვიდა გაიანე მაჭუტაძე.

კონცერტის პროგრამაში შედიოდა არაყიშვილისა და თაქთაქიშვილის ვოკალური თხზულებანი. იმდერეს საქართველოს სახალხო არტისტებმა ე. სოსაძემ და პ. ამირანაშვილმა.

მოსკოვის შემდეგ ქართველი ოსტატები ლენინგრადს გაემგზავრებიან.
23. 2. 45.

● სპარტაქოს თეატრალურ მუზეუმში გაიხსნა გამოფენა, რომელიც ასახავს საქართველოს სათეატრო ხელოვნების მიღწევებს სამამულო ომის ოთხი წლის მანძილზე. ეს გამოფენა ნათლად გვიჩვენებს იმ ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას, რომელიც ომის დღეებში საქართველოს თეატრალურმა კოლექტივებმა ჩაატარეს.

გამოფენაზე წარმოდგენილია თბილისის თითქმის ყველა თეატრი, ყველა რაიონული თეატრალური

კოლექტივი, ცალკეული თეატრების მუშაობას გვიჩვენებს რეპერტუარი, ომის პერიოდის დადგმების ფოტოსურათები, ცალკეული მხატვრული ესკიზები, თეატრის მოწინავე ადამიანთა პორტრეტები...


გამოფენას მრავალი განყოფილება აქვს. საინტერესოა თეატრების სამხედრო-საშეფო მუშაობის განყოფილება, სამამულო ომის პერიოდში საქართველოს თეატრალურმა მუშაკებმა 24 ათასზე მეტი საშეფო სპექტაკლი და კონცერტი გამართეს, მათ შორის 2.000-მდე ფონტებზე, გამოფენაზე წარმოდგენილია მასალები საფრონტო და საშეფო ბრიგადების მუშაობის შესახებ. გამოფენის სხვა განყოფილებები გვიჩვენებენ ქართველი მუსიკოსების მიღწევებს ომის პერიოდში. ნაჩვენებია ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებები — სიმღერები, მარშები და სხვ, რომლებიც დაბეჭდილი იყო საფრონტო ვაჭეთებში.
21. 3. 45.

● 3. ი. ლენინის დაბადებიდან 75 წლის შესრულებასთან დაკავშირებით თბილისის გრიბოედოვის სახელობის თეატრმა განახლა სახელმწიფო პრემიის ლაურეატის ნ. კ. პოგოდინის პიესა „კრემლის კურანტები“ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის გ. ა. ტოვსტონოგოვის დადგმით, მხატვრული გაფორმება ეკუთვნის ვ. ვ. ლოქტინს, მუსიკალური ილუსტრაცია — კომპოზიტორ ვ. ა. ბეიერს.

პიესა ნაჩვენებია იქნება დღეს 21 აპრილს. სპექტაკლში ვ. ი. ლენინის როლს ასრულებს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი კ. კ. მიუჟკე, ი. ბ. სტალინის როლს — რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ვ. დ. ბრაგინი, ფ. ე. ძერჟინსკის როლს — რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი პ. ა. დოჟინსკი..
21. 4. 45.



გამარჯვების დროშა რაინსტაგზე.



«САБЧОТА ХЕЛОВНЕБА»

№ 5, 1975

ЖУРНАЛ МИНИСТЕРСТВА КУЛЬТУРЫ ГРУЗИНСКОЙ ССР

30-ЛЕТИЕ ВЕЛИКОЙ ПОБЕДЫ

Статья посвящена 30-летию Великой Победы. Весь советский народ встал на защиту Отечества в те грозные годы. Вместе со всеми в тылу и на передовой самоотверженно боролись за свободу Родины деятели литературы и искусства. (стр. 2).

Ладо Донадзе

ГРУЗИНСКАЯ МУЗЫКА В ГОДЫ ВЕЛИКОЙ ОТЕЧЕСТВЕННОЙ ВОЙНЫ

В те грозные годы грузинская музыка оказалась на высоте своего призвания. Война вызвала могучий отклик в грузинской музыке, в которой ведущей стала тема Родины — патриотическая героика.

Тема патриотизма резко утверждается в монументальных жанрах. Автор анализирует созданные в годы войны симфонии, оперы, оратории, камерные произведения.

(стр. 11).

Василий Кикинадзе

ВОЕВАЛ И ГРУЗИНСКИЙ ТЕАТР

В годы Великой Отечественной войны спектакли грузинских театров будили в зрителях патриотические чувства, звали на самоотверженную борьбу. И не только вдохновенным словом боролся грузинский театр. Автор вспоминает мо-

лодых актеров, работников театра, не вернувшихся с полей сражений. (стр. 27).

Нана Кипиани

ГЕРОИ СОВЕТСКОГО СОЮЗА ГЕОРГИИ ГОЦИРИДЗЕ —

Публикуется творческий портрет главного архитектора Московской области Георгия Георгиевича Гоциридзе, прошедшего вместе с 3-им механизированным гвардейским корпусом боевую путь от Сталинграда до Днепра. (стр. 36).

Лейла Табукашвили

ВЕЛИКАЯ ДАТА И ХУДОЖНИКИ

В Тбилисской Государственной Картинной галерее организована республиканская художественная выставка, посвященная 30-летию Великой Победы. В статье дан обзор экспонируемых произведений. (стр. 38).



Геннадий Прокопинский, Николай Беляев

ПАМЯТЬ О ДРУГЕ

Авторы вспоминают друга, погибшего на войне — грузинского

художника Карло Гогиберидзе. В 1940 году пришел он на студию военных художников им. Грекова и вскоре завоевал авторитет хорошего художника и организатора.

Выставка, организованная в краеведческом музее г. Сухинича, знакомит с военно-творческой деятельностью грековцев. На ней экспонированы и работы К. Гогиберидзе. (стр. 48).

Гиви Барамидзе

О ПРОШЛОМ ВО ИМЯ БУДУЩЕГО

(Тема Великой Отечественной войны в грузинском кино)

Еще гремели орудия, когда на киноэкранах появились короткометражные и полнометражные фильмы на военную тему: «Сторожевая будка», «В черных горах», «Форпост», «Мост», «Он еще вернется». А в послевоенные годы грузинский кинематограф вновь и вновь возвращался к дням великого испытания мужества, чести, любви к Родине, возвращался в память о героическом прошлом, во имя безоблачного будущего. Автор называет такие фильмы, как «Прерванная песня», «Добрые люди», «Отец солдата», «Распятый остров», «Ожидание», «Я вижу солнце», «Я, бабушка, Илико и Илларион», «Зоя Рухадзе» и др. (стр. 50).

Дмитрий Мchedлидзе

ВСПОМИНАЯ ДНИ ВОЙНЫ

Множество примеров тому, как в годы Великой Отечественной войны на передовую, в самое пекло

сражений ехали мастера советского искусства, чтобы вдохновенным словом поддержать бойцов. Автор рассказывает о поездке бригады грузинских артистов во главе с народным артистом СССР А. Хорава на участок жестоких боев близ Грозно. (стр. 57).

Антон Цулукидзе

ТЕМА ВОЙНЫ И МИРА
В СИМФОНИЯХ
ДМИТРИЯ ШОСТАКОВИЧА

Своеобразное отражение нашла героическая эпопея Отечественной войны в седьмой и восьмой симфониях Дмитрия Шостаковича. Эти две вершины творчества композитора анализирует музыковед Антон Цулукидзе. (стр. 58).

Маринэ Кереселидзе

СПУСТЯ 30 ЛЕТ

В первой части статьи автор знакомит с фронтовой биографией заслуженного художника Грузинской ССР Котэ Чанкветадзе.

Далее автор рассказывает о скульпторе Т. Сихарулидзе, который вылепил портрет Героя Советского Союза П. Размадзе. (стр. 65).

Вахтанг Гургенидзе

ВКЛАД ГРУЗИНСКОГО
КИНЕМАТОГРАФА

В 1941-1945 годах на киностудии «Грузия-фильм» было создано множество кинокартин, прослав-

ляющих подвиг и самопожертвование во имя Родины.

Автор, привлекая материалы из Государственного архива грузинской литературы и искусства, рассматривает художественные фильмы «Георгий Саакадзе», «Щит Джургая», «Фортост» и другие. Обозревает также ряд хроникально-документальных фильмов. (стр. 67).

Нуца Микеладзе

ПЛЕЧОМ К ПЛЕЧУ
С ЗАЩИТНИКАМИ РОДИНЫ

Автор вспоминает историю исполнительской деятельности бригады студентов Тбилисской Государственной консерватории им. В. Сарджишвили, постоянно выезжающих с концертами к бойцам на линию огня. Рассказывает она и о выступлениях известных грузинских певцов в годы войны. (стр. 70).

Отар Сепиашвили

ДВА ФИЛЬМА

Аналогия между фильмами «Мост» (ФРГ) и «Ну и молодежь» (Грузия) в том, что герои одного возраста. Гибнут и немецкие и грузинские юноши, но, как отмечает автор статьи, совершенно различны истоки их самопожертвования. (стр. 73).

Михаил Туманишвили

ИЗ ФРОНТОВОГО ДНЕВНИКА

До начала Великой Отечественной войны известный грузинский режиссер М. Туманишвили защищал западную границу Советского Союза. Начиная с первого дня войны, он был в числе защитников Родины, почти все военные годы сражался на передовой.



Первая страница дневника датирована 22 июня 1941 года, а последняя — 6 мая 1944 года.

(стр. 78).

ИЗ АРХИВА
ВОЕННОГО ФОТОРЕПОРТЕРА

В журнале напечатаны фотографии В. Джейранова, рассказывающие о боях за освобождение Северного Кавказа.

Фотографии публикуются впервые. (стр. 86).

Шукура Инасаридзе

ЖИВЫЕ СТРАНИЦЫ
ЛЕТОПИСИ

В Центральном Государственном кинофотофоноархиве Грузинской ССР хранятся документальные киноленты, запечатлевшие труд и борьбу грузинских мастеров искусства в годы войны. (стр. 91).

Борис Васильев

А ЗОРИ ЗДЕСЬ ТИХИЕ...
(пьеса)

Публикуется перевод пьесы Б. Васильева «А зори здесь тихие...» на грузинский язык. Переводчики — Акакий Гецадзе и Лили Абаиадзе. (стр. 93).

ქურნალში დაბეჭდილია
მ. ბაბოვის, ა. ბალაბუევის, პ. შვეჩენკოსა
და ვ. ჩვირანოვის ფოტოები და
ფოტორეპორტაჟები.

მხატვრული რედაქტორი ალექსი ბალაბუვიძი.



საქართველოს კვ ცენტრალური
კომიტეტის გამომცემლობა.
თბილისი, 1975.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 21/IV-75 წ. უე 07616.
შეკვ. 1251. ტირაჟი 6.000. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 15.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 19.75. ფასი 1 მან.

საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის
გამომცემლობის სტამბა.
თბილისი, ლენინის ქუჩა, № 14, ტელ. 93-93-59.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მარჯანიშვილის 5. ტელ. 95-10-24.

